

საქართველოს სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიში
იბეჭდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)
მხარდაჭერით

moxseneba saqarTveloSi 2004 wels adamianTa uflebebis sferoSi arsebuli
mdgomareobis Sesaxeb

sarCevi:

1. შესავალი: სიტუაციის მიმოხილვა
2. ხელშეუხებლობა, წამებისა და ზეწოლის აკრძალვა
3. სასამართლო ხელისუფლება და მართლმსაჯულების საკითხები
4. საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა
5. დაკავებულ პირთა დაზიანებების აღრიცხვის დინამიკა
6. მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით
7. ეთნიკური უმცირესობების უფლებები
8. სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება
9. ინფორმაციის თავისუფლება
10. გადაადგილების უფლება
11. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება
12. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები
13. დევნილები
14. ბავშვთა უფლებების დაცვა
15. შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მდგომარეობა
16. მდგომარეობა ქალთა უფლებების დაცვის სფეროში
17. სახალხო დამცველის ინსტიტუტის მოდერნიზებული კონცეფცია
18. სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა
19. სავალდებულო სამოქალაქო სამსახური
20. დანართი

საქართველოს სახალხო დამცველის 2004 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში

წინამდებარე მოხსენებაში ასახულია 2004 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა. ამასთან, ტენდენციების უკეთ გააზრების მიზნით, საჭიროდ მივიჩნით, მოხსენებაში ნაწილობრივ მიმდინარე წლის დასაწყისში განვითარებული მოვლენებიც აისახოს.

როცა გაუარესების ტენდენციებზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთაც საპარლამენტო ძალაუფლების შესუსტება გამოიწვია აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების ხარჯზე; ასევე – სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის კლების ხარისხი, საპროცესო გარიგების გამოყენების ბუნდოვანი პრაქტიკა და ის პრობლემები, რაც კერძო საკუთრებას ექმნებოდა.

როცა დადებით ტენდენციებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ შეწყდა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცების პრაქტიკა, თუ არ ჩავთვლით კონფლიქტურ რეგიონებს. წინა წლებში ადამიანის გატაცების ფაქტების რაოდენობა წელიწადში რამდენიმე ათეულს - საშუალოდ 50-60 კაცს აღწევდა.

სამაგიეროდ, ძალიან ფართო მასშტაბი მიიღო პოლიციის მიერ უკანონო დაკავებებმა - როცა პირის დაკავება ხდებოდა იარაღისა თუ ნარკოტიკის „ჩაგდებათ“; ისევე, როგორც იმატა პოლიციისავე მხრიდან ძალადობის, ადამიანის წამებისა და ცემის ფაქტებმა.

ამასთან, გასული წლის განმავლობაში არც ერთი საქმე არ აღძრულა წამების მუხლით. პროკურატურა მსგავს შემთხვევებში, როგორც წესი, იყენებს თანამდებობის ბოროტად გამოყენების, უფლებამოსილების გადამეტების, ცემის ან რაიმე სხვა კვალიფიკაციას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგადად საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ავადმყოფებს, მათ შორის მძიმე ავადმყოფებსაც, არ უტარდებათ სათანადო მკურნალობა, არ ხდება დროული სამედიცინო ჩარევა და საჭიროების შემთხვევაში სპეციალიზებულ კლინიკებში გადაყვანა, რის გამოც ზოგიერთი მსგავსი შემთხვევა სიკვდილითაც მთავრდება.

აქვე მინდა ვახსენო პატიმრების ცემის კიდევ ერთი ფაქტი. კერძოდ, გასული წლის აგვისტოს დასაწყისში №1 საპყრობილის დირექტორმა გელა კიკილაშვილმა სცემა სამი პატიმარი - ხვიჩა შოთაშვილი, ზვიად ჯანგებაშვილი და დენიამ ალიევი. დამოუკიდებელმა ექსპერტიზამ სამივეს ცემის ფაქტი დაადგინა, თუმცა გელა კიკილაშვილი დაუსჯელი დარჩა და იგი №1 საპყრობილის დირექტორობიდან №7 საპყრობილის დირექტორად იქნა გადაყვანილი.

უკანონო დაკავებებთან, დაკავებულთა ცემასთან და წამებებთან დაკავშირებით მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდა გასული წლის ბოლოს და მიმდინარე წლის დასაწყისში. ეს რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას: ჯერ ერთი, პოლიციაში ცემისა და წამებების ფაქტებმა ფართო საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა, რის გამოც ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, აღეკვეთა ამგვარი ფაქტები და მეორე - სახალხო დამცველის აპარატმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დაიწყო პოლიციის განყოფილებებისა და წინასწარი დაკავების საკნების ფართომასშტაბიანი მონიტორინგი, განსაკუთრებით მიმდინარე წლის დასაწყისიდან, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა არა მხოლოდ ცემისა და წამების, არამედ პროცესუალური დარღვევების, მათ შორის დაკავების ვადების დარღვევის ფაქტები, სამაგიეროდ შეინიშნება ახალი ტენდენცია: იმ დაზიანებების უმრავლესობა, რაც ბოლო თვეებში აღენიშნებათ დაკავებულებს, სწორედ დაკავების დროს არის მიღებული. იმის შემოწმება, გაუწია თუ არა პირმა წინააღმდეგობა დაკავების დროს პოლიციას, ან რამდენად აღეკვატური იყო პოლიციის მიერ ძალის გამოყენება, ძალიან ძნელია. თუმცა, დაზიანებების რაოდენობისა და თავად დაზარალებულთა ჩვენებების მიხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიცია აშკარად გადაჭარბებით იყენებს ძალას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პოლიციის ფართომასშტაბიანი მონიტორინგი საკმაოდ დიდ თანხებსა და ადამიანურ რესურსს მოითხოვს და სახალხო დამცველის ოფისს ასეთი მასშტაბით მონიტორინგის გაგრძელების შესაძლებლობა არ აქვს. ამიტომ, აუცილებელია დაჩქარდეს გაეროს 2002 წლის წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიკაცია, რაც პატიმრობის ადგილებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანოს შექმნასა და დაფინანსებასაც ითვალისწინებს.

და ბოლოს, მინდა ორ კონკრეტულ ფაქტზე გავამახვილო ყურადღება:

1. გასული წლის 22 მაისს გლდან-ნაძალადევის პოლიციამ დააკავა ხვიჩა კვირიკაშვილი, რომელიც მეორე დღეს, სახლში დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა. მას ეტყობოდა წამების კვალი. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ პოლიციის ორ თანამშრომელს - ჯემალ სანაიას და პავლე ტატუნაშვილს - სასტიკი საყვედური გამოეცხადათ, მესამე თანამშრომელი როლანდ მინაძე კი 6 თვით დააპატიმრეს და შემდეგ გაათავისუფლეს.

2. 2004 წლის 23 ნოემბერს საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გრიგოლ ვაშაღიშვილმა დიდუბეში იარაღის გასროლით მოკლა მოქალაქე ა.რობაქიძე. რობაქიძე თავის 5 მეგობართან ერთად მოძრაობდა ავტომანქანით, რომელიც გააჩერეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა. პოლიციის ინფორმაციით, რობაქიძეს და მის მეგობრებს ჰქონდათ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, საიდანაც რობაქიძემ მოახდინა ორი გასროლა პოლიციის თანამშრომელთა მიმართულებით, რის შემდეგაც საპასუხო გასროლა მოახდინა ვაშაღიშვილმა.

რობაქიძის თანმხლები ხუთივე პირი უარყოფს იარაღის ქონის ფაქტს. ისინი აცხადებენ, რომ უსიტყვოდ დაემორჩილნენ საპატრულო პოლიციის მოთხოვნას და ხელებაწეული გადმოვიდნენ მანქანიდან. პოლიციელები ნასვამები იყვნენ და ერთ-ერთ მათგანს, გ.ვაშაღიშვილს შემთხვევით გაუვარდა იარაღი.

საპატრულო პოლიციის ვერსია ეჭვს იწვევს, რადგან პოლიციელების ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავია, ხოლო ექსპერტიზის დასკვნა ეწინააღმდეგება ძიების ოფიციალურ ვერსიას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დამაჯერებელი ჩანს ვერსია, რომ შსს ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო ვაშალეიშვილის ბრალის მიჩქმალვით, რადგან იმ პერიოდში იწყებოდა პატრულის მიმართ ნდობის გაჩენა და ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა ეს ნდობა ეჭვის ქვეშ დაეყენებინა. შესაბამისად, იმის ნაცვლად, რომ დასჯილიყო რეალური დამნაშავე, საქმე რობაქიძის თანამგზავრების მიმართ აღიძრა, რომელთაგან ორი ამჟამადაც წინასწარ პატიმრობაშია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესწორებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე არის დამსწრეთა ინსტიტუტის გაუქმება. გასულ წელს დამსწრეთა ინსტიტუტის უკანონო გამოყენება, უფრო ზუსტად კი ცრუდამსწრეების, ე.წ. „პროფესიონალი დამსწრეების“ გამოყენება ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავი შემთხვევის საფუძველი გახდა. ამგვარ პროფესიონალ დამსწრეებს პოლიცია მაშინ იყენებს, როცა ნარკოტიკებისა თუ იარაღის „ჩადებით“ ხდება პირის დაკავება. სახალხო დამცველის თბილისისა და ქუთაისის ოფისებმა გამოავლინეს ცრუდამსწრეების გამოყენების არაერთი შემთხვევა. ამ ფაქტების შესახებ ჩვენ რამდენჯერმე ჩავატარეთ პრესკონფერენცია და შესაბამისი ინფორმაცია გავუგზავნეთ პროკურატურასა და სასამართლოებს. კერძოდ, პროკურატურისგან მოვითხოვეთ, შეესწავლა ჩვენს მიერ დაფიქსირებული შემთხვევები და ამ ფაქტებზე აღედრა სისხლის სამართლის საქმეები. სასამართლოებს კი მივაწოდეთ ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და ვთხოვეთ ამ ინფორმაციის გათვალისწინება. სამწუხაროდ, ჩვენი რეკომენდაციები არ იქნა გაზიარებული.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხი გასული წლის ყველაზე საგანგაშო პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს. რეალურად, სასამართლოები იქცნენ პროკურატურის ნების განმხორციელებელ ორგანოებად, რაც ყველაზე კარგად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სფეროში ჩანს. 2004 წლის განმავლობაში თბილისის ხუთ რაიონულ სასამართლოში პროკურატურიდან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით შესულია 1540 შუამდგომლობა, საიდანაც 1280 დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საოლქო სასამართლოში გასაჩივრებული 931 შემთხვევიდან დაკმაყოფილდა 68.

2004 წელს სიტყვის თავისუფლების სფეროში არსებული მდგომარეობა ყველაზე ნაკლებად ემორჩილება ერთმნიშვნელოვან შეფასებას: ერთი მხრივ, გასულ წელს მიღებულ იქნა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კანონმდებლობა, ბეჭდვით მედიას მიეცა სერიოზული საგადასახადო შეღავათები და მიღებულ იქნა კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. მოხდა ცილისწამების დეკრიმინალიზაცია, რაც განსაკუთრებით მისასალმებელია იმ ფონზე, რომ წინა - 2003 - წელს შევარდნაძის ხელისუფლებას ჰქონდა

მცდელობა, სასჯელი ცილისწამებისთვის 10 წლამდე გაეზარდა და მაშინდელმა პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი შესწორება პირველი წაკითხვით მიიღო კიდევ.

მეორე მხრივ, გასულ წელს მედიაში, განსაკუთრებით კი ელექტრონულ მედიაში, იკლო პოლიტიკურმა დებატებმა, მედია გახდა ხელისუფლების მიმართ გაცილებით ლოიალური და ნაკლებად კრიტიკული. პრესა თავს არიდებდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი თემების გაშუქებას, აშკარად შეიმჩნეოდა სარედაქციო დამოუკიდებლობის უქონლობა და საინფორმაციო გადაცემებზე მედიის საშუალებათა მფლობელების სერიოზული გავლენა. წამყვანი ტელეკომპანიების მფლობელები, როგორც წესი, ან თავად არიან ხელისუფლებაში, ან სხვა, გაცილებით მსხვილ ბიზნესში არიან ჩართული და ურჩევნიათ ლოიალური იყვნენ ხელისუფლების მიმართ, რადგან ეს უკეთ წაადგება მათ ბიზნესს. ამგვარი ვითარება კი ზუსტად აისახება ამ ტელეკომპანიების საინფორმაციო პოლიტიკაზეც, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სატელევიზიო ეთერში პოლიტიკურმა დებატებმა გასული წლის დასასრულსა და მიმდინარე წლის დასაწყისში ისევ მოიპოვა სიმწვავე და მრავალფეროვნება. მიუხედავად ამისა, მწვავედ იგრძნობა ჟურნალისტური გამოძიების სიმწირე, რაც კომპანიების ხელმძღვანელების მხრიდან განხორციელებული ცენზურის შედეგია. აქ კონკრეტული ფაქტების დასახელებისგან თავს შევიკავებთ, რადგან თავად ჟურნალისტებისგან, რომლებიც ამგვარი ცენზურის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ კულუარებში, ამის გახმაურების მანდატი არ გვაქვს მონიჭებული.

ამავე დროს, გასულ წელს იყო პრესის თავისუფლების შეზღუდვის რამდენიმე სრულიად აშკარა მცდელობა და რამდენიმე ისეთი სასამართლო პროცესიც, რომელიც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისკენ იყო მიმართული. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე აშკარა ფაქტი იყო გორის ადგილობრივი გაზეთის, „ხალხის გაზეთის“ რედაქტორის, რევაზ ოქრუაშვილის დაკავება 2004 წლის 2 აგვისტოს. რევაზ ოქრუაშვილი მწვავედ აკრიტიკებდა ადგილობრივ ხელისუფლებას, განსაკუთრებით, სამართალდამცავ ორგანოებს. 2 აგვისტოს რევაზ ოქრუაშვილი ქუჩაში გააჩერეს პოლიციელებმა და ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რომლის დროსაც მას, თითქოს, ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოუჩინეს. ამის შემდეგ გაჩხრიკეს მისი მანქანა, ბინა და ოფისი, სადაც თითქოს ისევ აღმოჩნდა ნარკოტიკული ნივთიერებები. უნდა აღინიშნოს, რომ ოქრუაშვილის დაკავებასა და ჩხრეკაზე პოლიციას არ ჰქონდა სასამართლოს ნებართვა, ოფისის ჩხრეკას კი არ დასწრებიან დამოუკიდებელი დამსწრეები. მოგვიანებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წამოწყებული კამპანიის შედეგად რევაზ ოქრუაშვილი გათავისუფლდა, თუმცა, მანამდე მასთან დაიღო პროცესუალური გარიგება ბრალის აღიარებით.

პრესის თავისუფლების შეზღუდვის მაგალითი იყო ასევე 2004 წლის 14 ივლისს გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ ფინანსური პოლიციის შესვლის ფაქტი. პოლიცია სასამართლოს ნებართვის გარეშე შევიდა გაზეთში და მთელი ფინანსური დოკუმენტაცია ამოიღო. ჟურნალისტები და გამომცემლები ფინანსური პოლიციის შესვლას ქალაქის მაშინდელი პროკურორის, ვალერი გრიგალაშვილის სახელს უკავშირებენ, რომლის შესახებაც გაზეთის რამდენიმე ნომერში ქვეყნდებოდა მასალების სერია. საბოლოოდ, ფინანსურმა პოლიციამ „ჯორჯიან თაიმსის“ ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლა საქტემბრის ბოლოს დაასრულა და

დარღვევები ვერ აღმოაჩინა, თუ არ ჩავთვლით დავალიანების სახით 911 ლარის დაკისრებას, რაც მიმდინარე გადასახადებს მოიცავდა.

დაბოლოს, ცენზურის წინააღმდეგ ჟურნალისტების გალაშქრების პირველი და საკმაოდ ხმაამაღალი მაგალითი იყო 2005 წლის 3 მარტს აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტების გაფიცვა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი განიცდიდნენ ზეწოლას ტელევიზიის ხელმძღვანელობის მხრიდან. ამ ფაქტთან დაკავშირებით მე ჩავედი აჭარაში ვითარების შესასწავლად, რაც, საბოლოოდ, ჟურნალისტების გამარჯვებით და არხის ხელმძღვანელობის გადადგომით დასრულდა.

2004 წელს სერიოზულად ირღვეოდა მიტინგებისა და მანიფესტაციების თავისუფლება. კერძოდ, ჯერ კიდევ 2004 წლის 11 იანვარს პოლიციამ ძალის გადაჭარბებული გამოყენებით სასტიკად დაარბია მიტინგები თერჯოლასა და რუსთავში. თერჯოლაში მომიტინგეებს გადაკეტილი ჰქონდათ ცენტრალური ტრასა, რაც ხელისუფლებას გზის გახსნის კანონიერ საფუძველს აძლევდა, მაგრამ ის სისასტიკე, რაც გამოიყენა პოლიციამ, აბსოლუტურად არაადეკვატური იყო, მით უმეტეს, რომ მომიტინგეებს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. გზის გახსნის შემდეგ პოლიციელები აქციის მონაწილეებსა თუ შემთხვევით გამვლელებს დასდევდნენ სოფლის ორღობებსა და ყანებში და სასტიკად სცემდნენ მათ ხელკეტებით, მუშტებითა და ფეხით. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება კიდევ უფრო მეტად დაარღვია სამართალდამცავი ორგანოების შემდგომმა მოქმედებამ, როცა ამ აქციაში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულ იქნა 7 ადამიანი, რომლებსაც შემდგომში ქუთაისის საქალაქო და ტყიბულის რაიონულმა სასამართლოებმა სსკ 226-ე მუხლზე დაყრდნობით („ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს“) მიუსაჯა სხვადასხვა ვადით - 6 თვიდან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ერთ-ერთი მონაწილე სასამართლომ 4000 ლარით დააჯარიმა.

ასევე პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმმა 2004 წლის 1 ივლისს თბილისის მერიის წინ განსაკუთრებული სისასტიკით დაარბია მიწისძვრით დაზარალებული მოქალაქეების მშვიდობიანი მანიფესტაცია. მიტინგის რამდენიმე მონაწილემ სერიოზული დაზიანება მიიღო, მაგრამ ამ უკანონო დარბევის გამო დღემდე არავინ დასჯილა - არც უშუალო შემსრულებლები და არც დარბევის ბრძანების გამცემი. უნდა ითქვას, რომ დარბევას უშუალოდ ხელმძღვანელობდა სპეცნაზის უფროსი თემურ მღებრიშვილი, ხოლო დარბევა გაამართლა თბილისის პოლიციის მაშინდელმა უფროსმა ირაკლი კლდიაშვილმა.

რამდენადაც ანგარიში გასულ წელს შეეხება, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მიტინგებისა და მანიფესტაციების დარბევის ის განსაკუთრებული სისასტიკე, რასაც ასლან აბაშიძის რეჟიმი იჩენდა გასული წლის დასაწყისში, თუმცა, რამდენადაც ის რეჟიმიც და მისი ქცევის წესიც წარსულს ჩაბარდა, ამაზე ყურადღების გამახვილება ნამდვილად არ ღირს. სამაგიეროდ, მინდა რამდენიმე სიტყვით ვახსენო ის ტენდენციები, რომლებიც გასული წლიდან გადმოვიდა. მიმდინარე წელს მიტინგებისა და მანიფესტაციების თავისუფლების სერიოზულ დარღვევად მიმაჩნია ახალციხეში მომხდარი შემთხვევა. კერძოდ, 2005 წლის 19 თებერვალს ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებმა რამდენიმე ადგილას გადაკეტეს საავტომობილო გზა. ისინი ითხოვდნენ თსუ ახალციხის ფილიალის

დაპატიმრებული რექტორის, მერაბ ბერიძის გათავისუფლებას. პოლიციას არც კი უცდია გზის გახსნა, მაგრამ მეორე დღეს, 20 თებერვლის დილას ათამდე სტუდენტი თავიანთი სახლებიდან აიყვანეს. სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ სტუდენტები დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს, თუმცა, მოგვიანებით მათ წინააღმდეგ მაინც გამოიყენეს ადმინისტრაციული სახდელები და ახალციხის სასამართლომ 11 სტუდენტი 15-15 ლარით დააჯარიმა. ჩვენი ოფისის შეფასებით, სტუდენტების მოქმედება არ გასცდენია კანონითა და კონსტიტუციით განსაზღვრულ მიტინგებისა და მანიფესტაციების თავისუფლების ჩარჩოს და პოლიციის მოქმედება და სასამართლოს გადაწყვეტილება ამ თავისუფლების შელახვის სერიოზულ პრეცედენტად მიგვაჩნია.

რელიგიურ უმცირესობათა უფლებების შელახვა, უფრო ზუსტად, მათი სრული უუფლებობა წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს სამარცხვინო სავიზიტო ბარათს მსოფლიოს თვალში. უმცირესობათა პერმანენტული დარბევები, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, მათი ქონების განადგურება, მიმდევრების ფიზიკური ცემა და შეურაცხყოფა, დაუხვეწავი და დისკრიმინაციული კანონმდებლობა და კიდევ უფრო დისკრიმინაციული პრაქტიკა, სამარცხვინო შოუდ ქცეული სასამართლო პროცესები, სადაც უმცირესობათა წევრებსა თუ უფლებადამცველებს პირდაპირ სასამართლო დარბაზში სცემდნენ და ეს სამართალდამცავთა რეაგირების გარეშე რჩებოდა - ეს იყო რევოლუციამდე აღმსარებლობის თავისუფლების სახე საქართველოში. რევოლუციის შემდეგ მსგავსი ექსცესები წარსულს ჩაბარდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბასილ მკალავიშვილისა და მისი მიმდევრების დაპატიმრებამ და გასამართლებამ, თუმცა პრობლემები კვლავ ძალიან ბევრი დარჩა და მათი უმრავლესობა ჯერჯერობით ხელისუფლების ყურადღების მიღმა რჩება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოზიტიური სიახლე, რაც საქართველოს პარლამენტმა გადადგა, არის სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის ცვლილება, რომელიც საშუალებას აძლევს რელიგიურ ორგანიზაციებს, დარეგისტრირდნენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. თუმცა, ეს არ არის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა, რადგან ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია - კერძოდ, სომხეთის სამოციქულო ეკლესია, კათოლიკური ეკლესია და ზოგიერთი სხვაც აცხადებს, რომ მათ არ სურთ დარეგისტრირდნენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, რადგან რეგისტრაციის დღეისათვის არსებული შესაძლო ფორმები - კავშირი ან ფონდი - სრულად ვერ ასახავს რელიგიური გაერთიანების სპეციფიკას.

ეროვნული უმცირესობების უფლებების შესწავლის თვალსაზრისით ჩვენი ოფისი განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გააქტიურდა, მას შემდეგ, რაც მოხდა სტრუქტურის რეორგანიზაცია და შეიქმნა თავისუფლებისა და თანასწორობის სამმართველო, რომელიც აქტიურად მუშაობს ამ პრობლემატიკის შესწავლაზე.

პირველი და ყველასთვის საერთო პრობლემა ეს არის სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც ხელს უშლის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, მოახდინონ სრულფასოვანი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. სახელმწიფო ენის არცოდნა სერიოზული ბარიერია სახელმწიფო სტრუქტურებში თანამდებობის დაკავების გზაზე. გარდა ამისა, ქვემო ქართლსა და კახეთში

მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის, ასევე კახეთში მცხოვრები ოსური სოფლებისთვის მთავარი პრობლემაა მიწის საკუთრების საკითხის გადაწყვეტა, რადგან ისინი ზოგჯერ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან ქართულ მოსახლეობასთან შედარებით.

წალკაში მცხოვრები ბერძნების პრობლემებიდან შეიძლება გამოიყოს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი: პირველი - კრიმინოგენული მდგომარეობა და მეორე - საკუთრების პრობლემა. რთული კრიმინოგენული მდგომარეობა, ცხადია, არ არის მხოლოდ ეთნიკური ბერძნების პრობლემა, თუმცა, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ყველაზე მეტად სწორედ ისინი ზარალდებიან, რადგან ისინი არიან ყველაზე მეტად დაუცველი. რაც შეეხება საკუთრებას, ძალიან ხშირია ბერძნების კუთვნილ სახლებში უკანონო შეჭრა და ამ სახლების დაპატრონება, რაც არ შეიძლება სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩეს. დაბოლოს, აქვე ერთ სუბიექტურ ფაქტორსაც უნდა გავუსვა ხაზი: არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისთვის, რომ წალკაში არსებული კრიმინოგენული ვითარება პირდაპირ უკავშირდება წალკის პოლიციის უფროსის, ზურაბ ქეშელაშვილის ზოგჯერ უმოქმედობას, ზოგჯერ კი დანაშაულებრივ ქმედებებს.

რაც შეეხება ჯავახეთს, იქ არსებული პრობლემები შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაიყოს: პირველი - სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც საერთოა ეროვნულ უმცირესობათა დიდი ნაწილისთვის; მეორე - ეკონომიკური ხასიათის პრობლემები და რეგიონის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაციის პრობლემა, რაც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ ყურადღებას და სერიოზულ ინვესტიციებს მოითხოვს (გზების მშენებლობა და ა.შ.); მესამე - ცუდი ადმინისტრირება, რაც ძალიან ხშირად წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას.

და ბოლოს, ჩვენი ოფისი ამჟამად მუშაობს რეაბილიტაციისა და რესტიტუციის შესახებ კანონპროექტზე, რომელიც ითვალისწინებს მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ნიშნით მიყენებული ქონებრივი თუ უფლებრივი ზიანის აღდგენას.

სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვაში წინა პერიოდთან შედარებით მიღწეულია პოზიტიური ცვლილებები. კერძოდ, თავდაცვის სფეროს დაფინანსების გაზრდის შედეგად გაუმჯობესდა სამხედრო მოსამსახურეთა ეკონომიკური მდგომარეობა - მათი კვება, ჩაცმულობა, ელემენტარული საცხოვრებელი პირობები და სხვა. ამასთან, შეიცვალა სამხედრო სამსახურის მიმართ დამოკიდებულებაც - რევოლუციამდელ პერიოდში ჯარში მხოლოდ სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის წარმომადგენლები მსახურობდნენ, რაც ამჟამად უკვე აღარ არის ასე.

მეორე მხრივ, არმიაში ისევ დარჩა ძველი პრობლემები - ეს არის ე.წ. „დედოფშინის“ ქართული ვარიანტი - „კარგი ბიჭების“ მიერ სუსტების ჩაგვრა, კუთხური შუღლი და ოფიცრების მიერ ქვემდგომების ჩაგვრა. გვქონდა ბევრი შემთხვევა, როცა სამხედრო ნაწილებიდან გაქცეული ჯარისკაცები დავაბრუნეთ უკან და ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე მათ მიმართ არ განხორციელდა დისციპლინური დევნა. მაგალითად, 2004 წლის დეკემბერში მუხროვანის

ბატალიონში დავაბრუნეთ ამ ბატალიონიდან გაქცეული 10 ჯარისკაცი, რომელთა გაქცევაც ერთადერთი მიზეზით იყო განპირობებული - მათ უნდოდათ ემსახურათ თავიანთ რაიონში - ფოთში - ან სადმე ფოთთან ახლოს. ცხადია, ამგვარი სურვილების ასრულებაში ჩვენ მათ ვერ დავეხმარებოდით, თუმცა ისინი დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში და ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე მათ მიმართ არ განხორციელდა დისციპლინური ღვენა.

დაბოლოს, არ შეიძლება არ შევეხო 2004 წლის დეკემბერში მომხდარ ინციდენტს, როდესაც მუხროვანის ბრიგადა მიატოვა 71-მა ჯარისკაცმა, რადგან ამ ფაქტს სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა და მისი ექო დღემდე არ ჩამცხრალა.

მუხროვანიდან გამოქცეული ჯარისკაცები მიადგნენ სახელმწიფო კანცელარიას და იქ მართავდნენ დემონსტრაციას, საიდანაც ისინი ჩვენმა თანამშრომელმა მოიყვანა ჩვენს ოფისთან. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩემი პირადი პოზიცია იყო შემდეგი: საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის თანახმად, სამხედრო ძალების წარმომადგენლებს არ აქვთ შეკრების უფლება წინასწარი ნებართვის გარეშე. შესაბამისად, ჩვენ ვერ წავახალისებდით კონსტიტუციის დარღვევას, ამიტომ ჯარისკაცები უნდა დაბრუნებულიყვნენ მათი დისლოკაციის ადგილზე, იქ დაეცავდით მათ ნებისმიერი ზეწოლისგან, შევისწავლიდით მათ საჩივრებს და მოვახდენდით შესაბამის რეაგირებებს. ჩვენ ეს გავაკეთეთ კიდევაც, ჩვენი ოფისის ორი წარმომადგენელი, ვალერიან ძველაია, რომელიც წლების განმავლობაში თვითონ მსახურობდა მუხროვანის ბრიგადაში და რეზო ჭარბაძე, რამდენიმე დღის განმავლობაში არ მოსცილებიან ამ ჯარისკაცებს, რათა დაეცვათ ისინი შესაძლო ზეწოლისგან და შეესწავლათ არსებული პრობლემები.

რაც შეეხება პრობლემებს, ჯარისკაცები რამდენიმე პრობლემაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. კერძოდ, მთავარი მოთხოვნა საკუთარ რაიონში ან რაიონთან ახლოს, კერძოდ დასავლეთ საქართველოში სამსახური იყო; ისინი აცხადებდნენ, თითქოს მათ შეჰპირდნენ, რომ მანქანებზე დასვამდნენ მძღოლებად და ნაცვლად ამისა ტანკებზე დასვეს; აცხადებდნენ, რომ ჰქონდათ საკმარის კარგი საკვები, მაგრამ არ ჰქონდათ ხორცი და ახალი ხორცის ნაცვლად ხორცის კონსერვებით, ე.წ. „ტუშონკებით“ კვებავდნენ. ითხოვდნენ შეეზღუდათ წასვლის გამარტივებულ წესს და ა.შ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ჯარისკაცები მხოლოდ თვენახევრის გაწვეულები იყვნენ.

იყო უფრო სერიოზული მოთხოვნებიც, კერძოდ: ყაზარმები ცუდად თბებოდა და იშვიათად ჰქონდათ ცხელი წყალი. ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ყაზარმები იყო ახალი გარემონტებული, ხოლო წყლის გამოყვანა ახალი მიმართულებიდან უკვე დამამთავრებელ ფაზაში შედიოდა და ამ ინციდენტიდან ორ კვირაში მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.

თამამად შემიძლია ვთქვა ისიც, რომ მას შემდეგ ჩვენს გარდა ეს ჯარისკაცები არავის მოუნახულებია და მათი ბედით არავინ დაინტერესებულა. ამ ჯარისკაცებიდან დღეს 40 ისევ მუხროვანში მსახურობს, 20 - თელავის ბატალიონში, 7 - სარიტუალო ასეულში, ხოლო 4 - მე-4 ბრიგადაში. ამ ინციდენტის გამო ბრიგადის რამდენიმე ოფიცერს ხელმძღვანელობამ ფინანსური სანქციები დააკისრა, თუმცა გაურკვეველი პროცედურით.

აქვე მინდა ვახსენო სამხედრო სფეროსთან დაკავშირებული ჩვენი რამდენიმე ინიციატივა. კერძოდ, სახალხო დამცველის ოფისმა შეიმუშავა ორი კანონპროექტი. პირველი შეეხება დეზერტირების ამნისტიას, მეორე კანონპროექტი შეეხება სავალდებულო სამოქალაქო სამსახურს. ეს კანონპროექტი შემოტანილია პარლამენტში და მისი მოსმენა შედგა თავდაცვისა და ადამიანის უფლებათა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე.

სერიოზულ პრობლემად იქცა სახელმწიფო სამსახურებიდან მასობრივი გათავისუფლება და ამით გამოწვეული უმუშევრობა, თუმცა, მიმაჩნია, რომ სახელმწიფო სამსახურების რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია გარდაუვალი პროცესია. ამავე დროს, სამუშაო ადგილების შექმნისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნდა მოხდეს საგადასახადო კოდექსის კიდევ უფრო მეტად ლიბერალიზაცია. ოღონდ, ცხადია, რომ ეს ჩემი პირადი აზრია და არა სახალხო დამცველის რეკომენდაცია. ამავე დროს, მივესალმები იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც ამჟამად ხორციელდება ლიცენზირების გამარტივებისა და ახალი ბიზნესის დაწყების გაიოლების მიზნით.

რაც შეეხება კონკრეტულ საქმეებს, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევებში ჩვენ შევძელით დახმარება აღმოგვეჩინა არაერთი უფლებადარღვეული მოქალაქისთვის, ხოლო აფხაზეთის გაუქმებული პოლიციის 1600 ყოფილ თანამშრომელს დავეხმარეთ კუთვნილი 4 თვის ხელფასისა და დახმარებების მიღებაში. ამჟამად ვმუშაობთ იმაზე, რომ მათგან 400 პოლიციელს, რომელთაც, მათივე თქმით, პენსია ეკუთვნით, დავეხმაროთ პენსიის მიღებაში. პრობლემა ის არის, რომ მათი საბუთები აფხაზეთში ომის დროს დაიკარგა.

ხელშეუხებლობა, წამებისა და ზეწოლის აკრძალვა

სამართლებრივი საფუძვლები

1. წამების აკრძალვას აწესებს საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის მე-17 მუხლი მიუთითებს, რომ მოცემული ნორმა აბსოლუტურია და საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს შეზღუდვას არ ექვემდებარება. ამასთანავე საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი დამატებით მიუთითებს, რომ „დაუშვებელია დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.“ მოცემული აკრძალვა შეიძლება შეიზღუდოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციაა, რომ განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში და აღმოიფხვრას შესაძლებლობა, რომ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს შეიზღუდოს პირის ფიზიკური და ფსიქიკური იძულების აკრძალვა.

2. წამების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი სისხლის სამართლის კოდექსია. სსსკ შეიცავს 126-ე მუხლს, რომელშიც მოცემულია წამების დანაშაულის ცნება და სანქცია, რომელიც პირს ამ დანაშაულის ჩადენისათვის დაეკისრება. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ნორმა არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა შესახებ არსებულ საერთაშორისო აქტებს. ამასვე მიუთითებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი მის დასკვნაში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტის თაობაზე საქართველოს მეორე პერიოდულ მოხსენებასთან დაკავშირებით.

- ნორმა წინააღმდეგობაში მოდის წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველ მუხლთან. საქართველოს პარლამენტი 1994 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით შეუერთდა გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციას და, შესაბამისად, იკისრა ვალდებულება, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს მასთან. წამების ტრადიციული განმარტება მოიცავს სამ ძირითად ელემენტს: მძიმე ფსიქიკური ან ფიზიკური ტანჯვის მიყენებას, ინფორმაციის ან ჩვენების მოპოვების სპეციალურ განზრახვას (*დოლუს სპეციალის*) და სახელმწიფო მოხელეს, როგორც ერთ-ერთ ძირითად სუბიექტს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი არ მოიცავს ჩამოთვლილ ელემენტთაგან არც ერთს.

- საყურადღებოა, რომ წამების ცნება მოთავსებულია „ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულთა“ თავში, მაშინ, როდესაც თავისი სიმძიმით და კატეგორიით ეს „ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა“ თავში უნდა იყოს მოთავსებული.

- წამების წინააღმდეგ კონვენციის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ წამების წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ზომები იყოს ეფექტური. ეფექტურობა თავის თავში, რა თქმა უნდა, თანაზომიერი და გონივრული სანქციის არსებობასაც გულისხმობს, რასაც ნამდვილად ვერ

ვიტყვიტ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციაზე. წამების დანაშაულისათვის დაწესებულია სასჯელი 3 წლიტ თავისუფლების აღკვეტის სახიტ, ისევე როგორც, მაგალიტად, სამსახურებრივი გულგრილობისთვის ან საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევისათვის. მაშინ, როდესაც ხორვატიაში ასეთი დანაშაულისთვის გატვალისწინებულია თავისუფლების აღკვეტა 8 წლამდე, ესპანეთში - 2-დან 7 წლამდე, ხოლო ირლანდიაში - თავისუფლების უვადო აღკვეტა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის რეკომენდაციაა, შეიცვალოს წამების ცნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ჩამოყალიბდეს ის ადამიანის უფლებათა შესახებ ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

3. პროცესუალური ტვალსაზრისიტ, წამების დანაშაულის გამოძიება ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვიტ. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევები გამოწვეულია იმდენად არა საკანონმდებლო ხარვეზებით, რამდენადაც იმიტ, რომ დაბალია დაკავებული პირის უფლებებზე ორიენტირებული კანონმდებლობის დანერგვის ხარისხი.

4. წამების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების ტვალსაზრისიტ, დადებითად უნდა შეფასდეს ის ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 13 აგვისტოს №398 კანონიტ. ამ ცვლილებიტ გატვალისწინებულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება. ცვლილებიტ ჩამოყალიბდა დაკავების მხოლოდ კონსტიტუციური საფუძვლები, გაუქმდა ე.წ „დაკავებულის“ სტატუსი და ნებისმიერ დაკავებულ პირზე გავრცელდა ყველა ის პროცესუალური უფლება, რომელიც მანამდე პირს მხოლოდ ეჭვმიტანილის სტატუსის მიღების შემდეგ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ცვლილება, რომელიც პირს დაკავებისთანავე ანიჭებს სამედიცინო შემოწმების მიღების უფლებას.

ტუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, სამწუხაროდ, ქვეყნის მასშტაბიტ ამ ცვლილებათა დანერგვის მიზნიტ რაიმე საგანმანათლებლო საქმიანობა არ ჩატარებულა. სწორედ საგანმანათლებლო-საინფორმაციო საქმიანობის ნაკლებობის შედეგია ის, რომ მოსახლეობამ არაფერი იცის ხსენებული ცვლილებების შესახებ. ძირითადად, ცვლილებათა შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ რეგიონებში განტავსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ტანამშრომლებიც. ამრიგად, რტულია საუბარი იმაზე, რომ დადებითი ცვლილებები რეალურად ხორციელდება.

3.სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ფართო საგანმანათლებლო კამპანიას წამების წინააღმდეგ, მაგ. წინასწარი დაკავების იზოლაციტრებსა და დაკავების განყოფილებებში გავრცელდეს და საჯარო ადვილას განტავსდეს დაკავებულთა საპროცესო უფლებების ნუსხა, აგრეთვე შინაგან საქმეთა გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზისა და შესაბამისი პროკურატურის ცხელი ხაზის საკონტაქტო ინფორმაცია. ამასთანავე, ყურადღება და სახსრები დაეთმოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან

პერსონალის გათვითცნობიერებას საკანონმდებლო სიახლეებში, მათ განათლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას ადამიანის უფლებათა და საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის საკითხებში.

5. სამწუხაროდ, ფაქტობრივად არ არის დანერგილი კანონმდებლობით გარანტირებული დაუყოვნებელი სამედიცინო შემოწმების უფლება. მოქალაქეთა გათვითცნობიერებლობას ამ შემთხვევაში თან ერთვის ტექნიკური ხასიათის სირთულეები, რაც ახლავს ასეთი შემოწმების ჩატარებას. განსაკურებით რეგიონებში ძალიან რთულია დროული შემოწმების უზრუნველყოფა დაკავების ადგილის სიახლოვეს მორიგე ექიმის არარსებობის გამო. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იშვიათია ამ უფლების გამოყენება დაკავებულთა მხრიდან.

6. მისასაღმებელია აგრეთვე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელთა მიხედვითაც მცირდება წინასწარი პატიმრობის ვადები 9 თვიდან 4 თვემდე. ასევე მისასაღმებელია ცვლილებები ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების დაუშვებლობის შესახებ, თუკი ბრალდებულმა (განსახსჯელმა) ჩვენება შეცვალა სასამართლოში სასამართლო გამოძიების დროს. ეს რეფორმა ჩამოაყალიბებს ისეთ სამართლებრივ გარემოსიტუაციას, როდესაც სახელმწიფო ბრალდება დაემყარება მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც კანონიერი და დასაშვები გზებით იქნება მოპოვებული.

უნდა აღინიშნოს აუცილებლობა იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით ჩატარდეს ტრენინგ-სემინარები მოსამართლეებისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის მუშაკებისათვის, რათა ერთგვაროვნად დაინერგოს მიღებული ცვლილებები და არ მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებათა განმარტება დაკავებულის საწინააღმდეგოდ.

1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებები წამებასთან მიმართებაში

7. როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან პირთა წამების და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვას. სამწუხაროდ, 2004 წლის განმავლობაში კვლავ ჰქონდა ადგილი თავისუფლებაშეზღუდული პირების წამებასა და მათ მიმართ ღირსების შემლახავ მოპყრობას.

რამდენიმე გახმაურებული პრეცედენტის მოყვანა საკმარისია ზემოთქმულის საილუსტრაციოდ.

2004 წლის 23 აპრილს დაკავებულ იქნა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი. სასამართლომ მას შეუფარდა წინასწარი პატიმრობა აღმკვეთი ღონისძიების სახით. მისი წამების ფაქტი გამოვლინდა იმავე წლის ივნისში. პროკურატურის მიერ 2004 წლის 5 ივლისს საქმე აღიძრა 332-ე მუხლის მე-3(ბ) ნაწილის მიხედვით, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციით. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა საპყრობილის ის ექიმები, რომლებმაც, მისი მტკიცებით, სამსახურებრივი გულგრილობის გამო ვერ გამოავლინეს მოლაშვილის სხეულზე დაზიანებები მისი საპყრობილეში

შეყვანისას, დღემდე არ გამოვლენილა თავად ძალადობის დანაშაულში ეჭვმიტანილი.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოლაშვილის მიმართ არაპუმანური მოპყრობა განხორციელდა მე-7 საპყრობილეში ისეთ საკანში მოთავსებით, რომლის პირობები მთლიანობაში გაუსაძლისი იყო, ასევე იგი უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებოდა სხვა პატიმრებთან შედარებით, მას არ ჰქონდა უფლება ესარგებლა ინფორმაციით და ტელევიზორით.

▪ 2003 წლის 24 დეკემბერს გენერალურ პროკურატურაში იმყოფებოდა ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა, რომელიც დაკითხვის შემდეგ დააკავეს. ამ დროს მას დაემართა ინფარქტი და ტვინის ინსულტი, რის გამოც გადაყვანილ იქნა სპეციალურ კლინიკურ საავადმყოფოში. მომდევნო 48 საათის განმავლობაში ვერ მოხერხდა მის მიმართ ბრალის წაყენება, რის გამოც გაუქმდა მისი ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება. 2004 წლის 16 იანვრის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დავით მირცხულავას მიღებული ჰქონდა ინფარქტი და თავის ტვინის ინსულტი, რის გამოც არ შეიძლებოდა მისი ეტაპირება საპყრობილეში. 16 იანვარსვე მოხდა ბრალის წაყენება მის დაუსწრებლად. იმ დროს, რომელიც მითითებულია ბრალის წაყენების დროდ, მირცხულავას ჰქონდა სტენოკარდიული შეტევა. 17 იანვარს ასეთ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ შეუფარდა წინასწარი პატიმრობა აღმკვეთი ღონისძიების სახით. გასაჩივრების შედეგად აღმკვეთი ღონისძიება ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლომ. იმავე დღეს იგი გადაყვანილ იქნა ჯერ საპყრობილეში, ხოლო შემდეგ ციხის საავადმყოფოში. დაახლოებით 2 თვის შემდეგ დავით მირცხულავას ჩაუტარდა შარდის ბუშტის ქირურგიული ოპერაცია სიმსივნური წარმონაქმნების ლიკვიდირების მიზნით. ოპერაციის მომდევნო დღესვე მოხდა მისი გადაყვანა ციხის საავადმყოფოში, რითიც ისევ საფრთხე შეექმნა მის ჯანმრთელობას, ვინაიდან სრულყოფილად არ მოხდა პოსტოპერაციული რეაბილიტაცია. 17 მაისს მირცხულავამ კვლავ გადაიტანა სტენოკარდიული შეტევა, თუმცა მეორე დღეს იგი გადაყვანილ იქნა მე-6 საპყრობილეში, სადაც შემდგომ ევროპის საბჭოს წარმომადგენელმა მათიას იორშმა მოინახულა.

პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს მიმართ გამოიტანა ბრძანება წინასწარი ღონისძიებების შესახებ. ბრძანება მოიცავდა მითითებას, რომ მირცხულავა გადაყვანილი ყოფილიყო სპეციალურ საავადმყოფოში ან პენიტენციურ ჰოსპიტალში, სადაც შეიქმნებოდა მისი მკურნალობის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბრძანება არ შეასრულა სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში და მხოლოდ განმეორებითი მითითების შემდეგ მოხდა მირცხულავას გადაყვანა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

დღესაც ბ-ნი მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, მას აქვს ონკოლოგიური დაავადება, რომლის მკურნალობა შეუძლებელია ციხის საავადმყოფოს პირობებში.

▪ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე №1004835, აღძრული პარლამენტის წევრ კახა გიუაშვილზე ყაჩაღური თავდასხმისა და მისი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე და 19-109 მუხლებით.

ამ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია დავით მინდაძე, რომელიც დაკავებულ იქნა 2004 წლის 13 მაისს ქ. თბილისში, ვარკეთილის რაიონში, - რომელმაც თითქოსდა ნებაყოფლობით აღიარა მის მიერ დანაშაულის ჩადენა და დაასახელა შემკვეთები - ძმები ნემსიწვერიძეები. სინამდვილეში კი დ. მინდაძე გახდა წამების, ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების მსხვერპლი, რასაც მის მიმართ ახორციელებდნენ ქ. თბილისის შს სამმართველოს მაღალი თანამდებობის პირები - დავით კეკუა, დავით ენდელაძე და სხვა თანამშრომლები, ასევე გამოძიებელი პეტრე ბალახაშვილი, რის გამოც იგი იძულებული გახდა, ხელი მოეწერა გამოძიებისთვის სასურველი ჩვენებისათვის.

2004 წლის 2 სექტემბერს წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათია“-ს მიმართეს „თავისუფლების ინსტიტუტმა“ და ბრალდებულ დავით მინდაძის მეუღლემ, ქ. თბილისში, ქერჩის ქ. №5-ში მცხოვრებმა ქეთევან მეშველიანმა, რის საფუძველზეც ჩატარდა ბრალდებულ დ. მინდაძის კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევა კომისიური წესით, რაზეც 2004 წლის 29 სექტემბერს გაიცა სამედიცინო დასკვნა №11/9.

აღნიშნული სამედიცინო დასკვნის თანახმად, მინდაძის ამჟამინდელი ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობა მიუთითებს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, წამებას, რამაც მისი ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. არსებობს ასევე სხვა საექსპერტო გამოკვლევები და მტკიცებულებები, რომლებიც ამტკიცებენ საპირისპიროს, რომ დ. მინდაძე არ იყო ნაცემი.

მინდაძის მეუღლის განცხადების საფუძველზე წარმოებული კვლევის შედეგებზე 2004 წლის 28 ოქტომბერს გამოტანილ იქნა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილება. აღნიშნული დადგენილება გაუქმებულ იქნა გენერალური ინსპექციის უფროსის მიერ დამატებითი შემოწმების ჩატარების მიზნით, თუმცა, გენერალური ინსპექციის აზრით, შედეგი არც დამატებითმა შემოწმებამ გამოიღო და 2004 წლის 17 ნოემბერს ხელახლა იქნა გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა ჯერ სასამართლოში, რომელმაც საქმე კვლავ დაუბრუნა პროკურატურას დამატებითი გარემოებების გამოსაკვლევად და საქმის აღძვრის საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კი გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა ყველა საშუალებით გაურბოდა აღნიშნული საქმის დაწყებას, დაზარალებული მხარის ხანგრძლივი ძალისხმევით

და სასამართლოს დავალების შედეგად გენერალურმა პროკურატურამ აღძრა საქმე მინდაძის წამების ფაქტზე, რაც დღეისათვის ერთადერთი საქმეა, აღძრული 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

9. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის განმავლობაში კვლავ მაღალი რჩებოდა რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებიც ფიზიკური დაზიანებებით შეიყვანეს სასჯელადსრულებითი სისტემის საპყრობილებებში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის ოფიციალური სტატისტიკით 2004 წლის განმავლობაში საპატიმრო ადგილებში პოლიციის მიერ სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებით შეყვანილია 461 პატიმარი, რომელთაგანაც 263 პატიმარი ქალაქ თბილისის პოლიციის განყოფილებებიდან არის შეყვანილი. (შედარებისათვის 2002 წლის განმავლობაში სასჯელადსრულებითი სისტემის საპყრობილებებში სხეულის დაზიანებით შეყვანილ იქნა 382 ადამიანი, 2003 წლის განმავლობაში 485 ადამიანი) ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოფიციალური სტატისტიკა საფუძვლიან ეჭვს იწვევს. სხვა მონაცემებით საპატიმრო ადგილებში სხვადასხვა დაზიანებებით შეყვანილ პირთა რეალური რაოდენობა გაცილებით მაღალია.

10. სასჯელადსრულებით დაწესებულებებში/წინასწარი დაკავების იზოლატორებში პატიმართა წამების ანდა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება საზოგადოებრივი მონიტორინგია. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები არაა დამაკმაყოფილებელია.

11. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 3 აგვისტოს შეიქმნა სია იმ პირებისა, რომელთაც უფლება მიენიჭათ, წინასწარი ნებართვის გარეშე შევიდნენ სასჯელადსრულებით დაწესებულებებში. ამ ბრძანებულების საფუძველზე იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სასჯელადსრულებითი სისტემის ზედამხედველობის საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ საბჭოს ორგანიზაციული ფორმა (ის ფაქტი, რომ იგი შექმნილია აღმასრულებელი ხელისუფლების აქტით) და მისი წევრების სტატუსი არ მოიცავს დამოუკიდებლობის მინიმალურ გარანტიებსაც კი. გარდა ამისა, საბჭოს არ გააჩნია არც ორგანიზაციული და არც ფინანსური უზრუნველყოფა და მისი ფუნქციონირების წარმატებულობა მთლიანად მინდობილია მისი წევრების კეთილ ნებაზე. შესაბამისად, საზოგადოებრივი მონიტორინგის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, საბჭო აღიჭურვოს დამოუკიდებლობის როგორც მატერიალური, ისე სამართლებრივი ელემენტებით.

12. 2002 წელს გაერომ მიიღო წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი, რომელიც ითვალისწინებს წამების წინააღმდეგ ბრძოლისათვის კიდევ უფრო ეფექტურ ღონისძიებებს. ოქმის მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ ეროვნულ დონეზე შექმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქციაა თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგი და წამების შემთხვევებზე რეაგირება. ეროვნული ორგანო უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფინანსური და ინსტიტუციური დამოუკიდებლობით და წამების ფაქტებზე ეფექტური რეაგირებისათვის ყველა აუცილებელი უფლებამოსილებით.

5.სახალხო დამცველის რეკომენდაციაა, საქართველოს სახელმწიფომ მოახდინოს გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოში პატიმრობის ადგილებზე შექმნილი ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგის ორგანოს დამოუკიდებლობა.

13. შემაშფოთებელია, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება არ დგამს საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილ ნაბიჯებს სასჯელადსრულებითი დაწესებულებების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის განსახორციელებლად. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლი ითვალისწინებს თითოეულ სასჯელადსრულებით დაწესებულებასთან არსებული საზოგადოებრივი კომისიების შექმნას, რომელთა პირდაპირი ფუნქციაა ციხეებში შექმნილი ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი და დარღვევებზე რეაგირება. დღეისათვის კომისიები არ ფუნქციონირებს იმის გამო, რომ იუსტიციის მინისტრის მიერ ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული კომისიების პირადი შემადგენლობები. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საზოგადოებრივი კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით ცალკეულ დაწესებულებაში არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე.

6.შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციაა, დაუყოვნებლივ მოხდეს იუსტიციის მინისტრის მიერ დაწესებულებათა საზოგადოებრივი კომისიების ფორმირება.

14. პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი დაკავების იზოლატორებში დაკავებულთა მიმართ სასტიკი მოპყრობის შემცირება გამოიწვია სახალხო დამცველის მიერ მონიტორინგის დაწყებამ. ფართომასშტაბიანი მონიტორინგი დაიწყო 2004 წლის დეკემბრიდან სახალხო დამცველისა და შინაგან საქმეთა მინისტრის შეთანხმების საფუძველზე. სახალხო დამცველის რწმუნებულებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს შეამოწმონ პოლიციის განყოფილებები და დროებითი დაკავების იზოლატორები და დაკავებულთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ოქმით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართონ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ დაკავებულთა ცემის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ მათ მიერ მოხდა ძალის გამოყენება დაკავებულის წინააღმდეგობის აღსაკვეთად. იმისათვის, რომ აღმოიფხვრას წინააღმდეგობის საბაბის გამოყენება დაკავებულთა მიმართ ძალადობის მოტივაციისთვის, აუცილებელია გენერალურმა ინსპექციამ ყოველი ასეთი შემთხვევა მოიკვლიოს და საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გაარკვიოს, მოხდა თუ არა რეალურად დაკავების მომენტში ძალის გამოყენება და რამდენად იყო ეს ძალის გამოყენება შესაძლო საფრთხის თანაზომიერი. ყოველი გადახვევა ძალის არათანაზომიერი გამოყენებისა და, მით უფრო ცემისა - უნდა გამოვლენიდეს და დამნაშავე პირები მიეცნენ პასუხისგებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ რწმუნებულთა მიერ ცემისა და არაჰუმანური ფაქტების მყისიერ დაფიქსირებას ხელს უშლის შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 5

იანვრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, წინასწარი დაკავების იზოლაცორებში იკრძალება მობილური ტელეფონების და კამერების შეტანა.

7. შესაბამისად, სახალხო დამცველის რეკომენდაციაა, რომ წამებისა და არასათანადო ფაქტების დაუყოვნებლივ დაფიქსირების მიზნით, რწმუნებულებს მიეცეთ უფლება, წინასწარი დაკავების ადგილებში ისარგებლონ კამერებითა და მობილური ტელეფონებით.

15. დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა შორის კანონდარღვევების შემთხვევაში დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა. სამართალდამცავი ორგანოების თითოეული სტრუქტურის შიგნით კანონიერებაზე ზედამხედველობს მათივე შიდასტრუქტურული რგოლი - გენერალური ინსპექციების სახით. უდავოა, რომ საჭიროა მათი როლის გაძლიერება, მაგრამ მეტი დამოუკიდებლობის, სანდოობის, ტრანსფარენცულობის, დემოკრატიულობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, უმჯობესი იქნება, თუკი ასეთი ინსპექციები იარსებებნენ ამ უწყებების გარეთ და არა მის ფარგლებში. ისინი უნდა ჩამოყალიბდნენ, როგორც ნამდვილად დამოუკიდებელი უწყებები. დღეისათვის კი გადაუჭრელია არა მარტო ზემოაღნიშნული, არამედ არ არის გამოკვეთილი გენერალური ინსპექციის მუშაკთა დანიშვნის წესიც, გენერალური ინსპექციის სამსახურებს ან არ გააჩნიათ დებულება, რომელიც აწესრიგებს მათ საქმიანობას, ან ეს დებულება დროებითია. გარდა ამისა, ბუნდოვანია თითოეული დაწესებულების შიგნით ადამიანის უფლებათა დამცველის, უფლებათა დაცვის დეპარტამენტის როლი და დამოკიდებულება გენერალური ინსპექციის სამსახურთან. შესაბამისად, აუცილებელია დეტალურად განისაზღვროს თითოეული ამ ორგანოს ფუნქცია და მოხდეს შესაბამისი ინფორმაციის აქტიურად გავრცელება მოსახლეობაში.

პოზიტიური ვალდებულებები

16. წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან მიმართებაში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს წამების ფაქტების დროული გამოვლენა, ეფექტური და ობიექტური გამოძიების ჩატარება და დამნაშავეთა დასჯა.

შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლის განმავლობაში ხელისუფლება კვლავ არ ასრულებს საკუთარ პოზიტიურ ვალდებულებებს.

2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 28 იანვრამდე წამების ბრალდებით საქართველოში არც ერთი საქმე არ აღძრულა.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა წამების ფაქტობრივი გარემოებანი, პროკურატურის ორგანოები საქმეს იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 335-ე მუხლების მიხედვით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება), რაც არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს.

პროკურატურის ცნობით, ხსენებული ბრალდებით 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 28 იანვრამდე აღძრული იყო 329 საქმე. აქედან სასამართლოში წარიმართა 141 საქმე, ხოლო წარმოებით შეწყდა 42 საქმე.

თუმცა, ხსენებული კვალიფიკაციით მიმდინარეობს ისეთ დანაშაულთა გამოძიება, რომლებიც მართლაც შეესაბამება კოდექსში მოყვანილი ცნების ელემენტებს. შესაბამისად, იმის გამო, რომ სამართალდამცავი ორგანოები ერიდებიან წამების მუხლით საქმის წარმოებას, ძალიან რთულია, პროკურატურის მონაცემებიდან კონკრეტულად გამოვლინდეს წამების რამდენ ფაქტზე მოხდა რეაგირება და აღძრული საქმეებიდან რამდენი დანაშაულია ისეთ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო წამების შემთხვევებთან.

ინდივიდუალურ გახმაურებულ შემთხვევებს რაც შეეხება, ნათლად ჩანს გამოძიების მიმდინარეობის არაეფექტურობა და პროკურატურის უმოქმედობა, რათა არ ამხილოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს ოფისს ხელთ აქვს თბილისის პროკურატურიდან გამოთხოვილი ოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა ცემა-წამების ჩამდენ თანამშრომელთა მიმართ.

გიორგი მიგრიაულის ცემა და წამება

2004 წლის 9 ოქტომბერს, გორის შს დროებითი მოთავსების იზოლატორის შემოწმების დროს, სახალხო დამცველის რწმუნებული შიდა ქართლში გიორგი არაყიშვილი შეხვდა დაკავებულ გიორგი მიგრიაულს, რომელსაც სახეზე ეტყობოდა ფიზიკური ზეწოლის ფაქტები. დაკავებულის განმარტებით, იგი ღამით აიყვანეს კასპში, თავისი საცხოვრებელი ბინიდან და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წაიყვანეს გორის პროკურატურაში. მის დაკავებაში პოლიციელებთან ერთად მონაწილეობდა შიდა ქართლის სამხარეო პროკურორი დავით წითური.

პროკურატურაში მიყვანისას მიგრიაული შეიყვანეს გორის პროკურორის ა. ბაბაჯანაშვილის კაბინეტში, სადაც მასზე განხორციელდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა. დაკავებულის მტკიცებით, მას პირადად სცემდა ა. ბაბაჯანაშვილი, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იყო.

გ. მიგრიაულს აღენიშნებოდა შემდეგი სახის დაზიანებები: ჩალურჯებული თვალები, დასიებული სახე, სისხლნაჟღენთები მარჯვენა ყურის არეში, სიგარეტისგან მიყენებული დამწვრობა მუცლის არეში, უამრავი სისხლჩაქცევა ხელებისა და ფეხების არეში.

მიგრიაულის მტკიცებით, ეს არაფერი იყო იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლასთან შედარებით, რაც მასზე განხორციელდა. კერძოდ, ბაბაჯანაშვილმა მას პირში იარაღი ჩაუდო და გაისროლა. შემდეგ, იმ მოტივით, თითქოს, იარაღმა მისცა „ასეჩკა“, იგივე გაიმეორა რამდენჯერმე.

საქმის სირთულიდან გამომდინარე, საქმეში ჩაერთო სახალხო დამცველის ცენტრალური აპარატი და გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამსახურიდან გათავისუფლდნენ შიდა

ქართლის საოლქო პროკურორი, გორის პროკურორი და მისი მოადგილე გენერალური ინსპექციის მიერ აღძრულია საქმე ფაქტზე, ბრალი წარედგინა მხოლოდ აბაბაჯანაშვილს, გამოძიება კი 6 თვეა გრძელდება (თუმცა ჩვენის აზრით გამოსაძიებელი არაფერია). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პროკურატურის პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტენდენციას, თითქმის ყველა დანაშაულზე აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის მოთხოვნის შესახებ, ბაბაჯანაშვილის პერსონის მიმართ არ უმოქმედია და მიუხედავად იმისა, რომ მან აწამა ადამიანი, არ შეფარდებია აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა.

17. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურაში არ არსებობს პირთა დაკავების დროს მათზე სხეულის დაზიანების არსებობის შემთხვევაში ამ დაზიანებათა დაფიქსირების ერთიანი მეთოდები. ამ მხრივ თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებს შორის არსებობს განსხვავებული პრაქტიკა. მაგალითად, განყოფილებაში მოყვანილი დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანება ხან დაკავებულ პირთა სარეგისტრაციო ჟურნალში აღინიშნება მორტივე ინსპექტორის მიერ, ხან კი ეს მხოლოდ დაკავების ოქმშია აღნიშნული, ხანაც თანამშრომლებს სამედიცინო შემოწმების გარეშე პირის ფიზიკური დაზიანების აღნიშვნა საერთოდ არ მიაჩნიათ საჭიროდ.

გამრიგად, წამების და არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა ეფექტურად გამოსაძიებლად აუცილებელია, მოხდეს ამ პრაქტიკის ჰარმონიზება და თანამშრომელთა გათვითცნობიერება ერთიანი პრაქტიკის საწარმოებლად.

18. წამების და ღირსების შემლახავი მოპყრობის გამოძიების დროს გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. ასეთი დანაშაულების გამოძიება დღეისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურებისა და დამკვიდრებული ტრადიციების შესაბამისად მიმდინარეობს. მაშინ, როდესაც წამების დანაშაულს ახასიათებს სპეციფიკა, რაც დაუშვებელს ხდის მისი სტანდარტული მეთოდებით გამოძიებას. მაგალითად, განსაკუთრებული მოპყრობა და შეფასებითი დამოკიდებულება აუცილებელია წამების მსხვერპლის განმარტებებთან და ჩვენებებთან, ვინაიდან მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგად მას შეიძლება შეზღუდული ჰქონდეს მოვლენათა გადმოცემის უნარი. სწორედ ამიტომ, აუცილებელია გამოძიების სისტემაში წამების დანაშაულის გამოძიების შესახებ სტამბოლის ოქმის დანერგვა (წამების და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელის ეფექტური გამოძიების და დოკუმენტირების შესახებ სტამბოლის ოქმი, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია, რეზოლუცია 2000/43 და გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 55/89).

9. შესაბამისად, სახალხო დამცველის რეკომენდაციაა, რომ პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს სტამბოლის ოქმი და წამების დანაშაულის გამოძიება წარმართოს სტამბოლის ოქმის მიხედვით.

რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში და აღმოფხვრას შესაძლებლობა, რომ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს შეიზღუდოს პირის ფიზიკური და ფსიქიკური იძულების აკრძალვა;
3. შეიცვალოს წამების ცნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ჩამოყალიბდეს ის ადამიანის უფლებათა შესახებ ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად;
4. საქართველოს სახელმწიფომ მოახდინოს გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოში პატიმრობის ადგილებზე შექმნილი ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგის ორგანოს დამოუკიდებლობა;
2. სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ფართო საგანმანათლებლო კამპანიას წამების წინააღმდეგ, მაგ. წინასწარი დაკავების იზოლაციორებსა და დაკავების განყოფილებებში გავრცელდეს და საჯარო ადგილას განთავსდეს დაკავებულთა საპროცესო უფლებების ნუსხა, აგრეთვე შინაგან საქმეთა გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზისა და შესაბამისი პროკურატურის ცხელი ხაზის საკონტაქტო ინფორმაცია. ამასთანავე, ყურადღება და სახსრები დაეთმოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან პერსონალის გათვითცნობიერებას საკანონმდებლო სიახლეებში, მათ განათლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას ადამიანის უფლებათა და საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის საკითხებში;
3. ქვეყნის მასშტაბით ჩატარდეს ტრენინგ-სემინარები მოსამართლეებისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის მუშაკებისათვის, რომ ერთგვაროვნად დაინერგოს მიღებული ცვლილებები და არ მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებათა დაკავებულის საწინააღმდეგო განმარტება;
5. დაუყოვნებლივ მოხდეს იუსტიციის მინისტრის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა საზოგადოებრივი კომისიების ფორმირება;
6. წამებისა და არასათანადო ფაქტების დაუყოვნებლივ დაფიქსირების მიზნით, რწმუნებულებს მიეცეთ უფლება, წინასწარი დაკავების ადგილებში ისარგებლონ კამერებითა და მობილური ტელეფონებით;
7. პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს სტამბოლის ოქმი და წამების დანაშაულის გამოძიება წარმართოს სტამბოლის ოქმის მიხედვით;
8. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ყველა იმ სამართალდამცავის წინააღმდეგ, ვისაც უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული დაკავებულთა ცემა-წამებაში, ასევე სათანადოდ დაისაჯონ მათი უშუალო ხელმძღვანელები.

სასამართლო ხელისუფლება და მართლმსაჯულების საკითხები

ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრესი გარანტი ნებისმიერ ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლებაა. ყველა გამოკითხვა თუ საზოგადოებრივი აზრის სხვა სახის შეფასება ცხადყოფს, რომ სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობა მინიმუმამდეა დასული.

მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც საზოგადოება რაიმე ფორმით გამოხატავდეს სიმპათიებს სასამართლო ხელისუფლებისადმი, მაგრამ ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლება ყველაზე ავტორიტეტულია ხელისუფლების შტოთა შორის. სამწუხაროდ, სადღეისოდ სასამართლო ხელისუფლების და მისი გადაწყვეტილებების ავტორიტეტულობაზე საუბარი საქართველოში უხერხულიც კია. ამას ბევრი გარემოება განაპირობებს:

- კორუფციის დიდი მასშტაბი სასამართლო ხელისუფლებაში;
- მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეზე სხვადასხვა ფორმით ზეწოლის ფაქტები;
- არაკვალიფიციური მოსამართლეების სიმრავლე;
- სისტემური პრობლემები, რომლებიც უკავშირდება როგორც მატერიალური, ისე საპროცესო ნორმების ხარვეზებს და სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურას.

ვიდრე საერთო შეფასებასა და პრობლემების გადაჭრის ცალკეულ მექანიზმებზე ვისაუბრებდეთ, ურიგო არ იქნებოდა კონკრეტულ მაგალითებზე მსჯელობით შეგვევსო ინფორმაციული ნაწილი, რომელიც სასამართლო ხელისუფლების დღევანდელობას ასახავს.

1. კორუფცია სასამართლო ხელისუფლებაში

ამ მხრივ მდგომარეობა რომ მართლაც საგანგაშოა, ამაზე 2004 წლის უკანასკნელი თვეების სტატისტიკაც მეტყველებს. სულ რაღაც 4 თვის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულ იქნა სხვადასხვა სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციის სამი მოსამართლე. ასეთი სტატისტიკა, ალბათ, მართლაც საგანგაშოა.

კორუფციული სამართალდარღვევა, კონკრეტულად მექრთამეობა ლატენტურ დანაშაულთა რიგს განეკუთვნება და როდესაც სულ რაღაც რამდენიმე თვეში სამი ასეთი ფაქტი გამოვლინდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, კორუფციის რა მასშტაბებია სასამართლო ხელისუფლებაში.

მსგავსი ფაქტების არსებობაზე მეტყველებს ცალკეული შეტყობინებებიც, რომლებიც შემოდის მოქალაქეების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან. თუმცა, მათი დადასტურება ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება.

საქმეები, რომლებთან დაკავშირებითაც მოხდა მოსამართლეთა დაკავება, სხვადასხვა კატეგორიისაა და თანხის გამოძალვაც, სავარაუდოდ, სხვადასხვა ფორმით ხდებოდა. ამ ფაქტებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება. შესაბამისად, არამართებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით ამ პირთა დამნაშავეობაზე საუბარი, მაგრამ თავისთავად საინტერესოა, რა გარემოებებში ხდებოდა ქრთამის აღება. ერთ შემთხვევაში მოსამართლის მიერ ქრთამი იქნა მოთხოვნილი იმაში, რომ მას შეეცვალა უკვე საჯაროდ გამოცხადებული გადაწყვეტილება; მეორე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თანხის მოთხოვნას სისხლის სამართლის საქმეზე განსასჯელისათვის „მისაღები“ განაჩენის გამოტანისათვის; ხოლო მესამე შემთხვევაში საუბარი იყო იმაზე, რომ რაიონული სასამართლოს მოსამართლე სააპელაციო ინსტანციის მოსამართლესთან „გაარკვევდა“ კონკრეტული საქმის ბედს - უშუამავლებდა შესაბამისი ანაზღაურების შემთხვევაში.

ქრთამის გამოძალვის თვალსაზრისით, სასამართლოში მართლაც მრავალფეროვანი შესაძლებლობებია, რაც, სავარაუდოდ, წლების განმავლობაში გამეფებული დაუსჯელობის სინდრომის პირობებში ყალიბდებოდა.

სამწუხაროდ, გარდა ზემოაღნიშნული ერთეული ფაქტებისა, მოქალაქეები ყოველდღე აწყდებიან კორუფციას სასამართლო ხელისუფლებაში. ამის გამო, სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობა და იმედი იმისა, რომ სასამართლოს გზით გადაწყვეტენ საკუთარ პრობლემებს, მინიმუმამდეა დასული.

2. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ზეწოლის ფაქტები

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომელიც სამართლიანად განაპირობებს სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის დაბალ ხარისხს, სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის ფაქტების არსებობის შესახებ საზოგადოებაში არსებული ინფორმაციაა. თუმცა, ამ ინფორმაციის დადასტურება კანონმდებლობით დადგენილი წესით ასევე რთულია.

მაგალითად გამოდგება შემთხვევა, რომელიც ყველაზე უფრო ხმაურიანი იყო გასული ერთი წლის განმავლობაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ შეცვალა აღკვეთის ღონისძიება ბრალდებულის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა იარაღის უკანონო შენახვასა და ტარებაში. გათავისუფლების დღეს აღნიშნული პირი სამართალდამცავმა ორგანოებმა ფაქტობრივად მყისიერად დააკავეს უკვე სხვა ბრალდებით და აღკვეთის სახით კვლავ წინასწარი პატიმრობა გამოიყენეს. ამ საქმესთან დაკავშირებით სხვა დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებას წინ უძღოდა ზეწოლა სასამართლოზე. ხოლო როცა ზეწოლის მიუხედავად სასამართლომ პროცესი ბრალდების მხარისათვის არასასურველი შედეგით დაასრულა, სამართალდამცავმა ორგანოებმა რეალურად მოახდინეს ძალისა და უფლებამოსილების დემონსტრირება და მათი მხრიდან „ოპერატიულად რეაგირების“ შემდეგ მოხდა სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი იგნორირება.

ამავე ფაქტზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იმავე პირის მიმართ იმავე სასამართლოს მიერ კიდევ ერთხელ იქნა გამოტანილი აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის დადგენილება, რაც მკაფიოდ ადასტურებს, რომ სასამართლო ხელისუფლებაში არიან მოსამართლეები, რომლებსაც შესწევთ უნარი, წინ აღუდგნენ ყოველგვარ ზეწოლას და გამოიტანონ სამართლიანი, მხოლოდ შინაგან რწმენაზე და კანონზე დამყარებული გადაწყვეტილებები.

სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის თემას უკავშირდება აგრეთვე წინასწარი პატიმრობის გამოყენების, ფაქტობრივად, წესად ქცეული პრაქტიკა.

მასმედიის საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში უკანასკნელ პერიოდში სწორედ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი მოექცა.

ამ თემაზე მსჯელობისას, პირველ რიგში, სტატისტიკურ მონაცემებს იშველიებენ ხოლმე. 2004 წლის განმავლობაში ქალაქ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის, გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთის, ვაკე-საბურთალოსა და ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოებში პროკურატურიდან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე შესულია, სავარაუდოდ, 1540 შუამდგომლობა, მათგან დაკმაყოფილდა 1280. თბილისის საოლქო სასამართლოში 2004 წელს პატიმრობის შესახებ ადვოკატების 931 საჩივარი შევიდა, მათგან დაკმაყოფილდა 68.

მსგავსი სტატისტიკა არათუ განვითარებული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკას, საქართველოსაც არ ახსოვს. არანაირი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს პროკურატურის მსგავს მკაცრ პოზიციას აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხთან დაკავშირებით. ასევე დამაფიქრებელია სასამართლოს მხრიდან თითქმის ავტომატური წესით წინასწარი პატიმრობის შეფარდების პრაქტიკა.

საზოგადოების ნდობის აღდგენა პირდაპირ უკავშირდება აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებლების შეცვლას. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ წინასწარი პატიმრობის მოთხოვნა პროკურატურისათვის არ არის მტკიცებულებების და ჩვენებების მოპოვების საშუალება და უნდა ირწმუნოს, რომ სასამართლო აღნიშნულ აღკვეთის ღონისძიებას უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში იყენებს.

2004 წლის 21 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა ბიძინა ზურაბაშვილის ადვოკატმა თამარ მეტრეველმა. იგი მოითხოვდა, ბრალდებულის მიმართ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე გამოყენებული ყოფილიყო აღკვეთის მსუბუქი ღონისძიება, რადგან მისი ავადმყოფობა, საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 მარტის № 723ნ ბრძანების თანახმად, სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს იძლევა. კერძოდ, ბიძინა ზურაბაშვილი დაავადებულია ქვედა პარაპლეგიით და პარანესთეზიით მცირე მენჯის ორგანოთა ფუნქციის მოშლით, მარცხენა ზედა მონოპარეზით. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს – სანდრო გიორგაშვილს და გურჯაანის რაიონულ პროკურორს – ალექსანდრე ფერიაშვილს, რათა ზურაბაშვილის მიმართ გამოყენებული ყოფილიყო აღკვეთის მსუბუქი ღონისძიება. საქართველოს სახალხო დამცველის

რეკომენდაციის საფუძველზე, ბრალდებულ ბიძინა ზურაბაშვილს აღკვეთის ღონისძიება შინაპატიმრობით შეუცვალეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსამართლე სანდრო გიორგაშვილმა დაკავებული თანამდებობა დატოვა, რაც, კულუარული ინფორმაციით, შს სამინისტროდან ზეწოლის გამო მოხდა.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამ გამოიწვია წინასწარი პატიმრობის გამოყენების აშკარად მზარდი ტენდენცია. უკანასკნელი წლების მანძილზე პროკურატურა გაცილებით უფრო იშვიათად ითხოვდა წინასწარი პატიმრობის შეფარდებას. შესაბამისად, არც სასამართლო იყენებდა აღნიშნულ ღონისძიებას. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ეს ყველაფერი, როგორც წესი, კორუფციული გარიგების ხარჯზე ხდებოდა.

დღეს, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რეალურად ხდება რეაგირება პროკურატურის სისტემაში და სასამართლოებში კორუფციის ფაქტებზე, ორივე უწყების წარმომადგენლებს გაუჩნდათ შიში, რომ უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა, მათზეც გაჩნდეს ეჭვი ბრალდებულთან კორუფციულ გარიგებაში შესვლის კუთხით. როგორც ჩანს, ერთი უკიდურესობა მეორემ შეცვალა, „დაუსჯელობის სინდრომი“ საფუძვლიანად აღმოიფხვრა, მაგრამ სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოში მყარად მოიკიდა ფეხი „დასჯის სინდრომმა“, ანუ შიშმა იმის წინაშე, რომ ღმობიერი, თუნდაც, სამართლიანი გადაწყვეტილება, შესაძლოა, პროკურორის ან მოსამართლის დევნის საფუძველი გახდეს.

3. არაკვალიფიციური მართლმსაჯულება

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლებისადმი უნდობლობას აღვივებს, არაკვალიფიციური მართლმსაჯულებაა. ჯერ კიდევ ხშირია ფაქტები, როდესაც მოსამართლის არაკვალიფიციურობის გამო აღამიანის უფლებები ილახება.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს: შს სამინისტროს თანამშრომლების მიერ 2004 წლის 11 ოქტომბერს ნარკოტიკული საშუალების - მარიხუანას მოხმარების ფაქტზე დაკავებულ იქნა მოქალაქე, დაბადებული 1987 წლის 31 ივლისს. შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. 2004 წლის 20 ოქტომბერს მოსამართლემ აღნიშნულ პიროს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 5 (ხუთი) დღის ვადით.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლი, ვინაიდან ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირებს (აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო ინსტანციაში, სადაც ადმინისტრაციული სახდელი შეიცვალა).

კიდევ ერთი მაგალითი, რომელზეც რეაგირება მოხდა სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადების შემდეგ:

საოლქო სასამართლოს მოსამართლემ დააკმაყოფილა რაიონის საგამომიებო სამსახურის გამომძიებლის საჩივარი, გააუქმა ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - პოლიციის ზედამხედველობა და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებად შეუფარდა წინასწარი პატიმრობა.

აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას მოსამართლემ დაარღვია სსსკ 243-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, საჩივრის განმხილველ მოსამართლეს უფლება აქვს, ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება შეცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით ბრალდების მხარის კონკრეტული სუბიექტების საჩივრის საფუძველზე. კანონის თანახმად, გასაჩივრების სუბიექტები არიან პროკურორი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამომძიებელს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრების სუბიექტად არ განიხილავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საოლქო სასამართლოს მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება შეფარდებულ იქნა არაუფლებამოსილი პირის საჩივრის საფუძველზე, რითიც ცალსახად დაირღვა ბრალდებულის უფლებები (აღნიშნული მოსამართლის დისციპლინური დევნის საკითხზე იმსჯელა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ).

გარდა ზემოაღნიშნულისა, არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც ადამიანის უფლებათა დარღვევა ხდება მოსამართლეთა გულგრილობის გამო. ამის მაგალითია შემთხვევა, როდესაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში საპატიმრო ვადის გაგრძელების მიზნით გადაგზავნილი საქმის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ საპატიმრო ვადა ამოწურული იყო საქმის უზენაეს სასამართლოში გადაგზავნამდე 45 დღით ადრე. შესაბამისად, ბრალდებულისათვის თავისუფლების შეზღუდვა ამ დროის განმავლობაში მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს.

საპატიმრო ვადების დარღვევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება სწორედ საპატიმრო ვადების დარღვევის ფაქტებზე.

ამ მიმართულებით უკანასკნელ ხანს განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოქმედ საპროცესო ნორმებში და არსებითად გადაისინჯა როგორც წინასწარი პატიმრობის, ისე სასამართლოში საქმის განხილვისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადები.

მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება აღნიშნული ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა არ გამეორდეს ის მდგომარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი წლების განმავლობაში პროცესით გათვალისწინებულ ნორმებთან დაკავშირებით.

საპროცესო კოდექსის მოქმედი ნორმების თანახმად, სასამართლო პატიმრობის საერთო ვადა შეადგენს 24 თვეს, რომელიც, შესაძლოა, 6 თვით გაგრძელდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ. თუმცა, როგორც

ჩანს, აღნიშნული ნორმების ბუნდოვანება ხშირად ხდება გაუგებრობების საბაზი, რაც, თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა დარღვევას იწვევს.

ამ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი მართლაც სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკამ სწორედ ადამიანის უფლებათა დარღვევის პრეცედენტები შექმნა.

ამის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილი პრეცედენტი, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვ.ხრუსტალმა ფაქტობრივად დაადასტურა, რომ დარღვეული იყო საპატიმრო ვადები. ამასთან დაკავშირებით რაიონული და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეების მიმართ დისციპლინური დევნის პროცედურებიც კი წამოიწყო კერძო დადგენილებით, მაგრამ, მეორე მხრივ, მიუხედავად ვადების დარღვევისა, ვ.ხრუსტალმა მაინც გააგრძელა საპატიმრო ვადა ბრალდებულის მიმართ. მსგავსი გადაწყვეტილების არგუმენტად მითითებული იყო ის გარემოება, რომ ბრალდებულს ბრალი წაეყენა განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენაში. ამ საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეაგირებისთვის მიმართა როგორც იუსტიციის საბჭოს, ასევე პარლამენტის ორ კომიტეტს: იურიდიულსა და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტებს. თუმცა, მოსამართლის დისციპლინური დევნა დღემდე არ განხორციელებულა, უკანონო პატიმრობაც დღემდე გრძელდება და ადამიანის უფლებაც ისევ დარღვეულია.

მსგავსი პრეცედენტები მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ეს და სხვა მსგავსი შემთხვევები საყოველთაო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი მოსამართლეთა მხრიდან კანონის გვერდის ავლას და საქმის პოლიტიკური თუ სხვა სახის მიზანშეწონილობით გადაწყვეტას.

4. სისტემური პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვანი ძალისხმევა იყო მიმართული სასამართლო სისტემის რეფორმირებისადმი, ამ სფეროში არსებული პრობლემები ქმნის იმ უარყოფით ფონს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს და მართლმსაჯულების ეფექტურობის შეფასებისას მუდამდებია.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, უმთავრესი მიზანი, რაც მისაღწევია ამ ეტაპზე, სასამართლო ხელისუფლების და მოსამართლის ავტორიტეტის ამაღლება და ეფექტური მართლმსაჯულებისათვის შესაბამისი პირობების შექმნაა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, ჯეროვნად შეფასდეს სისტემური პრობლემები და მათი გავლენა მთლიანად მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

მოკლედ ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ:

ა) საპროცესო ვადები

მართლმსაჯულების ეფექტურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საპროცესო ვადები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში განაპირობებს საზოგადოების უარყოფით განწყობას. მხარისათვის მისაღებია მხოლოდ ისეთი მართლმსაჯულება, რომელიც მას საშუალებას მისცემს, დროულად გადაწყვიტოს დავა კანონით დადგენილი წესით.

დროში გაწეილი მართლმსაჯულება არ შეიძლება იყოს ეფექტური და საზოგადოებისათვის მისაღები.

ხშირ შემთხვევაში პროცესის გაჭიანურების მიზეზი საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და ბუნდოვანი ფორმულირებებია.

ვადებთან დაკავშირებულ ნორმათა დაზუსტება დღემდე ვერც სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით განხორციელდა და მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც ქაოსურ მდგომარეობას.

ბ) მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია

ეფექტური, მაღალი ხარისხის მართლმსაჯულების განმაპირობებელი კიდევ ერთი გარემოება მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციაა. 1997 წელს მიღებული ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ განისაზღვრა, რომ საქართველოს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია იმ რაიონებში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა. მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა, სპეციალიზაციის სისტემა რეალურად ვერ ამოქმედდა და ამ საკითხს დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლე, როგორც წესი, იხილავს ერთდროულად როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს. ამას ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები და იურიდიული პირების რეგისტრაციის საკითხები.

ასეთ პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია ვისაუბროთ კვალიფიციურ მართლმსაჯულებასა და კვალიფიციურ სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

სპეციალიზაციის არარსებობა მოსამართლეებს არ აძლევს საშუალებას, გაიდრმაონ ცოდნა სამართლის კონკრეტულ დარგში და, შესაბამისად, გაზარდონ სასამართლო გადაწყვეტილებათა არგუმენტირებული დასაბუთების ხარისხი.

გ) უზენაეს სასამართლოში პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვა და სუბიექტური განსჯადობა

90-იან წლებში განხორციელებული რეფორმის შედეგად ძირეულად შეიცვალა საბჭოთა პერიოდში არსებული სასამართლო სისტემა და დამკვიდრდა განვითარებული ქვეყნების სამართლის სისტემებისთვის დამახასიათებელი მრავალი ახალი ინსტიტუტი.

მიუხედავად ამისა, დღეს მოქმედ სასამართლო სისტემაში ჯერ კიდევ გვხვდება საბჭოთა პერიოდის რუდიმენტები. სწორედ საბჭოთა პერიოდის სამართლის

სისტემიდან შემორჩა დღეს მოქმედ მოდელში უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეთა პირველი ინსტანციით განხილვის წესი, სადაც საქმე განიხილება მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით.

მოსამართლისა და ორი მსაჯულის მიერ საქმეთა განხილვის წესის გაუქმება დიდი ხანია დღის წესრიგში დგას, მაგრამ დღემდე - მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულთა შერჩევის ადრე არსებული პროცედურები აღარ გამოიყენება - ამ მოდელის შესაცვლელად კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა.

ასევე მიუღებელია ე.წ. „სუბიექტური განსჯადობის“ პრინციპის შენარჩუნება, რასაც ითვალისწინებს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა. კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სუბიექტური განსჯადობა შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების განსჯადია საქმეები პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი დანაშაულის, გამოძიების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის, ქალაქის მერის, რაიონის ან ქალაქის გამგებლის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამ სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და ამ სამინისტროს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უმცროს და უფროს ოფიცერთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა, სასამართლო კოლეგიის, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, განსჯადია სისხლის სამართლის საქმეები საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოთა დაპუტატებისა და მთავრობათა წევრების, სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამ სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და ამ სამინისტროს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და სამხედრო ძალების უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის, საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიის წევრების, ადვოკატის ბრალდების გამო.

მსგავსი ფორმით განსჯადობის შენარჩუნება დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს და ეს საკითხი კიდევ ერთხელ გადაისინჯოს მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

დ) სასამართლო და საზოგადოება

სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების განხორციელების წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს პრობლემად მაინც საზოგადოების ნდობისა და მოსამართლის ავტორიტეტის საკითხები უნდა განისაზღვროს.

საზოგადოებისა და სასამართლო ხელისუფლების გაუცხოება დიდი ხანია იურისტების და პოლიტიკოსების მსჯელობის საგანია. სწორედ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების ჩართვას უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ეს მოვლენა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდეს სასამართლოს საქმიანობისადმი ნდობის აღდგენის თვალსაზრისით. აღნიშნული ინსტიტუტის შემოღების საკითხი უკვე აისახა საქართველოს კონსტიტუციაში.

დასკვნისათვის:

მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემა ჯერ კიდევ ბევრია და მათი გადაჭრისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია კომპლექსური მიდგომა. ერთი რომელიმე მიმართულებით ცვლილებები რეალური შედეგის მომტანი არ იქნება, თუ სხვა მიმართულებითაც ასეთივე რადიკალური ძვრები არ მოხდა.

უახლოეს მომავალში ვითარების რადიკალურად შეცვლის მიზნით, ვფიქრობთ, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- **მოსამართლის შრომის ანაზღაურების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა.** 2004 წელს სასამართლო ხელისუფლებაში შრომის ანაზღაურების ზრდა მხოლოდ მინიმალური ოდენობით მოხერხდა. დღეისათვის მოსამართლის შრომის ანაზღაურება ნაკლებია, ვიდრე ნებისმიერი მინისტრის მოადგილის ან სამართალდამცავი ორგანოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ხელფასი. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ფიქრიც კი წარმოუდგენელია ერთდროულად კვალიფიციურ მართლმსაჯულებასა და კორუფციის მასშტაბების შემცირებაზე.
- **ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება.** აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვის ვალდებულება უკვე გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით და მის უმთავრეს მიზანს მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების უშუალო ჩართვა წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი და ზოგადად სასამართლო ხელისუფლებისადმი. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, თუ ამას მოითხოვს ბრალდებული, შეიძლება განხილულ იქნას საქმეები, რომლებზეც სასჯელის სახით შეიძლება განისაზღვროს თავისუფლების აღკვეთა. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობა მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლოზე ზეწოლის შესაძლებლობებს, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დღეს არსებულ პრობლემათა შორის.
- **სისტემური ცვლილებები სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ოპტიმიზაციის მიზნით.** აუცილებელია განხორციელდეს როგორც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, ისე სტრუქტურული რეორგანიზაცია, რაც სხვადასხვა სასამართლო ინსტანციის გამიჯვნას შეუწყობს ხელს.

- *ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.* სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციურ გაძლიერებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, რასაც, პირველ რიგში, ხელს უნდა უწყობდეს საკასაციო ინსტანციის პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა

სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა. საპატიმროებში კვლავ არსებობს პიროვნების ღირსების შემლახავი მდგომარეობა. სასჯელაღსრულების დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ პატიმართა განთავსებას. გადავსებულია თითქმის ყველა ციხე თუ საპყრობილე. მაგალითად, თბილისის № 1 საპყრობილეში, სადაც 1500 ადგილია, იმყოფება 3000-ზე მეტი პატიმარი. საკნები იმდენად გადატვირთულია, რომ პატიმრები მოკლებულნი არიან ძილის შესაძლებლობას და მათ მორიგეობით უწევთ დაძინება. საკნებში პატიმრებისთვის საცხოვრებლად ელემენტარული პირობებიც კი არ არის უზრუნველყოფილი. ერთ პატიმარზე გამოყოფილი ფართობი არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც თითოეულ პატიმარზე 4კვ/მ არის განსაზღვრული.

2004 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში გარდაიცვალა 43 ადამიანი (შედარება: 2003 წელს გარდაიცვალა 52 პატიმარი), რომელთაგან 10 ნაძალადევი სიკვდილით გარდაიცვალა (2003 წელს 13 პატიმარი).

საერთაშორისო ორგანიზაციებს თავის ანგარიშებში არაერთხელ აღუნიშნავთ საქართველოს ციხეებში არსებული მდგომარეობის შესახებ. წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტმა 2001 წლის მაისში საქართველოს მეორე პერიოდული ანგარიშის განხილვის შემდეგ აღნიშნა, რომ „საქართველოს ციხეებში შექმნილია მიუღებელი მდგომარეობა, რაც არღვევს კონვენციის მე-16 მუხლით გარანტირებულ პატიმართა უფლებებს.“ საქართველოს ციხეებში შექმნილ სავალალო ვითარებაზე საუბარია აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში საქართველოს პოლიტიკურ და სამოქალაქო პაქტის მიხედვით მეორე ანგარიშის მოსმენის შემდეგ.

თუ მხედველობაში მივიღებთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე *კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, ცალსახად უნდა ითქვას, რომ №1 საპყრობილეში მოთავსებული პატიმრები არიან არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლნი.

უნდა ითქვას, რომ საპყრობილის გადატვირთულობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ პროკურატურა ნებისმიერ, მათ შორის მცირე დანაშაულზეც ითხოვს აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდებას, რასაც სასამართლოები, როგორც წესი, აკმაყოფილებენ ხოლმე.

შესაბამისად, უნდა მოხდეს მოსამართლეთა განათლება არასაპატიმრო წინასწარი ღონისძიებების და სანქციების გამოყენების თვალსაზრისით, მათ შორის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის დანერგვით. აუცილებელია აგრეთვე მოხდეს გამომძიებელთა და პროკურატურის მუშაკთა ტრენინგი იმავე თვალსაზრისით. სასწრაფოდ უნდა მოხდეს №1 საპყრობილის შეკეთება და მასში მოთავსებული კონტინგენტი უნდა გადანაწილდეს შეძლებისდაგვარად სხვა, მათ შორის, ახალაშენებულ დაწესებულებებში.

პატიმართა მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ მათი კვება არ შეესაბამება კვების დადგენილ რაციონს. 2000 წლის ბრძანების თანახმად, რომელიც ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ ერთობლივად გამოსცა, ერთი პატიმრის კვებისთვის თვეში სახელმწიფომ პატიმარზე უნდა დახარჯოს 23,50 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ეს ბრძანება გამოიცა, მაშინ პატიმართა საშუალო რაოდენობა 6000 კაცს შეადგენდა. ახლა კი, როცა პატიმართა რიცხვი დაახლოებით 9000 კაცს აღწევს, გამოყოფილი თანხა 6000 – ის ნაცვლად 9000 პატიმარზე გაწერილი, და ერთ პატიმარზე დაახლოებით 15–დან 16 ლარამდე იხარჯება. ანუ, დღეს ერთ პატიმარზე თვეში ნორმირებული 23,50 ლარიც კი არ იხარჯება.

რთული მდგომარეობაა საპრობლემა და კოლონიებში სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით. პატიმრებისთვის სამედიცინო კუთხით მთელ სასჯელაღსრულებით სისტემაზე წელიწადში გამოყოფილია 115,500 ლარი და ამას თუ გავყოფთ დაახლოებით 9000 პატიმარზე, აღმოჩნდება, რომ ერთ პატიმარზე თვეში დაახლოებით 1 ლარი მოდის, დღეში კი დაახლოებით 3 თეთრი. ყველა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ჰყავთ მხოლოდ მორიგე ერთი ექიმი და ერთი მედია. ხშირ შემთხვევაში ქირურგი და თერაპევტი ერთმანეთის ფუნქციებს ასრულებენ. ძალიან ბევრი მძიმე ავადმყოფი პატიმარი ვერ ახერხებს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადასვლას, რადგან ფულის გადახდის საშუალება არ აქვს. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოთავსებული პატიმრების 70% პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენს. უმცირესობას განეკუთვნებიან ის პატიმრები, რომლებიც ნამდვილად მკურნალობის მიზნით არიან გადაყვანილი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ დროულად არ ხდება სასამართლოსთვის მიმართვა იმ პატიმრებთან დაკავშირებით, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც განსაკუთრებით მძიმეა და კანონით გათავისუფლებას ექვემდებარებიან. დროის გაჭიანურება კი ხშირად ამ კატეგორიის პატიმრების სიკვდილით მთავრდება.

ხდება ისე, რომ სამედიცინო პუნქტებში პატიმრის მხოლოდ იზოლაცია ხერხდება, ხოლო მედიკამენტებით მომარაგება ოჯახის წევრებს და ახლობლებს უწევთ. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები თავად შეესწრნენ ფაქტს, როდესაც ერთ-ერთი მსჯავრდებული ქალის ოპერაციის (მოხდა საშვილოსნას ამოღება) შემდეგ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს არ გააჩნდა ანტიბიოტიკები და ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები, რის გამოც სამედიცინო პერსონალმა დახმარებისთვის მიმართა საავადმყოფოში მყოფ ე.წ. კანონიერ ქურდს.

როდესაც სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ ჰკითხეს მთავარ ექიმს, მან განაცხადა, რომ უკანასკნელი ხუთი დღის მანძილზე შეჩერებული იყო იუსტიციის სამინისტროდან მედიკამენტების შემოტანა და სამედიცინო პერსონალს საკუთარი ხარჯებით უხდებოდა მძიმე ავადმყოფთათვის წამლების შექნა.

სამედიცინო პუნქტებში ჰიგიენის ნორმები დაუცველია. არ ხდება პატიმართა განცალკევება დაავადებების ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად. აქ ხშირად

შეხვედებით ერთმანეთის გვერდით მყოფ მძიმე ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ, სიმსივნის სხვადასხვა ჯგუფის, შიდსის ვირუსით, ჰეპატიტის სხვადასხვა ფორმით და შინაგანი სნეულებებით დაავადებულ პაციენტებს. ამჟამად ე.წ. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არის რამდენიმე მძიმე ავადმყოფი, მათ შორის სიმსივნური დაავადებებით დაავადებულებიც, რომლებიც სპეციალიზებულ საავადმყოფოებში საჭიროებენ გადაუდებელ სტაციონარულ მკურნალობას, მაგრამ, როგორც ადმინისტრაცია განმარტავს, მათი გადაყვანა და მკურნალობა ვერ ხერხდება უსახსრობის გამო.

ბათუმის №3 საპრობილემში არ არის ექიმი და ყველა სახის ავადმყოფი პაციენტის მოვლა-პატრონობა „ფერშლის“ კომპეტენციაში შედის. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა თავად ნახეს, როდესაც ზემოაღნიშნულმა პირმა სტომატიტის დიაგნოზი დაუსვა მძიმე ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პირს, რომლის გასინჯვა და სტაციონარში გადაყვანა უშუალოდ სახალხო დამცველის წარმომადგენლების ძალისხმევით მოხერხდა.

ქსანში ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაახლოებით 170 ადამიანი მკურნალობს. აღსანიშნავია, რომ ამ სამკურნალო დაწესებულებაში ძირითადად ერთი და იგივე პაციენტები მკურნალობენ, რადგან იქ შედარებით უკეთესი კვება და პირობებია. პაციენტები ათასგვარი ხერხით ახერხებენ ექიმების შეცდომაში შეყვანას, რათა ისინი არ გადაიყვანონ სხვა დაწესებულებაში.

რთული მდგომარეობაა ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტებთან დაკავშირებით. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მათ გადასაყვანად დაწესებულია თავის კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარება, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება და შესაბამისად იშვიათად ხორციელდება. ამიტომაც, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება ათეულობით ფსიქიკურად დაავადებული პირი, რომელთაც შეუძლიათ თავისუფლად იმოძრაონ დაწესებულების შიგნით. მათი თავდასხმისგან დაზღვეული არავინაა, არც პაციენტები და არც ექიმები.

ხშირად ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იგნორირებას უწევს მთავარი ექიმისა და მკურნალი ექიმის ცნობას იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა დაავადებული პაციენტის უკან, საპრობილის პირობებში გადაყვანა. მაგალითად, ნოდარ (მარეკ) დუდაევთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატში არსებობს სამედიცინო ცნობა, რომელსაც ხელს აწერენ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ასათიანი და მკურნალი ექიმი ცერცვაძე, რომ „ავადმყოფი გაყვანილ იქნა სტაციონარიდან, რის შესახებაც სამედიცინო პერსონალი არ იყო საქმის კურსში ჩაყენებული“.

ანალოგიურ სიტუაციასთან გვეკონდა საქმე მსჯავრდებულ ლაშა ქართველიშვილთან დაკავშირებით. მის სახელზე გამოწერილ სამედიცინო ბარათში მკურნალი ექიმი გაბაძე პირდაპირ მიუთითებდა, რომ „მიუხედავად მძიმე დიაგნოზისა, ავადმყოფი გაწერილი იქნა სტაციონარიდან ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით“.

ქსნის მე-7 კოლონიაში 2 ორსართულიანი კორპუსია. ერთი კორპუსი მთლიანად საცხოვრებელია, ხოლო მეორე კორპუსის ერთი სართული სამზარეულოს და

აბაზანას აქვს დათმობილი, მეორე სართულზე კი პატიმრები ცხოვრობენ. აქ არ არის გამოყოფილი საკნები. თითო სართულზე დაახლოებით 250–300 პატიმარი ერთ სივრცეში ერთად ცხოვრობს. რა თქმა უნდა, პატიმრებს შორის არსებობს ურთიერთობების პრობლემები, და შესაბამისად აღნიშნულ პირობებში ცხოვრება კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას. პატიმრებს იზოლირების მიზნით საწოლების გარშემო ზეწრები აქვთ ჩამოფარებული, არის საშინელი ანტისანიტარია, დგას მძიმე სუნი. ქსნის კოლონიაში არ მოდის დასალევი წყალი. მილით გამოყვანილი დასალევი წყლის ასაღებად კი პატიმრებს საათობით უწევთ რიგში დგომა. წყალი, რომელიც მოდის, არა თუ დასალევად, დასაბანადაც კი არ გამოიყენება.

თბილისს გარეთ სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი. როდესაც დენი მიდის, საჭიროა საგუშაგოების განათება მაინც, რომ მოხდეს ტერიტორიის გაკონტროლება. ხშირ შემთხვევაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მიწოდებული საწვავი გენერატორში ჩასასხმელად და საგუშაგოების გასანათებლადაც კი არ არის საკმარისი, რომ არაფერი ვთქვათ საკნების განათებაზე.

№ 1 საპრობილეში ყურადღებაა გასამახვილებელი მეტად საშიშ ტენდენციაზე. შეუძლებელია საპრობილის ადმინისტრაციის ოთახში არასრულწლოვან პატიმართან შეხვედრა სპეციალური თანმხლები პირის - „თვალის“ გარეშე, რომელიც მთლიანად აკონტროლებს საუბარს და განსაზღვრავს საუბრის მიმართულებას. განცალკევებით არასრულწლოვან პატიმართან შეხვედრა კი არ ხერხდება, ვინაიდან ისინი უარს აცხადებენ საუბარზე თანმხლები პირის გარეშე.

კორუფციული სქემები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კვლავ უცვლელი დარჩა. ორთაჭალის მე-7 საპრობილე, რომელიც ადრე შსს–ს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულებას გადაეცა, წესით, განკუთვნილია განსაკუთრებით საშიში დამნაშავეებისთვის, მიუხედავად ამისა, იქ სასჯელს იხდის მდიდარი პატიმრების უმრავლესობა. ისინი ფულს იხდიან იმაში, რომ თავი უსაფრთხოდ, იზოლირებულად და დაცულად იგრძნონ ქურდებისაგან, რადგან პირველ საპრობილეში მათ ქურდები აუცილებლად გამოსძალავენ ფულს. ამიტომ მათ ურჩევნიათ ფული წინასწარ გადაიხადონ და მოხვდნენ მე-7 საპრობილეში. ამ კატეგორიის პატიმრებისთვის იქ მოხვედრა დაახლოებით 1500–2000 დოლარი ჯდება.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაცია თავად რთავს ნებას „პრივილეგირებულ“ პატიმრებს, თავიანთ საკნებში ჩაატარონ სარემონტო სამუშაოები. უახლესი ინტერიერთა და ტექნიკით აღჭურვილი „აპარტამენტების“ გვერდით არის ისეთი საკნებიც, სადაც ოცი კაცის ნაცვლად სამოცი კაცია მოთავსებული.

ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული წესია პატიმრებში თანხების შეგროვება, ე.წ. „ობშიაკი“. ადრე ეს მოსაკრებელი დაახლოებით 30 ლარს შეადგენდა, დღეს კი მკვეთრად მოიმატა და 50–დან 100 ლარამდე აღწევს. ამ ფულის ნაწილს ე.წ. კანონიერი ქურდები იტოვებენ, ნაწილს კი ადმინისტრაციასა და დეპარტამენტში გზავნიან.

სერიოზული შემოსავლის წყაროა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანის და იქიდან პატიმრების ევაპირების პროცედურა. სამედიცინო კომისია, რომელმაც პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შეამოწმოს, რეალურად ვერაფერს აკეთებს, იქიდან გამომდინარე, რომ პატიმარმა, რომელსაც ფული უკვე გადახდილი აქვს, წინასწარ იცის, რა უნდა თქვას კომისიის წინაშე და როგორი ცნობა უნდა წარუდგინოს სამედიცინო კომისიის წევრებს. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვედრა ასეთ პატიმარს ადრე 300 აშშ დოლარი უჯდება, ახლა კი 500\$ უჯდება. საინტერესოა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან პატიმრების ციხეში გადაყვანის სქემა. ციხის ადმინისტრაცია ადგენს პატიმრების დაახლოებით ასაკიან სიას და მათ ეუბნება, რომ ისინი უნდა დააბრუნონ იქ, საიდანაც მოიყვანეს. ამის შემდეგ ეს პატიმრები იხდიან ფულს, ხოლო ვინც ვერ გადაიხდის, სამედიცინო კომისიასთან გადის შემოწმებას და მისი გადაყვანა ხდება ციხეში. ასაკიანი სია საბოლოო ჯამში დადის 25–27 კაცზე, რომელსაც სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი ბ–ნი რამაზ ღულაძე აწერს ხელს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ღულაძის მიერ ხელმოწერილ სიაში მოხვედრილი პატიმრების ნაწილიც რჩება ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ეს სია ხშირ შემთხვევაში 15-18 კაცზე დადის. ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია ამას იმით ხსნის, რომ ამ პატიმრებმა დაიწყეს მუშაობა სამეურნეო ნაწილში. სამეურნეო ნაწილში სამუშაოდ მოხვედრა \$ 300– \$ 400 ჯდება.

ფული კეთდება ასევე ბადრაგის მიერ სასამართლო პროცესებზე პატიმრების გაყვანის დროსაც. პატიმრის ახლობლები ბადრაგს ფულს უხდიან იმისთვის, რომ პატიმრის ნახვა მოახერხონ. არაერთი შემთხვევა იყო, როდესაც სახალხო დამცველის უშუალო ჩარევა გახდა საჭირო იმისთვის, რომ პატიმარი ბადრაგს სასამართლოზე წაეყვანა. მაგალითად, ბათუმის ციხეში იყო დაკავებული ვინმე მამედოვა, რომლის სასამართლო პროცესი გარდაბანში უნდა გამართულიყო. პროცესი სამჯერ გადაიდო იმის გამო, რომ ამ მოხდა არ ქალბატონის ბადრაგირება და იგი მთელი თვე იჯდა ბათუმის საპყრობილეში. ჩვენი ჩარევის შემდეგ მოხდა ქალბატონი მამედოვას ბადრაგირება გარდაბანში და იგი პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. არადა, არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოუწევდა მას საპყრობილეში ყოფნა.

სასჯელადსრულების დაწესებულებებში ციხის ადმინისტრაციის მიერ ფული კეთდება დღის განმავლობაში პატიმრების ერთი საკნიდან მეორე საკანში გადაყვანისთვისაც. როცა პატიმარს უნდა გვერდით საკანში მყოფი თავისი მეგობარის ან ახლობლის ნახვა, იგი ციხის ადმინისტრაციას 3–5 ლარს უხდის დღეში. არის შემთხვევები, როდესაც პატიმრები ერთმანეთში საქმეების გასარჩევად ერთი კამერიდან მეორეში გადადიან და ამისთვის უხდიან ციხის ადმინისტრაციას ფულს. ციხის ადმინისტრაცია ფულს აკეთებს ასევე პატიმრებისთვის მსუბუქი ყოფაქცევის ქალების შეყვანაზე, რაც მინიმუმ 50\$ ან მეტი ღირს. ცალკე თანხებია დადგენილი: დადებითი დახასიათებისთვის, პირობით ვადამდე ადრე გასათავისუფლებლად წარდგენისთვის, ასევე შეწყალების კომისიაში წარსადგენი დახასიათებისთვის.

თუ გავითვალისწინებთ იმ მონაცემებს, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ერთი პატიმრის შენახვა პატიმრის ახლობლებს და ოჯახის წევრებს ყოველთვიურად 350-500 ლარი უჯდებათ.

აქვე მინდა ვახსენო პატიმრების ცემის ერთი კონკრეტული ფაქტი. კერძოდ, გასული წლის აგვისტოს დასაწყისში 1 საპყრობილის დირექტორმა გელა კიკილაშვილმა სცემა სამი პატიმარი - ხვიჩა შოთაშვილი, ზვიად ჯანგებაშვილი და დენიამ ალიევი. დამოუკიდებელმა ექსპერტიზამ სამივეს ცემის ფაქტი დაადგინა, თუმცა გელა კიკილაშვილი დაუსჯელი დარჩა და იგი 1 საპყრობილის დირექტორობიდან 7 საპყრობილის დირექტორად იქნა გადაყვანილი.

რეკომენდაციები:

პენიტენციურ სისტემაში შექმნილ მდგომარეობასა და იქ არსებულ დარღვევებზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს შოთა კოპაძეს და მან უნდა დატოვოს დაკავებული თანამდებობა;

თანამდებობიდან გათავისუფლდეს მე-7 საპყრობილის დირექტორი გელა კიკილაშვილი;

არსებული სასწავლო ცენტრების ფარგლებში მოხდეს მოსამართლეთა განათლება არასაპატიმრო წინასწარი ღონისძიებების და სანქციების გამოყენების თვალსაზრისით, მათ შორის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა. ამავე თვალსაზრისით აუცილებელია გამომძიებელთა და პროკურატურის მუშაკთათვის ტრენინგის ჩატარება. სასწრაფოდ უნდა შეკეთდეს №1 საპყრობილე და მასში მოთავსებული კონტინგენტი შეძლებისდაგვარად გადანაწილდეს სხვა, მათ შორის, ახალაშენებულ დაწესებულებებში.

დაკავებულ პირთა დაზიანებების აღრიცხვის დინამიკა

2005 წლის დასაწყისში სახალხო დამცველის აპარატმა განახორციელა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ქალაქ თბილისში დაკავებულ პირთა ფიზიკური დაზიანებების და მათი აღრიცხვის დინამიკის გაანალიზებას. კვლევის საინფორმაციო წყაროებს წარმოადგენდა:

- იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული 2004 წელს სასჯელადსრულების დეპარტამენტის საპყრობილეებში სხეულის დაზიანებით შემოყვანილ პატიმართა სია.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული 2004 წლის განმავლობაში ქ. თბილისში დაკავებულ პირთა სია.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული აღნიშნულ დაზიანებებზე შემდგარი ოქმები.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღნიშნული და სამედიცინო ჟურნალებში გატარებული დაზიანებები.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია დაკავებულ პირთა შესახებ მოპოვებულია ორი წყაროდან: შინაგან საქმეთა სამინისტროდან და იუსტიციის სამინისტროდან.

2004 წლის მანძილზე თბილისში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაკავებულ და აღრიცხულ პირთა საერთო რაოდენობა **2694** აღმიანს შეადგენს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის ოფიციალური სტატისტიკით 2004 წლის განმავლობაში საპატიმრო ადგილებში პოლიციის მიერ სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებით შეყვანილ იქნა 461 პატიმარი, რომელთაგანაც 263 პატიმარი შეყვანილია ქალაქ თბილისის პოლიციის განყოფილებებიდან.


სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად შესაძლებელი გახდა იმ ადამიანების მონაცემთა ბაზის შექმნა, რომლებიც 2004 წლის განმავლობაში სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებით მიიყვანეს პოლიციის განყოფილებებსა და სასჯელადსრულების დაწესებულებებში.

მუშაობის შედეგად 2004 წლის განმავლობაში, მხოლოდ თბილისის მასშტაბით გამოვლენილია 1100 დაკავებულ პირზე მეტი, რომლებსაც აღმოაჩნდათ სხვადასხვა სახის ფიზიკური დაზიანებები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ სტატისტიკას რეალური მონაცემები 400%-ით აღემატება.


თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომ რეალური სურათის აღდგენა დიდ სირთულეებს აწყდებოდა დამახინჯებული ოფიციალური სტატისტიკისა და მონაცემების ფონზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სხეულის დაზიანებები 2004 წლის განმავლობაში წინასწარი დაკავების ეტაპზე სისტემურ ხასიათს ატარებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება აშკარად ლიდერობს დაზიანებათა პროცენტული რაოდენობით.


იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ქ. თბილისის მონაცემების დინამიკა



სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული ქ.თბილისის დაზიანებების დინამიკა თვეების მიხედვით



თბილისის პოლიციის 40 განყოფილებიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის სამმართველოს ჩათვლით, დაფიქსირებული დაზიანებების ჩვენებით პირობით ლიდერებად იკვეთება: ისანი-სამგორის რაიონი (24%), დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი (22%) ვაკე-საბურთალოს რაიონი (18%), გლდანი-ნაძალადევის რაიონი (17%), მთაწმინდა-კრწანისის რაიონი (12%), ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველო (7%). (იხ. გრაფიკი).



მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით

2004 წლის განმავლობაში რელიგიის, რწმენისა და სინდისის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული საერთო სურათი, შეიძლება ითქვას, შეიცვალა, მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელოდ. ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრება, თითქოს, მკაფიო სიგნალი უნდა ყოფილიყო საიმისოდ, რომ ყველას გაეგო: რელიგიურ ექსტრემიზმს სახელმწიფო აღარ მოითმენდა. ამას მართლაც მოჰყვა შედეგი. თითქმის შეწყდა რელიგიურ ნიადაგზე დარბევა და რელიგიური უმცირესობების ფიზიკური შეურაცხყოფა. პოზიტიურ ცვლილებათა ნუსხაში შეიძლება ჩაიწეროს ასევე იკპოვას მოწმეებისთვის რეგისტრაციის უფლების მიცემა (ეს რელიგიური გაერთიანება საქართველოში დარეგისტრირდა, როგორც აშშ-ში არსებული რელიგიური ორგანიზაციის ფილიალი) და, მეორე მხრივ, პოლიციელთა და ადგილობრივი მმართველების მხრიდან მათი და სხვა კონფესიების მიმართ ღია აგრესიის შემცირება. ხელისუფლებამ, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, რელიგიური ექსტრემიზმის წახალისებასა და ფიზიკური ძალადობის ფაქტების იგნორირებაზე უარი განაცხადა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკალავიშვილის დაპატიმრების ოპერაცია ძალის გადაჭარბებული გამოყენებით განხორციელდა, თანაც, ოპერაციაში ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო პირებიც მონაწილეობდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემებმა სხვა სიბრტყეზე იჩინა თავი. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საზოგადოებაში ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. საპატრიარქოს შეხედულებებსა და პოზიციებს ითვალისწინებს უამრავი ადამიანი, მას ანგარიშს უწევს ქართული პოლიტიკური სპექტრის ყველა სეგმენტი, ხელისუფლების მხრიდან იგი უპირობო მხარდაჭერით სარგებლობს, საქართველოში იურიდიული სტატუსი მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს და სახელმწიფომ მხოლოდ მასთან გააფორმა ხელშეკრულება – კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც რანგით თითქმის გატოლებულია კონსტიტუციასთან.

კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში ნათქვამია: „მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები“ და „საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია.“ თუმცა, საქართველოს კონსტიტუცია და კონსტიტუციური შეთანხმება იმავდროულად სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობასაც აცხადებს. ამდენად, იმას, თუ რა შეხედულებას გამოხატავს ეკლესია რელიგიის, რწმენის, სინდისის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, და რა პოზიციას იკავებს ქვეყნის ლიბერალურ-დემოკრატიულ კურსთან მიმართებით, დიდი, ხშირ შემთხვევაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი, თანასწორუფლებიანი და ტოლერანტული გარემოს შესაქმნელად. ისიც სათქმელია, რომ ეკლესიაში მიმდინარე პროცესები შეუძლებელია განვიხილოთ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისგან მოწყვეტით, ხოლო სოციალური და პოლიტიკური გარემო - ეკლესიისა და საერთოდ რელიგიის გავლენის გაუთვალისწინებლად. მეტად მნიშვნელოვანია

ეკლესიის როლი განსხვავებული კონფესიებისადმი საზოგადოებისა და ხელისუფლების დამოკიდებულების ფორმირების მხრივაც.

საპატრიარქოს პოზიციისა და ეკლესიაში არსებული რეალობის რეზონანსულობა ყოველთვის სცდებოდა შიდასაეკლესიო სივრცეს, რაც ნებას გვრთავს, ვილაპარაკოთ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებზე, როგორც სინდისისა და გამოსატვის თავისუფლების, ასევე რელიგიის თავისუფლებისა და ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრების, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერის ასპექტითაც. ამ თვალსაზრისით ეკლესიაში არსებული ტენდენციები და მათი ასახვა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკაზე მრავალ კითხვას ბადებს.

განვიხილოთ გასულ წელს მომხდარი რამდენიმე ფაქტი.

ივნისის თვეში საქართველოს სტუმრობდა ანგლიკანი მორწმუნეების ჯგუფი. თბილისში ყოფნისას ისინი წმ. პანტელეიმონის ტაძარში დაესწრნენ ღვთისმსახურებას. მეორე დღეს ტაძარში წირვის მიმდინარეობის დროს საპატრიარქოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა დარეკა, მღვდელს მსახურების შეწყვეტა მოსთხოვა, მიზეზად კი წინა დღით ანგლიკანთა სტუმრობა დაასახელა. მან მღვდელს განუცხადა, რომ როგორც ძაღლები ბილწავენ ტაძარს, ასევე შეაგინეს იგი ანგლიკანებმა და მისი ხელახლა კურთხევაა საჭირო. ამ ფაქტის გამო ინგლისის ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსმა და საქართველოში კენტრბერიის მთავარეპისკოპოსის საგანგებო დესპანმა სტივენ პლატენმა, ჩვენს ქვეყანაში ვიზიტის შემდეგ ინგლისურ „ჩარჩ თაიმსს“ (2004 წლის აგვისტო) განუცხადა, რომ “საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ღვთისნიერი, სათნო და არისტოკრატი პიროვნებაა, მაგრამ იგი გარშემორტყმულია დისკრედიტირებული საეკლესიო მოხელეებით”.

შეუწყნარებლობის ამ გამოვლინებას ვაგრძელებაც მოჰყვა. 11 სექტემბერს საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ტერორიზმისა და ექსტრემიზმის საფრთხესთან დაკავშირებით გამართულ „თოქ-შოუში“ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლის მიერ სტუმრების შეურაცხყოფა ფაქტობრივად გაამართლა და განაცხადა: „ანგლიკანები ბოკვერებს ნათლავენ და ჰომოსექსუალებს სწერენ ჯვარს“. ალბათ დამთხვევაა, მაგრამ სწორედ ამ ფრაზით „ამხილა“ ერთხელ მთელი პროტესტანტული სამყარო ბასილ მკალავიშვილმა.

4 ივნისს, შუაღამისას თბილისში რელიგიური ექსტრემიზმის კიდევ ერთი ფაქტი მოხდა – ამჯერად, საკუთარი შეხედულების გამოსატვის გამო, თავს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელს დაესხნენ. თავდამსხმელიც მართლმადიდებელი სასულიერო პირი იყო. თბილისის წმ. ნინოს ეკლესიის მოძღვარი დავით ქვლივიძე, რომელსაც არ მოეწონა თბილისის წმ. პანტელეიმონის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ გიორგი ჩაჩავას სატელევიზიო გამოსვლა, თავისი მრევლის ერთ-ერთ წევრთან ერთად დაუხვდა მას ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ შენობასთან და “საქმის გარჩევა” დაუწყო. გიორგი ჩაჩავას თქმით, თავდამსხმელებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. დეკანოზი მათ გაეცალა, მაგრამ მღვდელი დავით ქვლივიძე მანქანით დაედევნა და მისი მანქანის გზიდან გადაგდებას

შეეცადა. დეკანოზი მხოლოდ სახლამდე მისვლამ და მეზობლების გამოჩენამ იხსნა. საპატრიარქომ რამდენიმე დღის შემდეგ გაავრცელა განცხადება, სადაც თავდასხმა საერთოდ არ არის ნახსენები, სამაგიეროდ, დაგმობილია იმ სასულიერო პირთა ქმედება, რომლებიც „საპატრიარქოს გაფრთხილების მიუხედავად თვითნებურად განაგრძობენ ცილისმწამებლურ და მკრეხელურ გამოსვლებს პრესისა და ტელევიზიის საშუალებით“. მეტიც, განცხადებაში ნათქვამია: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კატეგორიულად აფრთხილებს ყველა სასულიერო პირს და მრევლის წევრს, რომ კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევის გარეშე განხორციელებული ქმედებები და საჯარო გამოსვლები... ყოველად მიუღებელია და საეკლესიო დანაშაულს წარმოადგენს. თუ მსგავსი ქმედებები კვლავაც გაგრძელდა, ასეთი პირების მიმართ გამოყენებული იქნება მკაცრი საეკლესიო სასჯელი“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ განცხადებით საპატრიარქო არა მხოლოდ სასულიერო პირებს, არამედ მრევლსაც უკრძალავს „საჯარო გამოსვლებს პატრიარქის კურთხევის გარეშე“, რაც ნიშნავს, რომ ტელევიზიის ან რადიოს საშუალებით აზრის გამოთქმა, გაზეთისთვის ან ჟურნალისთვის ინტერვიუს მიცემა, გამოსვლა მიტინგზე, ანდა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში, თუკი ეს რელიგიურ თემატიკასთან იქნება დაკავშირებული, პატრიარქის კურთხევის გარეშე ეკრძალება საქართველოს მოსახლეობის სულ მცირე 80 პროცენტს, რაკი მოქალაქეთა სწორედ ეს რაოდენობა აცნობიერებს თავს მართლმადიდებლად. გამოდის, რომ საპატრიარქო ფაქტობრივად მთელ ერს უზღუდავს მის უმთავრეს კონსტიტუციურ უფლებას – სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლებას.

კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: 8 ნოემბერს თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის 23-მა სტუდენტმა გაზეთ „24 საათში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც კრიტიკულად იყო შეფასებული ეკლესიაში არსებული სიტუაცია. ხსენებული პუბლიკაციის გავლენით დაიწყო ფართო საჯარო დისკუსია საზოგადოებისა და ეკლესიის ურთიერთმიმართების თაობაზე, იმ სირთულეებზე, რომლებიც აშკარად სცილდება მხოლოდ საეკლესიო არეალს; მაგრამ, მეორე მხრივ, ამ დისკუსიის მსვლელობის მიმართ ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების გაუმართლებელმა მიდგომამ მოახდინა თემის პოლიტიზაცია, რასაც დისკუსიის შეწყვეტა მოჰყვა. თავიდან ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები სტუდენტებისა და მათი მხარდამჭერების საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მართლმადიდებლობის მტრებად წარმოჩენას ცდილობდნენ. პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტები მოქმედებდნენ ხელისუფლების, კონკრეტულად კი - უშიშროების მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკვეთით. ასეთი განცხადების შემდეგ ამ 23 სტუდენტს უკვე საეკლესიო ამბიონებიდან სახავდნენ ეკლესიისა და ერის მტრებად, წყევლიდნენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. უკიდურეს გამოთქმებს არ მოერიდა თავად კათოლიკოს-პატრიარქი. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ხელმომწერ სტუდენტებს სხვა სტუდენტები დაუპირისპირდნენ. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ოპოზიციონერი სტუდენტების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების რამდენიმე შემთხვევას, ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო მათი მისამართით შეურაცხმყოფელმა გამოთქმებმა და მუქარამ.

სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორატმა ჯერ სტუდენტების გარიცხვა, შემდეგ მათი მონასტერში გასახლება გადაწყვიტა, მაგრამ ბოლოს საზოგადოებრივი აზრი გაითვალისწინა და უკანასკნელი გაფრთხილებით

შემოიფარგლა სასულიერო სასწავლებლის წესდების დარღვევის გამო. წესდების მიხედვით, სტუდენტებს რელიგიური საკითხების თაობაზე მედიასთან ურთიერთობა აკრძალული აქვთ სპეციალური ნებართვის – კუროსხევის გარეშე. მოგვიანებით წერილზე ხელმომწერი ოთხი სტუდენტი აკადემიური მოუსწრებლობისა და გაცდენების მიზეზით მაინც გაირიცხა.

მაგრამ ამ პროცესის შეფასებისას ყველაზე შემამფოთებლად უშუალოდ პრეზიდენტის დამოკიდებულება გვეჩვენება. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას ამ საკითხთან დაკავშირებით მან, ერთი მხრივ, საგნებით სამართლიანად აღნიშნა, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ეკლესიის შიდა საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, განაცხადა: საეკლესიო დებატების პრესითა და ტელევიზიით გაშუქება ულამაზოა, ეს ფაქიზი თემაა და მეტი სიფრთხილით სჭირდება მოკიდება. პრეზიდენტის განცხადებამ უმალ მოახდინა გავლენა მედიაზე და სტუდენტების საკითხი საერთოდ გაქრა საინფორმაციო სივრციდან, ანდა „ფაქიზი“ უღერადობა შეიძინა. ეს ფაქტი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც შეფასდა, როგორც მედიის თვითცენზურის გამოვლინება. პრეზიდენტი ხსენებულ თემას კიდევ ორჯერ მიუბრუნდა: გაზეთ “კვირის პალიტრისთვის” მიცემულ ინტერვიუში (27 დეკემბერი) უკვე პირდაპირ განაცხადა - „ეკლესიის საქმეებში ხელის ფათური უმადური საქმეა. არ არის საჭირო ამ თემაზე დისკუსიები“. ბოლოს კი პარლამენტის წინაშე საანგარიშო გამოსვლისას „ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე“ გააფრთხილა პოლიტიკოსები, რომ “თავი დაანებონ პატრიარქზე თავდასხმებს და საპატრიარქოში ინტრიგების ხლართვით ქულების დაწერას.“

ეს სიტყვა, სულ მცირე, ერთ უზუსტობას შეიცავს: არც ერთ პოლიტიკოსს დისკუსიაში სტუდენტების მხარე არ დაუკავებია, თითქმის ყველა თანამდებობის პირი, საპარლამენტო თუ პარლამენტს მიღმა აღმოჩენილი პარტია საპატრიარქოსა და პატრიარქის დაცვით ცდილობდა თავის წარმოჩენას. ეკლესიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებში სახელმწიფოს თითქმის ყველა უმადლესმა პირმა ერთგვაროვანი პოზიცია გამოხატა. პრემიერმინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ბრძანა: „აბსოლუტურად აღმაშფოთებელია, როცა ან მარჯვნიდან ან მარცხნიდან სხვადასხვა პოლიტიკოსები ან პოლიტიკასთან ახლო მდგომი ადამიანები ცდილობენ პოლიტიკური ცხოვრების საზომი მიუყენონ საეკლესიო ცხოვრებას. ეს არის უვიცობა და აბსოლუტური უპასუხისმგებლობა. ეს არის იმ ადამიანების ქმედება, რომლებსაც აბსოლუტურად არ ესმით, რამდენად სახიფათო თემას ეთამაშებიან. ეკლესია და მისი ცხოვრება არ განისაზღვრება არც ჟურნალისტური სტატიებით, არც პოლიტიკოსების რეიტინგებით, არც წივილ-კივილებით ტელეეკრანებიდან...“ („მთელი კვირა“ 22.11.04). საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ კი განაცხადა: „არიან ადამიანები, რომელთაც ხელს აძლევს ეკლესიაში განხეთქილება. არის უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ქმედებების კვალიც. ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმა იციან, რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს აღმშენებლობისთვის ქართული ეკლესიის ერთიანობა და სწორედ აქ ცდილობენ წყლის ამღვრევას“ („კვირის პალიტრა“ 29.11.04).

პოლიტიკოსების მხრიდან „თავდასხმა“ სწორედ საპატრიარქოსთან დაპირისპირებული მხარის მიმართ ხორციელდებოდა. სტუდენტების, რამდენიმე სასულიერო პირისა და უფლებადამცველის წინააღმდეგ პოლიტიკოსებმა ე.წ.

“შავი პიარი” ააგორეს, ანუ ისინი დაადანაშაულეს სატანიზმში, მასონობაში, სოროსის დაფინანსებით ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გეგმის განხორციელების, პატრიარქის გადაყენებისა და მისი ლიკვიდაციის მცდელობაში. მათი მისამართით ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარაც გაისმოდა. მხოლოდ ერთი ტიპური მაგალითი: ტრადიციონალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე ჟურნალისტის კითხვას, თუ რით შეიძლება დასრულდეს სტუდენტებსა და საპატრიარქოს შორის დაპირისპირება, პასუხობს: „შედგები უმძიმესი იქნება, განსაკუთრებით ზემოთ ხსენებული პუბლიკაციის ავტორებისთვის. მათ ფიზიკური საფრთხეც დაემუქრებათ, ვინაიდან მე და ჩემნაირები მათთან თუ პოლემიკას ვმართავთ, საქართველოში არის მრევლის დიდი მასა, რომელიც არა პოლემიკას, არამედ ფიზიკურ ანგარიშსწორებას გეგმავს. ამიტომ ჯობია ჭკუით იყვნენ და შარზე ნუ არიან.“ („ახალი თაობა“ 28. 12. 04)

უდავო ფაქტია, რომ საქართველოს ეკლესია ასრულებდა და ასრულებს საზოგადოების მაკონსოლიდირებელ როლს, რომ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის ფორმირებაში და დღეს მასთან არის დაკავშირებული საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სულიერი ცხოვრება. მაგრამ ზემოთ მოხმობილი გამონათქვამები და, საერთოდ, „24 საათში“ გამოქვეყნებული სტატიის გამო წარმოქმნილი ისტერიული ფონი გვაფიქრებინებს, რომ, ერთი მხრივ, ხელისუფლებაც და ოპოზიციური პარტიებიც მართლმადიდებელ ეკლესიას განიხილავენ, როგორც შეუვალი ავტორიტეტის მქონე ყველაზე პოპულარულ ინსტიტუტს და, აქედან გამომდინარე, მათთვის საიმედო იდეოლოგიურ საყრდენად მოიაზრებენ; ანუ კრიტიკულ სიტუაციაში, ვთქვათ, წინასაარჩევნო პერიოდში, ხელისუფლებაც და ოპოზიციური პარტიებიც ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენებას შეეცდებიან. მეტიც, პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, დღეს გვაქვს “უნიკალური სიტუაცია იმისათვის, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა სრულიად ახალ დონეზე გადავიდეს“ („საპატრიარქოს უწყებანი“ 12. 03. 05).

არადა, საქართველოში უკვე მოქმედებს კონსტიტუციური შეთანხმება, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ, ისტორიულად ქრისტიანულ სახელმწიფოს არ დაუდია ეკლესიასთან; გაუგებარია, რა ახალ ურთიერთობაზე უნდა იყოს საუბარი, როცა არსებული ვითარებით საქართველოში მართლმადიდებლობა ფაქტობრივად სახელმწიფო რელიგიისთვის დამახასიათებელი ნიშნებითაა აღჭურვილი.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა. სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ მართლმადიდებლურ სასწავლო დაწესებულებებს და მხოლოდ საპატრიარქო სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით.

სახელმწიფო დაწესებულებებსა და სტრუქტურებში ფაქტობრივად მხოლოდ მართლმადიდებელ მღვდელმსახურებს აქვთ რიტუალების შესრულების უფლება. იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის 2002 წელს დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად კი „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ სასჯელადსრულებით დაწესებულებასა და იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო პოლიციაში მიავლენს მოძღვრებს საღვთო ლიტურგიისა და სხვა საეკლესიო წესების აღსრულების მიზნით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გასწევს კოორდინირებას და უზრუნველყოფს სხვა კონფესიების მსახურთა მოწვევას ამ კონფესიის წარმომადგენელ მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.“ ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი იმავდროულად დისკრიმინაციულია, რადგან სხვა აღმსარებლობათა მიმართ საპატრიარქოს პოზიციიდან გამომდინარე, ართულებს არამართლმადიდებელ ღვთისმსახურთა შესვლას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიაში რიტუალურ მონაწილეობას უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქი ღებულობს, განსხვავებული რელიგიური მიმდინარეობების ადგილობრივი ლიდერები კი მოწვეულ სტუმართა შორის არიან. პარლამენტის სხდომების გახსნასა თუ პარლამენტის წინაშე პრეზიდენტის გამოსვლას მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქი და მისი თანმხლები პირები ესწრებიან ხოლმე.

საპატრიარქო ერევა სახელმწიფო საქმეებში. ამა თუ იმ საკითხისადმი ეკლესიის დამოკიდებულება მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს ხელისუფლების პოზიციის ჩამოყალიბებაზე. გავისხენოთ თუნდაც აშშ-ში ქართული ხელოვნების საგანძურის გამოფენასთან დაკავშირებული პერიპეტიები, ან ვატიკანთან საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ჩაშლილი ხელშეკრულება, მიმდინარე წელს განათლების სამინისტროსთან დადებული მემორანდუმი. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, ასევე, თბილწყალკანალის პრივატიზაციის თაობაზე საპატრიარქოს მიერ ოფიციალურად გამოხატული პოზიცია და ერთი წლის მანძილზე განათლების რეფორმის მიმართ წინააღმდეგობა.

საპატრიარქო მიიჩნევს, რომ მართლმადიდებლობა ეროვნული იდეოლოგიის საფუძველი უნდა გახდეს, რომელიც ერთი მხრივ ლიბერალიზმს, მეორე მხრივ კი კონსერვატიზმს დაუპირისპირდება: „მართლმადიდებლური აზროვნება - ეს არის ჩვენი ეროვნული იდეოლოგიის საფუძველი. მართლმადიდებლობა არ არის მხოლოდ ცოდნა, არ არის მხოლოდ დოგმატები, არ არის მხოლოდ სწავლება...“ („საპატრიარქოს უწყებანი“ 12.03.05) ბრძანებს პატრიარქი და აყალიბებს შეხედულებას ეროვნულ-მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისთვის მიუღებელ იდეოლოგიაზე – ლიბერალიზმზე: „დადგა ისეთი დრო, როცა ლიბერალიზმი შემოვიდა ევროპაში და იქიდან მთელს მსოფლიოში გაგრცვლდა; წარმოიშვა მოძრაობა „თანასწორობის“ მოთხოვნით. ეს სათქმელად ძალიან ადვილია, მაგრამ მისი განხორციელება ძალიან ძნელია. როგორ შეიძლება თანასწორობა იყოს ოჯახში? როგორ შეიძლება თანასწორობა იყოს საზოგადოებაში? ოჯახს უნდა ჰყავდეს თავი; საზოგადოებაში და ნებისმიერ ადგილზე უნდა იყოს უმცროს-უფროსი“ (საპატრიარქოს უწყებანი 3-9. 12. 04). კონსერვატიზმს კი საპატრიარქო რატომღაც ფანატიზმის წყაროდ მიიჩნევს.

ცალკე აღებული ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი პოლიტიკური იდეოლოგიებია და მათი არსებობა დემოკრატიული პოლიტიკური პროცესისთვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის. ხოლო მართლმადიდებლობის ამ იდეოლოგიების საპირწონე იდეოლოგიად დამკვიდრების სურვილი, სულ მცირე, ეკლესიის პოლიტიკურ არენაზე გამოსვლას შეიძლება მოასწავებდეს. შესაძლოა, სწორედ ამით აიხსნას პატრიარქის შემდეგი მოწოდება: “ნუ იქნებით ნურც ლიბერალები და ნურც კონსერვატორები, იყავით ნამდვილი მართლმადიდებლები, ოქროს შუალედი მოძებნეთ“... ამ სიტყვებს ასეთი ფრაზაც მოსდევს: „ადრე ხალხს

აერთიანებდა მეფე, ეკლესია, კულტურა. ახლა მხოლოდ ეკლესია დარჩა...“ („საპატრიარქოს უწყებანი“ 3-9. 12. 04).

რელიგიური უმცირესობები და რეგისტრაციის პრობლემა

2004 წელს რელიგიური გაერთიანებების უმთავრესი პრობლემა კვლავაც რეგისტრაციის საკითხი იყო. პოსტსაბჭოურ სივრცეში მხოლოდ საქართველოში არ შეეძლო ამა თუ იმ კონფესიას რეგისტრაციის გავლა, თავისი სახელით იმპორტისა თუ ექსპორტის განხორციელება, სოციალური თუ საგანმანათლებლო საქმიანობა, რადგან რელიგიური ორგანიზაციების შექმნის საკითხს აწესრიგებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-მუხლი, რომელიც მოითხოვდა ყველა რელიგიური გაერთიანების საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით არსებობას. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი კი არ ითვალისწინებს რელიგიური გაერთიანების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების პროცედურას. ბუნებრივია, ვერც კანონით და ვერც სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ადმინისტრაციული აქტით რელიგიური ორგანიზაცია ვერ დაფუძნდებოდა.

საქართველოს პარლამენტში დეპუტატთა ერთი ჯგუფის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის დამტკიცება, რომელიც რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას არა საჯარო, არამედ კერძო სამართლის იურიდიულ პირად აღიარებას ითვალისწინებს, ალბათ, საუკეთესო გამოსავალია. თუმცა, ეს არ არის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა, რადგან რელიგიური ორგანიზაციების ერთი ნაწილი - კერძოდ, სომხური სამოციქულო ეკლესია, კათოლიკური ეკლესია და ზოგიერთი სხვაც, აცხადებს, რომ მათ არ სურთ დარეგისტრირდნენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, ვინაიდან რეგისტრაციის დღეისათვის არსებული შესაძლო ფორმები - კავშირი ან ფონდი - სრულად ვერ ასახავს რელიგიური გაერთიანების სპეციფიკას.

რეგისტრაციის თვალსაზრისით გამოსავალი შეიძლება იყოს ხელშეკრულებების გაფორმება იმ რელიგიურ მიმდინარეობებთან, რომლებსაც ამის სურვილი აქვთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ვატიკანთან დღემდე არ მოხდა იმ ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების მიერ იყო მომზადებული და ქუჩის აქციებისა და საპატრიარქოს პოზიციის გამო ჩაიშალა. საქართველოს სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ამ ხელშეკრულების გაფორმება და თან ამის ინიციატორი თავად უნდა გახდეს, რადგან ხელშეკრულების ჩაშლა ჩვენი სახელმწიფოს მიზეზით მოხდა.

ეკლესიების, რელიგიური გაერთიანებებისა და ორგანიზაციების რეგისტრაციის შეუძლებლობისა და ასევე საპატრიარქოს მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობის გამო, კათოლიკეები და სომხური სამოციქულო ეკლესია ვერ იბრუნებენ ისტორიულად მათ კუთვნილ ტაძრებს.

2004 წლის 27 აპრილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით (დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა კავშირის „საგარდი“ საკასაციო სარჩელის თაობაზე) მართლმადიდებელი ეკლესიის ქუთაის-გაენათის ეპარქიის საკუთრებად გამოცხადდა ქუთაისის ღვთისმშობლის სახელობის კათოლიკური ეკლესია. საკასაციო სასამართლო, ისევე როგორც საოლქო სასამართლო, რატომღაც მხოლოდ კათოლიკეთა სამართალმემკვიდრეობის საკითხით

დაინტერესდა და არ გაარკვია, არის თუ არა ტაძრის დღევანდელი მფლობელი იმ მართლმადიდებლური „ოცეულის“ სამართალმემკვიდრე, რომელსაც 1989 წელს სარგებლობისთვის გადაეცა ეს ეკლესია. ამით დაირღვა სამართალწარმოების პრინციპები, ვინაიდან კასატორი „სავარდი“ არათანაბარ, დისკრიმინაციულ პირობებში აღმოჩნდა.

საკასაციო პალატის ტენდენციურობა განსაკუთრებით გამოვლინდა განჩინების სამოტივაციო ნაწილის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტით, რომელიც საოლქო სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე დაინტერესებული მხარის მიერ არ იყო წარმოდგენილი და შესაბამისად საქმის მასალებში არ ფიგურირებდა. ამიტომ საკასაციო პალატა განჩინებაში ვერ უთითებს საქმის ფურცელს, სადაც ეს მტკიცებულება დევს. საუბარია 2003 წლით დათარიღებულ დოკუმენტზე, რომლითაც სადავო ეკლესია საჯარო რეესტრში გატარდა ქუთაისი-გაენათის ეპარქიის საკუთრებად. ეს იყო სრულიად ახალი გარემოება, რომელიც დამატებით კვლევას საჭიროებდა, ამდენად საკასაციო სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, თავად მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე და იგი ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნებოდა საოლქო სასამართლოს. აღნიშნული მტკიცებულება, თუკი ასეთი არსებობს, დაინტერესებულ მხარეს ჯერ კიდევ საოლქო სასამართლოში უნდა წარედგინა. საამისოდ მას საკმარისი დრო ჰქონდა 2003 წლის 30 ივნისამდე (საოლქო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილებამდე), მაგრამ იგი მოპოვებულია კანონდარღვევით და წარმოადგენს ხელოვნურად შექმნილ მტკიცებულებას. დაინტერესებულმა მხარემ არ წარმოადგინა „მტკიცებულება“ საოლქო სასამართლოში, რადგან ამ სტადიაზე საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ „სავარდის“ წარმომადგენლები. აღნიშნული რეგისტრაცია განხორციელდა სასამართლოში საქმის განხილვისას (რაც კანონის დარღვევაა) და „სავარდის“ წარმომადგენლების მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო ვერ გაიზიარებდა მას, როგორც მტკიცებულებას, რაც დაინტერესებულ მხარეს დაუკარგავდა მტკიცებულების სახით მისი განმეორებითი წარდგენის შესაძლებლობას. საკასაციო განხილვის ეტაპზე, რომელიც „სავარდის“ წარმომადგენლების დაუსწრებლად ჩატარდა, დაინტერესებულმა მხარემ მაინც წარმოადგინა იგი და სასამართლომ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მიიღო როგორც მტკიცებულება. სასამართლომ ამით დაარღვია კანონის მოთხოვნები (საქ. სამ. საპრ. კოდ. 380-ე მუხ. 411-ე მუხ.).

ამასთან, საკასაციო პალატამ მთელი რიგი ნორმატიული აქტების იგნორირება მოახდინა. მათზე საუბარი იყო „სავარდის“ საკასაციო საჩივარში და ისინი საქმის განხილვისას უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საქმე ეხება საქართველოს კანონს „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, საქ. ზოგადი ადმინისტრ. კოდექსის მე-4 მუხლს, საქ. კონსტიტუციის მე-19 მუხლს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6, მე-9 და მე-14 მუხლებს, რითაც დაირღვა საქ. სამ. საპრ. კოდ. 393-ე მუხ. მეორე ნაწილის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 27 აპრილის განჩინება არ გამომდინარეობს საქმის ნამდვილი არსიდან, დაუსაბუთებელია და უკანონო.

სახალხო დამცველის ოფისის მიერ გამოკითხული ექსპერტების საერთო აზრით, საკმაოდ სერიოზულ პრობლემად რჩება საზოგადოების შეუწყნარებლობა განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანების მიმართ. „სახელმწიფო, ჯერ-ჯერობით, არაფერს აკეთებს ამ კლიმატის შესაცვლელად. ის პირველი ნაბიჯები, რაც გადაიდგა, მხოლოდ რეპრესიული ხასიათისაა... რელიგიური ექსტრემისტების დაკავება და გასამართლება თავისთავად არაფრის მომცემია, თუკი უფრო ფართო პლანით არ გაიშლება მუშაობა“, - ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი და გამოკითხულთა უმრავლესობის შეხედულებას გამოხატავს.

ახალციხეში ადგილობრივი მართლმადიდებელი მღვდელი ადგილობრივ კათოლიკე ღვთისმსახურს ივლიტას კათოლიკურ ეკლესიაში უბრალოდ შესვლის ნებასაც კი არ აძლევს. არავინ დასჯილა კათოლიკური საფლავებისა და ხატების შეურაცხყოფის შემდეგ. ტელეეთერით მართლმადიდებელი ეკლესიის დეკანოზი ტარიელ სიკინჭილაშვილი კი აცხადებს, რომ „სომხებმა სომხეთში ააგონ ტაძრები“. („რუსთავი 2“, 2005 წლის თებერვალი).

ღუთერანული ეკლესიის პასტორის გარი აზიკოვის შეხედულებით, ყველაფერი ისე დარჩა, როგორც ეს ახალი ხელისუფლების მოსვლამდე იყო. კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტოც ფიქრობს, რომ რელიგიური უმცირესობების პრობლემები არ შემცირებულა, რადგან ახალ ხელისუფლებას ჯერ არ შეუშუშავებია რელიგიური პოლიტიკა („ფორუმ 18“). პესიმისტურადაა განწყობილი ზურაბ აროშვილი, „საქართველოში ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესიის“ მღვდელი. „რელიგიური თავისუფლების მხრივ არაფერი შეცვლილა. ჯერ კიდევ შეუძლებელია ეკლესიების აგება.“ მისი თქმით, როცა ქუთაისში ტაძრის ასაშენებლად მიმართა ხელისუფლებას, განუცხადეს, რომ ნებართვა საქართველოს საპატრიარქოდან უნდა აეღო: „მათ ესმით ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ საპატრიარქოს თანხმობის გარეშე ნებართვას ვერ გასცემენ, რადგან სამსახურის დაკარგვის ეშინიათ“ („ფორუმ 18“). ახალი საკულტო ნაგებობების მშენებლობის საკითხი პრობლემურია სხვა რელიგიური მიმდინარეობებისთვისაც.

დღესდღეობით მედიასივრცეში რელიგიური უმცირესობების იგნორირებისა და შეზღუდვის აშკარა პოლიტიკაზე შეიძლება საუბარი. ტელე თუ რადიო გადაცემების მეშვეობით ფაქტობრივად არ ხდება ამა თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის ცხოვრების ობიექტური გაშუქება. იდენტური ვითარებაა შექმნილი ბეჭდური მედიის სფეროშიც.

სკოლა და რელიგია

შემაშფოთებელია ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რელიგიის სწავლების ხასიათი. სკოლებში ისწავლება საგანი სახელწოდებით „რელიგიის ისტორია და კულტურა“, რაც პედაგოგების მხრიდან ხშირად აღქმულია, როგორც „სადვთო სჯულის“ სწავლება. უკიდურესად დაბალია რელიგიის პედაგოგთა განათლების დონე. სკოლებში გავრცელებული პრაქტიკაა ნებისმიერი სასწავლო საათის დაწყების წინ ლოცვა, სასკოლო ადმინისტრაციის ინიციატივით სხვადასხვა რელიგიურ-პატრიოტული ღონისძიების გამართვა, მართლმადიდებელი სასულიერო პირების სკოლაში მოწვევა ქადაგების წარმოსათქმელად. საკლასო ოთახებში მოქმედებს „წმინდა კუთხეები“, გამოფენილია რელიგიური სიმბოლოები. ბევრი მასწავლებელი აღიარებს, რომ მისი მთავარი მიზანია

ბავშვის გაეკლესიურება ანუ ინდოქტრინაცია. თავისთავად ეს მისი უფლებაა, მაგრამ დაუშვებელია, მასწავლებელმა სკოლის შენობა ან გაკვეთილი ქადაგებისათვის გამოიყენოს, რადგან ამით ილახება სკოლისა და რელიგიური გაერთიანებების განცალკევების კანონით აღიარებული პრინციპი და მოსწავლეთა და მშობლების უფლება, თავად განსაზღვრონ საკუთარი რელიგიური თუ არარელიგიური მრწამსისა და ცხოვრების ხასიათი. ამასთან ერთად, სასწავლო პროცესი ფინანსდება სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევარ მშობელთა შემოსავლიდან, რაც გამორიცხავს სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებაში რომელიმე რელიგიის პრიორიტეტს, თუნდაც რელიგიური სიმბოლოების დონეზე, გამორიცხავს პროზელიტიზმსა და ინდოქტრინაციას.

სკოლაში რელიგიის ისტორიის სწავლება აუცილებლად ნეიტრალურ ხასიათს უნდა ატარებდეს. აქ არის რამდენიმე პრობლემა: პირველ რიგში, არ უნდა ისწავლებოდეს ერთი კონკრეტული რელიგია. ბავშვებს უნდა მიეწოდოს ობიექტური ინფორმაცია ყველა წამყვანი რელიგიის, განსაკუთრებით კი საქართველოში არსებული აღმსარებლობების შესახებ. აუცილებელია ასევე შესაბამისი კადრების მომზადება და არსებული პედაგოგიური რესურსის მნიშვნელოვანი გადახალისება. საჭიროა ახალი სახელმწიფო სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება რელიგიების ტოლერანტული სულისკვეთებისა და ჰუმანისტური პოტენციალის წარმოჩენაზე. ასევე, ამ გეგმის მიხედვით უნდა შეიქმნას ახალი სახელმძღვანელო. უმნიშვნელოვანესი საკითხია სკოლაში არსებული რელიგიური კლიმატის შეცვლა. ამოსავალი სახელმწიფო სკოლებისთვის უნდა გახდეს: მოსწავლის რელიგიური თუ ათეისტური ინტერესების წაუხალისებლობისა და ხელის არშეშლის პრინციპი.

სახალხო დამცველის ამოცანები

ჩვენს უახლოეს ამოცანებს, კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირების, ამ მიმართულებით საგანმანათლებლო საქმიანობისა და საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავების გარდა, რელიგიური საბჭოს შექმნა და ტოლერანტობის კულტივირების პროგრამის შემუშავება წარმოადგენს.

პროგრამა შეძლებისდაგვარად თავს მოუყრის საქართველოში ყველა დიდი თუ მცირე რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელსა თუ ინტერესს.

ამ პროგრამის ფარგლებში ვგეგმავთ საქართველოში პირველი მულტიკონფესიური მედიაპროექტის განხორციელებას.

ასევე, სკოლებსა და მედიასივრცეში ვაპირებთ მონიტორინგის ჩატარებას ე.წ. „მტრობისა და ძალადობის ენის“ ხარისხის დადგენის მიზნით.

სახალხო დამცველის რეკომენდაციები

შეიქმნას კანონმდებლობა, რომელიც შესაძლებელს გახდის იმ რელიგიური მიმდინარეობების რეგისტრაციას, რომლებსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მოპოვება სურთ;

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოახდინოს 2004 წლის 27 აპრილის განჩინების (დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა კავშირის „სავარდი“ საკასაციო სარჩელის თაობაზე) კანონიერების გადახედვა;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მკაცრად გააკონტროლოს საშუალო სკოლების რელიგიურ გაერთიანებებისაგან დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა.

ეროვნული უმცირესობების უფლებები

საქართველო პოლიეთნიკური სახელმწიფოა და აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა უფლებების დაცვა არის როგორც სახელმწიფოს შინაგანი სურვილისა და რწმენის, ასევე, საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა.

არსებულ პრობლემათა შორის შეიძლება გამოიყოს რამდენიმე:

- ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობას, ორგანიზაციებსა და სახელმწიფო აპარატს შორის ეფექტური ინტეგრაციის ხარისხი დაბალ დონეზეა როგორც ვერტიკალური მიმართულებით - ცენტრი-რეგიონი, ასევე ჰორიზონტალური მიმართულებით - რეგიონი-რეგიონი.
- ეროვნული უმცირესობების ზოგიერთი წარმომადგენლისათვის ცნობილი არ არის არა მხოლოდ იმ სამართლებრივი მექანიზმების არსებობის შესახებ, რომლებიც იცავენ მათ უფლებებს, არამედ საერთოდ არ არიან ინფორმირებულნი მსგავსი ნორმატიული ბაზის სავარაუდო არსებობის შესახებაც კი, რაც, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ გადასაწყვეტ პრობლემათა რიგს განეკუთვნება.
- ინტეგრაციული პროცესების არსებობის შემთხვევაშიც ხშირად ვხვდებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წარუმატებელ (გარიყულ) ინტეგრაციას სახელმწიფო აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებში, რაც სამომავლოდ გაუცხოების, დეზინტეგრაციისა და ერთმანეთის მიმართ უნდობლობის გამოწვევის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება გახდეს. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ინტეგრაციული პროცესები დღევანდელი მდგომარეობით ძალზედ ნელი ტემპით ვითარდება.
- საკმაოდ ხშირია პირის ეთნიკური წარმომავლობის საკითხის პოლიტიზაცია, ამ მიზნით გენეალოგიაში ჩაძიების და, შესაბამისად, სტერეოტიპული დასკვნების გაკეთების, ასევე, ამ დასკვნების საფუძველზე მიმდინარე არაჯანსაღი მსჯელობისა და პროპაგანდირების ფაქტები. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მსგავს პროცესებშია ჩართული, ცდილობს, უმრავლესობის თვალში ჩრდილი მიაყენოს კონკრეტულ პირებს. სინამდვილეში კი, ამით, ძირითადად, ზიანი ადგება ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის წარმომადგენელთა ურთიერთობებს, მათ საერთო-სამოქალაქო ინტეგრაციას, რადგანაც ეს ხშირად იწვევს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში მეორეხარისხოვანი მოქალაქეობის განცდას.
- როგორც ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში, ასევე ძალოვან სტრუქტურებშიც საკმაოდ დაბალია უმცირესობათა წარმომადგენლების დასაქმების მაჩვენებელი.
- მნიშვნელოვანია ის პრობლემაც, რომ არა მხოლოდ უმცირესობების წარმომადგენლები არიან სუსტად ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე

პროცესების შესახებ, არამედ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაც არ არის ინფორმირებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პრობლემების, ისტორიის, კულტურის, მიღწევების და სხვა თავისებურებების შესახებ. ზუსტი ინფორმაციის არარსებობა კი ხელს უშლის უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ ობიექტური აზრის ჩამოყალიბებას. ამის გამო ობიექტური ინფორმაციის აღვივებს იკავებს არაჯანსაღი ჭორები და სტერეოტიპები, რაც ასევე შემაფერხებელი გარემოებაა ინტეგრაციასა და ადამიანის უფლებების დაცვაში.

- აღნიშნული პრობლემის გადრმავებას ხელს უწყობს ისიც, რომ სკოლის სახელმძღვანელოებში სუსტადაა ასახული საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ისტორია, ტრადიციები და სხვა თავისებურებები, რაც უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენელთა შორის გაუცხოებას უწყობს ხელს.
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ხშირად გარიყულნი არიან სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებიდან. ეს განსაკუთრებით ეხება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში კომპაქტურად მცხოვრებ უმცირესობებს, რომლებიც, სხვა პრობლემებთან ერთად, განიცდიან მათთვის გასაგებ ენაზე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას.
- დღემდე არ მოქმედებს არც ერთი სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმებას როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ სახელმწიფო სტრუქტურებში.
- სახელმწიფო ენის არცოდნა არის ის ერთ-ერთი უმთავრესი დამაბრკოლებელი ფაქტორი, რაც უმცირესობების წარმომადგენლებს ხელს უშლის სახელმწიფო ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ. ეს კი პირდაპირ კავშირშია ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხთან. ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა დღეისათვის ჯეროვან ეფექტს ვერ იძლევა, რაც ასევე სახელმწიფოს მიერ გადასაწყვეტი პრობლემაა.
- საქართველოს საზოგადოებაში, სავარაუდოდ, სუსტი ინტეგრირებულობის გამო, უმცირესობების ის წარმომადგენლები, რომლებიც ბიზნესის სფეროში არიან დაკავებულნი, ცდილობენ, თავიანთი კაპიტალი ან წარმოშობის ქვეყანაში, ან სხვა, მესამე ქვეყნებში დააბანდონ, რაც ასევე არის უმცირესობების მხრიდან საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში საკუთარი დაუცველობის შეგრძნების მაჩვენებელი.
- უმცირესობათა ზოგიერთ წარმომადგენელს, წლების განმავლობაში შექმნილი ოფიციალური და არაოფიციალური ბარიერების გამო, არასაკმარისად აქვს განვითარებული სამოქალაქო თვითიდენტიფიკაციის დონე. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში.
- მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა ყველას მიერაა გაცნობიერებული, დღემდე სრულად არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური მედიის საშუალებების ხელმისაწვდომობა უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე.

გამონაკლისს წარმოადგენს 2004 წლის ბოლოს საზოგადოებრივი ტელევიზიის მიერ დაწყებული საინფორმაციო გადაცემები უმცირესობათა ენებზე.

- პრობლემები აქვთ ოსი ეროვნების მოქალაქეებს ლაგოდეხის რაიონის სოფ. არეშპერონსა და ბოლქვში, სადაც ოსი ეროვნების თითო მოსახლეზე გაიცა 0.5 კა. მიწის ფართობი, მაშინ, როცა მეზობელ სოფლებში თითო მოსახლეს 1. 25 კა. გადაეცა.

- წალკაში მცხოვრები ბერძნების პრობლემებიდან შეიძლება გამოიყოს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი. პირველი: კრიმინოგენური მდგომარეობა; და მეორე: საკუთრების პრობლემა. რთული კრიმინოგენური მდგომარეობა, ცხადია, არ არის მხოლოდ ეთნიკური ბერძნების პრობლემა. თუმცა, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ყველაზე მეტად სწორედ ისინი ზარალდებიან, რადგანაც ყველაზე მეტად დაუცველები და მცირერიცხოვანნი არიან აღნიშნულ რეგიონში (სტატისტიკური მონაცემებით, ბერძნები დაახლოებით 32 000-დან 1 684 ადამიანიდაა დარჩენილი საქართველოში). რაც შეეხება საკუთრებას, ძალიან ხშირია ბერძნების კუთვნილ სახლებში უკანონო შეჭრისა და სახლების დაპატრონების ფაქტები, რაც არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს.

დაბოლოს, აქვე ერთ სუბიექტურ ფაქტორსაც უნდა გავუსვა ხაზი: არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისთვის, რომ წალკაში არსებული კრიმინოგენური ვითარება პირდაპირ უკავშირდება წალკის პოლიციის უფროსის ზურაბ ქეშელაშვილის ზოგჯერ უმოქმედობას, ზოგჯერ კი დანაშაულებრივ ქმედებებს.

- სამცხე-ჯავახეთში არსებული პრობლემები შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაიყოს. პირველი: სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც საერთოდ ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტურად მცხოვრები ნაწილისთვის არის ნიშანდობლივი. მეორე: რეგიონის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაციის პრობლემა, რაც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს (გზების მშენებლობა და ა. შ.). მესამე: ცუდი ადმინისტრირება, რაც ძალზე ხშირად სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ცუდი ადმინისტრირების მაგალითად შეიძლება ერთი კონკრეტული ფაქტის დასახელება: საქართველოსა და სომხეთის საზღვრის სამცხე-ჯავახეთის მონაკვეთზე არ არის განბაჟების პუნქტი, რის გამოც მოსახლეობას საქონლის განსაბაჟებლად ბორჯომში უხდება ჩასვლა. თუ გავითვალისწინებთ იმ მჭიდრო ურთიერთობებს, რაც არის ახალქალაქის, ნინოწმინდის და მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასა და სომხეთს შორის, ცხადი გახდება, რომ ეს სერიოზულ პრობლემებს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას.

- ძალზე პრობლემური და მნიშვნელოვანია აგრეთვე 90-იანი წლების დასაწყისში ოსი და სხვა ეროვნების ადამიანებისათვის მიყენებული ქონებრივი და უფლებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი და ამ მიზნით რესტიტუციის კანონის მიღება. ამ მიმართულებით სახალხო დამცველის ოფისი აქტიურად მუშაობს. კერძოდ, მუშავდება შესაბამისი კანონპროექტი.

რეკომენდაციები

განათლება

- განათლების სისტემაში საჭიროა ქართულ ენაზე განათლების მიღებაში ეროვნული უმცირესობების წახალისება.
- უნდა წახალისდნენ ის სკოლები, რომლებიც ბილინგვური განათლების სისტემას დაამკვიდრებენ.
- ქართული სკოლების სახელმძღვანელოებში უნდა აისახოს უმცირესობების ისტორია, ტრადიციები და სხვა თავისებურებები, რათა გაუცხოების შესაძლო სინდრომის საფუძველი იმთავითვე აღმოიფხვრას.
- სახელმწიფომ სრულად უნდა უზრუნველყოს საშუალო განათლების სისტემაში სამოქალაქო განათლება როგორც უმცირესობის, ასევე უმცირესობებისათვის ხელმისაწვდომ ენაზე.

ეფექტური კომუნიკაცია

- უმცირესობისა და უმცირესობის წარმომადგენელთა შორის არსებული ნეგატიური სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობით უნდა გადადგას ეფექტური ნაბიჯები.
- სახელმწიფომ სრულად უნდა უზრუნველყოს ცენტრალური მედიის საშუალებებში ტელე და რადიომაუწყებლობის უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე წარმართვა, აგრეთვე ბეჭდვითი მედიის გამოცემა, რათა მათ სრულყოფილი ინფორმაცია მიეწოდოთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ.
- სახელმწიფომ სრულად უნდა უზრუნველყოს მის მიერ სუბსიდირებული ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის საშუალებებით სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო აქტების თარგმნა და გამოქვეყნება უმცირესობებისთვის გასაგებ ენებზე.

სახელმწიფო, სამართალი და ინტეგრაცია

- სახელმწიფო მმართველობით სისტემაში, როგორც ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ასევე სხვადასხვა რეგიონში და დედაქალაქში, შეიქმნას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმებისთვის ხელსაყრელი და წამახალისებელი გარემო.
- აუცილებელია ეროვნული უმცირესობების ახალი თაობის ლიდერებისთვის ხელშეწყობა, მათი თვითრეალიზაციისთვის უფრო ფართო და ხელსაყრელი პირობების შექმნა.
- უნდა შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს და წახალისებს უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმებას სახელმწიფო სტრუქტურებში.
- უნდა მოხდეს ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროსაბჭოს ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირება. უნდა გადაიდგას ეფექტური ნაბიჯები ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ სპეციალური კანონის მიღების საკითხში და მომზადდეს ნიადაგი საიმისოდ, რომ უახლოეს პერიოდში

შესაძლებელი გახდეს რეგიონული ენებისა და უმცირესობათა ენების ევროპის ქარტიასთან მიერთება.

- ცენტრალურ და რეგიონულ სახელმწიფო სტრუქტურებთან შეიქმნას სათათბირო ორგანოები, რომლებმაც უმცირესობასა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის დიალოგის არსების ფუნქცია უნდა შეასრულოს. ამ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ფუნქციები, ავტორიტეტი და შესაძლებლობები, რათა თვალყური ადევნონ სიტუაციას, მოამზადონ წინადადებები, რეკომენდაციები და საკუთარი პოზიცია ოპერატიულად მიიტანონ ხელისუფლების შესაბამის რგოლებამდე.
- სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ეროვნულ უმცირესობებთან უნდა იყოს მთლიანად სახელმწიფო მმართველობის სისტემაში უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაზრდა არა მხოლოდ ერთ რომელიმე რეგიონში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათ შორის, იმ რეგიონებში, სადაც უმცირესობების წარმომადგენლები ძალზედ მცირე რაოდენობით ცხოვრობენ.
- საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდეს შსს წალკის პოლიციის უფროსი ზ. ქეშელაშვილი.

სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლება

ყველაზე თვალსაჩინო პროცესი, რომელიც ქართულ მედიაში 2004 წლის პირველ ნახევარში განვითარდა, რამდენიმე მედიასაშუალების – ტელეკომპანიების (“მე-9 არხი”, “იბერია”), გაზეთების (“მთავარი გაზეთი”, “დილის გაზეთი”, “ახალი ეპოქა”, “ტრიბუნა”), ჟურნალის (“ომეგა”) და საინფორმაციო სააგენტოს (“მედია-ნიუსი”) დახურვა იყო. ეს გადაწყვეტილება თავად მედიაფლობელებმა მიიღეს და ამ პროცესში ხელისუფლების მხრიდან პირდაპირი წნეხის არსებობის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. თუმცა, ტელეკომპანია “იბერიის”, გაზეთ “ახალი ეპოქისა” და ჟურნალ “ომეგას” დახურვას წინ უსწრებდა დიდი ხმაური, რაც გამოიწვია ხელისუფლების მხრიდან მათ საქმიანობაში არაპირდაპირმა ჩარევამ. სამივე საინფორმაციო საშუალება ბიზნეს-ჯგუფ “ომეგას” ეკუთვნოდა, რომელსაც ხელისუფლება სიგარეტის კონტრაბანდაში სდებდა ბრალს.

ამავე დროს, 2004 წლის განმავლობაში მიღებული იქნა ახალი, უაღრესად ლიბერალური კანონმდებლობა, რომელიც სიტყვის თავისუფლების დაცვის მაღალ გარანტიებს ქმნის.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ პირველსავე თვეებში ტელეეკრანებიდან ნელ-ნელა გაქრა პოლიტიკური დებატები და სხვადასხვა ტელეკომპანიამ ერთმანეთის მიყოლებით დახურა პოლიტიკური შინაარსის გადაცემები. დარჩა მხოლოდ საინფორმაციო პროგრამები სამ-ოთხ წუთიანი “რბილი” სიუჟეტებით. ეკრანზე სულ რამდენჯერმე გავიდა გადაცემა “60 წუთი”, ისიც საკმაოდ არამწვავე თემატიკით. ჯგუფი მუშაობს, ქმნის პროდუქციას, რომელიც, ფაქტია, რომ საზოგადოებას არ მიეწოდება.

2004 წლის პირველ ნახევარში პოლიტიკით დაინტერესებულ მაყურებელს შეეძლო ენახა საინფორმაციო გამოშვებები, რომლებიც, ძირითადად, ხელისუფლების საქმიანობას აშუქებდნენ, ხოლო რესპონდენტების სიაშიც ისევ და ისევ ხელისუფლების წარმომადგენლები ჭარბობდნენ. აღმასრულებელი შტო საინფორმაციო ეთერს თავად ავსებდა ინფორმაციით საკუთარი საქმიანობის შესახებ. მაღალი თანამდებობის პირები, პრიუზიდენტიდან დაწყებული, ვთქვათ, ქალაქის პროკურორით დამთავრებული, ხშირად იწვევდნენ პრესკონფერენციებს თუ ბრიფინგებს; მედია კი იყო გამტარი, რომელიც პირდაპირ ეთერში გადასცემდა პრეზიდენტის, მინისტრების, გუბერნატორების, მერებისა თუ პროკურორების მიერ გაურცელებულ ინფორმაციას. საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ იცის, რა ხშირად შეიძლებოდა ტელევიზიით ამგვარი ბრიფინგებისა და პრესკონფერენციების ნახვა რევოლუციის შემდეგ – მრავალი თვის განმავლობაში. ჟურნალისტები თითქმის არასოდეს უბრუნდებოდნენ ასეთ შეხვედრებზე გახმოვანებულ ფაქტებს თუ პოზიციებს. შესაბამისად, საზოგადოებამ იცოდა მხოლოდ ის, რასაც ხელისუფლება ყვებოდა საკუთარ თავზე. ამ ნაამბობის გადამოწმება, კრიტიკული თვალთ გადახედვა, კომენტირება თუ შეფასება, როგორც წესი, ადარ ხდებოდა. მეორე მხრივ, ხელისუფლება პირნათელი რჩებოდა საზოგადოების წინაშე – არ მაღავდა ინფორმაციას, პირიქით, თავად იწვევდა ჟურნალისტებს სასაუბროდ და არც დამატებითი ცნობების მოპოვებას კრძალავდა. ფაქტი კი ის იყო, რომ

ინფორმაციის მიღების ახალ პირობებში პრესა აღარ სარგებლობდა ძველი მეთოდებით, აღარაფერს ეძებდა და აჩვენებდა მხოლოდ იმას, რაც მზამზარეული ფორმით მიეწოდებოდა. ჟურნალისტების ნაწილი აღარც დადიოდა პრესკონფერენციებზე, რადგან ეს პრესკონფერენციები, როგორც წესი, პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა რამდენიმე არხით; მწვავე შეკითხვების დასმის პრაქტიკა კი ახალი ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობიდან თითქმის მთლიანად გამოირიცხა.

ინფორმაციის გენერაციის ახალმა სისტემამ ხელისუფლებას საშუალება მისცა, არა მხოლოდ შეეხსო საინფორმაციო სივრცე, არამედ საზოგადოებრივი აზრი წარემართა იმ მიმართულებით, საითაც თავად მიაჩნდა საჭიროდ. ამ პოლიტიკას საქართველოს ხელისუფლება ქართული მედიის სრული თანხმობითა და თანადგომით ასორციელებდა.

ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა 2004 წლის შემოდგომიდან. კონკურენციამ ტელეკომპანიების მესვეურები აიძულა, ეზრუნათ მაყურებლის მიზიდვაზე. თავიდან ყველა არხზე გაჩნდა სოციალური უღერადობის გადაცემები; მათ დაემატა რამდენიმე იუმორისტული შოუ და შემეცნებითი პროგრამები. ნელ-ნელა მოიმატა პოლიტიკურმა თემატიკამაც. ეკრანს დაუბრუნდა დებატები, კვლავ გამოჩნდნენ პოლიტიკის ექსპერტები და, მეტ-ნაკლებად, გამოჩნდა ოპოზიციური აზრიც. მეორე მხრივ, საინფორმაციო პროგრამებს სიმწვავე არ მომატებია და, ჯერჯერობით, ეთერი ისევ დახურულია ჟურნალისტური გამოძიებისთვის.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია №1415 (2005) მედიის საქმიანობას საქართველოში აფასებს ეპითეტით “თვითცენზურული”. იმავე სიტყვით ახასიათებს ქართული მედიის საქმიანობას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის ყოველწლიურ მოხსენებაში. ამ შეფასებას საქართველოში მოქმედი ჟურნალისტებისა და ქართული მედიასაშუალებების მფლობელების მხრიდან საჯარო პროტესტი არ გამოუწვევია.

რას ნიშნავს “თვითცენზურული” მედია?

რაკი საინფორმაციო პოლიტიკას საქართველოში, არსებითად, ტელეკომპანიები ქმნიან, “თვითცენზურის” ცნებაც, პირველ რიგში, მათ ეხება. წამყვანი ტელეკომპანიების – “იმედის”, “რუსთავი 2-ის” და “მზის” მფლობელებს საუკეთესო ურთიერთობა აქვთ ხელისუფლებასთან. უფრო მეტიც, გარკვეულწილად, ისინი თავად არიან ხელისუფლების ნაწილი. შესაბამისად, ქართულ მედიაში, რომელიც ზედმიწევნით მწვავე იყო შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, 2004 წლიდან სულისკვეთება მთლიანად იცვლება. “თვითცენზურა” ის ტერმინია, რომელიც შემდეგ ვითარებას ასახავს: ხელისუფლება, მედიაორგანიზაციების მფლობელების თანხმობით, ქმნის მისთვის მისაღებ ჩარჩოს, ჟურნალისტები კი, სამსახურის დაკარგვის შიშით, მუშაობენ არა საკუთარი სინდისისა და პროფესიული ეთიკის შესაბამისად, არამედ, წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოს ფარგლებში.

ამ ჩარჩოს არსი შეიძლება წარმოვაჩინოთ პირამიდის ფორმით. პირამიდის წვერზე იმყოფება სახელმწიფოს ლიდერი – პრეზიდენტი; წვერთან ახლოს არის ხელისუფლება; პირამიდის ძირი კი განასახიერებს ქვეყნის მოსახლეობას. “ვარდების რევოლუციის” წინა პერიოდში მაშინდელი ლიდერის – ელუარდ

შევარდნადის ფაქტობრივი თანხმობით, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა დაფინანსების წყარო მთლიანად კორუფციული ბუნების იყო. სწორედ მათ ძალაუფლებას ეყრდნობოდა თავად პრეზიდენტის ძალაუფლებაც. ეს პროცესი ხალხის ხარჯზე მიმდინარეობდა, ხალხი კი პრეზიდენტისთვის დასაყრდენ ძალას არ წარმოადგენდა. რევოლუციის პროცესში ახალი ლიდერი – მიხეილ სააკაშვილი სწორედ ხალხს დაეყრდნო და თავისი ძალაუფლების მთავარ წყაროდ ხალხის თანადგომა გამოაცხადა. რევოლუციის მომდევნო პერიოდში კი ნელ-ნელა გაირკვა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ არჩეულ პრიორიტეტებს – ქვეყნის გამთლიანებას, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის შემომტკიცებას, საზღვრების აღდგენას – სჭირდებოდა ცენტრალიზებული მართვა და ძალისმიერი პოლიტიკა.

შესაბამისად, პოლიტიკურმა ლოგიკამ პრეზიდენტი აიძულა, აქცენტი გაეკეთებინა არა ხალხზე, არამედ, სახელისუფლო ვერტიკალზე. ესე იგი, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მცირერიცხოვან ჯგუფზე. მაგრამ, ძველი დროისგან განსხვავებით, მიხეილ სააკაშვილმა თამაშის ახალი წესები შექმნა: სახელმწიფო თავად აფინანსებს საკუთარ ბიუროკრატებს და თავადვე აკონტროლებს მას. ამ რეალობამ ბუნებრივად მოითხოვა ხელფასების მკვეთრი გაზრდა საჯარო სამსახურების თანამშრომლებისთვის, განსაკუთრებით, მაღალი თანამდებობის პირებისთვის. მოსახლეობის დიდი ნაწილი კი, ფაქტობრივად, ძველი შემოსავლების ამარა დარჩა.

კორუფციასთან ბრძოლის ამგვარმა ტაქტიკამ - მაღალი ხელფასების დანიშვნამ საჯარო სამსახურში და აღმასრულებელი ვერტიკალის მაინცდამაინც “ზემოდან” კონტროლის სურვილმა – შექმნა პოლიტიკური ნება, რომ საზოგადოებას დასუსტებოდა ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები. ამ კონტექსტში მოექცა არასამთავრობო სექტორის დაუძღვრებაც და მედიის მიმართ განხორციელებული “ჩუმი” სახელმწიფო პოლიტიკაც. კერძოდ: 2004 წლის განმავლობაში ეკრანებიდან გაქრა შედარებით ძნელად გასაკონტროლებელი ჟურნალისტების საავტორო გადაცემები თუ კრიტიკული სიუჟეტები, გაქრა მწვავე შეკითხვები და, რაც მთავარია, გაქრა ჟურნალისტური გამოძიება. იყო შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტი პირდაპირი ძალადობის ქვეშ მოექცა (რევაზ ოქრუაშვილი – გორის გაზეთის მთავარი რედაქტორი). მართალია, არც მედიამფლობელები, არც რედაქტორები და არც რიგითი თანამშრომლები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საჯაროდ არ საუბრობენ ხელისუფლების წინაშე, მაგრამ მედიასივრცის ანალიზი ადასტურებს მედიის თავისუფლების ხარისხის შეზღუდვას, რისი მთავარი მიზეზიც სარედექციო დამოუკიდებლობის არარსებობაა.

ედუარდ შევარდნადის მმართველობის პერიოდში, დიაქრონულ (ვერტიკალურ) ჭრილში აშკარად ჩანდა სამი შრე: ხელისუფლება, მედიამფლობელი, ჟურნალისტი. მედიამფლობელი და ჟურნალისტი ქმნიდა ვერტიკალური დაქვემდებარების ერთიან გუნდს, რომელიც ასევე ერთიანად უპირისპირდებოდა ხელისუფლებას. ჟურნალისტი, რაგინდ გაბედული და თამამი, თავს დაცულად გრძნობდა სწორედ მედიამფლობელის მხრიდან. ეს იყო ერთიანი ხედვით გამტკიცებული გუნდი, რომელსაც არ სჭირდებოდა გარანტიების ფორმალიზება ხელშეკრულებით.

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, ზემოთ აღწერილმა ვითარებამ თავისთავად განაპირობა ამ სქემაში კავშირების შეცვლა. დღეს ხელისუფლება

და მედიაფლობელია წარმოადგენილი ვერტიკალური დაქვემდებარების ერთიან გუნდში, ხოლო დიაქრონული ჭრილის მესამე წევრი – ჟურნალისტი არა მხოლოდ მარტოა და დაუცველი, არამედ მოყოლილია ხელისუფლება-მედიაფლობელების ერთიანი ძლიერი წნეხის ქვეშ.

ექსპერტების ჩადრმავებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სიტყვის თავისუფლების კუთხით დღეს ქვეყნის ყველაზე მთავარი პრობლემაა არასამართლებრივი ურთიერთობები, ერთი მხრივ, ხელისუფლებასა და მედიაფლობელებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, მედიაფლობელებსა და დაქირავებულ ჟურნალისტებს შორის. სიმძიმით მეორე პრობლემაა ჟურნალისტების პროფესიონალიზმის დეფიციტი, მესამე კი – ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე. ნიშანდობლივია ერთი ფაქტორი: ექსპერტების უმრავლესობისთვის სიტყვის თავისუფლების დაცვის გზა მაინც მედიასივრცეზე გადის და მხოლოდ მცირე ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლების კეთილი ნების გარეშე სიტყვის თავისუფლების ხარისხი ვერ მოიმატებს. ჩვენს მიერ გამოკითხული ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ ქართველ ჟურნალისტებს სჭირდებათ პროფესიული დონის ამაღლება, მაგრამ რესპონდენტები ისევ და ისევ ჟურნალისტებს ანდობენ სიტყვის თავისუფლების დაცვას და ენერგიულად მოუწოდებენ მეტი აქტიურობისკენ.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი იყო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ წამების საწინააღმდეგო სარეკლამო რგოლების შეზღუდვა. 2004 წლის დეკემბრის თვეში ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა წამების წინააღმდეგ ვიდეორგოლების სატელევიზიო ეთერში გაშვება შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებით აკრძალა. ორგანიზაციის “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის” დაკვეთით დამზადებული ხუთი ვიდეორგოლი ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნით ტელეკომპანიების ეთერიდან მოიხსნა.

ვიდეოკლიპები ეთერში 2004 წლის თებერვლის თვიდან გადიოდა. კლიპების მოხსნასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მსგავსი სარეკლამო რგოლები საზოგადოებაში პოლიციისადმი უნდობლობის სინდრომს აჩენდა. შინაგან საქმეთა მინისტრის იმდროინდელმა მოადგილემ, დავით მუშლაძემ ანტიმონოპოლიური სამსახურისაგან კლიპების ჩვენების შეჩერება მოითხოვა. ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტივებით იხელმძღვანელა და ტელევიზიებს „საკითხის შესწავლამდე“ ვიდეორგოლების შეჩერების მოთხოვნით წერილი გაუგზავნა.

“სამართლებრივი განათლების ასოციაცია “ALPE”-ს მიერ წარდგენილი კლიპისათვის კი სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭებაზე ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა უარი განაცხადა. უარის ძირითადი მიზეზი კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია იყო, რომლის თანახმადაც ვიდეორგოლი თითქოსდა პოლიციის იმიჯს აყენებდა ჩრდილს. სამართლებრივი განათლების ასოციაცია “ALPE”-მ სოციალური რეკლამის სტატუსის მისანიჭებლად ორი ვიდეორგოლი ანტიმონოპოლიურ სამსახურში წარადგინა. კლიპისთვის, რომელიც საზოგადოებას წამების წინააღმდეგ აქტიური მოქმედებებისა და საზოგადოებრივი ზედამხედველობის საბჭოებთან

თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა, ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭებაზე უარი განაცხადა.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის ხელმოწერით “სამართლებრივი განათლების ასოციაცია “ALPE”-მ წერილი მიიღო, სადაც ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელობა საკუთარ უარს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციით ასაბუთებდა და წერილში არცერთი საკუთარი არგუმენტი არ იყო მოყვანილი. წერილში მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია იყო ციტირებული, რომლის თანახმადაც, რგოლი თითქოსდა პოლიციის იმიჯსა და ავტორიტეტს ლახავდა, და შესაბამისად, მისი ეთერში გაშვება მიზანშეუწონელი იყო. ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა წერილი რგოლის დამკვეთი ორგანიზაციის გარდა, ტელევიზიებსაც დაუგზავნა. “სამართლებრივი განათლების ასოციაცია “ALPE”-მ ვითარება მოგვიანებით შეთანხმების საფუძველზე მოაგვარა. კლიპი „გადაამუშავა“, რის შემდეგაც ანტიმონოპოლიური სამსახურიდან სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭებაზე თანხმობა მიიღო.

ამ ყველაფრიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქმე გვაქვს „ინსტიტუციონალურ კრიზისთან“. ანტიმონოპოლიურ სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებით არ უნდა ეხელმძღვანელა. მას თავად უნდა განესაზღვრა, რა სტატუსი მიენიჭებინა კლიპებისთვის.

კანონმდებლობა

საქართველოს კანონი “სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ”

(განმარტება)

საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 24 ივნისს მიიღო კანონი “სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ”. ამ კანონმა ძირფესვიანად შეცვალა ვითარება და შექმნა მყარი საკანონმდებლო გარანტიები ისეთი ლიბერალური ფასეულობის დასამკვიდრებლად, როგორცაა სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლება.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ახალმა კანონმა მოახდინა დეფინიციის (ცილისწამების) დეკრიმინალიზაცია. სისხლის სამართლის კოდექსში აღარ არსებობს შესაბამისი მუხლი (148), რომელიც ცილისწამებისთვის სასჯელს ითვალისწინებდა.

კიდევ ერთი სიახლე ისაა, რომ ძველი კანონისგან განსხვავებით, ახალ კანონში ერთმანეთისგან არის გამიჯნული ფაქტი და აზრი. აზრი განმარტებულია, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, შეხედულებების გამოსატვა ნებისმიერი სახით. ამგვარი ნორმის შემოღებით ქართული კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროსასამართლოს პრედენტულ სამართალს, რომელიც პრაქტიკულად არ ითვალისწინებს რაიმე სახის პასუხისმგებლობას შეფასებითი მსჯელობისთვის (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

მორიგი სიახლე ეხება მოპასუხის განსაზღვრას სასამართლო დავისას. “პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ” ადრე მოქმედი კანონის 25-ე მუხლის თანახმად, ყალბი ცნობების გავრცელებისთვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისა და

ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ თავად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელებს, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) და იმ მასალების ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს კანონი. ახალი კანონის მიხედვით კი ჟურნალისტის სტატიასთან თუ სიუჟეტთან დაკავშირებით წარმოქმნილი სასამართლო დავებისას მოპასუხე მედიის მესაკუთრეა. აღნიშნული პრინციპი გაზიარებული და დამკვიდრებულია ევროპის უმეტეს ქვეყნებში.

შემდეგი სიახლეა კანონის მიერ იმის აღნიშვნა, რომ სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს განცხადება, თუკი ის ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს, ესე იგი, სასამართლო დავის საგანი ვერ იქნება განცხადება, რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული. ძველ კანონმდებლობაში მსგავსი ჩანაწერის არარსებობა მრავალჯერ გამხდარა სასამართლოების მიერ მედიის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამოტანის მიზეზი ისეთ საქმეებზე, სადაც “პატივი და ღირსება შელახული ჰქონდათ” სხვადასხვა სამინისტროსა და სახელმწიფო უწყებას.

მნიშვნელოვან სიახლედ უნდა მივიჩნიოთ სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება. კანონის მიხედვით, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არსებობს სასამართლოში საქმის განხილვისას, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

ადრე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის II ნაწილი მხარეებს შორის მტკიცების ტვირთს შემდეგნაირად ანაწილებდა: მოსარჩელე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა მისი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების აქტი და ასევე ის, რომ გავრცელებული ცნობებით ილახებოდა მისი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია; ხოლო მოპასუხე ვალდებული იყო, დაედანტურებინა მის მიერ გავრცელებული ცნობების ნამდვილობა.

ახალმა კანონმა მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელის მხარეს მოაქცია: სასამართლოში სარჩელის წარდგენისას თავად მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს, რომ:

- 1) მოპასუხის მიერ გავრცელდა სადავო განცხადება;
- 2) სადავო განცხადება ღაზავს მის პატივსა და ღირსებას;
- 3) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს;
- 4) თუ მოსარჩელე საჯარო პირია, მას ეკისრება ვალდებულება,

დაამტკიცოს, რომ მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი; ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის გავრცელება.

როგორც ვხედავთ, ახალი კანონის მიხედვით, არსებობს ორი სახის სტანდარტი, რომელსაც დეფამაციის საქმეებში გამოიყენებენ: კერძო პირისთვის და საჯარო პირისთვის. კერძო პირი კანონით დაცულია, საჯარო მოხელეს კი თმენის ძალიან მაღალი ვალდებულება აქვს (რაც წინა აბზაცის მეოთხე პუნქტიდან მკაფიოდ ჩანს).

ახალი კანონი ითვალისწინებს მნიშვნელოვან სიახლეს ჟურნალისტის მიერ საიდუმლოების გამხელის თვალსაზრისით; სახელდობრ, ნებისმიერი პირი პასუხს

აგებს მხოლოდ იმ საიდუმლოების გამხელისათვის, რომლის დაცვაც მას ევალება სამსახურებრივად. ესე იგი, თუკი ჟურნალისტი მოიპოვებს ინფორმაციას გრიფით “საიდუმლო”, მისი გამოქვეყნების გამო პასუხს აგებს არა ჟურნალისტი, არამედ, ამ ინფორმაციის შენახვაზე პასუხისმგებელი პირი.

ამგვარად, შესაძლებელია ითქვას, რომ ახალი კანონის მიღებით საქართველო მჭიდროდ მიუახლოვდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოს სახელმწიფომ კანონით “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” გამოხატა ნება, რომ ჟურნალისტი თავისი საქმიანობისას გაცილებით დაცული უნდა იყოს, ვიდრე საჯარო მოხელე.

საქართველოს კანონი “მაუწყებლობის შესახებ”

სიტყვის თავისუფლების გარანტიების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მაუწყებლობის სფეროში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია საკანონმდებლო ნოვაცია, მაუწყებლობის სფეროს მარეგულირებელი ახალი კანონის მიღების სახით. 2004 წლის დასასრულს (23 დეკემბერს) საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირებას, რომელიც სრული დამოუკიდებლობით ისარგებლებს პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან და, ამ თვალსაზრისით, მინიჭებული ექნება მძლავრი ფინანსური გარანტიები. პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმირება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა მედია პლურალიზმის უზრუნველყოფისა და მაუწყებლობის სფეროში უმცირესობათა ინტერესების დაცვის კუთხით.

უმცირესობათა ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად ამ კანონით გათვალისწინებული სათემო მაუწყებლობაც, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლობის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობას. სათემო მაუწყებლობა უზრუნველყოფს მომსახურების ზონაში მცხოვრები უმცირესობების შეხედულებათა გაშუქებას.

საქართველოს კანონი “მაუწყებლობის შესახებ” ასევე მიზნად ისახავს მაუწყებლობის სფეროში მომსახურებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, მაუწყებელთა შორის თავისუფალი საკონკურენციო გარემოს სტიმულირებას, აგრეთვე სამაუწყებლო სფეროში ღიაცენზიის მფლობელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების შესაბამისად საქმიანობის, სიხშირული სპექტრის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფას.

კანონით ასევე მოწესრიგებულია მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი ფუნქციები და დამოუკიდებლობის გარანტიები.

ინფორმაციის თავისუფლება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგინოს ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არებობს, აგრეთვე, გაეცნოს ინფორმაციას დედანში... საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.“

ამავე კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად კი, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალობის აუცილებლობამ, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემის მნიშვნელობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ 10 დეკემბრის ანგარიშის წარდგენის ვალდებულება. ანგარიშის წარდგენა ხელს უწყობს საჯარო ინფორმაციის გაცემის ზოგადი სურათის შექმნას სახელმწიფოში. შესაბამისად, პრეზიდენტსა და პარლამენტს შესაძლებლობა ეძლევათ, გარკვეულწილად, მონიტორინგი განახორციელონ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის (ინფორმაციის თავისუფლება) მოთხოვნების შესრულებაზე.

აღსანიშნავია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის სავალდებულო მოთხოვნა ანგარიშის წარდგენის თაობაზე, უმეტეს შემთხვევაში, არ სრულდება საჯარო დაწესებულებების მიერ, წარდგენილი ანგარიშების ნახევარი კი არ პასუხობს კანონით დადგენილ ნორმებს.

სახალხო დამცველის აპარატი, გაეროს ასოციაციის დახმარებით, შეისწავლა 2004 წლის 10 დეკემბრის ანგარიშები, რომლებიც საჯარო დაწესებულებებმა წარუდგინეს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს. აღნიშნული მასალების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვეყოთ რამდენიმე ტიპური დარღვევა:

ანგარიშების უმეტესობაში არ არის მითითებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა. აგრეთვე, ხშირ შემთხვევაში არ სრულდება ამავე კოდექსის „გ“ პუნქტი, ე.ი. არ ხდება ანგარიშში საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე ინფორმაციის ასახვა. ზოგიერთ შემთხვევაში, ანგარიშში საერთოდ არ არის მითითებული მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის

შინაარსი. არის კონკრეტული მაგალითები, როდესაც საჯარო დაწესებულების თანამშრომელთათვის იმდენად გაუგებარია 49-ე მუხლის მოთხოვნები, რომ საკუთარი მონაცემების ანალიზის ნაცვლად, ისინი პირდაპირ იწერენ გაეროს ასოციაციის სანიმუშო მითითებას ანგარიშის ბოლოს შემაჯამებელი კომენტარის გაკეთების თაობაზე (მაგ. ქ. ფოთის ადგილობრივი მმართველობის საქალაქო მეურნეობის სამსახურის 2004 წლის 10 დეკემბრის ანგარიში; გარდაბნის რაიონის ერთ-ერთი სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს 2004 წლის 10 დეკემბრის ანგარიში და სხვ.). გარდა ამისა, ბევრი დაწესებულების მიერ ანგარიშის წარდგენა ხდება მხოლოდ პრეზიდენტისთვის ან მხოლოდ პარლამენტისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს ანგარიშის წარდგენას ორივე მათგანისათვის.

სახალხო დამცველისა და მისი აპარატის ნორმალური ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანესი ხელისშემშლელი ფაქტორია სახალხო დამცველის მიერ სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი ინფორმაციის, მასალების, საბუთებისა და სხვა დოკუმენტების გადმოცემის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნების აშკარა და ცინიკური უგულებელყოფა, ან ისეთი დაგვიანებით მოწოდება, რომელიც არა მხოლოდ აფერხებს, არამედ ხშირად აპარატის საქმიანობის პარალიზების მიზეზი ხდება. სახალხო დამცველისადმი ხელის შეშლით უხეშად ირღვევა საქართველოს კონსტიტუცია და კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნები.

საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მოვიყვანო მხოლოდ ერთს, რომელიც ნათლად ასახავს პრობლემას: გასული წლის 10-11 ნოემბერს თბილისის ყველა შს სამმართველოსა და რაიგანყოფილებას, ასევე ყველა პროკურატურას, დაეგზავნა ჩვენი წერილები მოთხოვნით – მოეწოდებინათ ინფორმაცია იმ პირთა პრეტენზიების შესახებ, რომელთაც აღენიშნებოდათ სხეულის დაზიანება. მაგალითად, თბილისის გლდანი-ნაძალადევის პროკურატურაში გაიგზავნა 45 წერილი, დღემდე მხოლოდ 23 წერილზე მივიღეთ პასუხი, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში გაიგზავნა 57 წერილი, პასუხი არც ერთზე არ მიგვიღია, ისანი-სამგორის პროკურატურაში გაიგზავნა 76 წერილი, პასუხი მხოლოდ 9 წერილზე მივიღეთ, ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში გაიგზავნა 8 წერილი, მივიღეთ მხოლოდ 3 წერილი და ა. შ. (იხ. ცხრილი)

	გასული წერილების რაოდენობა	შემოსული პასუხების რაოდენობა
გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა	45	23
გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველო	10	10
ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა	57	0
ვაკე-საბურთალოს შს სამმართველო	8	3
ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურა	76	9

ისანი-სამგორის შს სამმართველო	10	9
მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურა	28	28
დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა	43	34
დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველო	6	3
ჯამი	283	119

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა აღინიშნებოდა რეგიონებიდან გადმოგზავნილ წერილებზე. ასეთივე მნიშვნელოვანი ხარვეზებია მოქალაქეთა განცხადებების განხილვის დროს ჩვენი აპარატიდან გაგზავნილი წერილების პასუხებთან დაკავშირებითაც.

მოქალაქეთა ის განცხადებები, რომელთა რეგისტრაციაში გატარება-არგატარების საკითხი განმცხადებელთათვის უცნობია

საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებაა, მიმართოს საჯარო დაწესებულებას მისი სურვილის შესაბამისად. საჯარო მოხელეები კი ვალდებული არიან, რეაგირება მოახდინონ კანონით დადგენილ ფარგლებში მოქალაქეთა განცხადებებზე. იმის გარკვევა, რამდენად ობიექტურია და რამდენად ექვემდებარება კონტროლს იმ თანამდებობის პირთა მოქმედება, რომლებსაც მოქალაქეთა მიმართების უგულებელყოფის შესაძლებლობა აქვთ, ადვილია. კონტროლს რომ დაექვემდებაროს ყველა საჩივარი, საჭიროა, თითოეულმა მათგანმა რეგისტრაცია გაიაროს და მოქალაქეს მიეცეს საკუთარი განცხადების რეგისტრაციის ნომერი. დაგვიანების შემთხვევაში, მოქალაქეს საშუალება ექნება, მოიძიოს და პასუხი მოითხოვოს საკუთარ განცხადებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მოვიდა არაერთი მოქალაქე, რომლებიც ითხოვნენ რეაგირებას იმ განცხადებებზე, რომლითაც მათ სახელმწიფო ორგანიზაციებს წერილობით მიმართეს. ისეთი საჩივრები, რომლებიც დაწესებულების კანცელარიაში რეგისტრაციას გაივლის, კონტროლირებადია და მათი დაკარგვის ან რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში, არის შესაძლებლობა, მოიძებნოს დამნაშავე და დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი. რთულია განცხადების მოძიება, როცა განმცხადებლისთვის უცნობია მისი რეგისტრაციის ნომერი. ასეთ შემთხვევებს ადვილი აქვს მაშინ, როდესაც მოქალაქეებს განცხადებების დატოვება უხდებათ ეგრეთ წოდებულ „საჩივრების ყუთებში“. სწორედ ამ მომენტიდან უნდა დაიწყოს თანამდებობის პირებს იმის შესაძლებლობა, რომ თავი აარიდონ მათთვის არასასურველ განცხადებებს. იმის დამტკიცება, რომ მოქალაქემ მათ მიმართა, თითქმის შეუძლებელია, თუ თანამდებობის პირს მიმართვის უგულებელყოფის სურვილი გაუჩნდება.

სამწუხაროა, რომ ასეთ „საჩივრის ყუთებს“ ვხვდებით სწორედ ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც კანონის ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულების მაგალითს უნდა უჩვენებდნენ სხვა დაწესებულებებს. ასეთი დაწესებულებებია საქართველოს გენერალური პროკურატურა, ქ.თბილისის პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველო, სახელმწიფო კანცელარია, ქ.თბილისის მერია და სხვ.

ქ.თბილისის მერიაში არის მოქალაქეთა მისაღები, სადაც მისული მოქალაქე ტოვებს განცხადებას. მისთვის საერთოდ უცნობია, თუ სად წავა განცხადება და ვინ არის პასუხისმგებელი მის შესრულებაზე. მისი განხილვის შედეგების გასაცნობად კი კიდევ ერთხელ მოუწევს მისვლა 10 დღის შემდეგ.

აღსანიშნავია ასევე ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მაგალითი, სადაც ოფიციალურად მუშაობს კანცელარია, მაგრამ მათი მხრიდან ადგილი ქონდა შეგნებულად მოქალაქეთა განცხადების მიღებაზე უარის თქმის უამრავ შემთხვევას. ეს ფაქტი თავად გამგებელის მოადგილემ (ნ.ლაცაბიძე) სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში დაადასტურა. მისი განმარტებით, მოქალაქეთა განცხადებების მიღებაზე აურის თქმის საფუძველი მათი ურიცხვი რაოდენობა იყო.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში კი ასეთი ფაქტი მოხდა: იმ ოთახისთვის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, სადაც საჩივრის ყუთი იდგა, ამ ყუთის აღება მოჰყვა და მოქალაქეებს აღარ გააჩნდათ გენერალური პროკურატურისთვის მიმართვის შესაძლებლობა.

ყუთების მრავალფეროვნებას ვაწყდებით სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც ყველა უწყებას თავისი ყუთი აქვს და შესაბამისად წერილის ადრესატის მიხედვით მოქალაქეებს უხდებათ სათანადო ყუთის არჩევა. ხოლო განცხადების განხილვის შედეგის გასაცნობად კი კვლავ უნდა მიმართონ ერთი კვირის შემდეგ.

რეკომენდაციები

იმისთვის, რომ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი 10 დეკემბრის ანგარიშის ფორმა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- ანგარიშების ერთიანი მოდელის შემოღება, რაც აღმოფხვრის ყველა გაუგებრობას მის შინაარსთან დაკავშირებით. საჭიროა მოხდეს ანგარიშის ერთიანი მოდელით ყველა საჯარო დაწესებულების უზრუნველყოფა. ეს, შესაბამისად, გაზრდის საჯარო დაწესებულების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას, შეახსენებს მათ 10 დეკემბრის ანგარიშისა და ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.
- მნიშვნელოვანია, რომ იმ საჯარო დაწესებულებების თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც არღვევენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნებს, გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის მკაცრი ზომები. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საჯარო დაწესებულებების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის წესების ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულებას.
- უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, არამედ თვით პარლამენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უნდა განისაზღვრონ მოხელეები, რომლებიც განახორციელებენ საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის თავისუფლების შესრულებაზე მიმდინარე მონიტორინგს.

გადაადგილების თავისუფლება

2004 წლის ოქტომბრის თვეში რუსეთის ფედერაციამ გადააკეტა საქართველო-რუსეთის მთავარი, ლეგიტიმური საზღვარი – ლარსის გასასვლელი. ამიტომაც, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გავლით რუსეთში მიდიოდნენ ან პირიქით, იძულებულნი გახდნენ ესარგებლათ როკის გვირაბით, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ეს ფაქტი მიუღებელი იყო საქართველოს ხელისუფლებისათვის, რადგან ის ვერ აკონტროლებს აღნიშნულ ტერიტორიას. კვხვთან არ არის სასაზღვრო პუნქტი, რადგან ოფიციალური საზღვარი არის როკთან და არა კვხვთან. თუმცა, სანამ ლარსის საზღვარი გაიხსნებოდა, მოქალაქეები იძულებული იყვნენ, ესარგებლათ კვხვის გავლითი გზით.

30 ოქტომბერს, მაშინ, როცა ლარსის საზღვარი უკვე გახსნილი იყო, რუსეთიდან როკის გვირაბით საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა 5 ავტობუსი, რომელთაც მოაცილებდნენ რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული (ქირინოვსკის) პარტიის წარმომადგენლები. ავტობუსებში, სხვებთან ერთად, იმყოფებოდა 60-მდე რუსეთიდან დეპორტირებული მოქალაქე. ამ ადამიანთა დეპორტაცია რუსეთიდან სწორედ აღნიშნული პარტიის ინიციატივით მოხდა.

“როკის” გზით მგზავრობა არ გაუპროტესტებიათ ავტობუსების მძღოლებს, ვინაიდან რუსეთში წასვლისას მათ სწორედ ამ გზით ისარგებლეს და უკანა გზაზე გართულებებს არ ელოდნენ. მართლაც, მათ უპრობლემოდ გაიარეს გზა როკის გვირაბიდან სოფელ კვხამდე. აქ ისინი გააჩერეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, მოსთხოვეს უკან გაბრუნება და კანონიერი გზით - ლარსის მხრიდან შემოსვლა. ამ მოთხოვნას ხელისუფლების მხრიდან ყველაზე ხმამაღლა ახმოვანებდა პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქარელი.

ეს იყო უკანონო და ანტიკონსტიტუციური მოთხოვნა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 22 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: “ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში;” კონსტიტუციის 13-ე მუხლის მე-3 პუნქტი კი აცხადებს, რომ “საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია“, ხოლო იმავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, “საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ეს ქმედება ეწინააღმდეგება, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №4 ოქმს. კერძოდ, მისი მე-2 მუხლი მიმოსვლის თავისუფლების შესახებ პირდაპირ აცხადებს, რომ “ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიაზე მიმოსვლის და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება“, მე-3 მუხლი კი კრძალავს მოქალაქეთა გაძევებას, შემდეგი ფორმულირებით: “არავინ შეიძლება გაძევებული

იქნას ინდივიდუალური ან კოლექტიური ღონისძიებით იმ ქვეყნის ტერიტორიიდან, რომლის მოქალაქეც ის არის“.

კეხვში შეჩერებული მგზავრების უკან გაბრუნება შეუძლებელიც იყო, ვინაიდან იქ მყოფთა ნაწილს ამოწურული ჰქონდა ვიზის ვადა, ნაწილი დეპორტირებული იყო, ხოლო მგზავრთა ნაწილს შეადგენდნენ ავადმყოფები და დედები ძუძუმწოვარა ბავშვებით.

ამ ამბავს შეესწრო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე და პირველი რეაქციაც სწორედ მას ჰქონდა. როცა პარლამენტარმა ვერაფერი გააწყო, დაუკავშირდა სახალხო დამცველს, რომელიც მაშინვე ინციდენტის ადგილისაკენ გაემშურა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მედიაში სრული ვაკუუმი არსებობდა. ჟურნალისტები არ ფლობდნენ სწორ ინფორმაციას, რადგან მათ კეხვამდე არ უშვებდნენ. სახალხო დამცველმა ისინი მანქანაში ჩაისვა და მათთან ერთად, შემოვლითი გზით, ცდილობდა ჩასულიყო შემთხვევის ადგილზე. ქართულ სოფლებთან მიახლოებისას, ადგილობრივმა სამართალდამცავებმა სცადეს, ხელი შეეშალათ მისი გადაადგილებისათვის აღნიშნულ ტერიტორიაზე. ეს იყო აბსოლუტურად უკანონო ქმედება და ეწინააღმდეგებოდა ორგანულ კანონს “სახალხო დამცველის შესახებ.” პოლიციელები დაუინებით მოითხოვდნენ, რომ ინციდენტის ზონაში არ შესულიყვნენ ჟურნალისტები.

სახალხო დამცველის პრინციპული პოზიციის შემდეგ, სამართალდამცავებმა ჯგუფს გადაადგილების ნება დართეს.

ხელისუფლება სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ავტობუსის მგზავრების აღნიშნული მარშრუტით გამგზავრებას. მიხეილ ქარელმა სპეციალური პრესკონფერენციაც კი მოიწვია, სადაც მან უსაფუძვლო ბრალდებები წაუყენა სახალხო დამცველს. მიუხედავად ასეთი ზეწოლისა, მას ინციდენტის ადგილი არ დაუტოვებია. სოზარ სუბარი 2 დღე-ღამის განმავლობაში ხალხთან ერთად იმყოფებოდა ღია ცის ქვეშ.

პირველივე წუთიდან სახალხო დამცველის პოზიცია იყო შემდეგი: ამ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, არ დაურღვევათ კანონი. და თუ დაარღვიეს, ხელისუფლებამ უნდა შეიყვანოს ისინი თავის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე და იქ გაასამართლოს. მათი დატოვება იმ ტერიტორიაზე, სადაც მათ სიცოცხლის საფრთხე ემუქრება, უკანონო და ანტიკონსტიტუციურია.

2 ნოემბერს მოქალაქეები გამოყვანილ იქნენ კონფლიქტის ზონიდან და ისინი დროებით დააბინავეს გორის საბაჟო ტერმინალში, სადაც სახალხო დამცველის აპარატმა თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების საქალაქო სამსახურთან ერთად ჩაიტანა პირველადი ჰუმანიტარული დახმარება მედიკამენტებისა და საკვები საშუალებების სახით.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება. ეს ძირითადი უფლება მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლში, რომელიც სამი პუნქტისაგან შედგება:

“1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.”

2004 წელს მიტინგებისა და მანიფესტაციების თავისუფლება არაერთხელ დაირღვა. ამ თემასთან დაკავშირებით ბუნებრივად იკვეთება კანონდარღვევათა ორი მიმართულება: ერთი მხრივ, აჭარის მოვლენები წლის დასაწყისში და, მეორე მხრივ, წლის განმავლობაში მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი ფაქტები. ამჯერად ყურადღებას ნაკლებად გავამახვილებთ აჭარაში შეკრებების და მანიფესტაციების თავისუფლების შეზღუდვაზე, რადგან ეს მოვლენა ასლან აბაშიძის რეჟიმს უკავშირდებოდა და წარსულში დარჩა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მაშინდელი დარღვევები ნებისმიერი წინა პერიოდის დარღვევებთან შედარებითაც კი გაცილებით მწვავე იყო: დაპატიმრება, ცემა, დარბევა – 2004 წლის პირველ თვეებში აჭარაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მაგალითისთვის გავიხსენებთ მხოლოდ ორ შემთხვევას.

20 თებერვალს ბათუმში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის - ვალტერ შვიმერის ვიზიტის დროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, უშიშროების სამინისტროსა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ შექმნილმა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა სასტიკად დაარბიეს გაერთიანებული ოპოზიციისა და მოძრაობა “კმარას” მიერ მოწყობილი საპროტესტო აქცია. დაიჭრა ერთი ადამიანი, ხოლო ათეულობით მშვიდობიანმა დემონსტრანტმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო. ასევე დარბეულ იქნა ოპოზიციისა და “კმარას” ოფისები. სასტიკად ცემეს “კმარას” აქტივისტები მინდია სიხარულიძე, ჯანო რიუვაძე, გიორგი ჩარკვიანი, თამარ გობრონიძე, ავთო ბერიძე, ნოდარ დუმბაძე, ირაკლი ჩხეტია და სხვები.

23 მარტს 23 წლის ასლან ირემაძე, რომელიც „კმარას“ ქობულეთის ჯგუფის აქტიური წევრია, ბათუმში ჩავიდა. იგი იმყოფებოდა წერეთლის ქუჩაზე, როდესაც თავს დაახლოებით 7-8 ადამიანი დაესხა. „კმარელია და მოკალით,” - მოესმა ასლან ირემაძეს. როდესაც მან გაქცევა სცადა, გულის არეში ერთი და ზურგში სამი ჭრილობა მიაყენეს, შემდეგ კი თავდამსხმელებმა ირემაძე ქუჩაში დატოვეს.

2004 წლის განმავლობაში არაერთხელ დაირღვა მიტინგებისა და მანიფესტაციების თავისუფლება ახალი ხელისუფლების მხრიდანაც. ჯერ კიდევ 11 იანვარს პოლიციამ ძალის გადაჭარბებული გამოყენებით სასტიკად დაარბია მიტინგები თერჯოლასა და რუსთავში. თერჯოლაში მომიტინგეებს გადაკეტილი ჰქონდათ ცენტრალური ტრასა, რაც ხელისუფლებას აძლევდა კანონიერ საფუძველს, გაეხსნა გზა; მით უმეტეს, როცა ტრასის გადაკეტვა მოხდა კანონის გვერდის ავლით – წინასწარი შეტყობინების გარეშე. მაგრამ ის სისასტიკე, რაც გამოიყენა პოლიციამ, აბსოლუტურად არაადეკვატური იყო, იმის გათვალისწინებით, რომ მომიტინგეებს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. გზის გახსნის შემდეგ პოლიციელები აქციის მონაწილეებს თუ შემთხვევით გამვლელებს სოფლის ორღობეებსა თუ ყანებში დასდევდნენ და სასტიკად ცემდნენ მათ ხელკეტებით, მუშტებითა და ფეხით. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება კიდევ მეტად დაარღვია სამართალდამცავი ორგანოების შემდგომმა მოქმედებამ, როცა ამ აქციაში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულ იქნა 7 ადამიანი, რომლებსაც შემდგომში ქუთაისის საქალაქო და ტყიბულის რაიონულმა სასამართლოებმა სსსკ 226-ე მუხლზე დაყრდნობით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით – 6 თვიდან 2 წლამდე, ხოლო ერთ-ერთი მონაწილე სასამართლომ 4 000 ლარით დააჯარიმა (სსსკ 226-ე მუხლი: “ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან, ან რამაც ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება გამოიწვია, აგრეთვე ასეთ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით”).

2004 წლის 1 ივლისს პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმმა თბილისის მერიის წინ განსაკუთრებული სისასტიკით დაარბია მიწისძვრით დაზარალებული მოქალაქეების მშვიდობიანი მანიფესტაცია. მიტინგის რამდენიმე მონაწილემ სერიოზული დაზიანება მიიღო, მაგრამ ამ უკანონო დარბევის გამო დღემდე არავინ დასჯილა – არც უშუალო შემსრულებლები და არც დარბევის ბრძანების გამცემი. დარბევას უშუალოდ ხელმძღვანელობდა სპეცნაზის უფროსი თემურ მღებრიშვილი, ხოლო დარბევა გაამართლა თბილისის პოლიციის მაშინდელმა უფროსმა ირაკლი კლდიაშვილმა.

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების შეზღუდვის ტრადიცია 2005 წელსაც გაგრძელდა. კერძოდ, 19 თებერვალს ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებმა რამდენიმე ადგილზე გადაკეტეს საავტომობილო გზა. ისინი ითხოვდნენ თსუ ახალციხის ფილიალის დაპატიმრებული რექტორის მერაბ ბერიძის გათავისუფლებას. პოლიციას არც კი უცდია გზის გახსნა. მაგრამ მეორე დღეს, 20 თებერვალს, დილას ათამდე სტუდენტი საკუთარი სახლებიდან აიყვანეს. სახალხო დამცველის ჩარევით, სტუდენტები დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს, თუმცა, მოგვიანებით მათ წინააღმდეგ მაინც გამოიყენეს ადმინისტრაციული სახდელები და ახალციხის სასამართლომ 11 სტუდენტი 15-15 ლარით დააჯარიმა. სტუდენტების მოქმედება არ გასცდენია კანონითა და კონსტიტუციით განსაზღვრულ მიტინგებისა და მანიფესტაციების თავისუფლების

ჩარჩოს; ხოლო პოლიციის მოქმედება, ისევე, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება, ამ თავისუფლების შელახვის სერიოზული პრეცედენტია.

რეკომენდაციები

გამოძიებულ იქნას და დაისაჯონ მერიის წინ მომხდარი დარბევის უშუალო შემსრულებლები (მათ შორის სპეცრაზმის მეთაური თემურ მღებრიშვილი) და დაბკვეთი.

გამოძიებულ იქნას და დაისაჯონ თერჯოლაში მომხდარი დარბევის უშუალო შემსრულებლები, რომლებმაც გადააჭარბეს საკუთარ უფლებამოსილებას.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

საქართველოს სახელმწიფომ ივალდებულა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და მათი კეთილდღეობის ამაღლება. მაგრამ ამ ვალდებულებების რეალიზაცია საკმარისად ეფექტურად არ მიმდინარეობს. 2004 წელს საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის 139,5 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლისათვის - 122,4 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახისათვის 242,6 ლარი. ნორმატიული ხელფასი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საარსებო მინიმუმს.

შრომითი უფლებები

სხვადასხვა მონაცემებით, 700000-დან 1000000-მდე საქართველოს მოქალაქე წავიდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ არალეგალურად დასაქმების მიზნით. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ბოლო ოთხი წლის მანძილზე ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 232 ათასი კაცით შემცირდა. კერძოდ, დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობა შემცირდა 120 ათასით. მათ შორის, 90%-ზე მეტი სახელმწიფო სექტორის (70000 კაცი) და არასახელმწიფო საკუთრების (48000 კაცი) საწარმოებში მუშაობდა.

აღნიშნული პრობლემის გადრმავებას ხელი შეუწყო 2004 წელს ქვეყნის მმართველობით ორგანოებში, სამინისტროებსა და უწყებებში სტრუქტურული ცვლილებების, ოპტიმიზაციისა და ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის პროცესმა, რომლის შედეგადაც გამოთავისუფლებულთა რაოდენობა, არაზუსტი მონაცემებით, რამდენიმე ათეულ ათას კაცს აღწევს და ეს ტენდენცია კვლავ გრძელდება.

რეფორმები, რომელთა ორგანული ნაწილია ამა თუ იმ უწყების რეორგანიზაცია, უაღრესად საჭირო და უაღტერნატივო პროცესია. მაგრამ სახელმწიფოს უნდა გაეთვალისწინებინა რეფორმების შედეგად უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეების რაოდენობა, ამჟამინდელი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივა. შესაბამისად, ხელისუფლებას უნდა მოეხდინა საგადახადო სისტემის გაცილებით მეტი ლიბერალიზაცია, რათა დასაქმების რეალური შანსი მიეცა უმუშევრად დარჩენილი ათი ათასობით ადამიანისთვის.

იზრდება მოსახლეობის უკმაყოფილება მოხმარებული გაზის გადასახადის დავალიანების შესახებ სს „თბილგაზი“-დან მიღებული ქვითრების გამო.

საკითხის შესწავლისას გაირკვა, რომ სს „თბილგაზი“-ს თანამშრომლები ამის მიზეზად ასახელებენ კომპიუტერიდან მიღებულ არასწორ ინფორმაციას. მოქალაქეებს აწერინებენ განცხადებებს, რომ მოხმარებული გაზის გადასახადის დავალიანება არ შეესაბამება სიმართლეს და ამას, როგორც წესი, რეაგირება აღარ მოჰყვება.

შრომის კანონმდებლობის დაცვა

მშრომელთა სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვას ითვალისწინებს შრომის კანონთა კოდექსი, კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ და საერთაშორისო ნორმატიული აქტები. 2004 წელს შრომით უფლებებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 300-მდე განცხადება-საჩივარი, ანუ განცხადებათა სრული რაოდენობის 10,5 პროცენტი. საჩივრების საფუძველზე არაერთი დარღვევის ფაქტი გამოვლინდა. მაგალითად, აღსანიშნავია გაზეთ შპს „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტის ლეილა კოშკაძის მიმართ დარღვეული შრომითი სამართლის უფლებები. საქმის შესწავლის შედეგად, ჯერ კიდევ ყოფილმა სახალხო დამცველმა ნანა დევედარიანმა დასკვნა და რეკომენდაცია გაუგზავნა შპს „საქართველოს რესპუბლიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, გაზეთის მთავარ რედაქტორს ა. სანებლიძეს. რეკომენდაცია ითვალისწინებდა ლ. კოშკაძის დარღვეული შრომითი უფლებების აღდგენას. მაგრამ, ნაცვლად კანონიერების დაცვისა, მოხდა პირიქით და 2003 წლის 13 ივნისს (№02/30) გაზეთის დირექტორებმა გ. გოგიაშვილმა და ბ. გულიაშვილმა ჩათვალეს, რომ „სახალხო დამცველის მიერ მომზადებული დასკვნა არ ასახავდა ობიექტურ სინამდვილეს, იყო ცილისმწამებლური და სამართლებრივად უსაფუძვლო“. არადა, ქ-ნ ლ. კოშკაძის დარღვეული შრომითი უფლებები სასამართლო ორგანოებმაც დაადასტურეს. კერძოდ, ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 2003 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. კოშკაძის მოთხოვნა დააკმაყოფილა და იგი დაშვებულ იქნა შპს „გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ მიმომხილველის თანამდებობაზე იძულებითი განაცდლური ხელფასის ანაზღაურებით (თვეში 170 ლარი), 2003 წლის 1 აპრილიდან სამუშაოზე დაშვებამდე. რაიონის სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებულ იქნა, თუმცა ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 12 მარტის განჩინებით, უცვლელი დარჩა, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2004 წლის 8 ოქტომბრის № ას-514-794-04 განჩინებითაც ძალაში დატოვა. სასამართლო სრულიად სამართლიანად მოიქცა, როცა ლ. კოშკაძის უფლებები აღადგინა. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, თუმცა, გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა. შესაბამისად, სახალხო დამცველი აპირებს, ამ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურის ორგანოებს მიმართოს.

ნიშანდობლივ შემთხვევათა რიგს მიეკუთვნება მოქალაქე ლ. კვეკვესკირის დარღვეული შრომითი უფლებები. საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრის მ. გოგიაშვილის 2003 წლის 25 ივლისის №477-კ ბრძანებით ქ. რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა ლ. კვეკვესკირი, სადაც იგი მუშაობდა 2004 წლის 30 აგვისტომდე. დანიშნვა განხორციელდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად. თუმცა, პიროვნების ბრძოლას თავისი უფლებების დასაცავად უკვალოდ არ ჩაუვლია და მის მიმართ განხორციელდა დევნა. ამის შესახებ არგუმენტირებული რეკომენდაციით მიემართეთ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეს დ. გაღვებაშვილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ზ. ნოლაიდელს და საქართველოს პრემიერმინისტრს ზ. უვანიას. თუმცა,

დეპარტამენტმა სრულიად უსაფუძვლოდ ჩათვალა, რომ ლ. კვეკვესკირის გათავისუფლება შტატების შემცირების მოტივით კანონიერი იყო. ამის შემდეგ, ლ. კვეკვესკირმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული მოსამართლის 2004 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებითა და განჩინებით, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ზ. ნოღაიძელის 2004 წლის 30 აგვისტოს №1550 ბრძანება და ლ. კვეკვესკირი დაუყოვნებლივ უნდა აღდგენილიყო იმ თანამდებობაზე, საიდანაც კანონდარღვევით გათავისუფლდა. მიუხედავად ამისა, ყოფილმა მინისტრმა ზ. ნოღაიძელმა არ აღასრულა სასამართლო გადაწყვეტილება. მან თავისი ქმედებით კანონის მოთხოვნის სრული იგნორირება მოახდინა. კანონიერების აღდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახალი მინისტრის ვ. ჩხეჭელაშვილის დანიშვნის შემდეგ. დღეს ლ. კვეკვესკირის კონსტიტუციური უფლება აღდგენილია.

სახალხო დამცველის ოფისს განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების ოფიცერ-პროგრამისტმა ნანა ცინდელიანმა, ხუთი შვილის დედამ. მან მოგვმართა სამსახურიდან მოსალოდნელ გათავისუფლებასთან დაკავშირებით და ითხოვა დახმარება, რომ არ დარღვეულიყო მისი შრომითი უფლებები. მოძიებული დოკუმენტური მასალით გაირკვა, რომ განმცხადებელს სამი ტყუპი ვაჟი შეეძინა 2002 წლის 7 მაისს. უწყებაში, სადაც ნ. ცინდელიანი მუშაობს, საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის 2004 წლის 27 დეკემბრის №616 ბრძანებულებით განხორციელდა რეორგანიზაცია და სამსახური, არსებული საშტატო რიცხოვნობით, შეუერთდა თავდაცვის სამინისტროს. შინაგან ჯარში ოფიცერთა შრომითი უფლებების დაცვა გარანტირებულია შრომის კანონთა კოდექსით. კერძოდ, კოდექსის 159-ე და 161-ე მუხლები უშუალოდ არის დაკავშირებული ფესმძიმობასთან და დედობასთან. ეს ნორმები აღგენს შრომის მსუბუქ პირობებს, დამატებით შეღავათებს ანდა დამატებით გარანტიებს ქალთა სამუშაოზე მიღებისას ან სამუშაოდან გათავისუფლებისას. უფრო მეტიც, მშობიარობის შემდეგ ქალებს ეძლევათ დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსაველეად, ვიდრე ის მიაღწევდეს სამი წლის ასაკს და შვებულების განმავლობაში დედას ენახება სამუშაო ადგილი (თანამდებობა). ადმინისტრაციას კანონით უფლება არ აქვს, საკუთარი ინიციატივით დაითხოვოს მუშაკი სამსახურიდან, თუკი მას ჰყავს სამ წლამდე ასაკის ბავშვი. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი საუბარია არა ერთ, არამედ სამ ახალშობილზე. დათხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხორციელდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაცია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ადმინისტრაცია ვალდებულია, უზრუნველყოს მუშაკის შრომითი მოწყობა. არადა, როგორც აღინიშნა „საქართველოს სამხედრო ძალებში სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით, შინაგან ჯარში განხორციელდა რეორგანიზაცია (პუნქტი 1) და მოხდა თავდაცვის სამინისტროსთან შერწყმა. ასეთ შემთხვევაში, რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მუშაკის გასათავისუფლებლად, რადგან ადმინისტრაცია ვალდებულია, მუშაკს შეთსავაზოს იმავე ორგანიზაციაში სხვა თანამდებობა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 96-ე და 97-ე მუხლები). მოქმედი კანონმდებლობის ასეთი მოთხოვნების მიუხედავად, როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, მას შინაგანი ჯარების კადრების სამმართველოში განუმარტეს, რომ მოსალოდნელია მისი გათავისუფლება დაკავებული

თანამდებობიდან შტატების შემცირების საფუძველზე, იმის მიუხედავად, რომ ნ. ცინდელიანი 2005 წლის 9 ივნისამდე იმყოფება დეკრეტულ შვებულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის უფლებამოსილების ფარგლებში, წინადადების სახით ვთხოვეთ საქართველოს თავდაცვის მინისტრს (ი.ოქრუაშვილი), აგრეთვე, საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრს (ვ.მერაბიშვილი), რომ მიეღოთ სათანადო ზომები ქალ. ნ. ცინდელიანის შრომითი უფლებების დასაცავად.

ცალკე აღსანიშნავია, რომ სამსახურებრივი პრობლემები არც იმ ადამიანებისთვის არის უცხო, რომლებიც დასაქმებული არიან. შრომის დაცვის წესების უგულვებელყოფის შედეგად, არცთუ იშვიათად, ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს. კერძოდ, უბედური შემთხვევები დაფიქსირდა: თბილისის სს „ეი-ი-ეს თელასში;“ შპს „თბილავიამშენში;“ თბილისის 62-ე ბაგა-ბაღში, თბილისის იზოტოპების ინსტიტუტში, სს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქუთაისის საწარმოში, სს „ჭიათურმანგანუმში;“ სს „აზოტში;“ სს ზესტაფონის „ფეროშენადნობთა ქარხანაში;“ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მთელ რიგ საწარმოებში და სხვა. მძიმე ტრავმული და სასიკვდილო შემთხვევის დაშვებისათვის 70 პასუხისმგებელ პირს დაედო მკაცრი დისციპლინური სასჯელი, 18 მუშაკი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო 10 მუშაკის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. საწარმოო ტრავმატიზმის არსებული მდგომარეობას მრავალი მიზეზი აქვს: შრომის უსაფრთხო მუშაობის სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ფორმალური ხასიათი, შრომის დაცვის ღონისძიებების დაუფინანსებლობა, შრომის დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესრულებაზე არაადაპტაციული კონტროლი. 2004 წლის 2 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა ოფიციალურად მიმართა შპს „საქართველოს რკინიგზის“ თავმჯდომარეს დავით ონოფრიშვილს, რომ სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს დამამზადებელი საამქროს ხარატს, მოქ. ზ.ივანიძეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2004 წლის 6 აგვისტოს დასკვნით, საწარმოო ტრავმა მიღებული აქვს უსაფრთხოების დებულების მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო. დაზარალებულს მიაჩნია, რომ რკინიგზის საავადმყოფოს ექიმ-სპეციალისტებმა მას სრულფასოვანი სამედიცინო გამოკვლევა არ ჩაუტარეს. მიუხედავად მოქალაქის მრავალი მიმართვისა და ჩვენი მოთხოვნისა, რომ ემსჯელათ ამ საკითხზე, აღნიშნულ ორგანიზაციაში პრობლემა დღემდე არ განხილულა.

საკუთრების უფლების დაცვა

2004 წლის განმავლობაში სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის ურთიერთობა ძალზე რთულად წარიმართა. ამის ნიმუშად მოვიყვანთ გორის რაიონის გამგეობისთვის “ნაჩუქარი” ქონების მაგალითს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ შიდა ქართლის რაიონში ქონების ხელახალი გადაწესების პროცესი დაიწყო. მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო დაპირებისა, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიები გაძლიერდებოდა, გორში ყველა მნიშვნელოვანი საწარმო გამგეობის

საკუთრებაში გადავიდა. დეპრივატიზაციის კანონის არარსებობის გამო, სახელმწიფოს მხრიდან კერძო ქონების ჩამორთმევა „ჩუქებად“ გაფორმდა.

„დიდი განკუთვლების“ პროცესი, როგორც ამას გორელები უწოდებენ, მიხეილ ქარელის გუბერნატორად დანიშვნის დღიდან დაიწყო. საჯარო რეესტრში კერძო მესაკუთრეთა ქონება გორის რაიონის გამგებლის, ნუგზარ პაპუნაშვილის სახელზე გადაფორმდა.

1. ბიზნესმენი, რომელმაც საკუთარ ბაზარი - ინდუსტრიული „ლიახვი“ გორის გამგებობას აჩუქა, ჯემალ წიკლაურია. მეწარმეს სამართალდამცავებთან პრობლემები ბაზარში საკონტროლო სასწორის არარსებობის გამო 2004 წლის იანვარში შეექმნა. ვახტანგ ცხომელიძე, ადვოკატი, რომელიც წიკლაურის ინტერესებს იცავდა, მიიჩნევს, რომ კერძო საკუთრება მეწარმეს უკანონოდ ჩამოართვეს.

„ბაზარში არ არის საკონტროლო სასწორი, ამიტომ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ბაზრის დირექტორზე,“ - მოითხოვა მხარის რწმუნებულმა, მიხეილ ქარელმა ტელეკამერების წინ.

გორის საოლქო საგადასახადო ინსპექცია ინდუსტრიული მფლობელ წიკლაურს 2002 წლიდან 2004 წლამდე 287 120 ლარის ოდენობის გადასახადების დამლვას ედავებოდა.

ჯემალ წიკლაური 2004 წლის მარტში დააპატიმრეს. იუსტიციის სამინისტროს მიერ დამატებით ჩატარებულმა ექსპერტიზამ 287 120 ლარის ნაცვლად, საბოლოოდ, წიკლაურს 37 000 ლარის დავალიანება დაუდგინა.

„ციხეში ყოფნის პერიოდში დამატებითმა ექსპერტიზამ 37 000 დაადგინა. ჩემი ციხეში ყოფნის დროსვე გადახდილ იქნა ბიუჯეტის სასარგებლოდ 58 ათასი ლარი,“ - აცხადებს წიკლაური. თუმცა, გორის რაიონის პროკურატურისთვის დავალიანების სრულად დაფარვა არ აღმოჩნდა საკმარისი მისი საპატიმროდან გათავისუფლებისთვის. ადვოკატის თქმით, რწმუნებულ ქარელის მხრიდან ზეწოლა საპროკურობის განყოფილებაში გაგრძელდა. „იზოლაციაშიც აწუხებდნენ პროკურატურიდან, მიშა ქარელიც იყო შესული. მოითხოვდა ამ ბაზრის ჩაბარებას,“ - აცხადებს ვახტანგ ცხომელიძე.

4 თვიანი პატიმრობის შემდეგ კი ჯემალ წიკლაური ციხის საკანში აიძულეს, ხელი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ნოტარიულ აქტზე მოეწერა და თავისუფლების სანაცვლოდ 228 000 ლარად შეფასებული ბაზარი გამგებობისთვის ეჩუქებინა.

პატიმრობიდან გათავისუფლებულ წიკლაურზე სისხლის სამართლებრივი დევნა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ შეწყდა. 2004 წლის სექტემბერში, გორის საოლქო პროკურატურის მოთხოვნით, წიკლაურმა „ბრალი აღიარა“ და საპროცესო ხელშეკრულება დადო. მან 58 ათასი ლარის და 228 ათასი ლარის ქონების გადაცემის გარდა, ჯარიმის სახით დამატებით 2000 ლარიც გადაიხადა.

2. მეორე მსხვილი ობიექტი, რომელიც გორის რაიონის გამგეობას უსასყიდლოდ გადაეცა, გორის ბაზრობა შპს „კომერსანტი 95“-ია. ბაზრობას 12 მეწილე ჰყავდა.

გორის ბაზრობა შპს „კომერსანტი 95“-მა საპრივატიზაციო კონკურსზე 1995 წელს 66 000 ამერიკულ დოლარად შეიძინა. მეპატრონეების თქმით, ნახევრად დანგრეულ ობიექტს ბანკებიდან აღებული კრედიტების მეშვეობით 5 წლის განმავლობაში აშენებდნენ. 2000 წელს ბაზრობამ ფუნქციონირება დაიწყო. 2004 წელს ობიექტი უკვე 197 000 ლარად შეფასდა.

2004 წლის ივნისში გორის რაიონის პროკურატურამ „კომერსანტი-95“-ის დოკუმენტაცია და საწარმო დალუქა. პროკურატურის მიერ შედგენილ შუალედურ აქტს არ დაეთანხმა საწარმოს დირექტორი და ერთ-ერთი მეწილე თეიმურაზ ბლუაშვილი: „მე განვაცხადე პროტესტი და ვითხოვდი ექსპერტიზის ჩატარებას. ვხედავდი, რომ პროცესი მიდიოდა მიზანმიმართულად, თანხას კი სპეციალურად ბერავდნენ. მაგრამ აქამდე არ მიმიშვეს. ადვოკატის აყვანის საშუალება არ მომცეს. მეუბნებობდნენ, რომ გარიგება ხდებოდა პროკურატურასთან, საგანგაშო არაფერი იქნებოდა და რაღაც თანხას ჯარიმის სახით გადავიხდიდი. თუმცა, ბოლოს დამიძახეს და განმიცხადეს - უნდა ჩავგაბარო ობიექტი.“

გორის სამხარეო პროკურატურაში გარიგება რომ ვერ შედგა, თეიმურაზ ბლუაშვილი იმავე დღეს დააპატიმრეს. 48-საათიანი პატიმრობის შემდეგ გულით ავადმყოფი ბლუაშვილი გორის რაიონულ სასამართლოში მიიყვანეს. „ციხიდან გამომიყვანეს, სასამართლოში მოსამართლე გოჩიტაშვილთან მიმიყვანეს და ბრალი მაღიარებინეს. როცა სასამართლოში პოლიციის თანხლებით მივედი, იქ რომ მეთქვა, არ ვაღიარებო, ისევ უკან უნდა შევებრუნებინე. მითხრეს, რომ 88% გადააბარეო. როცა ვიკითხე, 12% ვის რჩება-მეთქი, ეს შენი საქმე არ არისო. მიმიყვანეს და 88%-ზე მომაწერინეს ხელი. ქონების გადაცემა მაიძულა პროკურატურამ. როგორც ვატყობ, პროკურატურა იყო შემსრულებელი, დამკვეთი კი იყო გუბერნიის ხელმძღვანელობა.“

თეიმურაზ ბლუაშვილი სასამართლოს დარბაზიდან ნოტარიუსთან, მალხაზ მახარაშვილთან გადაიყვანეს და აიძულეს, ქონების 88%-ის გადაცემაზე მოეწერა ხელი. თუმცა, არც გამგეობამ და არც ნოტარიუსმა არ გაითვალისწინეს, რომ თვითონ ბლუაშვილი საწარმოს მხოლოდ 15%-ს ფლობდა. სანოტარო აქტის მიხედვით, მან 197 000 ლარად შეფასებული 12 პარტნიორის ქონების 88% გამგეობას სხვა მეწილეების ნებართვის გარეშე გადასცა.

3. გორის რაიონის გამგეობამ საჩუქრად სააქციო საზოგადოება „გორკონის“ 22 პროცენტზე მიიღო. გორის რაიონის გამგებლის ნუგზარ პაპუნაშვილის თქმით, მარინე ქიტიაშვილმა აქციების 22% სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა. თუმცა, გამგეობაში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გააფორმეს, თითქოს, აქციებში 19 300 ლარი გადაიხადეს. სინამდვილეში გორის რაიონის გამგეობას ეს თანხა არ გადაუხდია. „ხომ იცით, რა დროა, გამიგებთ, ალბათ, რომ არაფრის თქმა არ შემიძლია,“ - აცხადებს მარინე ქიტიაშვილი და აქციების „გაჩუქების“ დეტალებს არ ამხელს.

4. გამგეობაზე უსასყიდლოდ გადაბარებული ობიექტების სიაშია გორის ცენტრალური სტადიონი. ნოტარიულად დამტკიცებული აქტის მიხედვით, გოჩა

ლომიქემ 56 425 ლარად შეფასებული ქონება გამგეობას საკუთარი ნებით გადასცა.

5. გორის გამგეობას „საჩუქრად“ შპს „ფორტეც“ გადაეცა. შპს „ფორტეც“ - გორის წისქვილკომბინატი - რაიონში ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა. საწარმოს მფლობელმა მირიან ოქროშაშვილმა წისქვილკომბინტი კერძო პირისგან იყიდა. მისი სავარაუდო ფასი 500 000 ლარია. გორის რაიონის გამგებლის ნუგზარ პაპუნაშვილის თქმით, მიმდინარეობს ჩუქების იურიდიულად გაფორმება.

6. დოცენტი ნოდარ მაისურაძე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს საქართველოს ისტორიას ასწავლის. წლების განმავლობაში იგი გორის რაიონის გამგეობაში იურისტადაც მუშაობდა. თუმცა, გუბერნატორად მიხეილ ქარელის დანიშვნის შემდეგ მაისურაძე აიძულეს, სამსახური დაეტოვებინა.

ნოდარ მაისურაძე ლექტორობას ფერმერულ საქმიანობასაც უთავსებდა. სოფელ ხვითში მას 27 ოჯახთან ერთად 230 ჰექტარი მიწა იჯარით ჰქონდა აღებული და ხორბალი მოჰყავდა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გორის გამგეობამ მას მიწაც წაართვა და მოწეული 72 ტონა მოსავალიც.

ზაფხულში მოსავლის აღების წინ ნოდარ მაისურაძეს გამგეობიდან მიხეილ ქარელის ნათესავი, სოფ. ხვითის ნაციონალების თავკაცი, გიორგი კერესელიძე მიუგზავნეს და გააფრთხილეს: “თუ ხორბალს არ დათმობ, როგორც მოტაცება უნდა, ისე მოვიტაცებთო. ან თუ ეს არ გამოგვივიდა, დავიჭერთო. შენც გაჩერდი, ბიჭო. ეგრე არა თქვა, ასეო და ისეო. თუ გინდა, ჩადი, დაელაპარაკე, ან მიშა ამოვა და დავსხდეთ, დავილაპარაკოთ.” მაისურაძეს მუქარა შეუსრულეს.

* * *

კერძო ბიზნესის არსებობას და განვითარებას ხელს უშლის დავალიანებები. ამის დასტურია შპს „მარტვილის“ საქმიანობის კონკრეტული ფაქტი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სურსათ-სანოვაგის სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „მარტვილი“ საჯარისო ნაწილებს ამარაგებდა პურით, მაგრამ მიმღები უწყება - სამინისტრო აღმოჩნდა გადამხდელუნარო და წლების განმავლობაში წარმოიშვა სოლიდური მოცულობის ფინანსური დავალიანება. ამან უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ორგანიზაცია, რომელიც ლიკვიდაციის პირასაა მისული. შექმნილი ვითარების გამო, შპს “მარტვილმა” სარჩელით მიმართა სასამართლოს და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. კონკრეტულად კი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შპს „მარტვილის“ სასარგებლოდ დაეკისრა 162113,59 ლარის გადახდა. მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ არ დააფინანსა თავდაცვის სამინისტრო, რის გამოც მოვალემ ვერ აანაზღაურა დავალიანება და დაზარალებულმა მხარემ კვლავ განცხადებით მიმართა სასამართლოს მისი განწილვადების მოთხოვნით. თავდაცვის სამინისტრომ ამ მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა იმ მოტივით, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება უნდა მომხდარიყო ფინანსთა სამინისტროს სააღსრულებო ფონდიდან, მან კი ეს ვერ უზრუნველყო. ამის შემდეგ იმავე რაიონულმა სასამართლომ თავისი 2003 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით კვლავ

დადასტურა 2002 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერება და დაეთანხმა რა ურთიერთშეთანხმებულ წინადადებას, 162113 ლარის გადახდა განაწილებულ იქნა თვეების მიხედვით 2003 წლის 30 მაისიდან 2003 წლის 30 სექტემბრის პერიოდისათვის. ამის შემდეგ გამოიძენა მხოლოდ 70,0 ათასი ლარი, ხოლო 92113 ლარი დღემდე კვლავ დავალიანებად დარჩა. აღნიშნული პრობლემა არაერთხელ იქნა განხილული ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციაში, სადაც გადაწყვეტილებებს იღებდნენ, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩებოდა. თავის დროზე, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ზ. ჟვანიამ ფინანსთა მინისტრს ზ. ნოლაიძეს დაავალა, რომ „მარტვილის“ წინაშე არსებული ფინანსური პრობლემა დადებითად გადაეჭრა, მაგრამ შედეგი უცვლელი დარჩა. საქმეში ასევე არსებობს გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი და სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსაგან მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, თუმცა პრობლემა კვლავ მოუგვარებელია და მესაკუთრის უფლებებიც დარღვეულია.

სახალხო დამცველის წინა საპარლამენტო ანგარიშში დეტალურად იყო გაშუქებული სამშენებლო ტრესტის, შემდგომში სააქციო საზოგადოება №13-ად რეგისტრირებული ორგანიზაციის პრობლემა. აღმასრულებელი ხელისუფლების საქმისადმი ზედაპირული დამოკიდებულების გამო, სამშენებლო ორგანიზაცია გაკროტდა და დაკარგა თავისი ძირითადი სამშენებლო ფუნქცია. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 თებერვლის განკარგულებით, საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის მე-13 ტრესტს დაევალია დაზიანებული უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) ადმინისტრაციული შენობის აღდგენითი სამუშაოების შესრულება, დამკვეთის ფუნქცია კი - მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის სამეურნეო სამმართველოსა და საქართველოს პარლამენტის აპარატს. აღდგენითი სამუშაოების შესრულებას მე-13 ტრესტი კეთილსინდისიერად შეუდგა დამკვეთსა და გენმთავარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. როგორც ირკვევა, სახელმწიფო კანცელარიას და საქართველოს პარლამენტის აპარატს დავალიანებად ერიცხება 1 878 620 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში მე-13 ტრესტის სასარგებლოდ. შექმნილი ვითარების გამო არაერთი რეკომენდაცია გაეგზავნა სახელმწიფო კანცელარიას და ფინანსთა სამინისტროს, მაგრამ შედეგი ისაა, რომ ტრესტმა შეწყვიტა ფუნქციონირება. ამ პრობლემურ საკითხზე მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, თუმცა, საბოლოო ვერდიქტი დღემდე არ არსებობს.

რეკომენდაცია:

შესწავლილ იქნას გორში საკუთრების ხელყოფის ფაქტები და, ბრალის დადასტურების შემთხვევაში, დადგეს გორის რაიონის გამგებლის ნუგზარ პაპუნაშვილისა და შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის მიხეილ ქარელის პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოში დევნილთა და ლტოლვილთა მდგომარეობის მიმოხილვა

დევნილებისათვის მწვავედ დგას მრავალი სოციალური პრობლემა, მათ შორისაა საბინაო-საყოფაცხოვრებო საკითხები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთ ოთახში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს და ეს ერთი ოთახიც საცხოვრებლად გამოუსადეგარია. ან ცხოვრობენ მიწურებსა და ავარიულ შენობებში. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, საცხოვრებელი ფართით დღემდე ვერ დაკმაყოფილდა დევნილი მოსახლეობის 43%, რომელთა ნაწილი ქირით ცხოვრობს, ნაწილი კი ნათესავებთან ან ახლობლებთანაა შეკედლებული. ამჟამად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში 3000-ზე მეტი ოჯახის განცხადებაა რეგისტრირებული მათთვის ქ. თბილისში საცხოვრებელი ფართის გამოყოფის მოთხოვნით, რაც ნათლად მიუთითებს დევნილთა სოციალ-ეკონომიკური უფლებების დაცულობის ხარისხზე.

დევნილთა უმრავლესობის შემოსავლის ერთადერთი წყაროა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი პენსია და 14 ლარიანი შემწეობა, რაც ადამიანის არსებობისათვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს ვითარებას. ართულებს ისიც, რომ შეწყვეტილია დევნილებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა.

დევნილებით კომპაქტურად განსახლებული ადგილების მდგომარეობა მძიმეა ელექტროენერჯის მიწოდების, წყალმომარაგების და სხვა კომუნალური მომსახურების გაწევის თვალსაზრისით და ეს მაშინ, როდესაც საამისოდ თანხები გამოყოფილი და, ხშირ შემთხვევაში, ათვისებულიცაა. კერძოდ, მოხმარებული ელექტროენერჯის შეღავათი სახელმწიფოს მიერ კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მცხოვრები თითოეული დევნილისთვის განსაზღვრულია: ქ. თბილისში ზამთრის პერიოდში – 14 ლარი და 80 თეთრი, ხოლო ზაფხულის პერიოდში – 10 ლარი; საქართველოს რეგიონებში - ზამთრის პერიოდში 10 ლარი, ხოლო ზაფხულის პერიოდში - 6 ლარი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 2004-2005 წლებში დევნილებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ობიექტს თანხა დროულად გადაეხადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ენერგომომარაგების პრობლემა დევნილთათვის კვლავინდებურად აქტუალურია. თელავის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, ქ. თბილისში კომპაქტურად მცხოვრებ დევნილებს ელექტროენერჯის არაეკონომიკური მოხმარების გამო აქვთ გადახარჯვები და დენის გათიშვაც სწორედ ამ მიზეზითაა გამოწვეული. ენერგომომარაგებასთან დაკავშირებით დევნილებს აქვთ ვარაუდი, რომ მათ მრიცხველებში აღირიცხება სხვადასხვა კერძო, მათ შორის, სამრეწველო ობიექტების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია. ამდენად აუცილებელია, რომ ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვეს და დევნილებს ან ხელზე მიეცეთ ის თანხა, რაც სახელმწიფოს მიერაა გამოყოფილი მათთვის შეღავათის სახით და მოხდეს თითოეული ლტოლვილის ბინის გამრიცხველიანება, ან დეტალურად უნდა იქნას შემოწმებული ყველა ის ობიექტი, სადაც ანალოგიური შემთხვევებთან გვაქვს საქმე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ელექტროენერჯია ქ. თბილისში დიდი შეფერხებით (რამდენიმეკვირიანი გათიშვებით) მიეწოდება ბაგების სტუდქალაქში მცხოვრებ დევნილებს. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ რეგიონებში მცხოვრები დევნილებისათვის გამოყოფილი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაინც იხარჯება, მიუხედავად იმისა, მოიხმარა თუ

არა დევნილმა მისთვის შეღავათის სახით განსაზღვრული თანხის ოდენობის ელექტროენერგია. აქვე იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ რეგიონში შუქი ძალზედ იშვიათად მიეწოდება მოსახლეობას, მათ შორის, დევნილებსაც. მიუხედავად ამისა, იმ შუქის ფასს, რომელიც დევნილებს არ მოუხმარიათ, სახელმწიფო მაინც იხდის.

ვინაიდან დევნილების ელექტროენერგიით მომარაგების საკითხში არსებობს პრობლემები და სხვადასხვა პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან ადგილი აქვს ურთიერთ გადაბრალების ფაქტებს, აღნიშნული საკითხი შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი.

ჯანდაცვის სისტემაში დევნილებისათვის შემოღებულია უფასო სამედიცინო მომსახურება, მაგრამ ის ძირითადად მხოლოდ კონსულტაციებსა და ანალიზებს მოიცავს. სამედიცინო აპარატურით შემოწმება და სტაციონარი ფასიანია, ხანდახან - უმნიშვნელო შეღავათებით. ეს და სხვა მიზეზები განაპირობებს, რომ ხშირად დევნილები ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებამდე ვერ მიდიან ექიმთან და შემდგომი ვიზიტი, ხშირ შემთხვევაში, ძალზე დაგვიანებულია.

2004 წელს გაუქმებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1600 თანამშრომელი ჯერ საქართველოს შსს-ს კადრების განყოფილებაში აიყვანეს აღრიცხვაზე, ხოლო ოთხთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ისე დაითხოვეს სამინისტროს სტრუქტურებიდან, რომ კანონით გათვალისწინებული 4 თვის ხელფასიც არ აუნაზღაურეს. ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატში აფხაზეთის შსს-ს დათხოვნილმა თანამშრომლებმა (ბატონები: ბ. ფიფია, ვ. კუცია, ი. ბარქაია და სხვები, სულ 16 პირმა) შემოიტანეს განცხადება და დარღვეული შრომითი და სოციალური უფლებების აღდგენაში დახმარება ითხოვეს. წარმოდგენილი დოკუმენტური მასალით გაირკვა, რომ საქართველოს შს მინისტრის 2004 წლის 10 ივლისის №364 ბრძანების მე-3 პუნქტით, მიმდინარე წლის 12 ივლისიდან აფხაზეთის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო და რაიონული სამმართველოებისა და განყოფილებების რიგითი და ოფიცერთა პირადი შემადგენლობა, დაახლოებით 1600 კაცი, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მათი უმეტესი ნაწილი აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში. ასეთ შემთხვევაში კი "საქართველოს შსს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ" შინაგან საქმეთა სამინისტროს 1997 წლის 21 მარტის № 147 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის საფუძველზე, "კადრების განკარგულებაში არსებულ პირებს ორი თვის განმავლობაში უნარჩუნდებათ ყოველთვიური ხელფასი, ხოლო მომდევნო ორი თვის პერიოდში კი ეძლევათ: სპეციალური წოდების, ნამსახურების პროცენტული დანამატი და სასურსათო ულუფის კომპენსაცია". მიუხედავად დაწესებული ნორმისა, განმცხადებლების განმარტებით, ხუთი თვის განმავლობაში არ ჰქონდათ მიღებული სახელფასო ანაზღაურება და არც სხვა შეღავათი. კადრების განკარგულებაში 4-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოს შს მინისტრის 2004 წლის 27 ნოემბერის № 1917 ბრძანებით ისინი საერთოდ დაითხოვეს სისტემიდან, მაგრამ დღემდე არც პენსია აქვთ გაფორმებული. არადა, "პოლიციის შესახებ" კანონის 31-ე მუხლით კონკრეტულადაა განსაზღვრული პოლიციის თანამშრომლის სოციალური გარანტიების საფუძველიანობა. კერძოდ, ამ მუხლის მე-11 პუნქტით, პოლიციის თანამშრომელს, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლდა შტატების შემცირების გამო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აქვთ პენსიის მიღებისა და სხვა გარანტიებით სარგებლობის უფლება, რაც დღემდე განუხორციელებელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მათ ანალოგიური შინაარსის წერილით არაერთხელ მიუმართავთ: აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, შსს-ს ხელმძღვანელი პირებისათვის, მაგრამ როგორც სახალხო დამცველის აპარატში მოწვევისას განაცხადეს, მათთან პრაქტიკულად არავის ჰქონია შეხვედრა და დღემდე უშედეგოდ რჩება მათი კანონიერი მოთხოვნების აღსრულება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული პირების დიდ ნაწილი არის ომის ვეტერანი, ხოლო მათი ოჯახები მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ. სახალხო დამცველის მცდელობითა და შს სამინისტროსთან თანამშრომლობით გადაწყვეტილია, რომ 2005 წლის აპრილში დაიწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს 1600 თანამშრომლისთვის კუთვნილი თანხის – ორი თვის ხელფასისა და ორი თვის დახმარების – გაცემა.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ აფხაზეთის შსს თანამშრომელი მაიორი ბონდო ლუკავა თვითმკვლელობამდე მიიყვანა. იმის შემდეგ, რაც იგი შსს-დან დაითხოვეს და მომავალი დასაქმების შესახებ შს სამინისტროს ხელმძღვანელობიდან დამაიმედებელი პასუხი ვერ მიიღო, შსს-ს ფოიეში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. გაჭიანურდა და დღემდე ვერ მოხერხდა გათავისუფლებულთა ნაწილის საპენსიო უზრუნველყოფა, შესაბამისი საბუთების უქონლობის გამო, რაც განპირობებულია აფხაზეთიდან პირადი საქმეების მოპოვების შეუძლებლობით. სახალხო დამცველის აპარატი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მუშაობს ამ საკითხის გადაჭრაზე. შესაძლოა, პრობლემის მოსხნის ერთ-ერთი გზა იყოს სასამართლოს გზით იურიდიული ფაქტის დადასტურება.

საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა

დღევანდლამდე დამკვიდრებული სამწუხარო პრაქტიკის მიხედვით, აფხაზური ადმინისტრაციისა და დსთ-ს სამშვიდობო ჯარების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური ადმინისტრაციის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებსა და აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მოქმედ კრიმინალურ ჯგუფებს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე შეუძლიათ, მძევლად აიყვანონ ადამიანები, მიაყენონ მათ შეურაცხყოფა, მოსთხოვონ გამოსასყიდი თანხა და ხელყონ მათი უფლებები.

კონფლიქტის ზონაში და, კერძოდ, 12 კილომეტრიან ეგრეთ წოდებულ “უსაფრთხოების ზოლში” ხშირია მოსახლეობის ძარცვა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები.

4 იანვარი. ქვალში, ვალმერ ტურანბას დაჯგუფებამ მძევლად აიყვანა ოთხი ქართველი. წალენჯიხის რაიონის სოფ. მუჟავაში მცხოვრებნი კუკური შონია, გურიელ მანია, კახა და გიორგი გერგედავები. მძევლებს წაართვეს კუთვნილი ავტომანქანა, მოათავსეს გალის მილიციის იზოლატორში და ბრალად წაუყენეს აფხაზეთის ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთა.

7 იანვარი. გალის რაიონის სოფ. ზემო და ქვემო ბარდების ტერიტორიაზე, კონფლიქტის 12-კილომეტრიან უსაფრთხოების ზონაში, ვალმერ ბუთბას ბოევიკთა დაჯგუფებამ და რუსმა “სამშვიდობოებმა” ქართულ მოსახლეობაში ერთობლივად ჩაატარეს ჩხრეკა, რის შემდეგაც ორი ქართველი მძევლად აიყვანეს და შემდგომ სოხუმის უშიშროების იზოლატორში მოათავსეს.

16 იანვარი. გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯში დაუდგენელი შეიარაღებული პირების მიერ განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმა რიგვაების ოჯახზე. სახლში იმყოფებოდა ოჯახის დიასახლისი, 68 წლის ნუცა რიგვავა. მას შემდეგ, რაც ბანდიტებმა წასადები ვერაფერი ნახეს, სასტიკად გაუსწორდნენ ოჯახის დიასახლისს, მიაყენეს მას ფიზიკური შეურაცხყოფა, აწამეს და ყოველივე ამის შემდეგ თავი მოჰკვეთეს.

18 იანვარი. ქ. გაგრაში ნართას (ყოფილი რუსთაველის) ქუჩაზე №218-ში მცხოვრებ ციალა კაკაბაძეს უცნობმა პირებმა საკუთარი სახლი დაუნგრეს და ამოუძირკვეს მსხმოიარე ხეხილი. დაზარალებულის მიერ მათი მოქმედების შესახებ დასმულ შეკითხვაზე უცნობებმა უპასუხეს, რომ ისინი დაიჭირავა ვინმე ვიტალი ჩუანბამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ აღნიშნული სახლი და მიწის ნაკვეთი მას ეკუთვნის. ციალა კაკაბაძემ განცხადებით მიმართა გაგრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ვ.ბგანბას, მაგრამ გაგრის ადმინისტრაციის მხრიდან განცხადებაზე რაიმე რეაგირება არ ყოფილა. ადვოკატმა, რომელსაც მიმართა ც. კაკაბაძემ, უპასუხა, რომ “საქმე წაგებულია, რადგანაც ქართველი ხარ.” ც. კაკაბაძე გააძევეს საკუთარი სახლიდან, თუმცა მას სახლის შესახებ კერძო საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია აქვს.

27 იანვარი. ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიასთან ხუთმა შეიარაღებულმა პირმა მძევლად აიყვანა აფხაზ და ქართველ ხელოვანთა კავშირის თავმჯდომარე დავით ბაძაღუა და მასთან ერთად მყოფი თემურ ქორთუა. თ.ქორთუას წაართვეს ვიდეოკამერა და ფოტოაპარატი, შემდეგ გაათავისუფლეს, ხოლო დ.ბაძაღუა გაიტაცეს. ორთვიანი ტყვეობის შემდეგ 27 მარტს დ.ბაძაღუა გაათავისუფლეს.

27 იანვარი. გალის რაიონის სოფ. თავილონიდან, სოფ. ჭუბურხინჯის მიმართულებით, შეიარაღებულმა აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს 20-მდე 20–25 წლის ახალგაზრდა. გამტაცებლებს სურდათ, ეიძულებინათ ისინი, რომ ემსახურათ აფხაზურ ჯარში. მოლაპარაკების შემდეგ გატაცებულთა ნათესავებმა თითო ადამიანზე 150 ლარი გადაიხადეს, რის შემდეგაც ისინი გაათავისუფლეს.

9 თებერვალი. გალის რაიონის სოფლებიდან: ზემო და ქვემო ბარდები, გაგიდა, ოტობაია, პრიმორსკოე და ოქუმი – 18-25 წლამდე 50-მდე ქართველი ახალგაზრდა გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მოგვიანებით გატაცებულები გაათავისუფლეს, ხოლო სოფ. გაგიდას მაცხოვრებლები კობა ლასხია, თენგიზ და ჯამბულ მებონიები გალის მილიციის იზოლატორში გადაიყვანეს.

7 აპრილი. გალის რაიონის სოფ. რეფში დაახლოებით 40-კაციანი უკანონო შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ზუგდიდი-გალის სამი სამგზავრო

ავტობუსის მგზავრებს. თავდამსხმელებმა ავტობუსის მძღოლები აიძულეს, ოჩამჩირის მიმართულებით წასულიყვნენ. მოგვიანებით მათ გატაცებულთა ნაწილი გაათავისუფლეს, ხოლო 30-მდე ქართველი ოჩამჩირის მიმართულებით წაიყვანეს. მომდევნო დღეს, გაეროს სამხედრო დამკვირვებლის გენერალ აშფაკისა და საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის მუდმივი წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის უშუალო ჩარევის შედეგად, ყველა დაკავებული გაათავისუფლეს.

19 აპრილი. გალის რაიონის სოფ. გაგიდაში აფხაზმა ბოევიკებმა მძევლად აიყვანეს გოჩა ლაშხია, ძმები კახა და გოგიტა ცაავები.

2 მაისი. გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯიდან აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს ადგილობრივი მკვიდრი ბუთხუზ ჩერქეზია.

15-16 მაისი. გალის რაიონის სოფ. პრიმორსკოესა და ფიჩორში აფხაზეთის მილიციის 40-მდე თანამშრომელი შეიჭრა ქართველების სახლებში. რამდენიმე ქართველს მიაყენეს ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა.

მაისის თვეში გულრიფშის რაიონის სოფ. კაშტაკაში თავისი სახლიდან გაიტაცეს გ.სლომენკო.

მაისის თვეში გალის რაიონის სოფ. ოქუმუდან გატაცებულ იქნა ადგილობრივი მკვიდრი.

9 ივნისი. გალის რაიონის სოფ. ზემო ბარდებში ექვსი შეიარაღებული ნიღბიანი პირი გვიან ღამით თავს დაესხა ძიძარიების ოჯახს. მოკლეს 25 წლის ეკა ძიძარია.

15 ივნისი. გალის რაიონის სოფ. საბერიოში შეიჭრა ვალმერ ბუთბას შეიარაღებულ პირთა ჯგუფი (15-მდე კაცი), რომლებმაც გაჩხრიკეს ქართველთა სახლები, რის შემდეგმაც მძევლად აიყვანეს დემნა ბაძაღუა, დათო გოგოხია, ვახტანგ ბაძაღუა და იანურ ჭოლარია. ისინი გალის მიმართულებით წაიყვანეს და მოგვიანებით სოხუმის იზოლატორში გადაიყვანეს.

15 ივნისი. გალის რაიონში ენგურის წყალსაცავთან ახლოს მდებარე რსძ-ის № 302 საგუშაგოსთან აღმოჩენილ იქნა მამაკაცის გვამი, წამების ნიშნებით. მას ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, კბილები კი ჩამტვრეული. ეს პიროვნება სავარაუდოდ ერთი თვით ადრე იყო მოკლული.

27 ივნისი. ქ. გალის მკვიდრი, 1980 წელს დაბადებული კახა გიორგის ძე ასათიანი დაკავებულ იქნა ენგურის ხიდთან გალის რაიონის დეფაქტო სამხედრო კომისრის ბესიკ კირთაძის მიერ. ამ უკანასკნელმა კასათიანს მოსთხოვა აფხაზეთის ჯარში სამხედრო სამსახურის გავლა, ან 2000 რუბლის გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბ.კირთაძე ასათიანს სახლ-კარის გადაწვითა და ფიზიკური განადგურებით დაემუქრა. კასათიანმა აფხაზეთის ტერიტორია შემოვლითი გზებით დატოვა.

6 ივლისი. საქართველოში თურქეთის ელჩის მოთხოვნით, აფხაზურმა მხარემ ქართულ მხარეს გადასცა თურქეთის სამი მოქალაქე - ალი ქონჯა, სერქან

დილექტი და მურად ბირინჯი, რომლებიც აფხაზეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოტყუებით ჩაიყვანეს. ჩასვლისთანავე მათ წაართვეს საბუთები და მიუჩინეს მეთვალყურეები, რის შემდეგაც ისინი ვერავისთან ახერხებდნენ კონტაქტს. მათი სიტყვებით, ისინი ყოველდღე დაჰყავდათ სამუშაოდ ტყვარჩელში, მონებივით ექცეოდნენ და “ძალების შესაფერისად კვებავდნენ.” მათი სიტყვებიდანვე ირკვევა, რომ აფხაზეთში კიდევ დარჩა თურქეთის 22 მოქალაქე, რომლებიც ასევე მოტყუებით მოხვდნენ იქ და გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან. თურქეთის მოქალაქენი აფხაზეთის ტერიტორიაზე ტრეფიკინგის მსხვერპლნი გახდნენ.

15 ივლისი. გალის რაიონის სოფ. სიდაში საკუთარი სახლიდან სოფლის მაცხოვრებლები ცოლ-ქმარი შ.ალფენიძე და ე.შონია გაიტაცეს. გატაცება ჩადენილია ფულის გამოძალვის მიზნით.

2004 წლის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე კრიმინალების მიერ გატაცებულია 70-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. გატაცების მიზანი უმთავრესად არის თანხის გამოძალვა, ხოლო დანაშაულის ჩადენისათვის, ჯერჯერობით, არავინ დასჯილა. უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული კრიმინალური ქმედებების დიდი ნაწილი ხდება იმ 12 კილომეტრიან უსაფრთხოების ზონაში, რომელსაც აკონტროლებენ რუსეთის სამშვიდობო ძალები. ამ კრიმინალური ფაქტების დროს ხშირად ფიგურირებენ რუსი სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეები, ჩანს მათი სამხედრო ტექნიკა ემბლემით “MC”. ეს განსაკუთრებით ეხება მასშტაბურ კრიმინალურ ფაქტებს.

ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია ხდება აფხაზეთის სხვა რაიონებშიც. კერძოდ, 2004 წლის დასაწყისში სახალხო დამცველს მიმართეს ქ. გაგრის მაცხოვრებლებმა ტარიელ ესართიამ (ქ.გაგრა ს.კოლხიდა, სოხუმის გზატკეცილი №185) და გალინა ტაგანოვამ (ქ.გაგრის პოდგორნაიას №2), რომლებიც ძალის გამოყენებით გამოაძევეს საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან. საკითხი დაყენებულ იქნა გაეროსა და სოხუმში არსებულ ადამიანის უფლებათა დაცვის გაეროს ოფისის წინაშე, მაგრამ პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

2004 წლის განმავლობაში მოხდა უამრავი სხვა ფაქტიც.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, აფხაზეთის რაიონებსა და ქალაქებში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისა და ადამიანის უფლებათა ხელყოფის გამო პასუხი, ჯერჯერობით, არავის უგია.

ადამიანის უფლებების დაცვას აფხაზეთში ხელს უშლის ისიც, რომ აფხაზეთის ხელისუფლება არ თანხმდება, გაიხსნას გაეროს ადამიანის უფლებათა დამცავი სოხუმის ოფისის გალის ბიურო. ასევე ვერ ხერხდება საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის შემადგენლობაში მყოფი სამოქალაქო პოლიციის წარმომადგენელთა შესვლა გალში და მათი უფლებამოსილების განხორციელება, რაც, თავის მხრივ, ადამიანის უფლებების დარღვევასა და ამ დარღვევათა ჩამდენი პირების დაუსჯელობას უწყობს ხელს.

აფხაზეთის ციხეებში მყოფი ტყვეების მდგომარეობა

ვალერი ჩხეტიანის შესახებ

აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის დრანდის ციხეში 2004 წლის აგვისტოში, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა 1973 წელს დაბადებული ვალერი კონსტანტინეს ძე ჩხეტიანი. მან 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთის დაცემის შემდეგ ოჯახთან ერთად დატოვა საკუთარი სახლ-კარი და ცხოვრობდა ქუთაისში. 1993 წლიდან იგი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტყობულის ბატალიონში ირიცხებოდა. 2001 წლის შემოდგომაზე კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების დროს იგი აფხაზურ-რუსული საბრძოლო შენაერთების წარმომადგენლებმა დაატყვევეს.

სოხუმში აფხაზური ადმინისტრაციის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში ვ.ჩხეტიანი განიცდიდა უდიდეს ფიზიკურ და მორალურ ზეწოლას და შეურაცხყოფას. მას საათობით ცემდნენ ჯოხებით, გრძნობის დაკარგვამდე ჰკიდებდნენ ფეხებით, დღეში აძლევდნენ მხოლოდ 200 გრამ პურს და ერთ ჭიქა წყალს. ორი თვე ჰყავდათ ვ. წ. “კარცერში“, რომელშიც შუქი საერთოდ არ შემოდოდა, ანუ იგი ორი თვე იმყოფებოდა აბსოლუტურ სიბნელეში, რასაც თან ერთვოდა ნესტი. “კარცერი“ მდებარეობდა იზოლატორის სარდაფში და მისი კედლები და იატაკი მუდმივად სველი იყო. “კარცერში“ ყოფნის დროს მისთვის საწოლიც არ მიუციათ. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ხდებოდა ზამთრის თვეებში. ტყვეობის დროს მას მეუღლე წითელი ჯვრის მეშვეობით უზაფხანდა ამანათებს (საკეებს, ტანსაცმელს), თუმცა ეს გზავნილები ჩხეტიანს არ მოუხმარია. წითელი ჯვრის წარმომადგენლის თანდასწრებით ვ.ჩხეტიანს გადასცემდნენ ამანათს, მაგრამ მისი გასვლის შემდეგ, ციხის ადმინისტრაცია პატიმარს ოჯახიდან გამოგზავნილ ამანათს ძალით ართმევდა. რუსეთის და აფხაზეთის უშიშროებას სურდა მისი გადაბირება, ამ მიზნით ახორციელებდნენ მასზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. 4 აგვისტოს ოჯახს აცნობეს, რომ გვიან საღამოს ციხის ადმინისტრაციის და აფხაზური სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა ვ. ჩხეტიანი საკნიდან დასაკითხად გაიყვანეს და რამდენიმე საათის შემდეგ უკან პრაქტიკულად უგონო მდგომარეობაში მყოფი შემოაგდეს, რის შემდეგაც მასთან, მოთხოვნის მიუხედავად, რამდენიმე დღის მანძილზე არ უშვენდნენ ექიმებს, მათ შორის, წითელი ჯვრის წარმომადგენლებს. მოგვიანებით იგი გადაიყვანეს სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც, სავარაუდოდ 7 აგვისტოს, ვ.ჩხეტიანი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. მის მიმართ რამდენიმე წლის წინ იყო კანონიერ ძალაში შესული აფხაზური სასამართლოს განაჩენი და იგი ამ სასჯელს იხდიდა. არადა, დაუშვებელია პირის დასაკითხად გაყვანა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რის გამოც უკვე სასჯელს იხდის.

შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებსა და აფხაზურ ადმინისტრაციას შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, 9 აგვისტოს ვ.ჩხეტიანის გვამი უნდა გადმოსცემოდა ოჯახს, მაგრამ აფხაზურმა მხარემ მიღწეული შეთანხმება დაარღვია და მიცვალებული დათქმულ ვადაში ჭირისუფლისთვის არ გადაუციათ.

ამის ნაცვლად, აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ვ.ჩხეტიანის შიშველი გვამი გალის რაიონში ტყეში დააგდეს. 10 აგვისტოს, დღის მეორე

ნახევარში, ვ. ჩხეტიანის ცხედარი გადმოსცეს ჭირისუფალს. მიცვალებული პაქტიკულად გახრწნილი იყო. ვ.ჩხეტიანის ოჯახის წევრები ვარაუდობენ, რომ იგი მოწამლეს, რადგან საკნიდან მისი “დასაკითხად“ გაყვანამდე ერთი დღით ადრე ოჯახის წევრები ელაპარაკნენ ვ. ჩხეტიანს, რომელიც ჯანმრთელობას არ უწიოდა. მეორე დღეს იგი საკნიდან გაიყვანეს და რამდენიმე საათის შემდეგ საკანში პრაქტიკულად უგონო მდგომარეობაში შემოაგდეს, რის შემდეგაც ვ.ჩხეტიანი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიცვალებული დათქმულ დროზე არ გადმოსცეს ოჯახს. ის დააგდეს ტყეში, დაახლოებით 30 გრადუს სიცხეში. სავარაუდოდ, იმ მიზნით, რომ ვერ დადგენილიყო გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი (ოჯახის წევრების ვარაუდის მიხედვით - მოწამვლა), რაც რეალურად ასეც მოხდა. საქართველოს ექსპერტიზამ ვ.ჩხეტიანის გარდაცვალების რეალური მიზეზი ვერ დაადგინა.

ლეგან მამასახლისის შესახებ

2001 წლის აგვისტოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ლ.მამასახლისი დაბა ბიჭვინთაში დედასთან იყო დასასვენებლად ჩასული, სადაც მას 7 აგვისტოს აუფეთქდა ასაფეთქებელი მოწყობილობა და მძიმედ დაიჭრა, დაკარგა მარჯვენა ხელის მტევანი და მარცხენა ხელის სამი თითი. მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ის იმავე დღეს გადაიყვანეს გაგრის ცენტრალურ საავადმყოფოში.

13 აგვისტოს ლ.მამასახლისი საავადმყოფოდან გადაიყვანეს სოხუმის წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც მას ჩამოართვეს აღიარებითი ჩვენება. 2002 წლის 15 თებერვალს მამასახლისს მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მას არ მიეცა. მამასახლისს არც თავისი არჩეული ადვოკატი ჰყოლია. ადვოკატი მას აფხაზურმა ხელისუფლებამ დაუნიშნა.

ჩვენ დავინტერესდით ლ.მამასახლისის ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობით და ჩვენი თხოვნის საფუძველზე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარის წერილზე დაყრდნობით, ინფორმაცია მოგვაწოდა ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა ზ. ლაკერბაიამ. ინფორმაციის მიხედვით, საპატიმროში, კერძოდ კი, საკანში ლ.მამასახლისი იმყოფება სხვადასხვა ეროვნების პატიმრებთან ერთად. საკანი კარგად ნიაველება, ონკანში მუდმივად მოდის წყალი, ციხეში დადგენილი გრაფიკის მიხედვით პატიმარი გაჰყავთ აბანოში. სხვა მსჯავრდებულებთან ერთად, მას რეგულარულად უტარდება სამედიცინო შემოწმება. ლ.მამასახლისს რეგულარულად ხვდებიან წითელი ჯვრის და გაეროს ადამიანის უფლებათა მისიის წარმომადგენლები. აღნიშნულ წერილს თან ერთვის 2005 წლის 18 მარტით დათარიღებული ამონაწერი ლ. მამასახლისის ავადმყოფობის ისტორიიდან, რომლის მიხედვითაც პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

განსხვავებული ინფორმაცია აქვთ ლ. მამასახლისის ოჯახის წევრებს, რომლებიც თბილისში დევნილებით კომპაქტურად დასახლებულ სასტუმრო “ამირანში” ცხოვრობენ. კერძოდ, მათი ინფორმაციით “საპატიმრო ადგილებში ყოფნის დროს ლ. მამასახლისი მძიმედ დაავადდა. მას აქვს ასთმა, ბრონქიტი, ფსორიაზი, ეგზემა, ცალი ფილტვი პრაქტიკულად უფუნქციოა, მარჯვენა ხელი მაჯის ზევით აქვს მოწყვეტილი, ხოლო მარცხენა ხელზე მხოლოდ ცერა თითი და საჩვენებელი თითის ნახევარი აქვს შერჩენილი, დანარჩენი ნაწილი აფეთქების შედეგად დაკარგა. აფეთქების შედეგად სხეულზე აღენიშნება 36 ჭრილობა, მათ შორის, ასაფეთქებელი მოწყობილობის ერთი ნამსხვრევი ჩარჩენილი აქვს თვალში. მისი ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდება. ციხეში მას ვერ უზრუნველყოფენ საჭირო სამედიცინო დახმარებით და მედიკამენტებით. ხოლო თითების უქონლობის გამო, მისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია საკვების მიღება. რამდენიმე წელია, მას კვებაში სხვა პატიმრები ეხმარებიან”.

ლ. მამასახლისის ჯანმრთელობის მდგომარეობა და საპატიმროში არსებული ყოფითი პირობები, შესაბამისი დასკვნების მომზადების მიზნით, საჭიროებს დამატებით გამოკვლევას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დღეისთვის არსებული ინფორმაციით, როგორც ჩანს, ლ.მამასახლისის ჯანმრთელობის მდგომარეობა მეტად მძიმეა და თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, იგი უნდა გათავისუფლდეს სასჯელისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

გიორგი ნანავას შესახებ

აფხაზეთში ტყვეობაში იმყოფება აგრეთვე 83 წლის ღრმად მოხუცებული გიორგი ნანავა, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა თავიდანვე იმდენად მძიმე იყო, რომ იმ დოკუმენტების წაკითხვაც არ შეეძლო, რომლებსაც იგი ძიების დროს კანონის შესაბამისად უნდა გაცნობოდა. გ.ნანავას უარი უთხრეს, მისი ინტერესების დამცველად აეყვანა ქართველი ადვოკატი. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან და ასაკიდან გამომდინარე, იგი უნდა გათავისუფლდეს.

* * *

აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილების და საქართველოს მხრიდან არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების მიმართ დარღვეულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სიცოცხლის, პირადი ხელშეუხებლობის, საკუთრების, საოჯახო ცხოვრების, თავისუფალი გადაადგილების, აზრისა და სიტყვის თავისუფლების და სხვა უფლებები თუ თავისუფლებები.

მართალია, ეს დარღვევები ძირითადად საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ხდება, მაგრამ საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მოქალაქეების უფლებების ხელყოფის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირების ვალდებულება აღებული აქვს საქართველოს სახელმწიფოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ფაქტობრივად

რუსეთის იურისდიქცია ხორციელდება (აფხაზეთში განლაგებულია რუსეთის სამხედრო ნაწილები, კერძოდ ოჩამჩირეში, სოხუმში და გუდაუთაში - პომპორას სამხედრო აეროპორტი. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ ზონებში სამშვიდობო მისიას ახორციელებენ დსთ-ს სამშვიდობო ძალები, მაგრამ ისინი მთლიანად დაკომპლექტებული არიან რუსეთის სამხედრო შენაერთებით და ემორჩილებიან რუსეთის სამხედრო სარდლობას). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის I მუხლის მიხედვით, “მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მათი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებს და თავისუფლებებს”. აქედან გამომდინარე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მინიჭებული უფლებების დაცვაზე რუსეთის სახელმწიფოს არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე საქართველოს, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.

ჩეჩენი ლტოლვილები

2005 წელის თებერვალში სახალხო დამცველის ოფისს კოლექტიური განცხადებით მომართეს პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ჩეჩენმა ლტოლვილებმა (98 პირი) განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მათ არაკანონიერად ჩამოერთვათ ლტოლვილის სტატუსი. საკითხის ადგილზე გაცნობის მიზნით, სახალხო დამცველი და მისი აპარატის წევრები ჩავიდნენ პანკისის ხეობაში, სადაც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება: შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სახალხო დამცველის აპარატის კახეთის რეგიონული რწმუნებული, არასამთავრობო ორგანიზაციები და ჩეჩენი ლტოლვილები. კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მოქალაქეთა ნაწილს სამართლიანად ეთქვა უარი ლტოლვილის სტატუსზე, ხოლო 38 პირის საკითხი სამინისტროს მხრიდან დამატებით განხილვას საჭიროებს. კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პირების ნაწილი არასდროს ყოფილა საქართველოს მოქალაქე, ხოლო ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდშია საქართველოდან ამოწერილი. ამდენად, მათ შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე ეთქვათ უარი ლტოლვილს სტატუსზე. კომისიის მიერ მოპოვებული მასალები წარედგინება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ჩეჩენი ლტოლვილებისთვის პრობლემურია სოციალური საკითხები: ჯანდაცვა, დასაქმება, განათლება და სხვა. ხშირ შემთხვევაში, რუსეთის მასმედიის მიერ დამკვიდრებული ნეგატიური სტერეოტიპი დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა დონის ჩინოვნიკების მხრიდან ჩეჩენი ეროვნების ადამიანების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. ამის გამო ხშირად უდანაშაულო ადამიანებს მთელი რიგი პრობლემები ექმნებათ გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტის დროს.

საქართველოს დევნილთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვა ერთ-ერთი უროულებსი და მტკივნეული თემაა, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მიდგომას. საქართველოს დევნილთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის მიზნით, უახლოესი პერიოდის ამოცანაა შემდგი რეკომენდაციების გაზიარება.

რეკომენდაციები:

1. შეიქმნას უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც სრულყოფს საქართველოს კანონს “იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ”, რათა კანონში ჩაიდოს დევნილთა სოციალური უფლებების დაცვის სრულყოფილი გარანტიები - კერძოდ, დახმარებების გაზრდის, დროული, ეფექტური და ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების გაწევის, აგრეთვე, საბინაო საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით.
2. საქართველოს აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მეგობარ ქვეყნებთან უნდა გასწიოს შესაბამისი კონსულტაციები, რათა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ამოქმედდეს თვითდასაქმების პროგრამები და, შესაბამისად, დევნილებსა და ლტოლვილებზე გაიცეს მცირე ბიზნესის წამოწყებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელი შეღავათიანი კრედიტები.
3. ჩეჩენი ლტოლვილების მიმართ სრულად უნდა ამოქმედდეს „საქართველოს კანონი ლტოლვილების შესახებ“. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის (“ზ” პუნქტი) თანახმად, სახელმწიფოს ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ლტოლვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუნიშნონ და რეგულარულად მისცენ ფულადი დახმარება. დღევანდელი ფაქტობრივი მდგომარეობით ეს საკითხი არ არის კანონთან შესაბამისობაში მოყვანილი. დახმარების თანხა უნდა იყოს იმდენივე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს დევნილებისათვის.
5. თავშესაფრის გარეშე დარჩენილი დევნილების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვისა და მათი დროებითი საცხოვრებელი ფართის დაკმაყოფილების მიზნით, საჭიროა გამოიყოს დამატებითი თანხები (აღნიშნული ნაბიჯი დევნილთა მხრიდან უკანონო შეჭრის აღკვეთასაც შეუწყობს ხელს).
6. დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი შემწეობა - 14 ლარი ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ელემენტარული საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამდენად, დევნილებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა - 14 ლარი უნდა გაიზარდოს, ან შემუშავდეს დევნილებისთვის ერთდროული კომპენსაციის მიცემის პროგრამა.
7. დევნილებს მიეცეთ არჩევანის გაკეთების საშუალება და კომპაქტურად დასახლებულ იმ დევნილებს, რომლებიც შესაბამის სურვილს გამოხატავენ, სახელმწიფოს მიერ მათთვის დადგენილი შეღავათი - მოხმარებული ელექტროენერჯის თანხა - ხელზე მიეცეთ, რათა თვითონ გადაიხადონ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური.

სიტუაცია ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში

საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ანალიზმა კვლავ დაგვარწმუნა, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემების ფონზე ერთ-ერთ უმწვავეს თემად რჩება ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლებისა და ბავშვთა საკითხებზე 1990 წლის მსოფლიო სამიტის გადაწყვეტილებების შესრულება საქართველოში სპეციფიკურ კონტექსტში ხდება. ჯანმრთელობასთან, არასრულფასოვან კვებასთან, არასათანადო განათლებასთან და ა.შ. დაკავშირებული პრობლემები ქვეყანაში კეთილი ნების არარსებობითა თუ იგნორირებით არ არის გამოწვეული. თუმცა საზოგადოება საკმაოდ გულგრილად და ინერტულად ეკიდება ამ პრობლემების გადაწყვეტას.

ოთხი ძირითადი პრობლემა, რომლებსაც კაცობრიობა პრიორიტეტულად მიიჩნევს ბავშვებთან დაკავშირებით – გადარჩენა, განვითარება, დაცვა და მონაწილეობა – საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მეორე პლანზეა გადატანილი და მიუხედავად შემოსავლების ზრდისა, ბიუჯეტს კვლავ არ ძალუძს დააკმაყოფილოს სოციალური სექტორის გადაუდებელი მოთხოვნილებები.

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული საქმიანობა ხასიათდება ქმედებათა არაკოორდინირებულობით, რესურსების არაოპტიმალური გამოყენებით, აქტიუობათა მოკლევადიანობითა და ფრაგმენტულობით. არ არის ნათლად განსაზღვრული ცენტრალურ და ადგილობრივ დონეთა შორის უფლებები და მოვალეობები. ამასთან, კონკრეტულ პირთა დახმარების სახელმწიფო პროგრამების განხორციელების უმეტესი ნაწილი ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივა უნდა გახდეს, რადგან სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები არიან პასუხისმგებელი მოსახლეობის წინაშე სახელმწიფო ვალდებულებათა განხორციელებაზე. ადგილობრივი ხელისუფლება უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების შესახებ, იცნობდეს მის ტერიტორიაზე მოქმედ ორგანიზაციებს, მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის დადებით და უარყოფით შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე ადგილი აქვს გარკვეულ წინსვლას (საშუალო განათლების შესახებ კანონი, დაწესებული დენსტიტუციონალიზაციის პროცესი), დღემდე არ არის შემუშავებული პრობლემისადმი სისტემური მიდგომა და არ ხდება მისი კომპლექსურად გადაჭრა. ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა სხვადასხვა სფეროში შესაბამისი რეფორმების გატარებასთან არის დაკავშირებული.

პირობითად შეგვიძლია ორი ძირითადი სფერო გამოვყოთ:

- კანონმდებლობა, რომელიც ბევრ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების სათანადო გარანტიას და ამ უფლებების რეალიზებას;
- სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკა და კოორდინირებული პრაქტიკული ნაბიჯები ბავშვთა უფლებების დასაცავად.

საკანონმდებლო სფეროში მნიშვნელოვანია ერთი დღემდე გადაუჭრელი პრობლემა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა კონვენციის მიხედვით, რომელსაც საქართველო 1998 წელს მიუერთდა, ბავშვის ასაკად

მიჩნეულია 18 წელი. ეს საქართველოშიც ასეა. ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებებში კი ბავშვის ასაკად კვლავ რჩება კომუნისტური რეჟიმის დროს დაწესებული 15 წელი. ეს სერიოზული დარღვევაა, რადგან სწორედ მხოლოდ ამ ასაკამდე – 15 წლამდე - ფუნქციონირებს ბავშვთა სახელმწიფო პროგრამები. ეს ხარვეზი განსაკუთრებით აისახება სოციალურად დაუცველი ბავშვების ჯანმრთელობაზე. ირღვევა მათი უფლება, 18 წლის ასაკამდე ისარგებლონ სახელმწიფო პროგრამებით. ამ პრობლემის შესახებ სახალხო დამცველის ოფისმა წერილობით მიმართა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, რომელმაც გვაცნობა, რომ მისი სამინისტრო მუშაობს აღნიშნულ საკითხზე და პრობლემა გადაიჭრება მომავალ წელს, რაც 2006 წლის ბიუჯეტში აისახება.

ასევე დასახვეწია საქართველოს კანონმდებლობა ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ, რადგან მასში არსებობს მრავალი ხარვეზი, რომელიც საგრძნობლად ართულებს მდგომარეობას ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. ასე მაგალითად: არსებული კანონის თანახმად, თავშესაფარში მყოფი ბავშვი 16 წლის შესრულების შემდეგ თავშესაფრიდან უნდა წამოვიდეს. ამ ბავშვების უმრავლესობა, ფაქტობრივად, ქუჩაში ცხოვრებისთვისაა უკვე განწირული.

საქართველოში საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა ოჯახსა და სკოლაში ბავშვთა უფლებების დარღვევა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული ბავშვის უფლებების ცენტრში შემოსული განცხადებები ეხება ოჯახური კონფლიქტების შედეგად წარმოქმნილ დაავადებებზე სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება საერთაშორისო და შიდა საკანონმდებლო აქტების პრინციპებს და არ ითვალისწინებს ბავშვთა უფლებებსა და ინტერესებს.

სახალხო დამცველის აპარატს უხდება ასევე არასტანდარტულ სიტუაციებში ჩარევა კონკრეტული ბავშვის უფლებების და ინტერესების დასაცავად. ასე, მაგალითად 2004 წლის 7 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა მოქ. მაყვალა ვალიშვილის განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მისი 7 წლის ვაჟი - ვლადიმერ მ. იმყოფება ტაშკენტში, ხამზის რაიონში, მაგრამ დაბადების მოწმობის უქონლობის გამო ბავშვის ჩამოყვანა ვერ ხერხდება. სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრმა მოამზადა ნოტარიულად დამოწმებული სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც გაეგზავნა საქართველოს საელჩოს უზბეკეთში. აღნიშნული საკითხის მოგვარების შემდეგ, მაყვალა ვ. შემოვიდა თხოვნით, სახალხო დამცველი დახმარებოდა ბავშვის ჩამოყვანაში, რადგან მას არ გააჩნდა ფულადი სახსრები. ცენტრი დაუკავშირდა სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ გენერალურ დირექტორს ნ. ბერიძეს, რომელმაც თავის თავზე აიღო ბავშვის უფასოდ გადმოყვანა. ბავშვი დაუბრუნდა მშობელს.

2004 წლის განმავლობაში საქართველოში ბავშვთა უფლებების დარღვევის კუთხით თავი იჩინა ისეთმა პრობლემებმა, როგორცაა:

- ბავშვების სოციალური დეზადაპტაცია, ადრეული ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, ამორალური ქცევა, მართლსაწინააღმდეგო ქმედებები;
- ბავშვთა მიუსაფრობა, როგორც სოციალური მოვლენა;
- სოციალური ობლობის პრობლემის გამწვავება;
- ბავშვთა დამნაშავეობის სახიფათო ზრდა;

- ძალადობა ბავშვების მიმართ ოჯახში და ოჯახის ფარგლებს გარეთ;
- დანაშაულებრივი ქმედებების, ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რიცხვის ზრდა.

შექმნილმა მდგომარეობამ გააჩინა ქვეყანაში რისკის ჯგუფის ბავშვები, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად დაგვით:

- ქუჩის ბავშვები;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები;
- ასოციალური და დევიანტური ქცევის ბავშვები;
- ბავშვები იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებიდან;
- ბავშვები უმწეო/სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები;
- ბავშვები ინსტიტუციონალური დაწესებულებებიდან.

ჩამოთვლილი პრობლემები ძირითადად გამოწვეული იყო სახელმწიფოს უუნარობით, შეემუშავებინა სტრატეგია, გადაედგა რეალური ქმედითი ნაბიჯები ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით და შეექმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობებისა და უპატრონო ბავშვებისათვის.

“ქუჩის ბავშვები”

ბავშვთა უფლებების დარღვევის თვალსაზრისით, დღეს ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ კუთხით. 2004 წლის ნოემბერში გორში გარდაიცვალა 5 წლის ბავშვი, რომელიც ნაგავსაყრელზე იკვებებოდა. ნოემბრის თვეში თბილისშიც დაფიქსირდა მაწანწალა 14 წლის გოგონას გარდაცვალების შემთხვევა. ქუჩის ბავშვებთან დაკავშირებით ირღვევა სიცოცხლის, ოჯახურ გარემოში აღზრდის, ჯანმრთელობის დაცვის და უწყვეტი განათლების უფლება. სამწუხაროდ, ჯერაც არ არსებობს „ქუჩის“ ბავშვთა პრობლემატიკის ამსახველი ზუსტი სტატისტიკური მონაცემები. ქუჩის ბავშვები არიან არა მხოლოდ თბილისში, არამედ გორში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდში, ბათუმში. დღეს თბილისში ქუჩის ბავშვების რაოდენობა სხვადასხვა მონაცემებით 100-დან 1200-მდე მერყეობს, ხოლო სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგმა დაადგინა, რომ თბილისში ქუჩაში დამეს რეგულარულად ათევის დაახლოებით 70-90 ბავშვი.

ქუჩის ბავშვთა საქმიანობის ძირითად სფეროს მაწანწალობა, მათხოვრობა, წერილმანი ქურდობა, პროსტიტუცია და ტოქსიკომანია წარმოადგენს. ეს ფენა შეიცავს კრიმინალიზაციის დიდ რისკს და მათი აღზრდის საკითხი საზოგადოებისათვის მეტად აქტუალურია. აღნიშნული კატეგორიის ბავშვები განსხვავდებიან თავიანთი თანატოლებისაგან ძირითადად ემოციური სამყაროთი, ინტერესებით, თვითშეფასებით, ღირებულებათა, შემეცნებითი და ქცევითი სისტემებით. აღნიშნულ თავისებურებებს განაპირობებს მათი მიკროსოციალური და ინფორმაციული გარემოს, ცხოვრების წესის სპეციფიკა.

უმეტეს შემთხვევაში ამ კატეგორიის ბავშვები არ არიან ობლები, უფრო მეტიც, ისინი ხშირად ოჯახის მარჩენალები არიან. ეს გარემოება კი მათ აიძულებთ მუდმივად იმუშაონ, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბავშვების ამოვარდნას

რეგულარული სასწავლო პროცესიდან და სერიოზულ პედაგოგიურ და პიროვნულ ჩამორჩენას მათ განვითარებაში. უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია. მშობლების მხრიდან მაწანწალობის იძულება და მათი ბავშვთა სახლებიდან და თავშესაფარებიდან გამოყვანა თავისთავად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს ქმედითი მექანიზმი, რომელიც დაიცავს ბავშვს ასეთი მშობლისგან და ნათესავისგან.

ბავშვთა სახლები და თავშესაფრები

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც ბავშვთა უფლებებთან არის დაკავშირებული, არის ბავშვთა სახლებში და თავშესაფრებში მოვლის და ზრუნვის სტანდარტის დანერგვა, შენარჩუნება და კონტროლი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვთა თავშესაფრები იქ მცხოვრებ ბავშვებს ვერ უზრუნველყოფენ საკვებით, განათლებითა და მზრუნველობით, ხშირად ამგვარ დაწესებულებებში ძალადობის ფაქტებიც კი დაფიქსირებულია. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის სექტემბრამდე თბილისში ფუნქციონირებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურა - „არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკისა და შემდგომი ორიენტაციის ცენტრი“, სადაც რამდენიმე წლის წინ ძალადობის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. ამ სახლმა შეწყვიტა ფუნქციონირება და ამჟამად იქ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და ქალაქის მერიის ძალისხმევით მიმდინარეობს „ქუჩის ბავშვებისათვის“ სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობის სამუშაოები. სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნის შემდეგ, შეიქმნება იმის საშუალება, რომ მიუსაფარი ბავშვები ქუჩის ტროტუარებსა და ღრმულებში აღარ იცხოვრებენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითონ ბავშვთა სახლების პრობლემა. 2004 წლის განმავლობაში ადგილზე მოხერხდა თბილისში მომუშავე რამდენიმე ბავშვთა სახლის მდგომარეობის გაცნობა. გლდანის მასივის მე-8 მიკრორაიონში ფუნქციონირებს ბავშვთა სახლი „რწმენა I“. ეს სახლი ყოფილი საბავშვო ბაღის პირველ სართულზე, ამ მიზნისათვის სრულიად შეუფერებელ პერობებშია განთავსებული. მას არ აქვს ცალკე სასადილო, სპორტული, სათამაშო და სამეცადინო ოთახები. თითოეული ასაკობრივი ჯგუფი მათთვის განკუთვნილ ოთახში იძინებს და იქვე იკვებება. თეთრეული დაბინძურებულია. იმავე შენობის მეორე სართული დევნილებს აქვთ დაკავებული.

დევნილების პრობლემა აქვს №1 დიდმის ბავშვთა სახლს. ამის თაობაზე სახლის დირექტორმა სახალხო დამცველის ოფისს მიმართა. ოფისმა შუამდგომლობით მიმართა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ეთერ ასტემიროვას, რათა მას შეძლებისდაგვარად გადაეჭრა ეს საკითხი. მინისტრს წერილზე პასუხი არ გაუცია. №1 დიდმის ბავშვთა სახლი თბილისში ერთადერთია, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება. აღსანიშნავია, რომ დირექტორის შეცვლის შემდეგ დიდმის ბავშვთა სახლში ყველაფერი კეთდება მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ყოფითი და ფსიქო-პედაგოგიური პირობების გასაუმჯობესებლად.

თბილისში არსებობს ბავშვთა რამდენიმე თავშესაფარი, რომელთა ნაწილი ქალაქის მერიის ბიუჯეტზეა, ნაწილი კი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის შექმნილი. 2004 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის

აპარატში არსებული ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი კვლავაც აგრძელებდა შერჩევით მონიტორინგს ბავშვთა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში.

სამწუხაროდ, ბავშვთა დაწესებულებებში რეალობა მართლაც შემაშფოთებელ სურათს იძლევა – ყაზარმული ტიპის სარემონტო შენობები, 15-20 საწოლიანი საძინებელი ოთახები პირადი ნივთების შესანახი კარადების გარეშე, ცუდი კვება და ა.შ. აღინიშნება ბავშვთა სოციალური ჩამორჩენა. ბავშვები ვერ იღებენ პროფესიულ განათლებას.

გარკვეული პრობლემები დაწესებულებების დირექტორებსაც აქვთ. ისინი ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას არაკვალიფიციური კადრების გამო, რომლებსაც დაკავებული თანამდებობებიდან, სხვადასხვა მიზეზით, ვერ ათავისუფლებენ. ასევე გამოითქვა გულისტკივილი ზღვრულ ასაკს გადაცილებული, უბინაო ახალგაზრდების განთავსებაზე. მიუხედავად არაერთგზისი მიმართვისა, სამინისტრო მათ დახმარებას არ უწევს.

არასრულწლოვანი დამნაშავეები

უსახლკარო მაწანწალა ბავშვების არსებობას თან სდევს მათი დიდი ნაწილის კრიმინალურ ქმედებებში ჩაბმა, რაც ამ ბავშვების ციხეში ჩასმით მთავრდება, ციხე კი უფრო მეტად ამძიმებს იქ მოხვედრილ უსახლკარო ბავშვთა ყოფას და საბოლოო ჯამში, მათ ფსიქიკას განადგურებით ემუქრება. დაძაბული კრიმინოგენური ვითარებაა არასრულწლოვანების ხაზით. 2004 წლის 6 თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული იყო არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი 264 დანაშაული, ამათგან, დაფიქსირდა 14-15 წლის არასრულწლოვანების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა 80 შემთხვევა და 16-17 წლის არასრულწლოვანების მიერ - 184. პროცენტულად ყველაზე დიდი მაჩვენებელი აღინიშნება თბილისში, შემდეგ იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში და ა.შ.

ამ მიმართულებით ნიშანდობლივია საკანონმდებლო ბაზაში ხარვეზების არსებობა, კერძოდ, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა და განსაკუთრებით კი ასეთი ტიპის (უსახლკარო, მაწანწალა) ბავშვების სპეციალურ სადამსჯელო ნორმებს და ეს ბავშვები მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯებიან, რაც არასწორია.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეები საერთო სასამართლოებში ზრდასრულ პირებთან ერთად და ისეთსავე პირობებში სამართლდებიან, მაშინ როდესაც საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა აღიარებს ბავშვის ინტერესების დაცვის დამატებითი და სპეციფიკური მექანიზმების არსებობას (ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ბევრ ქვეყანაში სპეციალიზებული სასამართლოები არასრულწლოვანებისთვის და სხვა). საქართველოში ასეთი დამატებითი მექანიზმები პრაქტიკულად არ არსებობს და შესაბამისად არ არის გათვალისწინებული დამნაშავე ბავშვის სპეციფიკა და არასრულწლოვანი დამნაშავეის უფლებები არ არის სრულად დაცული.

2005 წლის 17 მარტს ისანი-სამგორის პროკურატურამ მარიხუანას მოწვევის ბრალდებით არასრულწლოვანი 14 წლის ვალერი ა.-სთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართა რაიონულ სასამართლოს.

მოსამართლემ თინათინ ფაიქრიშვილმა თავდებით გამოუშვა არასრულწლოვანი მას შემდეგ, რაც მას მიმართა სახალხო დამცველმა და "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა. ბავშვი გადაიყვანეს დიღმის № 1 ბავშვთა სახლში.

არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში ასევე არ არსებობს სასჯელის მოხდის შემდგომი რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის პოლიტიკა და მექანიზმები, რაც ერთი მხრივ იწვევს საზოგადოების კრიმინალიზაციას (ნასამართლევი ბავშვები, რომელთა შესება ჰქონდათ კრიმინალურ სამყაროსთან, უმეტეს შემთხვევებში, კვლავ ჩადიან დანაშაულს) და მეორე მხრივ თვითონ ნასამართლეობა ხდება სტიგმა, რომელიც ხელს უშლის ბავშვის სრულფასოვან ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებას.

სასჯელადსრულებითი დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელით დაწესებულებაში მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობები ახლოს დგას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა საბაზო სწავლების საკითხი, ფუნქციონირებს №39 სადამოს საშუალო სკოლა, სადაც 11 პედაგოგი მოღვაწეობს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა დაკომპლექტებულია კვალიფიციური პედაგოგებით, სასწავლო პროცესში მაინც იქმნება პრობლემები – ბოლო წლებში საერთოდ არ გამოყოფილა სასწავლო ლიტერატურისა და საკანცელარიო ნივთების შესაძენი თანხა, რაც მანამდე ყოველთვიურად გამოიყოფოდა (50 ლარი). შესაბამისად, ამ ნივთების შეძენა დაწესებულებას უწევს. დაწესებულება მოლკებულია ყოველგვარ საინფორმაციო საშუალებას. მიზანშეწონილია დაწესებულებაში ისეთი პირობები შეიქმნას, რომ მსჯავრდებულებს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა ჰქონდეთ. ასევე, გადაუდებლად მოსაგვარებელია მსჯავრდებულთა დასაქმების საკითხი, რაც მათ შემოსავალსაც გაუზიანებს და ზედმეტი თავისუფალი დროის პრობლემაც მოიხსნება.

არასრულწლოვანთა აღმზრდელითი დაწესებულების გარდა, არასრულწლოვანები განთავსებულნი არიან საპყრობილებებშიც, სადაც მდგომარეობა დაწესებულებისაგან განსხვავებით ძალიან მძიმეა - ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს არასრულწლოვან პატიმართა ყოფითი პირობების მდგომარეობა. საპყრობილებებში ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ვერ ხორციელდება პატიმრების ჰაერზე გაყვანის ნორმატივი, არ არიან უზრუნველყოფილი ტანსაცმლით, თეთრეულით და ლოგინებით; სამედიცინო ნაწილში სიცხის საზომის და წნევის აპარატის გარდა სხვა სამედიცინო აპარატურა არ გააჩნიათ, განიცდიან მედიკამენტების ნაკლებობას და ა.შ. წლის დასაწყისში, №1 საპყრობილის ოთხ საკანში 69 არასრულწლოვანი იყო განთავსებული.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები

ბოლო მონაცემებით საქართველოში აღრიცხულია 199 200 სამივე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი, მათ შორის 7 038 ბავშვი. შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე ბავშვთა სტატისტიკას აქვს მატების ტენდენცია, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამის ძირითადი მიზეზებია ეკოლოგიური გარემოს გაუარესება, ქალთა შრომის პირობების

გაუარესება, მშობელთა, განსაკუთრებით დედების დაავადებათა მაღალი დონე. მიღებული ზომები ვერ წყვეტს სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქო-პედაგოგიურ და სამედიცინო პრობლემებს. ბავშვთა ინვალიდობის გამომწვევ დიაგნოზთა შორის წამყვანი ადგილი უკავია თანდაყოლილ გონებრივ და ფიზიკურ დეფექტებს (80%). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ნაწილი იმყოფება ინსტიტუციონალიზებულ დაწესებულებებში, რომლებიც ხშირად ძალიან მძიმე და ცუდ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით შორეულ მთიან რაიონებში. ძალზედ დაბალ დონეზე ხდება ბავშვთა მოვლა, და იმ ბავშვებს შორის, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ან გონებრივი პრობლემები, ხშირად შეეხვებით ბავშვებს, რომლებიც დგანან საკმაოდ სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე. უკეთეს მდგომარეობაში არიან ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, რომლებიც სახლში იზრდებიან, მაგრამ ამ ბავშვების ძალიან მცირე ნაწილს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ადეკვატური მკურნალობა. ბევრისათვის არ არის ხელმისაწვდომი თანამედროვე ორთოპედიური და გადაადგილების საშუალებები.

კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ აცხადებს, რომ „გონებრივად ან ფიზიკურად ჩამორჩენილი ბავშვი უნდა ეწეოდეს სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას იმ პირობებში, რაც უზრუნველყოფს მის ღირსებას, ეხმარება მისი თვითრწმენის ჩამოყალიბებას და ამსუბუქებს მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში“. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია საქართველოს კანონდებლობით. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში კვლავ სერიოზული წინააღმდეგობები ექმნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, და მათ შორის ბავშვთა კანონიერი ინტერესების რეალურად განხორციელებას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები საჭიროებენ სპეციალურ ადტურვილობებს, რომლებიც გააადვილებს მათ თვითმომსახურებასა და ცხოვრებისეულ ადაპტაციას; სამედიცინო-სოციალურ დაწესებულებათა რაოდენობა არის არასაკმარისი და სრულად ვერ პასუხობს მოთხოვნებს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საკითხი დღესაც საკმაოდ მტკივნეულ თემად რჩება. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს შესაბამისი პოლიტიკა და სისტემა, რათა განხორციელდეს სპეციალური მზრუნველობითი პროგრამები ინვალიდი ბავშვებისთვის.

თბილისის №1 დამხმარე სკოლაში, სადაც სწავლობენ გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები, არ არის მათთვის საჭირო პირობები, სწავლების საგანგებო მეთოდები, ახალი მიდგომები. სკოლის შენობაში დირექტორის ნებართვით გახსნილია ხის საამქრო (სახეჩი, საშრობი). სამაგიეროდ, სახალხო დამცველის ოფისის ძალისხმევით და მერიის შესაბამისი სამსახურის დახმარებით, ძლივს გამოინახა საშუალება, გაფართოებულიყო ამავე სკოლის მოსწავლეთა მშობლების მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობელთა ხიდი“. ეს ორგანიზაცია საერთაშორისო დონორების დახმარებით ახორციელებს პროექტს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის. პროექტი მოიცავს არტთერაპიას, მუსთერაპიას, დრამთერაპიას, ფიზიკურ ვარჯიშებს. ორგანიზაციას სჭირდებოდა დამატებითი ფართი, რათა მოხერხებულიყო ყველა მსურველის პროექტში ჩართვა, მსურველთა რიცხვი კი, პროექტის წარმატების ფონზე, მუდმივად იზრდება.

№1 დამხმარე სკოლის წინ ქუჩაზე მოძრაობის შემზღუდავი ზოლიც კი არ იყო დამონტაჟებული, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს. სახალხო დამცველის უშუალო ჩარევის შედეგად, მერიის შესაბამისმა სამსახურმა დაამონტაჟა ციმციმა შუქნიშანი.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი სავარძელში მსხდომი ბავშვების უფლებების დარღვევის ფაქტები. ხშირ შემთხვევაში ირღვევა მათი უნივერსალური უფლება – განათლების მიღებისა. მათ არ აქვთ სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში სიარულის შესაძლებლობა, ერთი მხრივ, სპეციალიზებული ტრანსპორტის და, მეორე მხრივ, პანდუსების არარსებობის გამო. ზოგიერთ სკოლაში საქმე იქამდეც კი მიდის, რომ მშობლებს „მეგობრულად“ ურჩევენ, არ აწვალონ საკუთარი შვილები და არ ატარონ სკოლაში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებები არ იყო შესაბამისად გათვალისწინებული „საერთო ეროვნული გამოცდების შესახებ“ დებულების პროექტში. ამის თაობაზე სახალხო დამცველის აპარატმა განათლების სამინისტროს მიმართა და ეს ხარვეზი გამოსწორდა.

საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს ინვალიდ ბავშვთა ჯანმრთელობის რეაბილიტაციის პროგრამა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ასეთი კატეგორიის ბავშვებისთვის.

საერთაშორისო კონვენციებიდან ძალზე საინტერესოა გაეროს კონვენცია „მსოფლიო მოქმედების გეგმა“, რომელიც ნორვეგიის საბჭოს მხარდაჭერით იქნა მიღებული და რომელიც ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის მდგომარეობას აწესრიგებს. ეს კონვენცია ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, მის საფუძველზე სახელმწიფო პოლიტიკა შეიმუშაოს.

ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან

იმ სოციალურ ჯგუფთა შორის, რომლებმაც საკუთარ თავზე განსაკუთრებული სიმწვავეთ განიცადეს მიმდინარე საზოგადოებრივი კატაკლიზმები, ცალკე ადგილი უკავიათ ბავშვებს.

ბავშვიანი ოჯახების საერთო რაოდენობიდან ექსპერტული მონაცემებით ღარიბთა კატეგორიას 50%-მდე მიეკუთვნება; ასეთი კატეგორიის ოჯახები, როგორც კვლევების ანალიზიდან ჩანს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოდენობითაა სამ და მეტ ბავშვიან ოჯახებს შორის. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ბავშვიანი ოჯახები სიღარიბის მიხედვით საკმაოდ მაღალ რისკ ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის ფონზე ოჯახის რჩენის ფუნქციის მნიშვნელოვანი წილი დედებმა და ბავშვებმა იტვირთეს, რომლებმაც უფრო ადვილად მოახერხეს არაკვალიფიციური და შემთხვევით ნაშოენი შრომის პირობებისადმი ადაპტაცია. ამ გარემოებამ ძლიერ შეარყია ოჯახში ბავშვთა ზნეობრივი ფორმირების ის ტრადიციული გარემო, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მოზარდის სოციალურ ფორმირებას.

მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აისახა ბავშვთა ჯანმრთელობაზეც. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობას უპირატესად (თითქმის 80-85%-ით) სწორედ სოციალურ-ეკონომიკური, ბიოლოგიური და გარემო ფაქტორები განსაზღვრავს, სამედიცინო ფაქტორების გავლენა კი 15%-ს არ აღემატება. მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საარსებო საშუალებების მოძიება და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება გახდა, ხოლო ჯანმრთელობაზე ზრუნვამ უკანა პლანზე გადაიწია.

ბავშვთა შრომამ საქართველოსათვის სრულიად უჩვეულო მასშტაბები შეიძინა. გაიზარდა ქუჩაში სარჩოს საძებნელად გამოსულ ბავშვთა რაოდენობა, ბევრი მშობლისათვის საკუთარი ბავშვის ბავშვთა სახლში მიბარება გახდა შიმშილობიდან თავის დაღწევის ერთადერთი გამოსავალი.

ეთნიკური უმცირესობები

ბავშვთა უფლებების საკითხში პრობლემების კვლევისას სხვა ფაქტორებთან ერთად ეთნიკურ უმცირესობათა ბავშვების სოციალიზაციის პრობლემაც დგას. განათლების რეფორმა ითვალისწინებს ამ ჯგუფის ბავშვების ინტეგრაციისკენ მიმართულ ნაბიჯებს, თუმცა რეალობაში, განათლების მიღებასთან დაკავშირებით, ბევრ ბავშვს შეექმნება სერიოზული პრობლემა ქართული ენის არცოდნის გამო. მხოლოდ ახლა მუშავდება ახალი სასწავლო პროგრამა, რომელიც გავრცელდება ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ბავშვზე და ისეთ რეგიონებზე, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებითაა დასახლებული. დღესდღეობით ის ბავშვები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ქართულად წერა-კითხვა არ შეუძლიათ, სოციალიზაციის პრობლემას განიცდიან და მხოლოდ ჩაკეტილ, მოწყვეტილ გარემოში აგრძელებენ არსებობას.

განათლების უფლების გარდა, ეთნიკურ უმცირესობებში ბავშვთა უფლებების დარღვევის თვალსაზრისით გვხვდება არასრულწლოვანთა ძალით გათხოვების ან დაოჯახების შემთხვევები, რაც ხშირად მათი ჯანმრთელობის გაუარესებითაც კი მთავრდება. ასეთი ტიპის პრობლემა ძალიან სათუთია იმ გაგებით, რომ მასში პირდაპირი და უხეში ჩარევა შესაძლებელია ეთნიკური დაძაბულობის წყაროდ კი გახდეს. ამიტომ ოპტიმალური გამოსავალი პრობლემის მოგვარებისა იქნებოდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომელიც ქვეყანაში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს შეეხებოდა.

დენსტიტუციონალიზაცია

აღსანიშნავია კიდევ ერთი საკითხი. განათლების სამინისტრო სახელმწიფოს პრიორიტეტად მიიჩნევს დენსტიტუციონალიზაციას, რაც გულისხმობს მიუსაფარი და რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებას, ან მიმღებ ოჯახებში მათ განთავსებას (გაოჯახებას). ეს პრიორიტეტი აბსოლუტურად მისაღები და ყოველმხრივ გამართლებულია, რადგან ბავშვთა სახლები საბჭოთა სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მახინჯი წარმონაქმნია, რომელთა რაოდენობა მინიმუმამდე უნდა დავიდეს. ამისათვის საგრძნობლად უნდა დაიხვეწოს საქართველოს კანონები „შვილად აყვანის წესის შესახებ“ და „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“. ამ მიმართულებით სახალხო დამცველი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან.

სახალხო დამცველის აპარატში მომზადდა შენიშვნები და წინადადებები საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების მიერ საკანონმდებლო ინიციატივების წესით წარმოდგენილ კანონპროექტებზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ დამატების შეტანის შესახებ, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დამატების შეტანის შესახებ, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ დამატების შეტანის შესახებ და „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ.

მონაწილეობას ვიღებთ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შექმნილ სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, სადაც მუშავდება გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი „არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაციის რეფორმის მხარდაჭერა“.

განათლების სამინისტროსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიმდინარეობს მუშაობა ინკლუზიური განათლების მეთოდის დანერგვაზე სკოლებში. ინკლუზიური განათლება გულისხმობს უნარშეზღუდული ბავშვების ჩვეულებრივ სკოლებში სწავლას და მათ სოციალიზაციას ნორმალურ გარემოში, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარებას, ასევე საზოგადოებაში ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის დამკვიდრებას. იგეგმება ინკლუზიური განათლების სასწავლო პროგრამის ეროვნულ სასწავლო პროგრამასთან შეერთება. ამ პროგრამის განხორციელების ფარგლებში განათლების სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამჟამად ინკლუზიური განათლების კომპონენტი თბილისის თორმეტ საშუალო სკოლაშია შეტანილი.

რეკომენდაციები:

- საქართველოს პარლამენტთან შეიქმნას ბავშვთა საკითხების საკოორდინაციო საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება ქვეყანაში ბავშვთა საკითხების სფეროში პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა, რეალური სიტუაციის ანალიზი, სტრატეგიის ხელშეწყობა, უწყებების და ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინაცია, მიღებული კანონების და გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი და კონტროლი.
- განხორციელდეს კანონმდებლობის ანალიზი და მოხდეს საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანა და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კანონების მიღება საერთაშორისო სტანდარტებთან და აღებულ ვალდებულებებთან ჰარმონიზაციის მიზნით.
- ბავშვობის განსაზღვრა შეიცვალოს საქართველოს ყველა შესაბამის კანონში და კანონქვემდებარე აქტში გაეროს ბავშვთა კონვენციის განსაზღვრის შესაბამისად – 18 წელი.
- აუცილებელია არასრულწლოვანთათვის მართლმსაჯულების ცალკე სისტემის შექმნა, სადაც არასრულწლოვანის დანაშაულის შესახებ საქმის

სასამართლო განხილვას ჩაატარებენ მოსამართლეები, რომლებსაც გავლილი ექნებათ სპეციალური მომზადება.

- ბავშვთა უფლებების უფრო სრულყოფილი დაცვის მიზნით, სასურველია სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი სპეციალიზებული ბავშვთა ადვოკატურის შექმნა, რომლის საქმიანობაც განსაზღვრული იქნება სახაზინო ადვოკატურის შესახებ კანონით.
- გამარტივდეს და დაიხვეწოს მშობლებისთვის მშობლის უფლებების ჩამორთმევის პროცედურა და შემუშავდეს კონტროლის მექანიზმები, რომელიც დაიცავს ბავშვის უფლებებს და ინტერესებს ოჯახში.
- დაიხვეწოს კანონმდებლობა ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით, განვითარდეს შესაბამისი ინსტიტუტები ბავშვთა უფლებების რეალიზების და სათანადო პირობების უზრუნველყოფის კონტროლის მიზნით, მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაშვილებულ ბავშვებზე. ხორციელდებოდეს გაშვილებული ბავშვების მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი და ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს ამ მონიტორინგსა და კონტროლზე პასუხისმგებლობა.
- შემუშავდეს ბავშვის სოციალური რეინტეგრაციის პოლიტიკა ბავშვთა სახლებიდან და თავშესაფრებიდან გამოსულ ბავშვებთან მიმართებაში და დაიდოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა. უნდა შეიქმნას ფსიქო-სოციალური მომსახურების ქსელი და სპეციალური გარდამავალი ინსტიტუცია, რომელიც თავშესაფრის დატოვების შემდეგ ბავშვებზე ზრუნვას იკისრებს, ასწავლის ხელობას და გარემოსთან ადაპტაციაში დაეხმარება, სადაც თითოეულ ინდივიდს შესაძლებლობა მიეცემა მიღებულ ზოგად, პროფესიულ თუ უმაღლეს განათლებასთან ერთად ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევები, რათა ამ ბავშვებმა მომავალში საკუთარი შრომით შეძლონ თავის რჩენა. ასეთივე ტიპის სპეციალიზებული ცენტრები უნდა ჩამოყალიბდეს ინვალიდ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთათვისაც.
- დაიხვეწოს და უფრო ქმედითად ამოქმედდეს ბავშვთა დე-ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რათა მშობელთა მიერ საცხოვრებელი ბინის განკარგვისას არსებობდეს ბავშვის ინტერესის უპირატესი დაცვის სამართლებრივი რეგულირების გზები.
- შემუშავდეს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების და ინტერესების სრულყოფილ დაცვას დანაშაულის გამოძიების, სასამართლო პროცესის და სასჯელის მოხდის ყველა დონეზე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) უახლესი მონაცემებით, მსოფლიოში დაახლოებით 600 მილიონი ადამიანი განიცდის სხვადასხვა სახის უნარშეზღუდულობას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების 80 პროცენტი ცხოვრობს ე.წ. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. მათი უმრავლესობა ღარიბია და მოკლებულია ძირითად სერვისებს დასაქმების, განათლებისა და რეაბილიტაციის ჩათვლით, რაც შეუძლებელს ხდის მათს მონაწილეობას სათემო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მძიმე ან/და მრავლობითი უნარშეზღუდულობის შემთხვევაში მათი ბრძოლის უპირველესი მიზანი ფიზიკური გადარჩენა, საკვების და თავშესაფრის მოპოვებაა. ზემოთ აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით იჩენს თავს გარდამავალი განვითარების ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ზოგიერთი პრობლემა კი, როგორც იდენტიფიკაციის (ექსპერტიზის), ასევე რეაბილიტაციის, განათლებისა და დასაქმების სფეროში, გამოხატულია განსაკუთრებული სიმწვავეით.

ყველა სახელმწიფოს მოვალეობაა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა უნარშეზღუდულობის მქონე ადამიანებისათვის და მათი უფლებების დაცვა.

ამ პრინციპების დასაცავად სახელმწიფოს ძირითადი აქტივობებია:

- უნარშეზღუდულობის ადრეული იდენტიფიკაცია (ექსპერტიზა) დაზიანების ახლო და შორეული შედეგების შემსუბუქებისათვის;
- რეაბილიტაციის, დასაქმებისა და განათლების მისაწვდომობა;
- სარეაბილიტაციო სერვისის ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში;
- თემზე დაფუძნებული რეაბილიტაციის, განათლებისა და დასაქმების განვითარება;

ურთიერთობათა გაძლიერება უნარშეზღუდულობის მქონე ადამიანებს, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და დასაქმების სფეროს მუშაკებს, პროფესიონალებსა და თემს შორის.

ყველა უწყებას, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალის უნარშეზღუდულობის განსაზღვრებასთან, აქვს საკუთარი დეფინიცია ან დეფინიციათა კომპლექტი. ამის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ყველა უწყება იძლევა უნარშეზღუდულობის განსაზღვრებას სხვადასხვა საფუძველზე და ეს საფუძველები ხშირად განისაზღვრება სხვადასხვა კანონით ან ერთი და იმავე კანონის სხვადასხვა პირობებში გამოყენებით და მოდიფიცირებული ან ინტერპრეტირებული სხვადასხვა წესითა და იურიდიული ნორმით.

• თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები

1993 წლის 20 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 48-ე სესიამ მიიღო "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები" (რეზოლუცია 48/96).

სტანდარტული წესები შემუშავდა იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც დაგროვდა გაეროს მიერ გამოცხადებულ “უნარშეზღუდულთა დეკადის ფარგლებში” (1983-1992წ.წ). სტანდარტული წესების პოლიტიკურ და მორალურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენცია, რომელიც აერთიანებს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს, ბავშვის უფლებების კონვენციას, ქალების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის კონვენციას, ასევე უნარშეზღუდულ პირებთან დაკავშირებით მოქმედებათა მსოფლიო პროგრამას.

სტანდარტულ წესებში ასახულია ის სფეროები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ უნარშეზღუდული ადამიანების ცხოვრების ხარისხის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის განხორციელების საქმეში. სტანდარტული წესები აღიარებულია საფუძველად, რომელზე დაყრდნობითაც ქვეყნის მთავრობებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ პოლიტიკა და წარმართონ თავიანთი მოღვაწეობა. სტანდარტული წესების მთავარი მიზანია, უნარშეზღუდულ ადამიანებს მიანიჭოს ისეთივე უფლებები და პასუხისმგებლობები, როგორც საზოგადოების სხვა წევრებს.

შემუშავებულია უნარშეზღუდულ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 22 სტანდარტული წესი, რომელიც არეგულირებს:

1. თანაბარი მონაწილეობის განსახორციელებლად აუცილებელ წინაპირობებს;
2. სამიზნე სფეროებს, სადაც უნდა შეიქმნას თანაბარი შესაძლებლობები :

- ა) ხელმისაწვდომობა;
- ბ) განათლება;
- გ) დასაქმება;
- დ) შემოსავლებით უზრუნველყოფა და სოციალური დახმარება;
- ე) ოჯახური ცხოვრება და პიროვნების თავისუფლება;
- ვ) კულტურა;
- ზ) დასვენება და სპორტი;
- თ) რელიგია;

3. განხორციელების ღონისძიებებს :

- ა) ინფორმაცია და გამოკვლევა;
- ბ) პოლიტიკის ფორმირება და დაგეგმარება;
- გ) კანონმდებლობა;
- დ) ეკონომიკური პოლიტიკა;
- ე) საქმიანობის კოორდინაცია;
- ვ) უნარშეზღუდულ პირთა ორგანიზაციები;
- ზ) სპეციალისტთა მომზადება;
- თ) ნაციონალური კონტროლი და უნარშეზღუდულთა პროგრამების შეფასება;
- ი) ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა;
- კ) საერთაშორისო თანამშრომლობა;

4. კონტროლის მექანიზმი.

კონტროლის მექანიზმების არსებობა აუცილებელია სტანდარტული წესების დანერგვის ეფექტურობის ამაღლებისათვის. ის ეხმარება ქვეყნებს შეაფასოს სტანდარტული წესების იმპლემენტაციის პროცესი და გაზომოს მიღებული შედეგები. კონტროლის არსებობის შემთხვევაში უფრო ადვილად ვლინდება იმპლემენტაციის პროცესის ხარვეზები და წინააღმდეგობანი. ამ პროცესის აუცილებელ ელემენტია ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლა და კონსულტაციური დახმარების აღმოჩენა. კონტროლის ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალური განვითარების კომისიის სესიის ფარგლებში.

• ფუნქციონირების, უნარშეზღუდულობისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაცია” – (ICF)

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია “ფუნქციონირების, უნარშეზღუდულობისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაცია” (ICF), რომლის ყოვლისმომცველი მიზანია, “უზრუნველყოს უნიფიცირებული სტანდარტული ენა და განსაზღვროს ჩარჩოები ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლების აღწერისათვის.” ICF არის ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა გარემოების კლასიფიკაცია. ის გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: დაზღვევა, სოციალური დაცვა, შრომითი მოწყობა, განათლება, ეკონომიკა, სოციალური პოლიტიკა, კანონმდებლობა, ჰიგიენა.

კლასიფიკაცია მიღებულია გაეროს მიერ როგორც ერთ-ერთი სოციალური კლასიფიკაცია, რომელსაც ეყრდნობა და რომელშიც რეალიზდება “უნარშეზღუდულობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები. პრაქტიკულად ICF-ის საშუალებით ხდება უნარშეზღუდული პაციენტების პრობლემის იდენტიფიცირება, მათი ფუნქციონალური დამოუკიდებლობის შეფასება და სოციუმში ჩართულობის ანალიზი.

აღნიშნული კლასიფიკაცია არ ფუნქციონირებს საქართველოში და მისი ამოქმედების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება უნარშეზღუდულობის იდენტიფიკაციის (ექსპერტიზის) და მასთან განუყრელად დაკავშირებული რეაბილიტაციის, განათლებისა და დასაქმების საკითხების გადაწყვეტა.

საქართველოში არსებული ზოგადი მდგომარეობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები დანამდვილებით შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე დაუცველ და ხელისუფლების მხრიდან მიტოვებულ ფენად. სტანდარტული წესების იმპლემენტაცია და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების თანაბარი მონაწილეობის გარკვეული სტანდარტები განიხილება როგორც ევროკავშირში ინტეგრირების აუცილებელი საკითხი. დღევანდელი მდგომარეობით კი საქართველო ძალზედ შორს დგას იმ ქვეყნებისგან, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ევროკავშირში გაწევრიანებაზე. სხვა პრობლემებთან ერთად ამგვარი მდგომარეობის ძირითად გამომწვევ მიზეზს უნარშეზღუდულობის გლობალური პოლიტიკის არარსებობა წარმოადგენს.

სტანდარტული წესების მიღებით გაეროს წევრმა ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ ადრე არსებული ნებაყოფლობითი პასუხისმგებლობის სანაცვლოდ აიღეს სერიოზული მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა თავიანთ ქვეყნებში უნარშეზღუდული ადამიანებისათვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის თაობაზე. სტანდარტული წესები ასევე განსაზღვრავს პასუხისმგებლობის, ჩასატარებელი ღონისძიებების და თანამშრომლობის პრინციპებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა საბჭოს მიერ 1995 წელს შეიქმნა მეთოდოლოგია, კერძოდ შედგა კითხვარი, რომლითაც ხდება სხვადასხვა ქვეყნებში უნარშეზღუდულობის პოლიტიკის ქვაკუთხედის – სტანდარტული წესების იმპლემენტაციის პროცესში მთავრობების აქტიურობის შეფასება. ასევე განისაზღვრა მთავრობებისა და არასამთავრობო სექტორისთვის სტანდარტული წესების იმპლემენტაციის ყველაზე ეფექტური მიმართულებები, კერძოდ:

- გლობალური პოლიტიკის არსებობა;
- კანონმდებლობა;
- ხელმისაწვდომობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი როლი პოლიტიკის ფორმირებაში;
- მუშაობის კოორდინაცია;

ჩვენს მიერ საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზი ეფუძნება სწორედ ამგვარ მეთოდოლოგიას. ანალიზის დროს გამოყენებული ინფორმაცია კი ეყრდნობა:

- 1) პარლამენტის და დაინტერესებული სამინისტროების (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო) და დეპარტამენტების მიერ მოწოდებულ მასალებს (კანონები, ბრძანებულებები და კანონქვემდებარე აქტები; დამტკიცებული სამედიცინო და სოციალური პროგრამები);
- 2) სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებულ საექსპერტო დოკუმენტებს;
- 3) სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგებს;
- 4) სხვადასხვა ქვეყნების (ა.შ.შ., ბრიტანეთი, ჩეხეთი, სლოვენია, ესტონეთი, ლატვია) კანონმდებლობას, ამ ქვეყნების მთავრობების მიერ განხორციელებულ პროგრამებს;
- 5) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ წარმოებული პოლიტიკის შესწავლას;
- 6) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მიერ მიღებულ თანაბარი პირობების შექმნის სტანდარტული წესების გაცნობას;
- 7) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საექსპერტო საბჭოს მიერ მიღებულ მთავრობების მოქმედების ეფექტურობის მონიტორინგის მეთოდურ რეკომენდაციას.

- უნარშეზღუდულობის გლობალური პოლიტიკა

გლობალური პოლიტიკის შეფასება გულისხმობს:

- ა) რამდენად აღიარებულია ოფიციალურად უნარშეზღუდულობის პოლიტიკა;
- ბ) არსებობს თუ არა კანონმდებლობა ქვეყანაში;
- გ) აქვს თუ არა მთავრობას ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი;
- დ) აქვს თუ არა უნარშეზღუდულობის მაკოორდინირებელ საბჭოს მიღებული სახელმძღვანელო დოკუმენტი;
- ე) არსებობს თუ არა პოლიტიკური პარტიების მიერ გაცხადებული პოზიცია უნარშეზღუდულობის პოლიტიკის შესახებ;
- ვ) აქვს თუ არა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მიღებული პოლიტიკური დოკუმენტი;
- ზ) რაზე კეთდება აქცენტები უნარშეზღუდულობის პოლიტიკის ფარგლებში – პრევენციაზე, რეაბილიტაციაზე, ინდივიდუალურ დახმარებაზე, ხელმისაწვდომობაზე თუ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე;
- თ) როგორია მთავრობის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

დასკვნა – შეიძლება ითქვას რომ გლობალური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით ქვეყანაში მდგომარეობა არასახარბიელოა. 8 განხილული პუნქტიდან საქართველო აკმაყოფილებს მხოლოდ ერთს – მიღებული აქვს კანონმდებლობა, რომლის ხარისხზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. დღეს კი მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ გლობალური პოლიტიკის არსებობას უთმობენ და მთავრობები მის შექმნაში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების აქტიური ჩართვის ინიციატორებად გამოდიან.

• **კანონმდებლობა**

კანონმდებლობის შეფასება გულისხმობს:

- ა) როგორი ტიპის კანონმდებლობა აქვს ქვეყანას – მხოლოდ ზოგადი, მხოლოდ სპეციფიური, ორივეს კომბინაცია?
- ბ) როგორია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმი?
- გ) არსებობს თუ არა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის უფლებებს განათლებაზე?
- დ) უზრუნველყოფს თუ არა კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს განსაკუთრებულ სარგებლებით სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით?
- ე) უზრუნველყოფს თუ არა კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს განსაკუთრებული სარგებლებით რეაბილიტაციის თვალსაზრისით;
- ვ) უზრუნველყოფს თუ არა კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს განსაკუთრებული სარგებლებით დასაქმებაში?
- ზ) უზრუნველყოფს თუ არა კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს განსაკუთრებული სარგებლებით დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობის საქმეში?

დასკვნა – დღეისათვის არსებული საკანონმდებლო ბაზა მეტად სუსტია და საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს. პრობლემა სათავეს იღებს ტერმინიდან – “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი”. ტერმინი ძალზედ არაპრაქტიკულია და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი

საზოგადოებაში ფართოდ ვერ მოიკიდებს ფეხს და გამოყენებული იქნება მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში. უკვე აშკარად ჩანს, რომ ყოველდღიურ საქმიანობაში ისევ ტერმინი “ინვალიდია” გამოყენებული.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უნარშეზღუდული პირის დეფინიცია პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებული განმარტების ანალოგიურია, სადაც მთელი რიგი საკითხები მეტად ბუნდოვანია. მაგ. ტერმინების “ჯანმრთელობის მეტ-ნაკლები მოშლა” და “ყოფა-ცხოვრების არსებითი გაძნელება” დეფინიცია პრაქტიკულად შეუძლებელია. ასევე გაუგებარია უნარშეზღუდულობის კავშირი შრომისუნარიანობასთან. განმარტება აშკარად ვერ უძლებს კრიტიკას, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ექსპერტიზის კანონის ამოქმედება, და უნარშეზღუდული ადამიანების იდენტიფიცირება.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია მსოფლიოში უნარშეზღუდულ ადამიანთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, არის ის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში უნარშეზღუდულობის სხვადასხვა დეფინიცია გამოიყენება და იგი ხშირ შემთხვევაში უშუალო კავშირშია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარებასთან. ტრადიციულ საზოგადოებაში განიხილება ოთხი სახის უნარშეზღუდულობა (ფიზიკური დაზიანებით, სიბრძავით, სიყრუით, მენტალური რეტარდაციით). განვითარებულ საზოგადოებებში, სადაც ადამიანის უფლებები უფრო სპეციფიკური ხდება და სადაც სოციალური დაცვის მექანიზმები და შეღავათები შესაბამისად იზრდება, უნარშეზღუდულობის გაგება უფრო და უფრო ფართოვდება.

ძალზედ სერიოზული პრობლემებია კანონში, რომელიც არეგულირებს ექსპერტიზის საკითხებს. კანონში აუცილებლად უნდა განიმარტოს უნარშეზღუდულობის ორი ტიპი, პრაქტიკულად კი კანონი ხელახლა დასაწერი, რომელიც მთლიანად დაეყრდნობა ზემოთაღწერილ ICF-ის კლასიფიკაციას.

• **ხელმისაწვდომობა**

ხელმისაწვდომობის შეფასება გულისხმობს :

- ა) მთავრობის მიერ ოფიციალურად მიღებული ხელმისაწვდომობის წესების არსებობას;
- ბ) საზოგადოებრივ ადგილებში ხელმისაწვდომობას;
- გ) შენობის გარეთ სივრცეში ხელმისაწვდომობას;
- დ) ტრანსპორტში ხელმისაწვდომობას;
- ე) სახლებში ხელმისაწვდომობას;
- ვ) მშენებარე ობიექტებზე ხელმისაწვდომობაზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი ორგანოს არსებობას;
- ზ) მთავრობების აქტიურობას ძველ შენობებში ახალი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის ადაპტირებული კარების, ლიფტების დაყენება;
- თ) სპეციალური დანადგარების მონტაჟს უსინათლოების და სმენადაქვეითებულებისთვის;
- ი) სპეციალური ტრანსპორტით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებებში;

- კ) სპეციალური ტრანსპორტით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაყვანას სასწავლო დაწესებულებებში;
- ლ) სპეციალური ტრანსპორტით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაყვანას სამსახურში;
- მ) რამდენად ითვალისწინებს მედია უნარშეზღუდულ პირთა საჭიროებებს;
- ნ) გამოდის თუ არა ქვეყანაში ლიტერატურა ბრაილის შრიფტით;

საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებლობა იწვევს დაჯარიმებას. მუხლი 178² ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებლობა,

დასახელებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობა და რეკონსტრუქცია ამ ობიექტების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი მისადაგების გარეშე, გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე».

მუხლი 2. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178¹ მუხლი ამოქმედდეს 2003 წლის 1 დეკემბრიდან. საქართველოს ადმინისტრაციულ ხელისუფლებამ 2003 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს ამ მუხლის ამოქმედებასთან დაკავშირებული სალიცენზიო, სანებართვო პირობებისა და სხვა შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტების განსაზღვრისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

ამასთან, თბილისი მერიამ ქალაქში შუქნიშნების გამოცვლისას არ გაითვალისწინა უნარშეზღუდულ პირთა ინტერესები და უფლებები და ახალ შუქნიშნებს ისევ არა აქვთ ხმოვანი სიგნალი უსინათლოებისთვის. არადა, შესაბამისი მოწყობილობების მონტაჟი არ იყო დაკავშირებული დიდ თანხებთან. გარდა ამისა, ქ. თბილისისთვის შექმნილი ავტობუსები ასევე არ ითვალისწინებს ინვალიდი მოქალაქეების საჭიროებებს და მათი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია ამ კატეგორიის ადამიანებისთვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პანდუსების და სხვა ტექნიკური საშუალებების არარსებობა საჯარო დაწესებულებებში, რაც ინვალიდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდვას და მათი ინტერესების უგულებელყოფას იწვევს.

ხშირად საზოგადოება მზად არ არის შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ინტერესების გასათვალისწინებლად. მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა მანანა ნემსიწვერიძის განცხადება. მისი შვილი, ლევან ბურჯელიანი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია და მხოლოდ ეტლის საშუალებით გადაადგილდება, სწავლობს თბილისის მე-40 სკოლის მე-10 კლასში. საკლასო ოთახი მდებარეობდა მეოთხე სართულზე, ხოლო შენობა სრულიად არაადაპტირებულია. ამიტომ, ლევანის უმცროს ძმებს ხელით უხდებოდათ მისი აყვანა მეოთხე სართულზე. განმცხადებელი ითხოვდა, რომ მისი შვილის საკლასო ოთახი ჩამოეტანათ, თუნდაც, ერთი სართულით

ქვევით და გაეღოთ ქუჩიდან სკოლის ეზოში შემავალი ჭიშკარი. მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შედეგად მოხერხდა საკლასო ოთახის გადაცვლა მეორე სართულზე. ჭიშკარიც ყოველდღიურად იღება.

მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა სახელმწიფო პოლიტიკნიკურ უნივერსიტეტში, სადაც უნარშეზღუდულ სტუდენტს ეზღუდებოდა განათლების უფლება იმის გამო, რომ აუდიტორია მე-4 სართულზე მდებარეობდა და უნივერსიტეტის რექტორატი არ იყო მოწადინებული, ერთი სტუდენტის გამო პირველ სართულზე მოექებნა აუდიტორია.

დასკვნა :

- ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ქვეყანაში ასევე ძალზედ ცუდი მდგომარეობაა. ობიექტურ მიზეზებს (რთული ეკონომიკური მდგომარეობა, რთული გეოგრაფიული ლანდშაფტი, მძიმე მემკვიდრეობა) ემატება სუბიექტური მიზეზებიც, კერძოდ კანონმდებლობით ზუსტად არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი ორგანო, ასევე არ არის პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრული ხელმისაწვდომობის წესები, რომლის დამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მის განხორციელებაზე ზრუნვა. შესუსტდა ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის აქტიურობაც. სერიოზული პრობლემებია მშენებარე საცხოვრებელი თუ ადმინისტრაციული შენობების თვალსაზრისითაც – იშვიათი გამონაკლისის გარდა არსად არ არის შექმნილი უნარშეზღუდული პირების ხელმისაწვდომობის პირობები.

- უნარშეზღუდულ პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების მდგომარეობა

შეფასება გულისხმობს:

- ა) ნაციონალური სათავო (“ქოლგა”) ორგანიზაციის არსებობას;
- ბ) პოლიტიკის შექმნის პროცესში ორგანიზაციების ჩართულობას;
- გ) ქვეყნის მთავრობის მხრიდან ფინანსური და ორგანიზაციული ხასიათის დახმარებას;
- დ) ორგანიზაციების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

დასკვნა: ქვეყანაში გლობალური პოლიტიკის და კოორდინაციის სისუსტის გამო რთულია საუბარი არასამთავრობო სექტორის მუშაობის ეფექტურობის შესახებ. არსებობდა გარკვეული მცდელობები ქვეყნის მთავრობის მხრიდან ფინანსური და ორგანიზაციული დახმარების აღმოჩენისა, რაც, ჩვენი აზრით, სხვადასხვა მიზეზის გამო უმთავრესად არაეფექტური და უშედეგო აღმოჩნდა. უნარშეზღუდულობის პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის ყველაზე დიდ პრობლემად სპონტანურობა და განათლების დეფიციტი რჩება. ყველაზე ეფექტურად მოქმედებენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ უცხოელი პარტნიორები, რომელთაც დიდი ცოდნა და გამოცდილება დააგროვეს ამ სფეროში მონაწილეობით. ასეთ ორგანიზაციებს მყარი ფინანსური ბაზისის გარდა აქვთ მუდმივი ორგანიზაციული დახმარება, რაც საბოლოოდ მათ პროექტებს უფრო მყარ და ეფექტურ სახეს აძლევს. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ უნარშეზღუდულ პირთა არასამთავრობო ორგანიზაციები მომავალში აქტიურად უნდა ჩაერთონ როგორც გლობალური პოლიტიკის შექმნაში, ასევე უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში.

- მუშაობის კოორდინაცია

შეფასება გულისხმობს :

ა) საკოორდინაციო კომიტეტის არსებობას

დასკვნა:

საქართველოში ასეთი კომიტეტი არ არსებობს, რაც ჩვენი აზრით, ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. პრაქტიკულად საქართველოში არასდროს არსებობდა ორგანო, რომელიც კოორდინირებულად სახელისუფლებო დონეზე იმუშავებდა უნარშეზღუდულობის გლობალური პოლიტიკის შექმნასა და მართვაზე.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ქვეყნების 75%-ში საკოორდინაციო კომიტეტი ფუნქციონირებს.

პრობლემების მრავალფეროვნების (სამედიცინო რეაბილიტაცია, განათლება, დასაქმება, ხელმისაწვდომობა და სხვ.) და სხვადასხვა უწყების კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობის გამო პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, სადაც არსებობს მინისტრთა კაბინეტი, საკოორდინაციო კომიტეტი არსებობს პრემიერ-მინისტრთან.

კომიტეტების წარმომადგენლობითი სტრუქტურა შემდეგნაირია:

- უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებული მინისტრები;
- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები
- სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები,
- კერძო სექტორის წარმომადგენლები

ძირითადი მიმართულება, რომლებშიც კომიტეტები იღებენ მონაწილეობას, არის პოლიტიკის შექმნა და მართვა;

დღესდღეობით საქართველოს არა აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფცია, იდეოლოგია, რომლითაც უნდა განახორციელოს უნარშეზღუდულობის პოლიტიკის მართვა. რეალურად ჩვენ გვაქვს გადაუწყვეტილი პრობლემები, რომელიც განეკუთვნება თანაბარი მონაწილეობის განსახორციელებლად აუცილებელი წინაპირობების იმპლემენტაციის ე.წ. დასაწყის ფაზას: პრობლემის აღქმას, დეფინიციების პრობლემებს, უნარშეზღუდულობის კონცეპტუალური მოდელების შეფასებას და არჩევას, უნარშეზღუდულ პირთა იდენტიფიკაციისა და სტატისტიკის პრობლემებს. დასახვეწია და შესავსებია საკანონმდებლო ბაზა. არა გვაქვს შექმნილი ამ და სხვა პრობლემების გადასაჭრელად ადეკვატური სტრუქტურები, არ არის ხელისუფლების დონეზე მიღწეული კონსენსუსი არასამთავრობო სექტორთან.

ზემოთ აღწერილი პრობლემების გამო რთულია საუბარი იმ სოციალური და სამედიცინო-სოციალური პროგრამების ეფექტურობის შესახებ, რომლებიც ხორციელდება ქვეყანაში სახელმწიფოს მონაწილეობითა და მის გარეშე. პრობლემების პრიორიტეტების არცოდნისა, კოორდინაციისა და სერიოზული

მონიტორინგის არარსებობის პირობებში დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძალზედ დიდია არაეფექტური პროგრამების არსებობის და თანხების ფუჭი ხარჯვის რისკი.

ამავე დროს ქვეყანაში არსებობს დადებითი გამოცდილება: განვლილი წლების განმავლობაში მომზადდა კვალიფიციური კადრები, რომლებიც მუშაობენ უნარშეზღუდულობის პრობლემატიკაზე, ხორციელდება რამდენიმე მაღალი ხარისხის პილოტური სოციალური და სამედიცინო-სოციალური პროგრამა, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა და სამოქმედოდ გადასცა მთვრობას სწორ პრინციპებზე აგებული ექსპერტული დოკუმენტი, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. საბედნიეროდ არსებობს აგრეთვე დასავლეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც რთული გზა გაიარეს უნარშეზღუდული პირების მოვლიდან მათი უფლებების დაცვამდე და საზოგადოებაში სრულ ინტეგრაციამდე. საჭიროა სწორედ ამგვარი გამოცდილებების შესწავლა და გაზიარება. ხელისუფლების ნების და დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების ერთობლივი შრომით სრულიად შესაძლებელია პრობლემების დაძლევა.

რეკომენდაციები:

სტრუქტურული რეორგანიზაცია

სოციალურ საკითხთა სამინისტროს დამოუკიდებლად არსებობის პირობებში 1995 წელს შეიქმნა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი, რომელმაც იარსება შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შექმნამდე.

დეპარტამენტის დებულების მიხედვით, მას ევალებოდა შეემუშაებინა უნარშეზღუდულობის გლობალური პოლიტიკა, შეექმნა და დაეფინანსებინა პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფდა სტანდარტული წესების იმპლემენტაციას, განეხორციელებინა მონიტორინგი ამ პროცესზე. სამწუხაროდ დეპარტამენტმა ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და სამინისტროების შეერთების შემდგომ გაუქმდა, თუმცა უმჯობესი იქნებოდა დეპარტამენტის შენარჩუნება, რეორგანიზაცია და ახალი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

შეერთების შემდგომ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში დღემდე ფუნქციონირებს სამმართველო, რომელიც განაგებს უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენი აზრით, ამჟამად სამმართველოს მეტად შეზღუდული და გაურკვეველი ფუნქციები აქვს.

ექსპერტიზის საკითხებს განაგებს ექსპერტიზის სამმართველო. ორივე სამმართველოს ჰყავს ხელმძღვანელები და კურატორები მინისტრის მოადგილეების რანგში. რიგი მიზეზების გამო ამ ეტაპზე სამინისტროს ამ რგოლების მუშაობა უნდა შეფასდეს მკვეთრად უარყოფითად. ზემოთ აღწერილ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი არიან სწორედ ის ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ და რომელთა დაბალმა კვალიფიკაციამ და უპასუხისმგებლობამ ამ სფეროში არსებული უმძიმესი მდგომარეობა გამოიწვია;

აუცილებელია განხორციელდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომლის მიზანია: ქვეყანაში გაჩნდეს უნარშეზღუდულობის პოლიტიკასა და მართვაზე პასუხისმგებელი სახელისუფლო რგოლები, რომლებიც არასამთავრობო სექტორის ფართო მონაწილეობით დაიწყებენ ამ საკითხებზე სერიოზულ მუშაობას.

რამდენადაც უნარშეზღუდულობის პრობლემატიკა მჭიდროდ არის ექსპერტიზის საკითხებთან დაკავშირებული. აუცილებელად მიგვაჩნია ამ ორი სამმართველოს სტრუქტურული გაერთიანება და როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონული სტრუქტურების შემდგომი რეორგანიზაცია. ყველაზე ეფექტური იქნება თუ შეიქმნება დეპარტამენტი, რომელშიც გაერთიანდება ეს ორი სამმართველო.

აუცილებელია დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე დარგში მიმდინარე თანამედროვე პროცესების მცოდნე გამოცდილი პროფესიონალის დანიშვნა. უნდა შეიქმნას დეპარტამენტის დებულება.

სტანდარტული წესების იმპლემენტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობისა და დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია პრემიერ-მინისტრთან შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებული მინისტრები, ახლადშექმნილი დეპარტამენტის თავმჯდომარე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, ექსპერტები, ბიზნესმენები. უნდა განისაზღვროს საკოორდინაციო კომიტეტის დებულება.

თბილისის მერიმ და მთავრობამ უნდა დაიწყონ მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაზე და ყველა საქმიანობაში გაითვალისწინონ ამ ჯგუფის ადამიანების ინტერესები. უპირველეს ყოვლისა, უნდა დამონტაჟდეს უსინათლოებისთვის ხმოვანი სიგნალის მქონე შუქნიშნები და პანდუსები ტროტუარებსა და საჯარო დაწესებულებებში.

მოკლევადიანი სამოქმედო პროგრამა – ხუთი ნაბიჯი გლობალური პოლიტიკის ფორმირების პროცესში

სტრუქტურული რეორგანიზაციის, დებულებების განხილვისა და შეჯერების შემდგომ, ჩვენი აზრით, ხელისუფლებამ უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები :

- **პირველი ნაბიჯი** – მთავრობამ საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში უნდა მიიღოს სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც ოფიციალურად გაცხადდება :
 - ა) გლობალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;
 - ბ) ქვეყანაში აღიარებული უნარშეზღუდულობის კონცეპტუალური მოდელი;
 - გ) რაზე აკეთებს ქვეყანა აქცენტს უნარშეზღუდულობის პოლიტიკის ფარგლებში – პრევენციაზე, რეაბილიტაციაზე, ინდივიდუალურ დახმარებაზე, ხელმისაწვდომობაზე თუ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე;

დ) პრიორიტეტების მიხედვით ხელმისაწვდომობის წესები და ვადები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ცვლილებები;

- **მეორე ნაბიჯი** – მთავრობამ უნდა დაამყაროს კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალური განვითარების კომისიის წარმომადგენლებთან, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს სხვადასხვა ქვეყანაში სტანდარტული წესების იმპლემენტაციის პროცესზე. ამ ნაბიჯით საქართველო ჩაერთვება უნარშეზღუდულობის საერთაშორისო პოლიტიკის პროცესებში;

- **მესამე ნაბიჯი** – ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ოფიციალური თხოვნით უნდა მიმართოს ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის გენერალურ დირექტორს, აღმოგვიჩინოს ყოველმხრივი მხარდაჭერა საქართველოში ICF -ის კლასიფიკაციის დანერგვისა და გამოყენების საქმეში;

- **მეოთხე ნაბიჯი** – საკოორდინაციო საბჭოსა და უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებული ძირითადი სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად, უკვე მთავრობის მიერ აღიარებული (იხ. პირველი ნაბიჯი) გლობალური პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით, დაიწყოს საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება;

- **მესუთე ნაბიჯი** – კონფერენციის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის და შესაძლებლობის შეზღუდვის ცნებების და ტერმინოლოგიის ახლებური გააზრება, კონსენსუსის მიღწევა;

მდგომარეობა ქალთა უფლებების დაცვის სფეროში

2004 წლის განმავლობაში სიტუაცია ქალთა უფლებების დაცვის კუთხით წინა წლებთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა. პრობლემები არსებობს ისეთ სფეროებში, როგორც არის ქალის არაპროპორციული წარმომადგენლობა სახელისუფლო ორგანოებში, ქალთა არასაკმარისი სოციალური დაცულობა, არალეგალური და შრომითი მიგრაცია, ტრეფიკინგი, ძალადობა ოჯახში და ოჯახის გარეთ და სხვა. მისაღებია ახალი კანონები ქალთა უფლებების დასაცავად და აღმოსაფხვრელია შეუსაბამოები არსებულ კანონმდებლობაში.

გაეროს კომიტეტმა საქართველოს ბოლო ანგარიშთან დაკავშირებით მიცემულ რეკომენდაციებში აღნიშნა, რომ საჭიროა საქართველომ გააუქმოს ჯანდაცვის ისეთი სტანდარტები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ახდენს ქალის დისკრიმინაციას. აქვე აღსანიშნავია, რომ დამუშავების პროცესშია საქართველოს შრომის კოდექსის კანონპროექტი.

საქართველოს კანონმდებლობაში თანასწორობის პრინციპის არსებობის მიუხედავად, დისკრიმინაციული დებულებები მაინც არსებობს. მაგალითად, მაშინ, როდესაც საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ ადგენს, რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის საჯარო სამსახური თანაბრად ხელმისაწვდომია მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად და კანონი მამაკაცისა და ქალის საჯარო სამსახურის მოხელეების საპენსიო ასაკს განსაზღვრავს 65 წლის ასაკით, შრომის კანონთა კოდექსის 235-ე მუხლით ეს ვადა მამაკაცისთვის დარჩა 65 წელი, ქალისათვის – 60 წელი – რაც თავისთავად საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას. მსგავსი შემთხვევა არის შრომის კოდექსთან მიმართებაში, რომელიც კრძალავს სქესობრივ დისკრიმინაციას სამუშაოზე აყვანის ან სამუშაო ანაზღაურების განსაზღვრის დროს. მაგრამ ორსულ ქალს, მეძუძურ დედას ან ქალებს, ვისაც არასრულწლოვანი შვილები ჰყავთ, უკრძალავს ღამის და ზეგანაკვეთურ სამუშაოზე მუშაობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მოახდინა გაეროს ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის რატიფიკაცია, არავითარი დროებითი სპეციალური ღონისძიება არ გატარებულა ისეთ სფეროში, როგორცაა დასაქმება, პოლიტიკა, გარდა იმისა, რომ მთავრობამ აღიარა ამ სფეროებში ქალთა დაბალი წარმომადგენლობა.

უკვე 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო CEDAW-კონვენციას მიუერთდა, თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს სახელმწიფო არ ასრულებს. ზემოაღნიშნული კონვენციის მე-14 მუხლი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სოფელში მაცხოვრებელი ქალების მდგომარეობაზე. კონვენცია ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს, რეაგირება მოახდინოს ქალთა უფლებების დარღვევის თითოეულ ფაქტზე.

ქალთა საზოგადოებრივი აქტივობის შესწავლითა და არსებული ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა, რომ ქალთა სასარგებლოდ არ გამოიყენება დროებითი სპეციალური ზომები (მაგალითად, პრევენციული მოპყრობა), რომლებიც მიმართული იქნებოდა ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მიღწევისაკენ სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით კი დასაქმებისა და პოლიტიკის სფეროში.

ამ პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნოემბრის თვეში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო, რომლის ძირითადი მიზანია გენდერული პოლიტიკის შემუშავება და მისი გატარება პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში.

სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ქალთა უფლებების ცენტრის მიერ განხორციელებულმა საქმიანობამ ცხადყო, რომ ქალთა უფლებების დაცვის საკითხის განხილვისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალთა წინააღმდეგ სხვადასხვა სახის ძალადობის გამოვლენის ფაქტებს.

სიღარიბემ გაამძაფრა ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა. შეიმჩნევა ძალადობის ტენდენციები ოჯახებში, რაც სოციალური როლური ფუნქციების რღვევამ გამოიწვია. მზარდი აგრესია გამოწვეულია მეტწილად მოსახლეობის დიდი ნაწილის უკიდურესი სიდუხჭირით, სოციალური დაუცველობით. ქართული საზოგადოების პატრიარქალური ხასიათიდან გამომდინარე, ოჯახურ დანაშაულთა უმრავლესობა განუცხადებელი რჩება. ამას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურაში ოჯახური ძალადობის ირგვლივ არსებული სტატისტიკის ანალიზი. საქართველოს მოსახლეობაში ოჯახურ დანაშაულთა შესახებ ცოდნა მინიმალურია, რადგან საქართველოს კანონმდებლობაში არ არის მოცემული ოჯახური ძალადობის დეფინიცია. სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს მუხლი, რომელიც აღწერს ასეთ დანაშაულს. ამდენად, ძალადობა ოჯახში – ამ კვალიფიკაციით – დღევანდელი კანონით არ ისჯება.

აუცილებელია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი მექანიზმების ამუშავება, რაც აუცილებლად გულისხმობს „ოჯახური ძალადობისაგან დაცვის შესახებ“ კანონის მიღებას. მაგრამ მხოლოდ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა არ იქნება საკმარისი, თუ არ მოხდება სამართალდამცავი ორგანოების ყველა რგოლის თანამშრომელთა მიერ ოჯახური ძალადობის პრობლემების გაცნობიერება და მიღებული კანონის ცხოვრებაში გატარება.

საქართველოს ეკონომიკურმა მდგომარეობამ, უმუშევრობის მაღალმა დონემ, მოსახლეობის ფართო ფენების მატერიალურმა სიდუხჭირემ გამოიწვია საქართველოს ლეგალური და არალეგალური მიგრაციის შესამჩნევი ზრდა.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს მოქალაქეთა არალეგალური მიგრაცია მნიშვნელოვან მასშტაბებს იღებს და მისი ხელშემწყობი პირები ყალიბდებიან ორგანიზებულ დანაშაულებრივ სტრუქტურებად, საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის პერსპექტივით.

არსებული მიგრაციის ტალღაზე ჩამოყალიბდა სავიზო ბროკერებისა და დასაქმების შუამავლის ინსტიტუტები, რომლებიც უკანონო გზებით, გარკვეული ანაზღაურების საფასურად, ხელს უწყობენ საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ წასასვლელად საჭირო ვიზების აღებაში. მათი მეშვეობით, მოტყუებით და ყალბი დაპირებებით, ყოველწლიურად ასობით მოქალაქე გადის საზღვარგარეთ, სადაც ისინი ხშირად ხდებიან ტრეფიკინგის, ანუ ფიზიკური

იძულებისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი. შეიძლება ეკონომიკური სიდუხჭირე ქვეყნიდან არალეგალური მიგრაციის მთავარი მიზეზი იყოს, მაგრამ არაეფექტური კანონმდებლობა და საზღვრების არასაკმარისი კონტროლი ამ პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს და ქმნის ტრეფიკინგის განვითარების ზრდისათვის ხელშემწყობ პირობებს.

ტრეფიკინგის და მისი ორგანიზატორების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზია ის გარემოება, რომ პირები, რომლებიც გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, დამატებითი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით, შეგნებულად თავს არიდებენ სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობას.

ტრეფიკინგის ფაქტს მსხვერპლი მალავს, რადგან შიშობს, რომ მომხდარის გამო საზოგადოება გარიყავს. ამის მიზეზებია შემდეგი: საზოგადოება მომხდარში თავად ქალს ადანაშაულებს; ბევრისათვის ტრეფიკინგი გაიგივებულია სექსუალურ ექსპლუატაციასთან; ზოგი ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლს აიგივებს მეძავთან. მეძავობა კი საქართველოში ყველაზე დამამცირებელი და სამარცხვინო საქმიანობაა.

თუ ცნობილი ხდება, რომ ქალი ჩაბმული იყო სექს-ინდუსტრიაში (ყურადღება არ ექცევა, იძულებით იყო ეს თუ არა), იგი ხშირ შემთხვევაში განიცდის დევნას საზოგადოების და ოჯახის მხრიდან. ბოლო შემთხვევაში ხდება ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. სწორედ ამ კატეგორიის ქალები მიმართავენ ქალთა უფლებების დაცვის ცენტრს და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას.

ტრეფიკინგის პრობლემას ართულებს ის გარემოებაც, რომ დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა, არ არსებობს შრომითი მიგრაციის კანონი, რის გამოც ხდება მოქალაქეების უცხოეთის ქვეყნებში სხვადასხვა სახის სამუშაოზე არალეგალური დასაქმება. არ არსებობს ტურისტული მომსახურების შესახებ წესები, რომელიც სავალდებულოს გახდის მოქალაქეებსა და ტურისტულ სააგენტოებს შორის ხელშეკრულების გაფორმებას, რაც მოქალაქეებს სასამართლოში სარჩელის შეტანის საშუალებას მისცემს, თუ სააგენტოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ შეასრულებენ.

საქართველოს მთავრობას არ გააჩნია სათანადო მექანიზმები მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად. საქართველო არ არის არც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე, რომელიც არეგულირებს საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ ლეგალური დასაქმების საკითხს. ამ დროს, საერთაშორისო საზოგადოების შეფასებით, საქართველო არის ტრეფიკინგის პროცესის ყველა ეტაპის მონაწილე – ის ერთდროულად არის მსხვერპლის წყაროც, სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყანაც.

2004 წელს ქალთა უფლებების დაცვის ცენტრის ბაზაზე შეიქმნა ტრეფიკინგთან ბრძოლის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჯგუფმა მოამზადა ეროვნული ანგარიში, რომელიც გაიგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში.

ცენტრმა მიიღო მონაწილეობა „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აღკვეთის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის შესახებ“ კანონპროექტის და არალეგალური მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საწინააღმდეგო ღონისძიებების 2005–2006 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

აღსანიშნავია, რომ შეიქმნა ეროვნული უშიშროების საბჭოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია, რომლის ძირითადი ამოცანაა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის ქმედითი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმა.

აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მთავრობამ ბიუჯეტიდან გამოყოს თანხა და დააფინანსოს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა, უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის საზოგადოებისათვის გაცნობა, რათა პროგრესს მიაღწიოს პოტენციურ მსხვერპლთა ცოდნის დონის ამაღლების საკითხში.

გამოიკვეთა ქსელის შექმნის აუცილებლობა ტრეფიკინგზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, ვინაიდან საერთაშორისო დონეზე მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე მსხვერპლთა დახმარება ძალიან რთულია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთხელ მოუხდენია რეაგირება ტრეფიკინგთან დაკავშირებულ ფაქტებზე. მაგალითად, შემოვიდა შეტყობინება, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სამმართველომ გამოავლინა ტრეფიკინგის 14 მსხვერპლი – უზბეკეთის მოქალაქეები. ისინი მოტყუებით ჩამოიყვანეს საქართველოში შემდგომში მათი არაბთა გაერთიანებული ემირატების ქალაქ დუბაიში გადასავლად, სექს-ბიზნესში ჩართვის მიზნით. ჩვენი უშუალო ჩარევით და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ისინი მოთავსდნენ თავშესაფარში, გაეწიათ იურიდიული კონსულტაცია და ფსიქოლოგიური დახმარება, ჩაუტარდათ სამედიცინო შემოწმება და უფასო სამედიცინო მკურნალობა. ორ მოქალაქეს აღმოაჩნდა ყალბი საბუთები, რის გამოც ვერ ხერხდებოდა მათი დაბრუნება უზბეკეთში. უზბეკეთის საელჩოსთან დაკავშირების შედეგად მოხდა ამ ორი მოქალაქის იდენტიფიკაცია და შემდგომში, IOM-ის ფინანსური დახმარებით, მოხერხდა მათი გამგზავრება სამშობლოში.

საქართველოში ქალთა ტრეფიკინგის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა ტრეფიკინგის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა და ცნობიერების ამაღლებისათვის სათანადო საინფორმაციო საქმიანობის განხორციელება - მასმედიის ჩართვა ამ პროცესში, საინფორმაციო ბიულეტენების მომზადება და დარიგება საელჩოებში, საპასპორტო განყოფილებებში, აეროპორტებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მასობრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ.

ასეთი მწვავე მდგომარეობის ფონზე, ცხადია, ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება ერთი

პიროვნების ან ჯგუფის მიერ საკუთარი უფლებების დაცვით შემოიფარგლოს. საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს პოლიციის თანამშრომლებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, განსაკუთრებით, სასამართლო ორგანოების წარმომადგენელთა მომზადებას. ამ მიზნით სახელმწიფო და დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით უნდა მოხდეს სპეციალიზებული მოსამზადებელი კურსების ორგანიზება, რომლებიც ორიენტირებული იქნება ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაზე. პოლიციის თითოეულ დანაყოფს უნდა ჰყავდეს ქალების და ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის სპეციალურად მომზადებული პოლიციის თანამშრომლები.

საქართველოს სახალხო დამცველის ქვემო ქართლის რეგიონის რწმუნებულისგან შემოვიდა შეტყობინება არასრულწლოვანის გაუპატიურების თაობაზე. მხოლოდ სახალხო დამცველის ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი მსხვერპლის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა გაუპატიურების ფაქტზე. არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, მსხვერპლი მოთავსებულ იქნა თავშესაფარში, ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება, გაეწია ფსიქოლოგიური დახმარება. ამჟამად ამ საქმეზე გამოძიება გრძელდება, ეჭვმიტანილი პირი კი მიმალვას.

ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, არის ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული ქსელის წევრი. საჭიროების შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციები ძალადობის მსხვერპლებს უწევენ ფსიქოლოგიურ დახმარებას. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად არის შესაძლებელი ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო დახმარება. აუცილებელია ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი მექანიზმების ამუშავება, რაც გულისხმობს მსხვერპლთა დაცვასა და მათი დახმარების უზრუნველყოფას. მიგვაჩნია, რომ ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრის არსებობა აუცილებელი და მეტად საჭიროა.

უნდა არსებობდეს შესაძლებლობა, რომ ძალადობის მსხვერპლი, საჭიროების შემთხვევაში, გადაყვანილ იქნას შესაბამის თავშესაფარში, სადაც იზრუნებენ მის არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ, არამედ სოციალურ რეაბილიტაციაზეც. ასევე აუცილებელია ქსელის ამოქმედება რეგიონებში. ჩატარებულმა საქმიანობამ დაგვარწმუნა, რომ რეგიონებში პრობლემა საკმაოდ მწვავეა და მრავალმხრივ მუშაობას მოითხოვს.

ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი არსებული მდგომარეობის შესწავლისა და გაუმჯობესების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №5 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ხელმძღვანელობასთან

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდა, გადაუჭრელ ამოცანად რჩება მსჯავრდებულთა დასაქმების საკითხი. მსჯავრდებულ ქალთა უმეტესობა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა შესაძლებლობას მისცემს მათ, მიიღონ შემოსავალი და შეიძინონ საჭირო პირველადი მოხმარების საგნები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გათავისუფლების შემდეგ სოციალური დახმარების გაწევას. ამ მიზნით, გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე იგზავნება ინფორმაცია საქართველოს არასაპატიმრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან და მსჯავრდებულების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით - გამგებლებთან. ასევე მეტად მნიშვნელოვანია და დღესაც პრობლემად რჩება გათავისუფლებულების დასაქმების საკითხი და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს განმეორებითი დანაშაულის შემცირებას.

2005 წლის თებერვალში №1 საპრობილეში განთავსებული ქალთა კორპუსი გადატანილ იქნა №5 დაწესებულების ტერიტორიაზე.

იქამდე, გარდა №5 დაწესებულებისა, პატიმარი და მსჯავრდებული ქალები განთავსებული იყვნენ საპრობილეშიც, სადაც მდგომარეობა, დაწესებულებისაგან განსხვავებით, საკმაოდ მძიმე იყო. საპრობილე ზედმეტად გადატვირთული იყო და პატიმრობის პირობები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების მინიმუმსაც კი. პატიმარი ქალები არ იყვნენ უზრუნველყოფილი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებით, ტანსაცმლით, თეთრეულითა და ლოგინებით.

1. ამ პერიოდში განცხადებით მოგვმართა საპრობილეში მყოფმა ბრალდებულმა, ჩვილი ბავშვის დედამ (ჰყავს სამი თვის შვილი, რომელზეც ზრუნავს მეზობელი) და ითხოვა მზრუნველობამოკლებული შვილის თავისთან გადაყვანა. ბრალდებულმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა.

საქართველოს „კანონი პატიმრობის შესახებ“ ითვალისწინებს პატიმარი ქალის უფლებას, თავისთან იყოლიოს მცირეწლოვანი (3 წლამდე ასაკის) ბავშვი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ამ პრობლემის მოგვარების მოთხოვნით. საქმე დაეწერა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალურ სამსახურს. მიმდინარეობს საჭირო საბუთების შეგროვება. საქმე აყვანილია კონტროლზე.

2. განცხადებით მოგვმართა ბრალდებულმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ ერთი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა მისი ბადრაგირება გარდაბანში სასამართლო პროცესზე, რაც არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევა. ბრალდებულის ქმარი მზად იყო მგზავრობის დასაფინანსებლად, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. იმავედროულად, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებდა მეურნეობას (იყო მწოლიარე და ჰქონდა სერიოზული პრობლემები, მაგრამ ვერ მოხერხდა მასთან ექიმის მიყვანა).

სახალხო დამცველის უშუალო ჩარევის შემდეგ, ბრალდებული ბადრაგირებულ იქნა გარდაბნის სასამართლოში, სადაც გათავისუფლდა სასამართლო დარბაზიდან.

სახალხო დამცველის ინსტიტუტის რეფორმის კონცეფცია

გთავაზობთ სახალხო დამცველის ინსტიტუტის რეფორმის კონცეფციას. ამ კონცეფციის მიზანია სახალხო დამცველის ინსტიტუტის ქმედუნარიანობის ამაღლება და, შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სტანდარტის რეალური დანერგვა და დაცვა.

რეფორმის მიზანი

1. მოცემული კონცეფციის მიზანია, წარმოადგინოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის რეფორმირების გეგმა და ინსტიტუტის გარდაქმნა სხვა სამართლებრივი რეფორმების კონტექსტში მოახდინოს. რეფორმის მიზნებია:

- სახალხო დამცველის ინსტიტუტი ჩამოყალიბდეს, როგორც ობიექტური, მიუკერძოებელი და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი;
- სახალხო დამცველის მიმართ ამაღლდეს საზოგადოების ნდობა და გაიზარდოს მისი ცნობადობა;
- სახალხო დამცველს მიენიჭოს ფართო უფლებამოსილება ადამიანის უფლებათა დაცვაში, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან – ანგარიშვალდებულების დამკვიდრების კუთხით;

სამართალდამცავი ორგანოების როლი

2. სამართალდამცავ ორგანოებზე საუბრისას ვგულისხმობთ ისეთ ინსტიტუტებს, როგორებიცაა: სასამართლო, პროკურატურა, გამოძიების, მოკვლევისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოები. ბუნებრივია, ადამიანის უფლებათა დაცვაში სამართალდამცავი ორგანოების როლი მთავარია.

3. სამართალდამცავ სისტემაში არსებულ პრობლემებზე საუბრისას აღსანიშნავია ისეთი გარემოებები, როგორებიცაა: სამართალდამცავ ორგანოთა არაკომპეტენტურობა, სუსტი პოლიტიკური კონტროლი, ინტერესთა კონფლიქტი.

4. სამართალდამცავი სისტემა მოწყვეტილი აღმოჩნდა განვითარების საერთო ტენდენციიდან. ეს არამართო ინსტიტუტის ბუნებაზე, არამედ კადრების მომზადებაზეც აისახა. მუშაობისას სამართალდამცავი სისტემის თანამშრომლები ადამიანის უფლებათა სტანდარტებს ვერ ითვალისწინებენ და ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებს.

5. სუსტია პოლიტიკური კონტროლი სამართალდამცავ სისტემაზე და, კანონის აღმასრულებლის ნაცვლად, სისტემა პოლიტიკური ელიტის ინტერესების გამტარებლად გადაიქცა. ამ პირობებში, ბუნებრივია, მოიკლო მოტივაცია, დაეცვათ ადამიანის უფლებები.

იმისათვის, რომ სამართალდამცავმა სისტემამ რეალურად დაიცვას ადამიანის უფლებები, უნდა არსებობდეს მიუკერძოებელი ინსტიტუტი, რომელსაც სისტემაში საკუთარი ინტერესი არ გააჩნია.

სახალხო დამცველი

6. სახალხო დამცველის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლშია განსაზღვრული. კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. იგი უფლებამოსილია, გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. აშკარაა, რომ კონსტიტუციურად სახალხო დამცველის უფლებამოსილება საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და ზედამხედველობაში, ფაქტების გამოვლენასა და შეტყობინებაში გამოიხატება. იგი აირჩევა 5 წლის ვადით, პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით. სახალხო დამცველის საქმიანობისთვის დაბრკოლებათა შექმნა კანონით ისჯება.

7. ჩვენი აზრით, სახალხო დამცველის სტატუსის მარეგულირებელი ნორმების სიმყარისა და მაღალი იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით, სახალხო დამცველის შესახებ კონსტიტუციური ნორმები უნდა გაფართოვდეს და, გარდა არსებულისა, მას უნდა დაემატოს ნორმები სახალხო დამცველის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და პრინციპების, არჩევის წესისა და საარჩევნო ცენზის თაობაზე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს კონსტიტუციაში ცალკე თავად ჩამოყალიბდეს.

8. 1995 წლის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოში შეიქმნა სახალხო დამცველის ინსტიტუტი, ანუ ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის ორგანო და მას მონიტორინგის უფლებამოსილებები მიეცა.

9. სახალხო დამცველის მონიტორინგის უფლება გავრცელდა როგორც სახელმწიფო დაწესებულებებზე, ასევე კერძო პირებზეც. მას მიეცა როგორც ინფორმაციის გამოთხოვის, ასევე დარღვევის შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებისა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

10. კანონმდებლობის მიხედვით, სახალხო დამცველს პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმი აქვს. იგი ყოველწლიურად პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას, სადაც მიუთითებს არსებულ პრობლემებზე და იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევს.

11. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამჟამინდელი სისტემა სახელმწიფოში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევების პრობლემის მოსაგვარებლად არაეფექტური გამოდგა. პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მექანიზმი საკმარისი არ აღმოჩნდა ინსტიტუტების გასაჯანსაღებლად და სახალხო დამცველიც, რომელიც მხოლოდ მონიტორინგის ფუნქციით იფარგლებოდა, მასზე ძლიერი ინსტიტუტების გარემოცვაში შეუიარაღებელი დარჩა.

12. რეფორმაზე საუბრის დაწყებამდე გვინდა მოკლედ შევხვით იმ ძირითად პრობლემებს, რომელთა აღმოფხვრა რეფორმის მიზნად მიგვაჩნია:

- მცირე და არაადეკვატური უფლებამოსილებები;
- ფინანსური ავტონომიურობის ნაკლებობა.

13. ჩვენს მიერ აღწერილი პრობლემების ეფექტურად გადასაჭრელად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეფორმის გატარება რამდენიმე მიმართულებით.

14. სახალხო დამცველის ეფექტური ინსტიტუტი დამოუკიდებელი უნდა იყოს პოლიტიკური გავლენისგან და განსაკუთრებით იმ ორგანოთა გავლენისგან, რომელთა მონიტორინგსაც ახორციელებს. პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება:

ა. შეიცვალოს დანიშვნის ვადა

15. მიგვაჩნია, რომ სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადა უნდა გაიზარდოს. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სახალხო დამცველის ოფისში ტრადიციების ჩამოყალიბებას და, მეორე მხრივ, შექმნის სტაბილურობის განცდას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეფექტური საქმიანობისთვის. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, უფლებამოსილების ვადა, შესაძლოა, 5 წლიდან 7-8 წლამდე გაიზარდოს.

ბ. აიკრძალოს ორი ვადით დანიშვნა

16. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ერთი კანდიდატისთვის მხოლოდ ერთხელ არჩევის შესაძლებლობა არსებობდეს.

გ. ფინანსური დამოუკიდებლობა

17. დამოუკიდებლობის მთავარი გარანტი ფინანსური სტაბილურობაა, რაც დღეს კანონმდებლობაში არასაკმარისადაა ასახული. ფინანსურ გარანტიებზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს ის მექანიზმები, რაც კანონმდებელმა მართლმსაჯულების ორგანოებსა და საზოგადოებრივ მაუწყებლობას განუსაზღვრა. მიგვაჩნია, რომ ამ ორი სისტემის შერწყმა სახალხო დამცველს საშუალებას მისცემს, უფრო ეფექტური და თანმიმდევრული გახადოს საკუთარი პოლიტიკა და საქმიანობა.

18. ზემოთქმულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ, სახალხო დამცველს კონსტიტუციით განესაზღვროს სასამართლო ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი ფინანსური გარანტიები, რაც მას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი საქმიანობის პრიორიტეტების ჩამოყალიბებისას.

19. სტაბილური დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, “საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” კანონით განისაზღვროს სახალხო დამცველის ინსტიტუტისთვის გამოსაყოფი თანხის ოდენობა. საუბარი გვაქვს იმ კრიტერიუმის განსაზღვრაზე, რომელიც სახალხო დამცველის დაფინანსებას დაედება საფუძვლად. მსგავსი მოდელი უკვე დანერგილია მაუწყებლობის შესახებ კანონით, რითიც საინტერესო პრეცედენტი შეიქმნა ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

20. ყურადღებას გავამახვილებდით კიდევ ერთ სტანდარტზე, რომლის მიხედვით სახალხო დამცველის დაფინანსება არ შეიძლება იყოს წინა წლის

დაფინანსებაზე ნაკლები. ჩვენი აზრით, აღნიშნული დებულების კანონმდებლობაში შეტანა ხელს შეუწყობს გარკვეული სტაბილურობის მიღწევას სახალხო დამცველის საქმიანობაში.

21. დაფინანსების სისტემის გარდაქმნისას ყურადღება უნდა მიექცეს ბიუჯეტის შედგენის პროცესს. მიგვაჩნია, რომ წამყვანი როლი ამ პროცესში სახალხო დამცველს უნდა ეკავოს. სახალხო დამცველი თავად უნდა განსაზღვრავდეს და შესაბამისად ადგენდეს თავისი საქმიანობის პრიორიტეტებს. ამ შემთხვევაში, მისთვის ბიუჯეტის შეცვლის უფლება პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს. მთავრობის სხვა წევრთა მონაწილეობა ბიუჯეტის შედგენაში ინტერესთა კონფლიქტს იწვევს და, ფაქტობრივად, სახალხო დამცველი დამოკიდებული ხდება იმ ორგანოებზე, რომელთა მონიტორინგის ფუნქციაც აკისრია.

უფლებამოსილებები

ა. გამოძიების უფლება

22. გარე კონტროლის განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სახალხო დამცველისთვის გამოძიების ფუნქციის მინიჭება. გამოძიების უფლებამოსილება სახალხო დამცველს საშუალებას მისცემს, უფრო დეტალურად შეისწავლოს შემოსული საჩივრები და წარმოადგინოს კომპეტენტური დასკვნა. გამოძიების უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო დამცველს საშუალება უნდა ჰქონდეს, მოიძიოს მტკიცებულებები, დაკითხოს მოწმეები, ჩაატაროს სხვადასხვა საპროცესო ღონისძიება, რისი განხორციელების უფლებაც სამართალდამცავი სისტემის საგამოძიებო ორგანოებს აქვთ. ფაქტობრივად, სახალხო დამცველმა უნდა შეძლოს სრულფასოვანი გამოძიების ჩატარება და ამისთვის შესაბამისი რესურსიც უნდა ჰქონდეს. კომპეტენციათა გადაკვეთის თავიდან ასაცილებლად, სახალხო დამცველის გამოძიების უფლება მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებზე უნდა გავრცელდეს.

23. გამოძიების პროცესი დიდ რესურსსა და ვადას მოითხოვს. გამარტივების მიზნით, რეკომენდაციას ვუწევთ გამოძიების ალტერნატიული მექანიზმების ამოქმედებასაც, როგორცაა არაფორმალური გადაწყვეტა.

24. არაფორმალური გადაწყვეტა ეფექტური მეთოდია მცირე მნიშვნელობის საქმეთა გამოძიებისას. პროცესი მდგომარეობს მოლაპარაკებაში დაზარალებულსა და საგამოძიებო ორგანოს იმ თანამშრომელს შორის, ვის მიმართაც შეტანილია საჩივარი. პროცესში მედიატორის როლს სახალხო დამცველი ასრულებს. არაფორმალური გადაწყვეტა მოქალაქეს საშუალებას აძლევს, თავისი პრობლემა სამართალდამცავი ორგანოების უფროსი თანამდებობის პირების მსჯელობის საგანი გახადოს და, ამასთანავე, ხორციელდება შემოკლებულ ვადაში, მინიმალური რესურსის გამოყენებით. არაფორმალური გადაწყვეტის პროცედურა მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენებოდეს, როდესაც მოქალაქე თანახმაა მის წამოწყებაზე. თუ ვერ ხერხდება არაფორმალური პროცედურის წარმოება, მაშინ საქმეზე ჩატარდება სრული გამოძიება.

ბ. სრულფასოვანი გამოძიება

25. თუ საქმე შეეხება ადამიანის უფლებათა განსაკუთრებით უხემ დარღვევას, მაშინ სახალხო დამცველი სრულფასოვან გამოძიებას ატარებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაზარალებულთათვის გასაჩივრების დროითი შეზღუდვის დაწესება. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იქნება წარსულში მომხდარ დანაშაულებთან მიმართებაში. დროითი ლიმიტი სახალხო დამცველს საშუალებას მისცემს, რესურსების კონცენტრაცია მიმდინარე პრობლემებზე მოახდინოს. თუმცა, თუ საქმე ადამიანის უფლებათა უხემ დარღვევას ეხება და არსებობს გამოძიების რეალური შესაძლებლობები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სახალხო დამცველს მივანიჭოთ დისკრციის უფლებამოსილება, გამოიძიოს წარსული საქმეები.

გ. გამოძიების ინიცირება

26. გამოძიება შეიძლება დაიწყოს მოქალაქის განცხადების, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის და სახალხო დამცველის პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, სახალხო დამცველს მიეცეს უფლება, თავად მოახდინოს გამოძიების ინიცირება, რათა მას საშუალება ჰქონდეს, გამოეხმაუროს დარღვევებს მაშინაც, როცა დაზარალებული არ მიმართავს მის ოფისს.

27. გამოძიების საფუძველზე სახალხო დამცველი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც გადაეცემა შესაბამის ორგანოს რეაგირებისთვის. თუ შესაბამისი ორგანო არ იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას, ამ შემთხვევაში მან უნდა დაასაბუთოს თავისი უარი. სახალხო დამცველს უფლება უნდა ჰქონდეს, გასცეს რეკომენდაცია როგორც დისციპლინური წესით დამრღვევის დასჯაზე, ასევე სისხლის სამართლით გათვალისწინებული პროცესის წარმართვაზე.

გაფართოვდეს საკანონმდებლო ორგანოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობები

28. არსებული კანონმდებლობა სახალხო დამცველს უფლებას აძლევს, გამოვიდეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხდომაზე და წარმოადგინოს თავისი პოზიცია ადამიანის უფლებების საკითხებთან მიმართებაში. აქვე ვხვდებით სახალხო დამცველის უფლებას, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს პარლამენტის მიერ მიღებული აქტები. არსებული სისტემა, ერთი მხრივ, ითვალისწინებს თანამშრომლობის მექანიზმს, მაგრამ, მეორე მხრივ, არასრულყოფილი თანამშრომლობა ვერ განსაზღვრავს ეფექტურ შედეგს.

29. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სახალხო დამცველისა და პარლამენტის თანამშრომლობის შესაძლებლობები უნდა გაფართოვდეს და სახალხო დამცველს უფლება მიეცეს:

- ადამიანის უფლებების კომიტეტს სთხოვოს შეკრება ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით. კომიტეტის მხრიდან უარი დასაბუთებული უნდა იყოს;

- მიეცეს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

30. მიგვაჩნია, რომ შემოთავაზებული უფლებამოსილებები ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაფართოებას პარლამენტსა და სახალხო დამცველს შორის, რაც, თავის მხრივ, აისახება პარლამენტის პოლიტიკაზე. შესაბამისად, საკანონმდებლო მუშაობის დროს მხედველობაში იქნება მიღებული ადამიანის უფლებათა სტანდარტები. მეორე მხრივ, ეს დაეხმარება სახალხო დამცველს, ავტონომიურად იმოქმედოს საკანონმდებლო ხარვეზების აღმოჩენისას და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას ქართულ კანონმდებლობაში.

გაფართოვდეს სახალხო დამცველის უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებაში


ჯარიმის შეფარდების უფლება

31. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახალხო დამცველს შეუძლია, ეფექტური როლი ითამაშოს ადმინისტრაციულ ორგანოებში სისტემური პრობლემების აღმოფხვრაში. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადაისინჯოს და დაიხვეწოს არსებული პრაქტიკა. კერძოდ, რეკომენდაციის უფლებამოსილება, რომელსაც აქამდე სახალხო დამცველი ახორციელებს, არასაკმარისი მექანიზმია სახელმწიფო ორგანოთა ანგარიშვალდებულებისთვის. სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული უნდა იყოს, დაასაბუთოს თავისი პოზიცია. ამასთან, რეკომენდაციის პარალელურად, სახალხო დამცველს უნდა მიეცეს დისკრეციული უფლება, სახელმწიფო ორგანოებს, მათი მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დააკისროს ჯარიმა. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაფართოვდეს უფლებამოსილება და სახალხო დამცველმა თავად შეძლოს ფინანსური სანქციების დაკისრება ადმინისტრაციულ ორგანოებზე.

32. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს სახელმწიფო ორგანოთა მიერ მათი ვალდებულებების მიმართ დამოკიდებულების შეცვლას და კანონიერი მოთხოვნების სერიოზულად აღქმას.

33. ამასთანავე, ჯარიმის დაკისრების მექანიზმი გაცილებით შეამცირებს ვადას სარჩელის წარმოებიდან მის გადაწყვეტამდე და უფრო ეფექტურად და მოკლე ვადაში მისცემს მოქალაქეს საშუალებას, მიიღოს კომპენსაცია შელახული უფლებისთვის.

სახლხო დამცველის აპარატის რეორგანიზებული სტრუქტურა



კანონპროექტი “სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის შესახებ”

სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და ადამიანის უფლებათა სფეროში მიღებული სხვა უნივერსალური თუ რეგიონული ინსტრუმენტებით განსაზღვრული აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი ასპექტია. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ამ თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, გაწვევითი სამხედრო სამსახურის მქონე მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიულმა ქვეყნებმა კონსტიტუტუციურ დონეზე თუ მიმდინარე კანონმდებლობაში განსაზღვრეს და რეალურად აამოქმედეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამოქალაქო სამსახურით შეცვლის ინსტიტუტი.

უნივერსალურ თუ რეგიონულ დონეზე არ არსებობს საერთაშორისო ხასიათის, იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე აქტი, რომელიც უშუალოდ მოაწესრიგებდა მონაწილე სახელმწიფოებში ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის ამოქმედებისა და ფუნქციონირების პრინციპებს. გაერომ და ევროპის საბჭომ მიიღეს არაერთი რეზოლუცია და რეკომენდაცია, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოების მიერ ამ ტიპის სამსახურების ეროვნულ დონეზე დაფუძნებისა და ფუნქციონირებისას ერთგვარ სტანდარტებად განიხილება (*მაგ. ევროპის საბჭოს ასამბლეის რეკომენდაციები № 816 (1977წ.), 1518 (2001წ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის 1987, 1989, 1993, 1995, 2002 წწ. რეზოლუციები*).

ასეთ რეკომენდაციებს წარმოადგენენ:

- ა) ყველა წევრამდელის ინფორმაციული უზრუნველყოფა სამხედრო ვალდებულების ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის ფორმით მოხდის შესაძლებლობისა და ასეთ წევრამდელთა უფლებების შესახებ;
- ბ) ალტერნატიული სამსახურის “ნამდვილი” სამოქალაქო ხასიათი, რომელიც არ უნდა იყოს დამამაძირებელი და დამსჯელი ხასიათის;
- გ) სხვაობა სამხედრო სავალდებულო და ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურების ხანგრძლივობას შორის იმ სახელმწიფოებში, სადაც ამ სამსახურებს შორის ასეთი სხვაობა არსებობს, არ უნდა ისახავდეს მიზნად იმ ადამიანების დასჯას, რომელთაც საკუთარი აზრის, სინდისისა და რწმენის გამო უარი თქვეს სამხედრო სამსახურზე;
- დ) პირებისათვის სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლების მინიჭება გაწვევამდე, გაწვევის პროცესში და გაწვევის შემდეგ, ასევე სამხედრო სამსახურის გავლისას;
- ე) ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურში გაწვევის პროცედურების მარტივი ხასიათი.

საქართველოში კანონი ”არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ”, რომელიც ადგენს საქართველოს მოქალაქეთა უფლებას, საკუთარი სინდისის, რწმენისა და რელიგიის საფუძველზე უარი თქვან სამხედრო სამსახურზე და არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის გზით მოიხადონ სამხედრო ვალდებულება, მიღებულია 1991 წელს, მაგრამ კანონით არც ერთი მოქალაქის გაწვევა არ მომხდარა.

მოგვიანებით, 1997 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი “არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ”. მაგრამ ეს კანონიც არ ამოქმედებულა 2001 წელს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტის შექმნამდე.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოქმედი კანონი “არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ” არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ რეზოლუციებსა და რეკომენდაციებში ასახულ მოწოდებებს, (რაც არაერთხელ გამხდარა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების საგანი), სამხედრო სამსახურისა და ალტერნატიული შრომითი სამსახურის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს შორის არსებობს წინააღმდეგობა, კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით გაუმართავია, ცალკეული მუხლები ბუნდოვანია და არაერთგვაროვანი ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, კანონით და დებულებით გათვალისწინებულ ალტერნატიულ სამსახურთან დაკავშირებული პროცედურები არათანმიმდევრული და არასრულია.

სახალხო დამცველის ინტერესი ამ სამსახურის მიმართ განისაზღვრება ერთი მხრივ იმ ადამიანთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობით, რომლებიც საკუთარი აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე უარს ამბობენ სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე, ხოლო მეორე მხრივ, საჯარო ინტერესის შესაბამისი სამხედრო ვალდებულების მოხდის ქმედითი მექანიზმების შექმნით. სახალხო დამცველისა და ევროპის კავშირის თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა კანონპროექტი “სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის შესახებ” და შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს გაეროს “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით”, “სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტით”, “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით”, ასევე “იძულებითი შრომის აღმოფხვრის” შესახებ კონვენციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სტანდარტებს. კანონპროექტთა პაკეტი ასევე სრულად შეესაბამება ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებსა და რეზოლუციებში ასახულ მოწოდებებს იმ პუნქტის გამოკლებით, რომელიც ეხება სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლების მინიჭებას სამხედრო სამსახურში მყოფი პირისათვის (ჩვენი აზრით, ჯარში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, აღნიშნული უფლების დადგენამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯარის ერთიანობას, ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურში მოსამსახურეთა გადასვლის წახალისების გზით).

კანონპროექტთა პაკეტით გათვალისწინებულია შემდეგი ტიპის ცვლილებები:

1. კონცეპტუალური:

პირობადებული სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმად განსაზღვრა - თუ სახელმწიფო ადგენს ამ

შესაძლებლობას და უკავშირებს მას სამხედრო ვალდებულების მოხდას, პირი, რომელმაც ეს სამსახური გაიარა, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებამოხდილად. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ამ სამსახურგავლილთა დისკრიმინირების საფრთხე და საერთოდ, ეჭვქვეშ დგება ამ სამსახურის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი;

სამოქალაქო სავალდებულო სამსახური, როგორც საჯარო ინტერესის მქონე, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითი სამსახური - დღეს ამ სამსახურში გაწვეული მოქალაქის შრომას საზოგადოებისათვის სარგებელი არ მოაქვს! დასავლეთ ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ სამსახურს სერიოზული წვლილის შეტანა შეუძლია საქართველოში ქმედითი სოციალური სამსახურის ჩამოყალიბებაში. კანონპროექტით გათვალისწინებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსამსახურის დასაქმებით საზოგადოებრივი დანახარჯების შემცირებას.

სამოქალაქო სავალდებულო სამსახურისაგან თავის არიდების სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებად განსაზღვრა - დღეს მოქმედი კანონმდებლობით, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვეული პირების მიერ ამ სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები განიხილება მხოლოდ დისციპლინურ დარღვევად?!

რეგულარული შრომითი ბაზრის დაცვა - დღეისათვის არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური კონკურენციას უწევს დასაქმების რეგულარულ ბაზარს!

სამოქალაქო სავალდებულო სამსახური (დღეს მოქმედი კანონმდებლობის მსგავსად) **6 თვით უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სამხედრო სავალდებულო სამსახური** - ერთი მხრივ ეს სხვაობა დააფიქრებს წვევამდელს, რომელიც უფრო “ადვილ” გამოსავალს ეძებს, მეორე მხრივ მოსამსახურე ამ ხანგრძლივობის თმენით ამტკიცებს საკუთარი რწმენის, სინდისის და აღმსარებლობის “სიმტკიცეს”. შესაბამისად, ეს გარემოება ხელს შეუშლის “მცონარეთა” ამ სამსახურში მოხვედრას

წვევამდელმა განცხადებაში უნდა მიუთითოს სამხედრო ვალდებულების სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის ფორმით მოხდის მხოლოდ კონკრეტული მიზეზი - რამდენადაც ადამიანის მიერ საკუთარი სინდისის, რწმენის და აღმსარებლობის “დამტკიცება” პრაქტიკულად შეუძლებელია, სახელმწიფო უნდა ენდოს თავის მოქალაქეს, თუ ეს პირველი თვითონ ვერ შეძლებს საპირისპიროს დამტკიცებას. სახელმწიფოს ასეთი ლიბერალური მიდგომა გაწონასწორებულია სამსახურის უფრო ხანგრძლივი ხასიათით, სამუშაოს შესაძლო “არაპრესტიჟულობით” და ანაზღაურების მინიმალური ოდენობით

2. პროცედურული:

გაწვევის პროცესის გამარტივება – გაწვევის პროცესში მონაწილე სუბიექტების რაოდენობის შემცირების, გაწვევის პროცესში მონაწილე

სუბიექტების კომპეტენციის დეტალიზებისა და განცხადების განხილვის ვადების შემცირების გზით

გაწვევის პროცესის სრულყოფა – მაგ: სამსახურში გაწვევაზე უარის თქმის საფუძვლების რეგლამენტაცია, დამსაქმებელთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა, სამსახურის გავლის მთელი დროის განმავლობაში დაგეგმვით დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, სისხლის სამართლებრივი სანქციების დადგენა და სხვ. (მოქმედი კანონით და დებულებით გათვალისწინებულ ალტერნატიულ სამსახურთან დაკავშირებული პროცედურები არ არის თანმიმდევრული და სრული).

3. ორგანიზაციული:

რაიონის (ქალაქის) გამწვევი კომისია – იღებს გადაწყვეტილებას ამ სამსახურში გაწვევისა და გაწვევაზე უარის თქმის თაობაზე.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის სახელმწიფო კომისია

კანონით სახელმწიფო კომისიაზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელება მოითხოვს მუდმივმოქმედი და ეფექტური სახელმწიფო ორგანოს არსებობას. მას აკისრია ასეთი კოლეგიური, საკონსულტაციო ორგანოსთვის არატიპიური ფუნქციები, მაგ: წვევამდელის პირადი საქმის შესწავლა. პროექტით, კომისიის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა სამსახურის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენა და ხელშეწყობა.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის დეპარტამენტი

მოქმედი კანონით დეპარტამენტის სტატუსი გაურკვეველია. ერთი მხრივ იგი იქმნება კომისიის გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით და ემორჩილება მას, მეორე მხრივ იმყოფება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამგებლობაში. პროექტის მიხედვით დეპარტამენტს ეკისრება იმ ფუნქციების განხორციელება, რომლებიც კანონით გადაცემული აქვს სახელმწიფო კომისიას და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს.

4. იურიდიულ-ტექნიკური:

სამხედრო სამსახურისა და ალტერნატიული შრომითი სამსახურის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა აღმოფხვრა და მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა -

ალტერნატიული სამსახურის შესახებ კანონის საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით გამართვა

სიტყვისა და პრესის თავისუფლება კონკრეტული შემთხვევები

ვახტანგ კომახიძის საქმე

2004 წლის 5 მარტს დილით, „რუსთავი 2-ის“ პროგრამა „60 წუთის“ კორესპონდენტი ვახტანგ კომახიძე შუახვეიდან ბათუმში ავტომანქანით ბრუნდებოდა, როცა ხელვაჩაურის საგზაო პოსტთან მას სპეცრაზმელები დაესხნენ თავს და პოლიციელთა თანდასწრებით გაუსწორდნენ. ვახტანგ კომახიძემ ტვინის შერყევა და მრავლობითი დაზიანებები მიიღო სახეზე, თავის არეში და მთელ სხეულზე. მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს ბათუმის პირველ საავადმყოფოში, საიდანაც არ უნდოდათ მისი გამოშვება და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ჩარევის შემდეგ გამოუშვეს. ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე, პოლიციელი რევაზ გვარიშვილი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიციას დავალებული ჰქონდა კომახიძის მანქანის გაჩერება. კომახიძის ცემას წინ კიდევ ერთი ინციდენტი უძლოდა. წინა დამით ბათუმში მყოფ „რუსთავი 2“-ის ოპერატორს მთელი გადასაღები აპარატურა ჩამოართვეს.

მზია ამადლობელისა და ეთერ ტურაძის საქმე

2004 წლის 31 მარტს, დაახლოებით 16 საათზე, ბათუმის ბულვარში პოლიციამ დააკავა გაზეთ „ბათუმელების“ 2 ჟურნალისტი - მზია ამადლობელი და ეთერ ტურაძე. პოლიციის წარმომადგენლების განცხადებით, დაკავებულები ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და სწორედ ეს გახდა მათი დაკავების მიზეზი. პოლიციამ გადაწყვიტა მათი ჯერ ნარკოლოგიურ დისპანსერში წაყვანა, რაზეც ჟურნალისტებმა პოლიციელებისაგან მოითხოვეს მოწმის სახით ერთი პირის გაყოლა, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაყვანა.

მას შემდეგ, რაც ჟურნალისტების დაკავება გაშუქდა ტელევიზიით და ამ ფაქტზე ცენტრალურმა ხელისუფლებამ განცხადება გააკეთა, ჟურნალისტები იმავე საღამოს გაათავისუფლეს.

გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტების საქმე

2004 წლის 25 იანვარს პოლიციამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტებს. იმ დღეს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქალაქ ბათუმში სამხედრო აღლუმის მიღებისა და ქალაქის დატოვების შემდეგ, მოეწყო პრეზიდენტის მხარდამჭერთა მშვიდობიანი მსვლელობა-აქცია, რომელმაც მოგვიანებით მიტინგის სახე მიიღო.

მშვიდობიან მიტინგს დასაშლელად ე.წ. „სპეცნაზი“ შეესია და მომიტინგეები დაარბია. მიუხედავად ამისა, მომიტინგეებმა გააგრძელეს ქალაქის ქუჩებში მსვლელობა.

გაზეთ “ბათუმელების” ჟურნალისტები, პროფესიული მოვალეობის შესრულების მიზნით, ბუნებრივია, მიმდინარე მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდნენ.

მიტინგის დარბევის შემდეგ შეიქმნა ჟურნალისტებისთვის ნაცნობი სიტუაცია, რომელიც ხშირად მოსდევდა იმ აქციებს, სადაც ადგილობრივი ხელისუფლებისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული აზრი ფიქსირდებოდა. მიტინგის დარბევის შესახებ ბრძანებას გაცემდა და დარბევას უშუალოდ ახორციელებდა ერთი და იგივე ჯგუფი, რომელსაც ანალოგიური აქციები და მასმედიის სხვადასხვა საშუალების ჟურნალისტები ხშირად, ზოგჯერ უსასტიკესადაც კი დაურბევია.

25 იანვარს გაზეთ “ბათუმელების” ჟურნალისტებს ე.წ. “სპეცნაზელებმა” არ მისცეს პროფესიული მოვალეობის შესრულების საშუალება, კიდევ ერთხელ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაუზიანეს ციფრული ფოტოაპარატი და წაართვეს “ჩიპი”, რომელზეც მიმდინარე მოვლენები და თავად დამრბევი ჯგუფი იყო დაფიქსირებული.

უახლოეს წარსულში ჟურნალისტების, კერძოდ, გაზეთ “ბათუმელების” თანამშრომლებისადმი სიტყვიერი შეურაცხყოფის, ფიზიკური ანგარიშსწორებისა და ტექნიკური აპარატურის დამტვრევა-დაზიანების არაერთ ფაქტს ჰქონდა ადგილი, რის შესახებაც რედაქციამ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილობითაც კი მიმართა და მოითხოვა ჟურნალისტების დევნისა და მათ მიმართ შანტაჟის შეწყვეტა, აგრეთვე, მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა.

თელავის ტელეკომპანია “თანამგზავრის” საქმე

თელავში დამოუკიდებელი ტელეკომპანია “თანამგზავრის” დამფუძნებელი და პრეზიდენტი ზურაბ ქუმსიაშვილი საკუთარი ტელეკომპანიიდან გამოაძევეს. კახეთში “ფეოდალის” სახელით ცნობილი პიროვნება - ლუკა რამაზაშვილი დაცვის შეიარაღებულ წევრებთან ერთად 2 მარტს ტელეკომპანიის პრეზიდენტის კაბინეტში შეიჭრა. რამაზაშვილმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ზურაბ ქუმსიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ქუმსიაშვილის განცხადებით, შეიარაღებულმა ჯგუფმა სასწრაფოდ მოიწვია დამფუძნებელთა კრება, რომელსაც ესწრებოდა “თანამგზავრის” ორი დამფუძნებელი – ვანო ახალმოსულიშვილი და მარიეტა გრიშიკაშვილი. ტელეკომპანიის პრეზიდენტის თანამდებობაზე, რომელსაც 1989 წლიდან ზურაბ ქუმსიაშვილი იკავებდა, აირჩიეს ლუკა რამაზაშვილის მიერ დასახელებული ენრი კობახიძე. კრება ჩატარდა თავად რამაზაშვილისა და მისი დაცვის შეიარაღებული წევრების ზედამხედველობით.

ზურაბ ქუმსიაშვილის განმარტებით, მისი ოჯახი რამდენიმე თვის განმავლობაში მუდმივი მუქარისა და ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. “თანამგზავრის” პრეზიდენტი იძულებული გახდა, გარკვეული დროით თელავიც კი დაეტოვებინა და საცხოვრებლად თბილისში გადმოსულიყო. რამაზაშვილის დაჯგუფება ტელეკომპანიაში ქუმსიაშვილის კუთვნილი წილის – 40%-ის დაპატრონებას ცდილობს. ტელევიზიიდან მთელი ფინანსური დოკუმენტაცია გატანილია. ხუთი

თანამშრომელი, მათ შორის, ის ჟურნალისტები, რომლებმაც მხარი ზურაბ ქუმსიაშვილს დაუჭირეს, სამსახურიდან დაითხოვეს. ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ტელეკომპანიის დამფუძნებლებს შორის.

დამოუკიდებელი ტელეკომპანია “თანამგზავრი” თელავში 1989 წლიდან მაუწყებლობს. 1994 წლიდან ტელევიზია “ინტერნიუსთან” თანამშრომლობდა და კახეთის რეგიონში სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2”-ის პარტნიორი იყო.

სამაუწყებლო კომპანია “ჰერეთის” საქმე

17 მაისს, გვიან ღამით, სამაუწყებლო კომპანია “ჰერეთის” ოფისიდან დაუდგენელმა პირებმა მოიპარეს არხის საეთერო გამშვები და სამონტაჟო კომპიუტერები. ძარცვა, სავარაუდოდ, კომპანიის პარალიზების მიზნით მოხდა, რადგან ხელუხლებელია ყველა დანარჩენი ძვირადღირებული ქონება. სამაუწყებლო კომპანია “ჰერეთის” მაუწყებლობა ამ ფაქტის გამო დროებით შეჩერდა. კომპანიის მაუწყებლობის არეალი მთელ კახეთს მოიცავს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას აწარმოებდა საგამოძიებო დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული საგამოძიებო ქვეგანყოფილება. დამნაშავე დღემდე არ არის დაკავებული, მაგრამ დაკარგული აპარატურა მოძიებული და დაბრუნებულია.

რევაზ ოქრუაშვილის საქმე

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციამ 2004 წლის 2 აგვისტოს ნარკოტიკების მოხმარებისა და რეალიზაციის ბრალდებით დააკავა გორის ადგილობრივი გაზეთის “ხალხის გაზეთის” რედაქტორი რეზო ოქრუაშვილი. ჟურნალისტის პირადი ჩხრეკისას პოლიციამ აღმოაჩინა ნარკოტიკები. იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერებები ამოღებულ იქნა ასევე მისი მანქანის, ბინის და ოფისის ჩხრეკისას. დაკავებისთანავე ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ რეზო ოქრუაშვილის დაკავება კანონისა და პროცესუალური ნორმების დარღვევით განხორციელდა. არსებობდა ასევე საფუძვლიანი ეჭვი, რომ მისი პატიმრობის მიზეზი “ხალხის გაზეთის” ბოლოდროინდელი პუბლიკაციები და ის ჟურნალისტური გამოძიებაა, რომელსაც ოქრუაშვილი აწარმოებდა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ოქრუაშვილი გორში ცნობილი ნარკომანია და დაკავებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციის გამო. თუმცა რედაქტორის დაკავება ფაქტზე არ მომხდარა. რატომ არ დაელოდა ოპერატიული ჯგუფი ნარკოტიკული ნივთიერების გადაცემის მომენტს და რატომ მოხდა ოქრუაშვილის დაკავება გზაში, ამ კითხვაზე პოლიციის ხელმძღვანელობა პასუხს ვერ სცემს. სამხარეო პოლიციის თანამშრომლებს ოქრუაშვილის დაკავებისა და მისი ბინის ჩხრეკაზე სასამართლოს ნებართვაც არ ჰქონდათ. პოლიცია აცხადებდა, რომ ოქრუაშვილის დაკავება გადაუდებელი აუცილებლობის გამო განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ პოლიციის მიერ გაზეთის რედაქციაში ჩხრეკას არც გაზეთის თანამშრომლები დასწრებიან და არც დამოუკიდებელი მოწმეები. ჩხრეკის ოქმები კი სამხარეო პოლიციას დაკავებულის ადვოკატებისთვისაც არ წარუდგენია, თუმცა ამის გაკეთება კანონით ვგალებოდა.

გაზეთი ბოლო დროს მწვავედ აკრიტიკებდა პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს და პოლიციაში არსებულ დარღვევებსა და კორუფციაზე წერდა. გარდა ამისა, რეზო ოქრუაშვილი გორში ტელეკომპანია “თრიალეთის“ მფლობელის და პარლამენტარის, ბადრი ნანიტაშვილის გაღიზიანების მიზეზიც გახდა, როდესაც გუბერნატორს პრეზიდენტის ფონდის სახსრების ხარჯვის თაობაზე ინფორმაცია მოსთხოვა.

სერიოზული პროცესუალური დარღვევებით მიმდინარეობდა, ოქრუაშვილის სასამართლო პროცესიც, რომელმაც მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს შესასვლელს დაცვის გარდა პოლიციის თანამშრომლებიც იცავდნენ. შენობის უკანონო დახურვას სასამართლოს შესასვლელში შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რომლის დროსაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაზარალდნენ, დაზიანდა ჟურნალისტების კამერები და ფოტოაპარატები.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოში მოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მიერ შეფასდა, როგორც სასამართლოს მორიგი უმწეობის გამოვლინება.

ჟურნალისტ რეზო ოქრუაშვილის გათავისუფლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მასა და პროკურატურას შორის პროცესუალური გარიგების შედეგად.

“ჯორჯიან თაიმსის” საქმე

2004 წლის 14 ივლისს გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ ფინანსური პოლიცია სასამართლო ნებართვის გარეშე შევიდა და მთელი ფინანსური დოკუმენტაცია ამოიღო.

ფინანსურმა პოლიციამ გაზეთის თანამშრომლებს წარუდგინა პოლიციის ოპერატიული სამსახურის უფროსის ირაკლი პირველის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გაზეთის საბუღალტრო შემოწმებას ითვალისწინებდა. ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეხერაშვილი აცხადებს, რომ ფინანსურმა პოლიციამ სასამართლოს ნებართვის აღება ვერ მოასწრო, რადგან გადაუდებელი აუცილებლობის გამო გაზეთის დოკუმენტაცია სასწრაფოდ უნდა შემოწმებულიყო. კანონის თანახმად, ფინანსურ პოლიციას უფლება აქვს, გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში შემოწმება სასამართლოს დადგენილების გარეშე განახორციელოს და 24 საათის ვადაში სასამართლოს ნებართვა მოიპოვოს. თუმცა დოკუმენტში, რომელიც პოლიციამ რედაქციას წარუდგინა, მითითებულია, რომ შემოწმების ვადა 2004 წლის 14 ივლისიდან 29 ივლისამდე უნდა განისაზღვროს. „ისე შემოცვივდნენ, თითქოს ამ დოკუმენტების განადგურებას ან გადამალვას ვაპირებდით,“ - აცხადებს გამომცემელი ნანა გაგუა. დავით კეხერაშვილი ამბობს, რომ პოლიცია რედაქციაში ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შევიდა და გაზეთის ბიუჯეტთან ანგარისწორების გადამოწმებას ისახავდა მიზნად. შეკითხვაზე, ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გაზეთში ფინანსური დოკუმენტაციის განადგურებას გეგმავდნენ, დავით კეხერაშვილი აცხადებს, რომ პოლიციას ასეთი ინფორმაცია არ ჰქონია. „ეს ჩვეულებრივი შემოწმება იყო. შეგვეძლო, 50 ნიღბიანი შეგვეგზავნა და ისე ამოგველო დოკუმენტაცია, მაგრამ ეს არ გაგვიკეთებია,“ - აცხადებს ფინანსური პოლიციის უფროსი. კეხერაშვილის უწყებამ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს ნებართვისთვის 15 ივლისს მიმართა.

გაზეთის გამომცემელმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის დავალიანება არ აქვთ და რომ გაზეთში აგვისტოს დასაწყისში დაგეგმილ საგადასახადო შემოწმებას ელოდებოდნენ. ჟურნალისტებიც და გამომცემელიც ფინანსური პოლიციის რედაქციაში შესვლას თბილისის პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის სახელს უკავშირებენ, რომელიც თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გაზეთს დახურვით ემუქრებოდა. ვალერი გრიგალაშვილის გაღიზიანების მიზეზი „ჯორჯიან თაიმსში“ გამოქვეყნებული მასალების სერია გახდა. გაზეთმა ჯერ კიდევ იანვარში გამოაქვეყნა მასალა იმის თაობაზე, რომ ქალაქის პროკურორს ავტომანქანა „მერსედესი“ მერიამ შეუძინა, რასაც თბილისის მერი ვანო ზოდელავაც ადასტურებდა. ვალერი გრიგალაშვილის მაკომპრომეტირებელი სტატიები გაზეთში ბოლო თვის განმავლობაში რამდენჯერმე გამოქვეყნდა. მათ შორის იყო ინტერვიუ პროკურორ ლორდი ლებანიძესთან, რომელიც ვალერი გრიგალაშვილს ადანაშაულებდა. გაზეთი ვალერი გრიგალაშვილისა და მისი ძმის ნოდარ გრიგალაშვილის ქონებრივ დეკლარაციებში არსებულ დარღვევებს შეეხო და „თბილთონწარმოების“ საქმეც გააშუქა, რომლის თანამშრომლებიც ვალერი გრიგალაშვილს ქარხნის მიტაცებაში ადანაშაულებდნენ. „ჯორჯიან თაიმსის“ გამომცემლის თქმით, ამ ხნის მანძილზე გრიგალაშვილი მუდმივად ემუქრებოდა გაზეთს და მის დამფუძნებლებს. ფინანსური პოლიციის უფროსი აცხადებს, რომ გრიგალაშვილს გაზეთის დოკუმენტაციის ამოღებასთან კავშირი არ აქვს. 14 ივლისის შემოწმებასთან კავშირს ვალერი გრიგალაშვილიც უარყოფს. თუმცა „24 საათისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი აცხადებდა, რომ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს „ჯორჯიან თაიმსის“ საქმიანობის და, კერძოდ, გაზეთის მიერ გაფორმებული ზოგიერთი ხელშეკრულების შემოწმებას დაავალებს და დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმესაც აღძრავს. საეჭვო ხელშეკრულებების ნუსხაში აკაკი ჩხაიძის გვარიც ფიგურირებს. „ვალერი გრიგალაშვილს აინტერესებს, რა პირობებით აფორმებდა გაზეთი ხელშეკრულებებს „ასეთ ოდიოზურ ფიგურებთან“.

„ჯორჯიან თაიმსის“ თანამშრომლები 14 ივლისის შემოწმებას „ჟურნალისტების დატერორებისა და გაზეთზე ზეწოლის მცდელობას“ უწოდებენ. დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლების შეშფოთებას საქართველოში ბოლო დროს მედიასივრცეში განვითარებული მოვლენებიც იწვევს. „გაზეთების ჯერია?...“ ასეთი სათაურით „რეზონანსი“ „ჯორჯიან თაიმსს“ ეხმაურება და სარედაქციო მინაწერში საქართველოში დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლის ტენდენციასა და პრესაზე ხელისუფლების კონტროლის დაწესების საფრთხეზე საუბრობს. „ყოვლად დაუშვებელია სადამსჯელო ღონისძიებების გატარება დამოუკიდებელი მედიის მიმართ,“ - ნათქვამია სარედაქციო მინაწერში, რომლის ავტორებიც ხელისუფლებას სახელმწიფო სტრუქტურებსა და ძალოვან უწყებებში არსებული კორუფციული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას ურჩევენ.

ფინანსურმა პოლიციამ „ჯორჯიან თაიმსის“ ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლა სექტემბრის ბოლოს დაასრულა, დარღვევები ვერ აღმოაჩინა და, შედგენილი დასკვნის თანახმად, გაზეთის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი გამოირიცხა. როგორც გაზეთის რედაქციაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ფინანსურმა პოლიციამ გაზეთს დავალიანების სახით მხოლოდ 911 ლარის გადახდა დააკისრა, რაც

მაშინვე ანაზღაურდა. გაზეთის რედაქტორის გიორგი კაპანაძის განცხადებით, ეს თანხა მიმდინარე გადასახადებს მოიცავდა და რედაქციაში პოლიციის შეჭრის გარეშეც კანონით გათვალისწინებულ ვადებში დაიფარებოდა.

პოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ პრეზიდენტის მალხაზ გულაშვილის განმარტებით, რედაქციას ბიუჯეტისთვის გადასახადების დამალვის ფაქტი არ დაუდასტურდა და პოლიციის შტურმი მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ „ჯორჯიან თაიმსში“ ჩინოვნიკებზე მამხილებელი მასალები იბეჭდებოდა. მისივე თქმით, საქართველოში მედიაზე ზეწოლის ფაქტი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ამერიკულმა გამოცემამ „ვაშინგტონ თაიმსმაც“ დაგმო.

საერთო სასამართლოების პრაქტიკა სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების სფეროში

სიტყვის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის განახლება სასამართლო პრაქტიკაში გამოავლინა როგორც პოზიტიური ტენდენცია, ასევე მსოფლმხედველობრივი პრობლემა, რომელიც მოსამართლეთა კორპუსის ნაწილს ლიბერალური ღირებულებების მიღებაში უშლის ხელს. ამის თვალსაჩინო მაგალითია გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც მოსამართლე გ. გოჩიტაშვილი ანტიკონსტიტუციურად და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციასთან შეუსაბამოდ აცხადებს ახალ კანონს „სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“. იმავე გადაწყვეტილებაში მოსამართლის მიერ საინფორმაციო საშუალებისათვის ბოდიშის მოხდის დაკისრება ისევ და ისევ მსოფლმხედველობრივი კონფლიქტის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ამ ინსტიტუტს არ იცნობდა არც *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი* და არც უკვე გაუქმებული კანონი *პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ*. ბოდიშის მოხდა გათვალისწინებული იყო საბჭოთა კანონმდებლობით, კერძოდ, 1964 წელს მიღებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით. ამ თვალსაზრისით, მისასაღმებელია „სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე პირდაპირი აკრძალვის დაწესება პირის სასამართლო წესით იძულებაზე, მოიხადოს ბოდიში.

ზურაბ ჟვანია “თავისუფალი გაზეთისა” და ირმა მესხიას წინააღმდეგ

სარჩელი: ზურაბ ჟვანიამ სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს “თავისუფალი გაზეთისა” და ჟურნალისტ ირმა მესხიას წინააღმდეგ. დავის საფუძველი გახდა 2004 წლის 20-26 იანვარს “თავისუფალ გაზეთში” გამოქვეყნებული სტატია, სათაურით “რა ელის ზურაბ ჟვანიას ინაუგურაციის შემდეგ, შეარჩენს თუ არა სააკაშვილი ოქროს ზოდებზე ნადირობას”.

მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხემ გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები. სახელდობრ:

“ფეხბურთის ფედერაციის, რკინიგზის დეპარტამენტისა და მადნეულის საქმის უკან ზურაბ ჟვანია დგას.”

“ერთ-ერთი შეხვედრისას ჟვანიამ პირდაპირ განუცხადა გიორგი ლეჟავას, რომ “რკინიგზის დეპარტამენტის შეფობის საზღაურად 2 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა.”

“ზურაბ ჟვანია მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო ძეგნილ კურტნისთან.”

მოსარჩლის განცხადებით, ზემოხსენებული ცილისმწამებლური განცხადებებით შეილახა მისი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია; მან განიცადა მნიშვნელოვანი მორალური ზიანი. ზურაბ ჟვანიას აზრით, ზემოთ მითითებული განცხადებები სტატიაში ისეთ კონტექსტში იყო მოცემული, რომ მოხდა მოსარჩლის სახელისა და რეპუტაციის დისკრედიტირება (იგი მოცემულ მომენტში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იყო).

მოსარჩლის წარმომადგენლის, დიმიტრი გაბუნიას მტკიცებით, მოპასუხეები მიზანმიმართულად და ბრალეულად მოქმედებდნენ, როდესაც ავრცელებდნენ ხსენებულ ცნობებს, მიზანი კი ზურაბ ჟვანიას ფინანსურ მაქინაციებში დადანაშაულება და მისი, როგორც სახელმწიფო მინისტრისა და პოლიტიკოსის საზოგადოებრივი იმიჯის შელახვა იყო. ამის დასტურად მოსარჩლემ დაასახელა ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის მეშვეობით გავრცელებული რეკლამა, რომლითაც მოსახლეობის ფართო ფენებს მიეწოდა ინფორმაცია სადავო სტატიისა და მასში მოყვანილი დეტალების შესახებ. ამასთანავე, რეკლამაში ზურაბ ჟვანიას ფოტო ოქროს ზოდებთან ერთად იყო განთავსებული.

დიმიტრი გაბუნიას განმარტებით, ევროპის სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს ცილისწამების ორ კატეგორიას: პირველი ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელყოფს საჯარო მოხელის პატივსა და ღირსებას და მისი საჯაროდ გავრცელება წარმოადგენს ცილისწამებას; ხოლო მეორე - სუბიექტური შეფასებაა, რაც ცილისწამებას არ წარმოადგენს. მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობები, დიმიტრი გაბუნიას აზრით, არის ინფორმაცია ზურაბ ჟვანიას შესახებ, კონკრეტული ფაქტების მითითებით, რაც ვერ ჩაითვლება მოპასუხის სუბიექტურ მოსაზრებად.

მოსარჩლემ მიუთითა ევროპის სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტზე, რომლის თანახმად, მოსაზრებები, რომლებიც გავრცელდა გადაუმოწმებლად, თუმცა ეყრდნობა გადამოწმებად ფაქტებს, ზიანს აყენებს საჯარო მოხელის პატივსა და ღირსებას. ასევე მოსარჩლემ მიუთითა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, საქმეზე *“თორგეირ თორგეირსონი ისლანდიის წინააღმდეგ”*, სადაც ნათქვამია: *“პირს, რომელიც აცხადებდა, რომ მისი გამოხატვის თავისუფლება აუცილებლობის გარეშე იქნა შეზღუდული, აღნიშნული უფლება უნდა განეხორციელებინა დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად: იგი კეთილსინდისიერად უნდა მოჰკიდებოდა საკუთარი განცხადებების კანონიერებას, რომლებიც დემოკრატიული მიზნების შესაბამისად უნდა ჩამოეყალიბებინა. გარდა ამისა, განმცხადებელს ეფექტურად უნდა შეეწყო ხელი აღნიშნული მიზნებისათვის და უნდა პქონოდა ფაქტობრივი საფუძველი.”*

მოსარჩლის აზრით, სახეზეა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა აუცილებელი წინაპირობა: ა) შელახულია ზურაბ ჟვანიას პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია; ბ) გავრცელებულია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები; გ) გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს; დ) პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით. აქედან გამომდინარე, ზურაბ ჟვანიამ მოითხოვა გავრცელებული ცნობების იმავე საინფორმაციო საშუალების მეშვეობით უარყოფა, ასევე მორალური ზიანის სახით მოპასუხეებისათვის 5 ათასი ლარის დაკისრება.

მოპასუხე გაზეთის რედაქტორმა თამარ ლევსვერიძემ, ჟურნალისტმა ირმა მესხიამ და მათმა წარმომადგენელმა პაატა კიკნაველიძემ სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს შემდეგ გარემოებებზე:

მათი განცხადებით, სარეკლამო რგოლის გამავრცელებელი არის “რუსთავი 2” და მოსარჩლეს შეეძლო, სარჩელი შეეტანა ხსენებული ტელეკომპანიის წინააღმდეგ. სტატიაში მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ ფეხბურთის ფედერაციისა და რკინიგზის დეპარტამენტის უკან დგას ზურაბ ჟვანია არ არის შეურაცხყოფელი, რადგან პუბლიკაციაში არ კონკრეტდება, ფეხბურთის ფედერაციაში რომელი საქმის უკან დგას ზურაბ ჟვანია. ხსენებული ცნობა, მოპასუხის აზრით, არ წარმოადგენს მტკიცებულებას ფაქტის შესახებ და ის მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას. სტატიაზე მუშაობის პროცესში ჟურნალისტს ვერავინ შეუზღუდავს თავისი წარმოსახვის გამოხატვის უფლებას, სტატიაში არსად არის გამოყენებული სიტყვა “კრიმინალური”. იმის დასტურად, რომ მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის გამოყენება, მოპასუხემ მოუხმო საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებას, საქმეზე “აკაკი გოგიჩაიშვილი პარლამენტის წინააღმდეგ”.

მოპასუხის განმარტებით, ჯორჯ კურტისი წარმოადგენდა იმ ავსტრიულ კომპანიას, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოში ოქროს ბიზნესთან, ამდენად, თუკი სახელმწიფო მინისტრი მასთან რაიმე მოლაპარაკებებს აწარმოებდა, გაუგებარია, რა იყო ამაში შეურაცხყოფელი. და თუ მოსარჩლე კურტისთან მოლაპარაკებებს შეურაცხყოფელად მიიჩნევდა, ეს, მოპასუხის აზრით, აპრიორი ადასტურებდა აზრს, რომ კურტისი დამნაშავე და კრიმინალი იყო.

მოპასუხის აზრით, საქმეში არ იყო წარმოდგენილი საკმარისი მასალები, რითიც დადასტურდებოდა, თუ რა ზიანი განიცადა ზურაბ ჟვანიამ.

ამასთანავე, მოპასუხის განცხადებით, ზურაბ ჟვანიას არ უცდია ესარგებლა სკ-ს მე-18 მუხლის მე-4 ნაწილით, რომლის თანახმად: “*პირს, რომლის პატივის და ღირსების შემლახავი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, უფლება აქვს გამოაქვეყნოს ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში*”. ამის ნაცვლად, სარჩელის შეტანამდე ორი კვირით ადრე, გაზეთის რედაქტორი კატეგორიული ტონით დაიბარეს კანცელარიაში.

მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ რედაქციის ინტერესი გააღვივა გიორგი ლეჟავას განცხადებამ – რომ რადგანაც მას არ ენდობა ისეთი პირი, როგორც ზურაბ

შვანიაა, იგი დიდ პატივს სცემს ქართულ საზოგადოებას, მაგრამ ტოვებს თანამდებობას და მიდის საქართველოდან. ამ განცხადების შემდეგ რედაქციამ დაიწყო მასალების მოძიება და ჩაწერა ინტერვიუ თავად ლეჟავასთან. სტატიაში არ ყოფილა დაკონკრეტებული, აიღო თუ არა ზურაბ შვანიამ თანხა, საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ მან ეს თანხა მოითხოვა. ჟურნალისტის ცნობით, მას კომენტარისთვის შვანიასთვის არ მიუმართავს.

რაც შეეხება გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოს, რომელზეც ზურაბ შვანია ოქროს ზოდების ფონზე იყო გამოსახული, მოპასუხის განმარტებით, ფოტო დამონტაჟებული არ ყოფილა და ის ინახებოდა როგორც ლევან მამალაძის სახლში, ასევე ზურაბ შვანიასთანაც.

ჟურნალისტ ირმა მესხიას განმარტებით, ინფორმაცია შვანია-კურტისის შეხვედრის თაობაზე მან თავად კურტისისგან მიიღო.

გადაწყვეტილება: დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს (მოსამართლე – შ. კვარაცხელია) გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს დაევალა გავრცელებული ცნობების უარყოფა შემდეგი სახით:

ცნობები იმის თაობაზე, რომ ვებზურთის ვედერაციის, რეინიგ ზის დეპარტამენტსა და მადნეულის საქმის უკან ზურაბ შვანია დგას, არ შეეფერება სინამდვილეს.

ცნობები იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი შეხვედრისას შვანიამ პირდაპირ განუცხადა ვიორგი ლეჟავას, რომ “რეინიგ ზის დეპარტამენტის შეფობის საზღაურად 2 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა”, არ შეეფერება სინამდვილეს.

ცნობები იმის თაობაზე, რომ ზურაბ შვანია მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო ძებნილ კურტინისთან, არ შეესაბამება სინამდვილეს.

მოპასუხეს ასევე დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 5 ათასი ლარის ოდენობით.

აპელაცია: ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს “თავისუფალმა გაზეთმა” და ირმა მესხიამ.

ზურაბ შვანიამ უარი თქვა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატის (მოსამართლეები – ლ. კობალაძე, ც. დევრისაშვილი, ნ. ნაზლაიძე) გადაწყვეტილებით, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება 5 ათასი ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა. დანარჩენ ნაწილში ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. “თავისუფალი გაზეთის” სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოტივაცია: სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს საკანონმდებლო აქტები ადგენს როგორც მოსაზრებების, ინფორმაციის გამოსატვისა და გაგრძელების, ისე პირთა პატივისა და ღირსების დაცვის გარანტიებს.

პალატის აზრით, ეს არის ის შემთხვევა, როცა კანონმდებელი ითვალისწინებს სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობას სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში და სახელმწიფო განახორციელებს იძულებით ღონისძიებებს პირთა პატივისა და ღირსების დასაცავად. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირთა კრიტიკის ფარგლები ფართოა, ვიდრე კერძო პირების. თუმცა კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი და არ უნდა გადაიზარდოს ისეთ კრიტიკაში, რომელიც აშკარად შეუსაბამოა კრიტიკისა და განსჯის საგანთან.

პოლიტიკური თანამდებობის პირების ქმედებათა მკვეთრი შეფასება უნდა წარმოადგენდეს განცხადების ავტორის ხელთ არსებული ფაქტების ადეკვატურს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შეიძლება გახდეს ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საფუძველი.

გამოსატვის თავისუფლების პრინციპის განხორციელებას ისახავს მიზნად კანონი *პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ*, რომლის 21-ე მუხლის შესაბამისად, ჟურნალისტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებით. ჟურნალისტი ვალდებულია, შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა. ის პასუხს აგებს თავის წერილზე, ამასთანავე პასუხისმგებლობა უნდა იკისროს რედაქციამაც, რათა არ გამოაქვეყნოს დაუზუსტებელი, დამახინჯებული ან ისეთი ინფორმაცია, რომელსაც წინასწარი განზრახვით შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

სასამართლოს აზრით, მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა იმ ფაქტის სინამდვილე, რომ ზ. ჟვანიამ პირდაპირ განუცხადა გ. ლეჟავას, რომ რკინიგზის დეპარტამენტის შეფობის საზღაურად მას 2 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. პალატის აზრით, ეს ცნობა ცდება პოლიტიკური თანამდებობის პირების კრიტიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს, რადგანაც ის მიუთითებს მოსარჩლის მიერ ქრთამის გამოძალვის მცდელობაზე და წარმოადგენს ზ. ჟვანიას პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გამონათქვამები – *“ფეხბურთის ფედერაციის, რკინიგზის დეპარტამენტსა და მადნეულის საქმის უკან ზურაბ ჟვანია დგას”*, *“ზურაბ ჟვანია მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო ძებნილ კურტნისთან”* – არის წმინდა შეფასებითი მოსაზრება. მითითებული ფაქტები მოსაზრებადაც რომ იქნას მიჩნეული, თუ მოსაზრება შეიცავს მტკიცებას პირის მიერ კანონის ან მორალის ნორმების

დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, ეს შეიძლება გახდეს სკ-ს მე-18 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის საგანი.

როდესაც ე.წ. სკანდალური საქმეების უკან ზურაბ ჟვანია მოიხსენიება, როდესაც საერთაშორისო ძეგნილ კურტნისთან მოლაპარაკებების წარმოებაზე მიუთითებენ, ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტის მინიშნება და ამგვარი ცნობების გამოქვეყნება ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.

მამუკა ნოზაძე საბა წიწიკაშვილის წინააღმდეგ

საჩივარი: 2004 წლის 2 მარტს გორის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა მამუკა ნოზაძემ და, სსკ-ს 148-ე მუხლის საფუძველზე, ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

განცხადება აცილების წესით გორის რაიონული სასამართლოდან თბილისის საოლქო სასამართლოში გადაიგზავნა; საოლქო სასამართლოდან კი - აცილების წესითვე – კასპის რაიონულ სასამართლოში.

საჩივრის თანახმად, გაზეთ “თრიალეთის” 2004 წლის 1-8 მარტის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის სტატია, სათაურით “ადვოკატი მოსამართლეს შანტაჟს უწყობს” და ქვესათაურით “დიდი სამეული” იშლება, ინტრიგები და ხლართები”. განმცხადებლის აზრით, აღნიშნული პუბლიკაცია თავისი მყვირალა და აჟიტირებული სათაურით შეურაცხყოფელია მისი პიროვნებისათვის და არის ცილისმწამებლური, რადგანაც ბრალს სდებს მას მოსამართლისათვის ფულის გამოძალვაში.

მამუკა ნოზაძის აზრით, პუბლიკაციაში გადმოცემული ფაქტები და მოვლენები არ შეესაბამება სინამდვილეს, ჟურნალისტი ავრცელებს მონაჭორს, არარსებულ ინფორმაციას დანაშაულში მისი მონაწილეობის შესახებ, მოსარჩლის პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვის ან სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით.

განმცხადებელმა ასევე მიუთითა საბა წიწიკაშვილის მეორე პუბლიკაციაზე “ადვოკატი ჟურნალისტის გასვრას შეეცადა”, სადაც აღნიშნულია: “ადვოკატ ნოზაძეს ძალიან სურდა მის მიერ მოთხრობილი ბრალდებები მარიამიძისთვის არ წარმედგინა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ მოსამართლე კომენტარებს არ აკეთებს და იფიქრა - ჟურნალისტმაც არაფერი იცის, არ წავა საოლქო სასამართლოში, ხუთივე სს საქმეს ვერ გაეცნობა და შესაბამისად დასკვნებსაც ვერ გააკეთებსო. შემდგომში მისთვის ცნობილი გახდა, რომ მე ყველა სს საქმის მოკვლევა დავიწყე. ნოზაძე დამიკავშირდა და ხმამაღალი ტონით მითხრა, “რავა მასალები გინდა, მე ხომ მოვაწოდე... შენ აგენტი ხარ. ყველაფერი ჩაუკაკლე მარიამიძეს. კოტიაშვილს შეკვეთილ წერილებს წერ... შენ გასვრილი ხარ”. ნოზაძე თავად ცდილობდა ჟურნალისტის გასვრას. კერძოდ, მოსამართლე გოჩიტაშვილი მიაგზავნა მარიამიძესთან, 500 დოლარი მომცეს, თორემ ჟურნალისტს წერილს დავაწერინებთო. ნოზაძემ მარიამიძეს გოჩიტაშვილის პირით ისიც შეუთვალა, რომ ფულს თუ გადამიხდის, ჟურნალისტს /საბა წიწიკაშვილს/ დავურეკავ, წერილს “დავაბლოკინებ” და პრობლემა აღარაფერი იქნებაო. ფაქტს გოჩიტაშვილი უარყოფს. ვისგან ჰქონდა გარანტია მამუკა

ნოზაძეს, რომ წერილი მისი ბრძანებით “დაიბლოკებოდა”? ხომ არ ფიქრობდა ადვოკატი, რომ თუკი მარიამიძე “შანტაჟს” დაემორჩილებოდა და ფულს გადაუხდიდა, იმ თანხიდან, უკვე დაწერილი სტატიის “დასაბლოკად”, წილს მომცემდა? შესაძლებელია “ჟმტობა” გამოეჩინა და “შეგობრულად” ეთხოვა - წერილი არ გაუშვაო”...

მამუკა ნოზაძის მტკიცებით, სტატიაში მოყვანილ ფაქტებს არაფერი აქვს საერთო რეალობასთან და ისინი ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფია.

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურისთვის მიცემული ახსნა-განმარტებაში საბა წიწიკაშვილმა აღნიშნა, რომ შეხვდა როგორც ადვოკატ მამუკა ნოზაძეს, ასევე მეორე მხარესაც, მოსამართლეებს – ა. მირიანაშვილსა და ქ. სულაბერიძეს. ჟურნალისტის მტკიცებით, საგაზეთო პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტები და გარემოებები წარმოადგენს არა მონაჭორს, არამედ მასალას, რომელიც ეფუძნება ზემოთ ხსენებული პირების მონათხრობს.

ჟურნალისტმა ასევე მიუთითა 8-15 მარტის გაზეთ “თრიალეთში” გამოქვეყნებულ მისსავე სტატიაზე “*ვინ ლახავს გამარჯვებული პარტიის ავტორიტეტს*”. პუბლიკაციაში ჟურნალისტი პროკურატურას მამუკა ნოზაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას სთხოვდა იმ შანტაჟისათვის, რომელსაც იგი მოსამართლე ალექსი მარიამიძეს უწყობდა. სტატიის თანახმად, მამუკა ნოზაძე ალექსი მარიამიძეს 500 დოლარს სძალავდა.

გადაწყვეტილება: კასპის რაიონის მოსამართლე გ. მილაძემ ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა.

მოტივაცია: სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის დისპოზიცია არის შემდეგი: “*ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით*”. აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

სასამართლოს აზრით, ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის განზრახვა მიმართული იყო არა შეგნებულად ცრუ ინფორმაციის გავრცელებისაკენ, არამედ მის მიზანს წარმოადგენდა ადვოკატ მ. ნოზაძის მხილება დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც მისი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, ე. ი. არ არსებობს სსკ-ს 148-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

აპელაცია: კასპის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო სააპელაციო წესით გაასაჩივრა მამუკა ნოზაძემ. თბილისის საოლქო სასამართლომ 2004 წლის 21 ივლისის განჩინებით გააუქმა ხსენებული გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად კასპის რაიონულ სასამართლოს დაუბრუნა.

გადაწყვეტილება: კასპის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ - მ. ენუქიძემ ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა.

მოტივაცია: სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის დანაშაულის დაბრალებით. სისხლის სამართლის კოდექსში 2004 წლის 24 ივნისს შეტანილი ცვლილებების თანახმად, აღნიშნული მუხლი კოდექსიდან ამოიღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმა გააუქმა ამ ქმედების დანაშაულობა.

სსსკ-ის 28 მუხლის პირველი ნაწილის “გ” პუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ ახალი კანონი აუქმებს დანაშაულობას. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსი აღარ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე არ უნდა აღიძრას.

მამუკა ნოზაძე “თრიალეთის” წინააღმდეგ

სარჩელი: მამუკა ნოზაძემ სარჩელი აღძრა გორის რაიონულ სასამართლოში, რისი საფუძველიც გახდა გაზეთ “თრიალეთში” (2004 წლის 9-16 აგვისტო) გამოქვეყნებული თ. ვაჩაძის პუბლიკაცია *“მამუკა ნოზაძეს პროკურატურაში იბარებენ”*.

მოსარჩლის აზრით, თ. ვაჩაძე დაინტერესებულია ფაქტებისა და მოვლენების არაობიექტური გაშუქებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჟურნალისტი ფაქტების გარეშე ცდილობს ჭორისა და ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც შემზარავია ყველა ადამიანისათვის. ასეთად კი მამუკა ნოზაძემ მიიჩნია შემდეგი ფრაგმენტი სადავო პუბლიკაციიდან:

“გაზეთ “თრიალეთში” ლაურა დოლიჯაშვილის ბოლო წერილის გამოქვეყნებისას კი მამუკა ნოზაძე ლაურა დოლიჯაშვილს სახლში მივარდნია, ოჯახის სხვა წევრებთან ღ. დოლიჯაშვილის შესახებ სხვადასხვა ჭორი გაუვრცელებია, რის შედეგადაც ღ. დოლიჯაშვილის ოჯახში სერიოზული კონფლიქტი წარმოშობილა.”

გავრცელებული ცნობა მოსარჩლემ შეაფასა სერიოზულ ბრალდებად, რაც ოჯახის დანგრევაში მის დადანაშაულებაში გამოიხატა.

მამუკა ნოზაძემ ასევე გაასაჩივრა გაზეთის პირველ გვერდზე მისი ფოტოსურათის (საგაზეთო მინაწერით *“ამბავი შეჭმული დოღარებისა – მამუკა ნოზაძის მიერ”*) გამოქვეყნების ფაქტი. მოსარჩლის განცხადებით, მოპასუხე საინფორმაციო საშუალებას არ ჰქონდა უფლება, მისი ნებართვის გარეშე გამოექვეყნებინა ფოტო.

მამუკა ნოზაძის მტკიცებით, მის მიმართ ცილისწამებლური და შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელებით, თანხმობის გარეშე მისი ფოტოსურათის პერმანენტულად გამოქვეყნებით შეილახა მისი ადამიანური, პროფესიული, საჯარო მოხელის უფლებები და რეპუტაცია. მოსარჩლემ მოითხოვა, მოპასუხეს დაჰკისრებოდა ბოდიშის მოხდა და, იმავდროულად, მორალური და მატერიალური ზიანის სახით 10 ათასი ლარის გადახდა.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ იყო ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი; სურათი გადაღებული იყო ტელეკომპანია “თრიალეთის” გადაცემაში “თემა” მამუკა ნოზაძის მონაწილეობისას, სადაც ის მიწვეული იყო, როგორც თანამდებობის პირი – ღიახვის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. მოპასუხე მხარის განცხადებით, მოსარჩლის გამოსახულება არის საზოგადოებრივი ინფორმაციის შემადგენელი ნაწილი და სსკ-ს მე-8 მუხლის V პუნქტის მეორე წინადადების საფუძველზე, მისი გამოქვეყნებისათვის საჭირო არ არის თანხმობა. სარჩელის უარყოფის საფუძველად მოპასუხემ ასევე მიუთითა *სიტყვისა და გამოსახატვის თავისუფლების შესახებ* კანონის მესამე მუხლის II პუნქტის “ა” ქვეპუნქტზე, მე-6 მუხლის V ნაწილსა და მე-9 მუხლის I პუნქტის “ა” ქვეპუნქტზე.

გადაწყვეტილება: გორის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – გ. გოჩიტაშვილი) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. გახეთ “თრიალეთს” მოსარჩლის სასარგებლოდ დაეკისრა ფოტოსურათის გამოქვეყნებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით და ბოდიშის მოხდა იმავე გახეთის მეშვეობით. მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

მოტივაცია: *სიტყვისა და გამოსახატვის თავისუფლების შესახებ* (2004 წლის 24 ივნისი) კანონის მესამე მუხლის თანახმად, “*სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოსახატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალო მოქმედი სამართლით.*” ამავე კანონის თანახმად, გამოსახატვის თავისუფლება გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, – ნათქვამია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

მოსამართლემ ასევე მიუთითა *საქართველოს კონსტიტუციის* მე-19 მუხლზე, 24-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებზე, მე-17 მუხლზე და ასევე *სამოქალაქო კოდექსის* მე-18 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მეშვეობით პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვას. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უფლება საკუთარ გამოსახულებაზე ფიზიკური პირის დამოუკიდებელი არაქონებრივი უფლებაა. საკუთარი გამოსახულების უფლების ობიექტია ინდივიდის თავისუფლება – მისი გამოსახულება გამოტანილ იქნას საჯაროდ და ეჩვენოს საზოგადოებას მისთვის სასურველი ფორმით, – პიროვნულობის განუყოფელი ნაწილია. ინდივიდის გამოსახულების საჯაროდ გამოტანა მარტოოდენ პუბლიკაციის ავტორის ნებით, განიხილება, როგორც გამოსახულებაზე აღბეჭდილი ინდივიდის პიროვნულობის ექსპლუატაცია. პიროვნების ამგვარი ექსპლუატაცია, შეიძლება, მიზნად ისახავდეს

გამოსახულებაზე აღბეჭდილი პირის დისკრედიტაციას /იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი/. აქვე გამოსახულების გამოქვეყნების მართლზომიერების საკითხის გადაწყვეტისას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების კოლიზიას – ინდივიდის ინტერესი დაუპირისპირდეს თავისი გამოსახულების საჯაროდ გამოტანას, ერთი მხრივ, და საზოგადოების ინტერესი – მიიღოს ინფორმაცია საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ, მეორე მხრივ. ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივი ინტერესი სჭარბობს ინდივიდის ინტერესს. საზოგადოებრივად აღიარებული პიროვნების გამოსახულება საზოგადოებრივი ინფორმაციის შემადგენელ ნაწილად გვევლინება, რადგან თანამდებობის პირი ინტეგრირებულია თანამედროვეობის ამსახველ მოვლენებში.

ამასთანავე, მოსამართლემ აღნიშნა, რომ პიროვნების სპეციფიკური ინტერესის დაცვა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, გახდეს თანამედროვეობის პროცესში ინტეგრირებული პირის გამოსახულების, პუბლიკაციის აკრძალვის საფუძველი, თუ გამოსახულების გამოქვეყნება სცილდება საზოგადოებრივი დაინტერესების სფეროს და, კერძო ურთიერთობებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს ანგარიშსწორებას, იწვევს ინდივიდის პატივისა და ღირსების, საზოგადოებრივი რეპუტაციის დისკრედიტაციას.

მოსამართლემ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩლის, როგორც სახელმწიფო მოხელის, თმენის ვალდებულება შეწყვეტილია კრიტიკის მიმართ კერძო ინტერესის პრიორიტეტის მინიჭებით, საჯარო ინტერესთან შედარებით. დაირღვა კრიტიკის დასაშვებობის ფარგლები და ინდივიდის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, რადგან მოხდა საზოგადოდ განხორციელებული ფოტო-ვიდეო-გადაღების გამოყენება არა საზოგადო მოვლენის ასახვისათვის, არამედ მისივე დისკრედიტაციის მიზნით. სადავო ფოტოსურათი გამოყენებულია ისეთ პუბლიკაციასთან დაკავშირებით, რომელიც, მისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს “რადაც ამბის” გაგრძელებას, რომელიც მიუღებელია მოსარჩლისათვის და არ არის დაკავშირებული მის სახელმწიფო მოღვაწეობასთან.

მოსამართლის აზრით, მოსარჩლის პიროვნების - და არა სახელმწიფო მოხელის - “წარმოჩინება” მიუღებელ, უღირს საქციელში მხილების მოტივით, არასაჯარო ინტერესიდან გამომდინარე, უხეშად გასცდა პიროვნების და სახელმწიფო მოხელის საქმიანი კრიტიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს. ფოტოსურათის გამოქვეყნებასთან ერთად, გადაუმოწმებელმა პუბლიკაციამ განსჯის საგანთან აშკარად შეუსაბამო ხასიათი მიიღო. მოპასუხის ქმედება, რომელიც შეიცავს არაპირდაპირ, შეუმოწმებელ მტკიცებას მოსარჩლის მხრიდან კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის შესახებ, ფოტოსურათის თვალსაჩინოების გამოქვეყნებით იძლევა მოპასუხის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველს. მოპასუხემ თავისი მიზანმიმართული მოქმედებით შელახა მოსარჩლის კანონით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებები.

მოსამართლემ მიუთითა *ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის* მე-10 მუხლზე და განმარტა, რომ მოცემულ ნორმაში სიტყვის, გამოსატვის თავისუფლების განხორციელების უფლებასთან ერთად მოცემულია ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის ერთგვარი ბალანსი; ამ

პირობების დაუცველობის შემთხვევაში, სიტყვის თავისუფლება უპირისპირდება ადამიანის პატივისა და ღირსების თავისუფლებას.

“ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” კანონი, მართალია, ადგენს “აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას”, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის დებულებით სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებას, რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს... იგი იზღუდება “სხვათა უფლებებით და თავისუფლებებით” – საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი აზრის თავისუფლების ღირებულებას უპირისპირდება “ადამიანის პატივისა და ღირსების”, არანაკლები ღირსება და რაც დაფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლში, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტების იერარქიულ თანაფარდობას სამართლებრივი კოლიზიის გადაწყვეტისა და ასეთი აქტების იურიდიული ძალის განსაზღვრის მიზნით, სადაც პირველ ადგილზე დგას საქართველოს კონსტიტუცია” (სტილი დაცულია), – აღნიშნულია სამოტივაციო ნაწილში.

მოსამართლემ მიუთითა კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, *“ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები”* და ეს კონსტიტუციური ნორმა შემდეგნაირად განმარტა: თითოეული ადამიანის უფლება, თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

აქედან გამომდინარე, მოსარჩლის პერმანენტული დისკრედიტაციის გამო, მოპასუხისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება, მოსამართლის აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს აზრის (გამოხატვის) თავისუფლების შელახვად.

სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძვლად მოსამართლემ მიუთითა სკ-ს მე-18 მუხლის 1, 2, 5 და 6 ნაწილები და 413-ე მუხლის პირველი ნაწილი. მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმის გამო, რომ სსკ-ს 102 მუხლის შესაბამისად, მოსარჩლემ ვერ წარმოადგინა სათანადო მტკიცებულებები მატერიალური ზიანის ფაქტისა და მოცულობის შესახებ.

დოდო ჩოხელი “დუშეთის საზოგადოების ინტელიგენციის” და “ახალი ვერსიის” წინააღმდეგ

სარჩელი: ელნარ (დოდო) ჩოხელმა დუშეთის რაიონულ სასამართლოში 41 ფიზიკური პირისა და გაზეთ “ახალი ვერსიის” წინააღმდეგ აღძრა სარჩელი და მიუთითა, რომ ხსენებულმა პირებმა, რომლებიც საკუთარ თავს “დუშეთის საზოგადოების ინტელიგენციას” უწოდებენ, გაავრცელეს მისი და მისი ოჯახის შეურაცხმყოფელი ცნობები. სახელდობრ:

2004 წლის 7 ივნისის “ახალ ვერსიაში” გამოქვეყნდა დუშეთის რაიონის საზოგადოების, ინტელიგენციის მიმართვა, სათაურით *“დუშეთის გამგებელი*

განცხადებაზე დასაბუთებულ რეზოლუციას მაგიდის უჯრაში ორი კვირა ეძებდა”. ხსენებულ მიმართვაში აღნიშნულია, რომ “დუშეთის სახეს პარლამენტში წარმოადგენს ასევე სპეციალობით ვეტერინარი, ერთობ საეჭვო ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პირი – თეიმურაზ დოლიშვილი – საბჭოთა პერიოდის ფერმის გამგის ტიპური “მუქთაჭამია” ეკ ზემპლარი, მეტად საეჭვო წარსულითა და რეპუტაციით /დუშეთს ახსოვთ სასამართლო პროცესები, სადაც დოლიშვილი 1-ნ დ. ჩოხელს, ამჟამად მის მეუღლეს, ბავშვისათვის გვარის მიცემაზე უარს ეუბნებოდა იმ მოტივით, თითქოს 1-ნ დ. ჩოხელს ბავშვი მისგან არ ჰყავდა”.

გავრცელებული ცნობა მოსარჩლემ მიიჩნია არა მხოლოდ მისი და მისი შვილის, არამედ მისი მეუღლის, საქართველოს პარლამენტში დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატის, შეურაცხყოფად. დოლო ჩოხელის მტკიცებით, გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს, ისინი გავრცელებულია მიზანმიმართულად და ბრალეულად. მოპასუხეთა ქმედებას საფუძვლად უდევს მოსარჩლის ოჯახის შეურაცხყოფა პოლიტიკური შეხედულებისა და მდგომარეობის გამო. ხსენებული ცნობების გავრცელების შედეგად, დოლო ჩოხელის ცნობით, მას მოუხდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.

პატივისა და ღირსების შელახვის გამო, მოსარჩლემ მოითხოვა მორალური ზიანის სახით მოპასუხეებზე სოლიდარულად 21 450 ლარის დაკისრება და გავრცელებული ცნობების საჯაროდ უარყოფა.

მოპასუხეთა ნაწილმა (ათმა ადამიანმა) სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო მიმართვა მათ არც დაუწერიათ, მასზე ხელიც არ მოუწერიათ და, შესაბამისად, პასუხსაც არ აგებენ.

ორმა მოპასუხემ წერილზე ხელმოწერის ფაქტი არ უარყო, თუმცა დასძინა, რომ მათ მიერ ხელმოწერილ ვერსიაში მოსარჩლეთა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები არ ყოფილა.

გადაწყვეტილება: დუშეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თ. ჯერვალიძე) ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი: მოპასუხეთა ნაწილს – შ. კბილცეცხლაშვილს, დ. ჭიკაიძე-გაჩაძეს, მ. ზარიძეს, მ. ველთაურს, ნ. ლალიაშვილს, ლ. ბუაჩიძეს და გაზეთ “ახალ ვერსიას” დაეკისრა გავრცელებული ცნობების საჯაროდ უარყოფა, სოლიდარულად 700 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

მოტივაცია: სასამართლოს აზრით, გავრცელებული ინფორმაცია შეურაცხმყოფელია როგორც მოსარჩლის ოჯახის, ასევე მისი წევრების მიმართ, რადგანაც არ შეესაბამება სინამდვილეს. გავრცელებული ცნობების სიმცდარის დასტურად, მოსამართლემ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტებზე, სახელდობრ: დოლო ჩოხელის და თემურ დოლიშვილის შვილის გ. დოლიშვილის მიმართ მამობის დადგენის სააქტო ჩანაწერის ასლზე, დაბადების მოწმობის სახით, რითიც დასტურდება, რომ მამობის დადგენა მოხდა თემურ დოლიშვილის განცხადების საფუძველზე ბავშვის დაბადების ფაქტის რეგისტრაციის დღესვე. ეს კი, სასამართლოს შეფასებით, ადასტურებს, რომ მამობის დადგენა მოხდა მამის ნების გამოსატვის საფუძველზე; მცდარი ფაქტის გავრცელებით კი

შეიღახა დოდო ჩოხელის პატივი და ღირსება. სკ-ს მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილების საფუძველზე, სასამართლომ დაავალა მოპასუხეებს გაგრძელებული ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება, სამართლიანი ანაზღაურების ფარგლებში. მოსამართლემ მხედველობაში მიიღო, რომ ხსენებული ინფორმაციის გაგრძელების გამო ვნება მიადგა მოსარჩლის ჯანმრთელობას, რაც დადასტურდა დუშეთის რაიონული საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობებით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა ნაწილის განცხადება, რომ მათ ბრალი არ მიუძღვით ცნობების გაგრძელებაში, რადგან ხელი კი მოაწერეს მიმართვას, მაგრამ მათთვის უცნობი იყო წერილის შინაარსი. მოპასუხეთა ნაწილს სასამართლომ არ დააკისრა პასუხისმგებლობა, რადგან მათი ბრალეულობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა ვერ მოხერხდა. ამ პირებმა უარყვეს როგორც სტატიის მომზადებისა და გამოქვეყნების, ასევე მასზე ხელმოწერის ფაქტი.

აკაკი ჩხაიძის, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალ. მადლაფერიძის საქმე

აღნიშნულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ტელეკომპანიაზე დაკისრებულმა ფინანსურმა სანქციამ, ფაქტობრივად, საინფორმაციო საშუალების ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა დღის წესრიგში. გადაწყვეტილება უპრეცედენტო ხასიათისაა და უნდა შეფასდეს სიტყვის თავისუფლების - როგორც დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ღირებულების - ხელყოფის მცდელობად.

სასამართლოში დავის საგნად გამხდარი ჟურნალისტური გამოძიება ეხებოდა აშკარად გამოკვეთილი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ პრობლემას - კორუფციას. ამასთან, საქართველოს რკინიგზა ქვეყნის უმსხვილესი გადამხდელია. ეს ფაქტი კიდევ მეტად უწყობს ხელს საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივებას მისი ხელმძღვანელის საქმიანობისადმი. ასევე აღსანიშნავია აკაკი ჩხაიძის სტატუსი – იგი საჯარო პირია, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო თვალსაჩინო სახეს იძენს საზოგადოების უფლება, მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია რკინიგზისა და მისი თავმჯდომარის საქმიანობის შესახებ. შესაბამისად ჟურნალისტს გააჩნდა სავსებით ლეგიტიმური მიზანი, მოეხდინა საზოგადოების ინფორმირება რკინიგზის დეპარტამენტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ჟურნალისტის მიერ დაცული იქნა სამართლიანი რეპორტაჟისა და კეთილსინდისიერების პრინციპი. მან ინფორმაციის გადამოწმება მოახდინა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით: მოიძია ოფიციალური დოკუმენტები, გამოკითხა საქმესთან კავშირში მყოფი პირები, მათ შორის, ინტერვიუსათვის მიმართა ა. ჩხაიძეს, რომელმაც უარი განაცხადა კომენტარზე. ამის გარდა, ჟურნალისტმა აპელირება მოახდინა საზოგადოებაში გაგრძელებულ მოსაზრებებზე, რის უფლებასაც მას საქართველოს კონსტიტუცია აძლევდა. მაგალითად, გამონათქვამი "პრეზიდენტის ოჯახის პირად ფინანსისტად ცნობილი აკაკი ჩხაიძე..." წარმოადგენდა მოსარჩელის შესახებ საზოგადოებაში არსებული

აზრის ასახვას. ამ მოსაზრებას მოპასუხე მხარე აკაკი ჩხაიძის მიერ შევარდნაძისათვის 7 მლნ დოლარად ღირებული ვერტმფრენის ჩუქების ფაქტით ამყარებდა. თუმცა, ფაქტობრივი საფუძვლის გარეშეც ჟურლისტს სრული უფლება ჰქონდა, გადმოეცა საზოგადოებაში არსებული განწყობები. ცალსახაა, რომ საზოგადოებაში არსებული განწყობებით შეუძლებელია შეილახოს პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

გავრცელებული ინფორმაციის უარყოფის, აგრეთვე მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება პირს მხოლოდ მაშინ აქვს, თუ შელახულია მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსარჩელე მხარემ ვერ მიუთითა ვერც ერთ გარემოებაზე, რომელიც ა. ჩხაიძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას დაადასტურებდა. უფრო მეტიც, ვინაიდან მოსარჩელე საჯარო პირია, მას თმენის მეტი ვალდებულება ეკისრებოდა.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი და 413-მუხლი. თავისთავად მხოლოდ არასწორი ინფორმაციის გავრცელება არ იძლევა თანხის დაკისრების შესაძლებლობას. იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვდა მოსარჩელისაგან იმის მტკიცებას, რომ ცნობების გავრცელების შედეგად მას მიაღდა მორალური ზიანი, ეს შედეგი მოპასუხის ბრალეული ქმედების შედეგად დადგა და მოთხოვნილი თანხა გონივრულია დამდგარ ზიანთან მიმართებაში.

მოსარჩელეს არ დაუსაბუთებია, თუ რა ფიზიკური განცდები გამოიწვია გადაცემის გაშვებამ და რაში გამოიხატა მორალური ზიანი. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაასაბუთებდა მორალური ზიანის არსებობის ფაქტს.

მოსარჩელეს არ მიუთითებია არც ერთ გარემოებაზე, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის ან ა. გოგიჩაიშვილის ბრალით. საქმეში არ არსებობს ტელეკომპანიის ბრალის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება. უფრო მეტიც, "60 წუთმა" მიიღო ყველა გონივრული ზომა, რათა არ მომხდარიყო არასწორი ინფორმაციის ეთერში გაშვება: ყველა ის ინფორმაცია, რაც გადაცემაში გავიდა, წარმოადგენდა ოფიციალური დოკუმენტების ციტირებას, ან ეკუთვნოდა სხვა პირებს. ტელეკომპანიის ბრალის არსებობა არც სასამართლოს დაუსაბუთებია თავის გადაწყვეტილებაში. ასეთ ვითარებაში კი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი არ უნდა დამდგარიყო.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებამ უხეშად უგულბებლყო ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებითაც. 1.000.000 ლარი საქართველოს (და არამართო საქართველოს) სინამდვილეში უზარმაზარი თანხაა. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ თავისთავად ჯარიმის ოდენობა მიზნის არაპროპორციულია, რადგანაც მიზნად ისახავს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, რაც არ შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებს.

აღბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ უზენაეს ინსტანციაში საქმის კასაციის სტადიაზე მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, რაც, თავის მხრივ, იმით უნდა

ყოფილიყო განპირობებული, რომ იმ მომენტისთვის ა. ჩხაიძე იმყოფებოდა წინასწარი დაკავების იზოლატორში. იგი დაკავებული იყო ნაწილობრივ იმ ფაქტების გამო, რომლებმაც “60 წუთში” გაიჟღერა.

თემურ შაშიაშვილის, დავით კუპრეიშვილისა და გაზეთ “ახალი ვერსიის” საქმე

თანამედროვე ქართული სასამართლო პრაქტიკის ყველაზე კუროზულ საქმედ შესაძლებელია ჩაითვალოს ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თემურ შაშიაშვილის პატივისა და ღირსების გამო, სასამართლოში დაიბარეს დავით მუმლაძე, მისი შემცველი იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობაზე. ეს კიდევ ერთხელ იმ ფაქტის თვალსაჩინო მაგალითია, რომ როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად უფრო მოქმედებდა, ვიდრე კანონიერების.

იმ დროისათვის, როცა თემურ შაშიაშვილი საჯარო თანამდებობის პირი – იმერეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იყო, ქუთაისის საოლქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც შაშიაშვილის სასარგებლოდ ბიზნესმენ დავით კუპრეიშვილს 1 338 000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხის გადახდა დააკისრა - ამ უკანასკნელის მიერ გუბერნატორის მიმართ გაკეთებული განცხადებების გამო. ეს იყო ყველაზე დიდი ფინანსური სანქცია, რაც კი საქართველოში ცილისწამებაზე გამართულ საქმეებში სასამართლოებს დაუკისრებიათ.

2004 წელს უზენაესი სასამართლოს მითითებით ქუთაისის საოლქო სასამართლოს იმავე კოლეგიას ხსენებული გადაწყვეტილების გადახედვა მოუხდა. საოლქო სასამართლომ განუხილველი დატოვა საქმე იმ მოტივით, რომ თემურ შაშიაშვილის უფლებამონაცვლე, დავით მუმლაძე პროცესზე არ გამოცხადდა და არ დააკმაყოფილა თემურ შაშიაშვილის შუამდგომლობა იმ საბაბით, რომ ეს უკანასკნელი საკუთარ პატივსა და ღირსებას რწმუნებულის რანგში იცავდა, სარჩელის განხილვის მომენტისათვის კი შესაბამის თანამდებობაზე სულ სხვა პირი იყო.

აღნიშნული განჩინება სრულ წინააღმდეგობაშია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობასთან. თემურ შაშიაშვილის სასარჩელო განცხადება, მართალია, სახელმწიფო რწმუნებულის ბლანკზე იყო დაბეჭდილი, მაგრამ მოსარჩლედ მითითებული იყო ფიზიკური პირი – თემურ შაშიაშვილი. განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო მოსარჩლის საცხოვრებელი მისამართი. ეს ფაქტობრივი გარემოება თავიდანვე გამორიცხავდა იმის ალბათობას, რომ სარჩელი სახელმწიფო რწმუნებულის სახელით ყოფილიყო შეტანილი. თავისთავად, პატივი და ღირსება არ შეიძლება ახასიათებდეს თანამდებობას; გავრცელებული ცნობების გამო გარკვეული ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვები შესაძლოა მხოლოდ ფიზიკურ პირს მიადგეს.

გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ბუნდოვანი დარჩა, თუ ვის დაეკისრა 5 ათასი ლარის ოდენობით ბაჟის გადახდა – თემურ შაშიაშვილს თუ მის უფლებამონაცვლე დავით მუმლაძეს, რომლისთვისაც, სავარაუდოდ, არც კი იყო

ცნობილი დავით კუპრეიშვილის მიერ თემურ შაშიაშვილის შესახებ გავრცელებული ცნობების შინაარსი.

ვახტანგ ხმალადის, გაზეთ „ჯორჯიან თაიმსისა“ და ჟურნალისტ ეკა სეხნიაშვილის საქმე

აღნიშნულ საქმეში სასამართლოს მიერ შეურაცხყოფლად იქნა გაცხადებული ეროვნება. საკითხი მოსარჩელის მიერ გვარის ცვლილებას შეეხებოდა. საინფორმაციო საშუალებამ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, რაც თავადვე აღიარა. თუმცა მხოლოდ არასწორი ინფორმაციის გავრცელება არ შეიძლებოდა გამხდარიყო ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საფუძველი. საქმის განხილვის მომენტისთვის, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ამისათვის ასევე აუცილებელი იყო, სადავო ცნობები იმავდროულად ყოფილიყო შეურაცხყოფელიც. სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად შეიძლება პირის პატივსა და ღირსებას ხელყოფდეს არასწორი ინფორმაციის გავრცელება მის მიერ საკუთარი ეროვნების შეცვლის შესახებ. როდესაც სასამართლომ განაცხადა, რომ სომხური გვარის ქართულად გადაკეთების შესახებ ინფორმაცია შეურაცხყოფელია, რითიც გამოიჩინა დისკრიმინაციული დამოკიდებულება სომეხი ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ.

სასამართლომ არასწორად დააკისრა პასუხისმგებლობა საინფორმაციო საშუალებას იმ ზოგადი მსჯელობის გამო, რაც ზოგიერთი დეპუტატის მხრიდან ანტიქართული პოლიტიკის გატარებას შეეხებოდა. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე ამ შემთხვევაში არ იყო ცალსახად იდენტიფიცირებული. ეს გარემოება არ აძლევდა პირს სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ ედავა ისეთი გამონათქვამების გამო, სადაც იგი არ იყო ცალსახად იდენტიფიცირებული. იმ შემთხვევაშიც კი, მოსარჩელე ცალსახად იდენტიფიცირებული რომ ყოფილიყო, სადავო ფრაზა წარმოდგენდა შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტის მტკიცებას. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც სასამართლომ არ ექნებოდა პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერი საფუძველი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებამ გავრცელებული ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 1000 ლარის დაკისრების შესახებ უხეშად დაარღვევია კანონი.

შ. შ.-ის, გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და ჟურნალისტ მეგი ცანავას საქმე

საქმე ეხება სექსუალური ძალადობის თემატიკის გაშუქებას და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს. ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის მოტივად მიუთითა ის გარემოება, რომ ნებისმიერი სხდომის გადაწყვეტილება – ღია იქნება ის, თუ დახურული – საბოლოო ჯამში საჯაროდ ცხადდება.

მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის დახურვის შესახებ, თუკი იხილება ერთ-ერთი მხარის ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები, ან განსახილველი საქმე შეიცავს გარკვეული ტიპის საიდუმლოებას. სწორედ ასეთი შუამდგომლობით მიმართა შ.შ-მ სასამართლოს, რადგანაც პროცესი, რომელშიც იგი

მონაწილეობდა, როგორც დაზარალებული მხარე, სექსუალურ ძალადობას ეხებოდა. შესაბამისად, მას ჰქონდა გონივრული მოლოდინი, რომ მისი ინტიმური ცხოვრების დეტალები არ გახდებოდა “საჯარო განხილვის საგანი”.

მართალია, სასამართლო გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება, მაგრამ სასამართლო ამავედროულად ვალდებულია, უზრუნველყოს იმ პერსონალური მონაცემების დაცვა, რომელიც დახურულ სხდომაზეა განხილული და პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. მაშასადამე, დახურული სხდომის გადაწყვეტილებაში არ უნდა ყოფილიყო მითითებული მონაცემები, რომლითაც ჟურნალისტს მიეცა შესაძლებლობა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლის სახელი და გვარი მიეთითებინა პუბლიკაციაში და ამით განმეორებით მიეყენებინა მორალური განცდები დაზარალებული მხარისათვის.

მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია საინფორმაციო საშუალებისა და სასამართლოს პასუხისმგებლობის გამოჯენა. იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება ეკისრებოდა სასამართლოს, პასუხისმგებლობაც მას უნდა დაეკისრებოდა.

რაც შეეხება თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაიონული სასამართლოსგან განსხვავებით, ზემდგომმა ინსტანციამ მართებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სტატია შეეხებოდა მოსარჩელის პირადი ცხოვრების საჩოთირო და უსიამოვნო ეპიზოდებს. თუმცა, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა საკითხი იმის შესახებ, თუ ვისი ბრალეული მოქმედება იყო სახეზე მოცემულ შემთხვევაში. კოლეგიამ არასწორად მიუთითა, თუ ვინ მოახდინა მოსარჩელის პირადი საიდუმლოს გამჟღავნება. შ.შ.-ს სხდომის დახურვისა და მისი ცხოვრების საჩოთირო დეტალების გაუმჟღავნებლობის მოთხოვნით არ მიუმართავს გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და მეგი ცანავასათვის, ამ შუამდგომლობით მან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოს მიმართა და შესაბამისად, პირადი საიდუმლოს დაცვის გონივრული მოლოდინიც ამ უწყებისაგან ჰქონდა. რადგანაც სასამართლომ ვერ შესძლო დაზარალებულის დაცვა კანონით დაცული ინფორმაციის გასაჯაროებისგან, ამდენად შ.შ.-ს სასამართლოს წინააღმდეგ უნდა შეეტანა სარჩელი და მორალური ზიანის კომპენსირებაც მას უნდა დაეკისრებოდა.

ნუგზარ მადულარიას, “ბესანა და გიორგის” და გურამ ხიმშიაშვილის საქმე

საქმეში გასაჩივრებული იყო ჟურნალისტის პუბლიკაცია. ბათუმის საქალაქო სასამართლომ კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით მოპასუხეს საჯაროდ ბოდიშის მოხდა დააკისრა. ბოდიშის მოხდის დაკისრებას არ ითვალისწინებდა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ბათუმის უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ბოდიშის მოხდის დაკისრებას ითვალისწინებდა, რითიც აღიარა მისი უკანონო ხასიათი.

მოცემულ საქმეში სასამართლოს მხრიდან მთავარი კანონდარღვევა მდგომარეობდა მოპასუხის შუამდგომლობის არდაკმაყოფილებაში ფინანსური დოკუმენტების გამოთხოვაზე, რომელთა სიყალბეზეც იყო საუბარი მოპასუხის საგაზეთო სტატიაში. ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი მხოლოდ ბრალეული მოქმედების შემთხვევაში ითვალისწინებს მორალური

ზიანის ანაზღაურების დაკისრების ვალდებულებას, შესაბამისად, თუკი სასამართლო არ დარწმუნდებოდა მოპასუხის ბრალეულ ქმედებაში, მას არც მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების უფლება ჰქონდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მკაფიოდ არის მითითებული, რომ სასამართლო ნებისმიერი პირისგან გამოითხოვს იმ დოკუმენტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტული საქმისათვის, თუ ამის შესახებ შუამდგომლობით მხარე სასამართლოს მიმართავს.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის უმაღლესმა სასამართლომ შეამცირა მორალური ზიანისათვის დაკისრებული ანაზღაურების ოდენობა, ის ფაქტი, რომ სასამართლომ უარი განაცხადა საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოთხოვაზე, რომლებიც ჭეშმარიტების დადგენას შეუწყობდა ხელს, სასამართლოს მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღებაზე მეტყველებს.

ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ტელეკომპანია “რუსთავი-2”-ის საქმე

ეს საქმე პოლიტიკური გამოხატვის უხეში ხელყოფის კლასიკური მაგალითია. სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული კანონი “რეკლამის შესახებ”, რამაც მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამოხატვის თავისუფლებაში უხეში სახით ჩარევა გამოიწვია.

ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ განსაზღვრული ფინანსური სანქცია პოლიტიკურ რეკლამაზე მის მიერ დაწესებული აკრძალვის დარღვევაზე არ ითვალისწინებდა პროპორციულობის პრინციპს, რაც ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევაა.

სასამართლომ არასწორად მიუთითა *რეკლამის შესახებ* საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტზე, ვინაიდან ის არ ითვალისწინებს რაიმე სახის შეზღუდვას რეკლამის შინაარსის გამო. ეს მუხლი მხოლოდ კანონში გამოყენებულ ტერმინთა დეფინიციას იძლევა, რაც ვერ გამოდგება ტელეკომპანიის მხრიდან ბრალეული მოქმედების ფაქტის დადასტურებად.

კანონის მიხედვით, არაეთიკურია “რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს . . .” აღსანიშნავია, რომ მოძრაობა “კმარას” მიერ გასაჩივრებული რეკლამა არ შეიცავს რაიმე ცრუ ფაქტს მასში მოხსენებული პირების შესახებ. რაც შეეხება მითითებას პოლიტიკურ კუთვნილებაზე, აქ ცალსახაა, რომ რეკლამა ცესკოს წევრებს ემუქრებოდა არა მათი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გამო, არამედ არჩევნების შედეგების გაყალბების, ანუ თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.

ასევე აღსანიშნავია სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აპელირება ცესკოს თავმჯდომარის წერილზე, ვინაიდან სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომლის უფლებაც ხელყოფილია. ამ

შემთხვევაში კი ცესკოს თავმჯდომარე მოითხოვდა ტელეკომპანიის დასჯას ცესკოს წევრების შეურაცხყოფის გამო.

სასამართლომ ასევე არამართებულად მიუთითა კანონის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტზე, რომელიც შეიცავს მოთხოვნას არასათანადო რეკლამის განთავსებისა და გავრცელების აკრძალვაზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ტელეკომპანიას არ გაუვრცელებია სადავო რეკლამა, შესაბამისად, არც სადავო კლიპის განთავსება ან გავრცელება უნდა აკრძალულიყო.

საქმეში ადგილი ჰქონდა ასევე უხეშ პროცესუალურ დარღვევებს, რომელთა შესახებ თავის გადაწყვეტილებაში საოლქო სასამართლომაც მიუთითა, აღნიშნული გადაწყვეტილების გადასინჯვისას.

ა. გოგინაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2003 წლის 23 ივლისს აკაკი გოგინაიშვილმა სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა იმის დადგენა, თუ რამდენად კონსტიტუციური იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და *პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების* შესახებ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა და *პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ* კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი. სადავო ნორმა, რომელიც შემდგომში *სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ* კანონმა გააუქმა, აშკარად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-19 მუხლს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ: *"დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ..."* პირის უფლება, არ აიძულონ გაავრცელოს რაიმე აზრი, განსაკუთრებულად დაცულ უფლებას წარმოადგენს. რაც გამოიხატება თუნდაც იმით, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც კი არ არის შესაძლებელი ამ უფლების შეზღუდვა.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი პირს აძლევდა უფლებას, ცილისმწამებლური ცნობების გამავრცელებლისთვის სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა გავრცელებული ცნობების უარყოფა, თუ გამავრცელებელი ვერ შეძლებდა იმის დამტკიცებას, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერებოდა. ცხადია, რომ ინფორმაცია, რომლის უარყოფასაც აკისრებენ პირს, ამ პირის მრწამსით, კვლავ ერთადერთი ჭეშმარიტებაა. ანუ ფორმალური უარყოფის მიუხედავად, პიროვნება ისევ თავის აზრზე რჩება. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლს, როდესაც ავალებდა პირს მისი ნების საწინააღმდეგოდ გაავრცელებინა ინფორმაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში მოცემული პრინციპი ეწინააღმდეგებოდა არამართო საქართველოს კონსტიტუციას, არამედ ადამიანის

უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში ჩამოთვლილ უფლებათა შეზღუდვა, შესაძლოა, განხორციელდეს მხოლოდ ერთადერთი კანონიერი მიზნის გამო. ეს კანონიერი მიზანია „სხვა პირთა უფლებების დაცვა“. ანუ აზრის გამოხატვაში განხორციელებული ნებისმიერი ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს „სხვა პირთა უფლებების დაცვას“.

გავრცელებული ცნობების უარყოფის დავალებულებას არ გააჩნდა კანონიერი მიზანი, რადგან არ არის გამოხსნილი „სხვა პირთა უფლებების დასაცავად“. ანუ ის პირი, რომელზეც გავრცელდა სახელგამტეხი არასწორი ინფორმაცია, მოპასუხის მიერ ასეთი ცნობების უარყოფის გზით ვერ აღიდგენს პატივსა და ღირსებას. საქართველოში არსებული პრაქტიკით, როდესაც ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებდა მის მიერ გამოხატული აზრის (შეურაცხყოფელი იქნებოდა ის თუ ცილისმწამებლური) ნამდვილობას, სასამართლო მას ავალებდა გავრცელებული ცნობების უარყოფას იმავე საინფორმაციო საშუალებებითა და თანაზომადი ფორმით. გაუგებარია, რა სარგებელს ნახულობდა რეპუტაციაშეღასხული პირი ამგვარი იძულებითი ფორმით აზრის გამოხატვისას. როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების გამო, ცნობების გამავრცელებელი უარყოფდა მის მიერ უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, საზოგადოება ამ ნაბიჯს აღიქვამდა არა როგორც ამ პირის აზრს, რომელიც მას შეეცვალა კონკრეტული ადამიანის შესახებ, არამედ - როგორც სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას. ანუ რეპუტაციაშეღასხული პირის შესახებ საზოგადოებას რჩებოდა იგივე შეხედულება, რაც წარმოექმნა სადავო ცნობების გავრცელებით.

სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია ასევე მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. კერძოდ:

სასამართლო პაექრობისას მოპასუხე მხარემ ვერ შესძლო წარმოედგინა რაიმე მტკიცებულება ან არგუმენტი მოსარჩლის მოსაზრებების გასაბათილებლად. მოწინააღმდეგე მხარემ არასწორად განმარტა სადავო ნორმების პროპორციულობა – თითქოს, პროპორციულობა გულისხმობს მხოლოდ ცნობების უარყოფას იმავე საშუალებებით, რითიც მოხდა ცნობების თავდაპირველად გავრცელება. მხარემ პრაქტიკულად გვერდი აუარა სადავო ნორმების მიზანშეწონილობის დასაბუთებას.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა სადავო ნორმა, გამოხატვის თავისუფლების შესახებ ახალმა კანონმდებლობამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ამ საკითხზე მსჯელობას და სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და *პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ* კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებით გააუქმა ცნობების უარყოფის დაკისრების ინსტიტუტი.

* * *

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წელი სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა. ერთი მხრივ, შემუშავებულ და მიღებულ იქნა კანონმდებლობა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სამართალში აღიარებულ სტანდარტებს და ქმნის სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფის მყარ საკანონმდებლო ბაზას. მეორე მხრივ, პრაქტიკაში ამ კანონმდებლობის გამოყენებამ მრავალი არსებითი პრობლემა გამოავლინა. შექმნილი სირთულეები, პირველ რიგში, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ახალი კანონმდებლობის არაერთმნიშვნელოვნად გააზრებისა და ჯერ კიდევ შემორჩენილ მსოფლმხედველობრივ პრობლემებში გამოიტახა. 2004 წლის საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონის ძალაში შესვლის მიუხედავად, მრავალი მოსამართლე კვლავ წარსულში მოქმედი კანონმდებლობით ხელმძღვანელობდა. ამის გარდა, თვით ახალ კანონზე დაყრდნობით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებიც ეწინააღმდეგებოდა კანონს და ცხადად წარმოაჩენდა მოსამართლეთა კორპუსში ახალი კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით არსებულ გაუგებრობას.